

ଏଣ୍ଡାର୍ଟିକ୍ ପ୍ରାଚୀନ

ვარდან არაველცი

მსოფლიო ისტორია

ძველი სომხურიდან თარგმნეს
ეკა კვაჭანტირაძემ და ნოდარ შოშიაშვილმა

გამოკვლევა, კომენტარები და საძიებლები დაურთო
ეკა კვაჭანტირაძემ

 აზრალი

ՎԱՐԴԱՆ ԱՐԵՎԵԼՅԻ
ՊԱՏՄՈՒԹԻՒՆ ՏԵՇԵՐԱԿԱՆ

Գրադարից թարգմանել են **Էկա Կվաճանտիրաձեն և
Նոդար Շոշիաշվիլին**

Առաջարանը, ծանոթագրությունները և ցանկերը՝
Էկա Կվաճանտիրաձեի

**«ԱՐՏԱՆՈՒԶԻ» ՀՐԱՏԱՐԱԿՈՒԹՅՈՒՆ
Թքիլիսի**

**ՌԵՖԱՐԵԳՐՈՐՈ
ԵՂԵՆԵ ԸԱՂԱՐԵԿՑՈՂՈ**



გამოიცა ֆունդամենտալ հայագիտական գործականությունների համար և պահպանական գործությունների համար առաջարկագիրը (SP-23-1198)

This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SP-23-1198)

სარჩევი

ვარდან არეველცი და მისი „მსოფლიო ისტორია“ ეკა კვაჭანტირაძე.....	7
ვარდან არეველცი	
მსოფლიო ისტორია.....	43
კომინტარები.....	219
WORLD HISTORY by Vardan Areveltsi (Summary).....	301
საქიეპილი	308

ვარდან არეველცი და მისი „მსოფლიო ისტორია“

წერილობითი წყაროების პუბლიკაციასა და გამოკვლევას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება ისტორიული მეცნიერების განვითარებისათვის. ამ წყაროთა შორის მასალის მრავალსახეობითა და მოვლენათა დაწვრილებითი აღწერით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი სომხური საისტორიო მნერლობის ძეგლებს ეთმობა. ძველი და შუა საუკუნეების სომხურ ისტორიოგრაფიას სხვადასხვა პერიოდში: V-IX, X-XIII, XIV-XVI და XVII-XVIII საუკუნეებში არათანაბარი განვითარება ახასიათებს. სომხური საისტორიო მნერლობა დაწინაურდა V, IX-XIII და ნაწილობრივ XVIII საუკუნეებში და პირიქით, დაქვეითების გზას ადგას VII-VIII და განსაკუთრებით XIV-XVII საუკუნეებში¹.

XIII საუკუნეში სომხური საისტორიო მნერლობის განვითარებამ მაღალ დონეს მიაღწია. ამ პერიოდის ისტორიოგრაფიას ავტორთა ინდივიდუალურ თავისებურებებთან ერთად საერთო, ეპოქალური ნიშნები ახასიათებს. ისტორიკოსთა ნაშრომებში შეინიშნება საკუთრივ სომხეთის წარსულისა და აწმყოს მსოფლიო ისტორიის კონტექსტში გააზრების ცდები, გვხვდება, ერთი მხრივ, მსოფლიო ისტორიის ტიპის თხზულებები, ხოლო მეორე მხრივ, სომხეთის ისტორიები, განხილული

¹ Մանր ժամանակაգրություններ, Բ, կազմեց Վ. Հակոբյանը, II, Ե., 1956, էջ 16.

მსოფლიო პროცესებთან მჭიდრო კავშირში. აქედან გამომდინარე, ამ ხანის ნაშრომთა უმრავლესობა მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს არა მარტო სომხეთის, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა ხალხის ისტორიისათვის. თითქმის ყველა ეს ისტორიული თხზულება დიდ ნაწილში წყაროთა ფართო ბაზაზე დამყარებული კომპილაციებია და ამასთან, ავტორები არ იფარგლებიან მხოლოდ სომხური და მხოლოდ წერილობითი წყაროებით. მათ არსენალშია ზეპირ და ეპიგრაფიკულ წყაროებზე მუშაობის და მათი გამოყენების მეთოდები. სომხური წყროების გარდა, აქ ვხვდებით ბიბლიის, ბერძნული და სირიული წყაროების გამოყენების ფაქტებს. მდიდარია მათი წყაროების სახეობრივი სპექტრიც-საისტორიო-ლიტერატურული, დიპლომატიკური, ეპისტოლარული. მათ მიერ გამოყენებულ წყაროთა შორის არის ზოგიერთი ჩვენამდე მოუღწეველი ძეგლი და სომეხ ავტორთა ეს თხზულებები მათ შესახებ ინფორმაციის ერთადერთი საშუალება. თხზულებების მნიშვნელოვანი მონაკვეთის თვითმხილველნი და თანადამხდურნი არიან ამ საუკუნის ისტორიკოსები. ლირებულება ამ ნაწილისა განსაკუთრებით დიდია, ვინაიდან მასში ვხვდებით როგორც უნიკალურ, მხოლოდ ამა თუ იმ ავტორთან შემონახულ ცნობებს, ასევე ისეთ მონაცემებსაც, რომლებიც ადასტურებს და ამონმებს სხვა წერილობითი ძეგლების ინფორმაციას.

XIII საუკუნის სომხური ისტორიოგრაფია განსაკუთრებით განვითარდა ხორანაშატის, აირივანქისა და ტათევის სკოლების წყალობით. ხორანაშატის სკოლის დამაარსებლად ითვლება ვარდაპეტი ვანაკანი, რომელმაც აღზარდა სომხური კულტურის მოღვაწეთა მთელი თაობა². ვანაკანის თხზულებას

² ლ. მელიქსეთ-ბეგი. ძველი სომხური ლიტერატურის ისტორია, თბ., 1941, გვ. 132; Հ. Ոսկան. Ցովիաննես Վանական Վարդապետ և իւր դպրոցը, Վիեննա, 1922, էջ 12.

ვარდან არეველი და მისი „ასოფლიო ისტორია“

მონღლოლთა შემოსევების შესახებ ჩვენამდე არ მოუღწევია. სამაგიეროდ მონღლოლთა დროინდელი ამბები ვრცლად შემო-გვინახეს მისმა მონაფეებმა თავის თხზულებებში: კირაკის განძაკეციმ „სომხეთის ისტორიაში“, გრიგოლ აკნეციმ „მოი-სართა ტომის ისტორიაში“, ვარდან არველციმ „მსოფლიო ის-ტორიაში“. ასეთი იყო სომხური ისტორიოგრაფიის დონე XIII საუკუნეში, ვარდან არეველცის მოღვაწეობის ხანაში.

ახლა მოკლედ მიმოვიხილოთ ეს ეპოქა პოლიტიკური თვალსაზრისით. IX-X საუკუნეებში სომხეთი მოიცავდა რამდენიმე, ისტორიულ-კულტურული თვალსაზრისით განსხვავებულ რეგიონს. ანისის ბაგრატუნთა სამეფომ თუმცა დროებით შემოიკრიბა ეს რეგიონები, მაგრამ მათი ერთიან სახელმწიფოდ გაერთიანება ვერ მოხერხდა³. სომხეთი ცალკეულ სამეფოებად დაქუცმაცდა. მათ შორის აღსანიშნავია: ანისის (შიორავის), ვასპურაკანის, ყარსის (ვანანდის), ტაშირ-ძმრაგეტის, სიუნიქის სამეფოები.

XI საუკუნეში ბიზანტიის იმპერიამ ექსპანსია დაიწყო სომხეთში: 1022 წელს გააუქმა ვასპურაკანის, ხოლო 1045 წელს ანისის სამეფოც. ამავე პერიოდში იწყება სომხეთში თურქ-სელჯუკთა შემოსევები. წვრილი სომხური სამეფოები ან დამარცხედნენ სელჯუკებთან ბრძოლაში, ან უბრძოლველად დამორჩილოდნენ მათ. ქვეყნის ზოგიერთ რაიონში კი წარმოიქმნა სელჯუკური საამიროები: ანისის, დვინის, ყარსის, შაჰ-არმენთა საამიროები⁴. ბრძოლა სელჯუკურ საამიროებსა და

³ К. Н. Юзбашян. Армянские государства эпохи Багратидов и Византия IX-XI вв., М., 1988, с. 171; Տ. Ֆադելյանց. Ամոյրշացանուս Յոլունիությունը Երտեղյալտա Մարտունութեա IX-XI Տառչանեմի, Երևան, 1988, էջ. 68-69.

⁴ შ. მესხია. საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთის მეზობლები და ურთიერთობა მათთან, საისტორიო ძეგლანი, III, თბ., 1986, გვ. 58-59.

ვარდან არეველცი

საქართველოს შორის მთელი XII საუკუნე გრძელდებოდა და საქართველოს გამარჯვებით დასრულდა⁵. საქართველო, ამ დროისათვის უძლიერესი სახელმწიფო მთელ მახლობელ აღმოსავლეთში, იწყებს პრძოლას სომხეთის სელჩუკთაგან განსათავისუფლებლად, რის შედეგადაც, ჩრდილო-აღმოსავლეთი სომხეთი მის შემადგენლობაში მოექცა. ისტორიული სომხეთის სამხრეთი პროვინციები შედიოდა ხლათ-მანაზეკრტის საამიროში, რომელიც საქართველოს მოხარკეს წარმოადგენდა, დასავლეთი რაიონები კი რუმის სასულთნოს მფლობელობაში იყო. ამრიგად, XII საუკუნეში სომხეთი, როგორც პოლიტიკური ერთეული, უკვე აღარ არსებობდა.

XIII საუკუნეში იწყება სომხეთში მონღლოლთა ლაშქრობები. 1236 წლისათვის ჩრდილოეთ სომხეთი მთლიანად დაიპყრეს მონღლოლებმა, 1242-1245 წლებში კი დაიმორჩილეს სომხეთის დასავლეთი და სამხრეთი პროვინციები. მიუხედავად მძიმე პოლიტიკური ვითარებისა სომეხი ხალხი ცდილობს აღადგინოს ქვეყნის ეკონომიკა, ხელახლა ააშენოს დანგრეული სოფლები და ქალაქები, განავითაროს ვაჭრობა, შექმნას კულტურული ფასეულობანი. ეს გარკვეულწილად მოხერხდა სომხეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში და კილიკის სომხურ სამთავროში, რომლებიც ნაკლებად დაზარალდნენ სელჯუკთა და მონღლოლთა შემოსევებისაგან. ვარდან არეველცი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა სწორედ ამ ორ რეგიონში.

⁵ ჯ. სტეფნაძე. საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა კავკასიის ხალხებთან XII საუკუნეში, თბ., 1974, გვ. 28-77.

* * *

ვარდან არეველცის ბიოგრაფიას თუმცა არაერთი მკვლევარი შექმნა, მაგრამ ბევრი რამ ჯერ კიდევ არ არის დაზუსტებული. ნაწილობრივ ამის მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ XII-XIII საუკუნეებში სომხეთსა და კილიკიაში რამდენიმე ავტორი მოღვაწეობდა სახელად ვარდანი. მათ შორის ვარდან ალბატეცის, ვარდან აიგეკცის, ვარდან ბარძრბერდეცისა და ვარდან არეველცის ბიოგრაფიული ფაქტები და ლიტერატურული მოღვაწეობა ხშირად ემთხვევა ერთმანეთს. წერილობითი ცნობები მათ შესახებ ძუნნი და არეულია. ამას გარდა მათი ნაშრომები ხასიათით, უანრობრივი კუთვნილებითა და თემატიკით ძალიან ჰგავს ერთმანეთს. ამასთან ბევრ ხელნაწერში ნაწარმოებთა ავტორობა განისაზღვრებოდა მხოლოდ სახელით „ვარდანი“.

ვარდან არეველცის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ წყაროებში შემონახული ცნობები ძალზე მწირია. თვითონ ვარდანი „მსოფლიო ისტორიაში“ გვერდს უვლის ავტობიოგრაფიული ხასიათის ცნობების გადმოცემას, მხოლოდ დაწვრილებით მოგვითხრობს თავისი ცხოვრების ერთ მნიშვნელოვან მომენტზე, კერძოდ თავის სტუმრობაზე ჰულაგუ ყაენთან 1264 წელს.

ვარდანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ მასალებს გვაწვდის მისი მეგობარი და თანამოწაფე კირაკის განძაკეცი თავის „სომხეთის ისტორიაში“. კირაკისი ბიოგრაფიული ცნობების გარდა, იძლევა ვარდანის შემოქმედების შეფასებასაც, განსაკუთრებით გამოჰყოფს მისი მოღვაწეობის საზოგადოებრივ და პედაგოგიურ ასპექტს⁶. ვარდანის

⁶ Կիրակոս Գանձակեցի. Պատմოւթյուն հայոց, աշխ. Կ. Մելիք-Օհանջանյանի, Ե., 1962, էջ 294, 298-299, 310-311, 327, 330, 349.

ՅԱՐԴԱԲ ԱՐԵՎԵԼՑՈ

տաճամեդրոցյ և տաճամռնացյ շրջագոլլ այնեւո ՝մռուսար-
տա քռմուս օսքորրուածու տծուլո սութպազնուոտ ուսենուեծ տաճու
մեցոծարս և ցանցազուոտ մնութելովան բռնօծաս – զարդանու
ցարդացալուեծու տարուլո (1271)⁷. զարդաբ արեվելցու մռու-
ցանցոծաս մածալ շեգասեծաս ածլուզեն տաճուանո նամրոմեծու
մուսո մռնացուոտ: ցորրց սկյարուացո, ուռանց ձլութ յիշրույացո,
շրջագոլլ ծալույուո⁸. Շեմռնախուլու ծոծլուոցուուլո սուեծո, րոմլեծու
համուուլուո զարդանու նամրոմեծո, մուսո մուսա-
մարտուո սեցաճասեցա դրու ցամուոյմուլո շեգասեծու⁹.

մեցնուորտա մռուս ածրու սեցաճասեցամբա զարդաբ արե-
վելցու և ճաճացուոտ տարուլու սակուոտեծո. մկանուցարտա նամու-
լու ածրուո, զարդանո ճաճաճա 1200-1210 նլուեծ մռուս¹⁰. Ցո-
ցուոյորտո կո ցոյշրոմբ, րոմ ոցո ճաճացուուլա 1197-1200 նլուեծ մռու-
ս¹¹. մեցնուորտա ածրու ուցուա ացրետոյ զարդանու ճաճա-
ցուոտ ածցուլու սակուոտեծու. Ցոցոյորտո օսքորրուուսո աոցո-
ցեճա զարդաբ արեվելցու և զարդաբ ծարժրծերճեցու, րու
ցամու զարդաբ արեվելցու ճաճացուոտ ածցուլա մուինեցեն

⁷ շրջագոլլ այանելո. մռուսարտա քռմուս օսքորրու, սոմեխու քյէլսքո վարտուլո տարցմանուո ճա կոմենքարեծուոտ ցամռուցա 6. մռուսամբուլմա, տծ., 1961, ց. 19.

⁸ Հայոց նոր վկաներ, աշխ. Հ. Մանանոյանի եւ Հ. Անառյանի, Վաղա-
րշապատ, 1903, էջ 105.

⁹ Հ. Անառյան. Հայկական մատենագրություն, Ա, Ե., 1959, էջ XLVI, L,
LII, LV, LIX-LXI.

¹⁰ M. X. Աբեցյան. История древнеармянской литературы, Ер., 1975, с. 452;
Գ. Զարդիանայան.Պատմութիւն հայ իին դպրութեան, Վենետիկ, 1932, էջ 795; Գ. Զահուլյան. Քերականական եւ ուղղագրական
աշխատությունները միջնադարյան Հայաստանում, Ե., 1954, էջ 243.

¹¹ Հաւաքումն պատմութեան Վարդանայ Վարդապետի, աշխ., Ղ.
Ալիշանի, Վենետիկ, 1862, էջ թ. Փ. Անթապայան. Վարդան Արեւելցի, Ա,
Ե., 1987, էջ 34.

ვარდან არეველი და მისი „ასოცირებული ისტორია“

ბარძრ-ბერდის ციხესიმაგრეს კილიკიაში¹². მკვლევართა ნაწილი ვარდანის დაბადების ადგილად ასახელებს ქალაქ განძას და მის შემოგარენს¹³.

ვარდანმა განათლება მიიღო იმ დროისათვის კარგად ცნობილ ვარდაპეტ ვანაკანთან, ტავუშის მხარის ხორანაშატის მონასტერში. აქ ვარდანის თანამოწაფენი იყვნენ კირაკოს განძაკეცი და გრიგოლ აკნეცი. მაგრამ 1225 წელს ჯალალ ად-დინის ურდოების გამოჩენასთან ერთად ხორანაშატის მონასტერში შეწყდა მუშაობა, ვარდაპეტი ვანაკანი გადასახლდა ტავუშის სამხრეთით, სადაც განაგრძობდა საეკლესიო და პედაგოგიურ მოღვაწეობას. 1236 წელს გაზაფხულზე მონღოლთა ურდოებმა მოლაპრ ნოინის მეთაურობით დაატყვევეს ვანაკანი და მისი მოწაფეები, მათ შორის კირაკოს განძაკეცი¹⁴. ვარდანი ამ დროს უკვე წასული იყო ხორანაშატის მონასტრიდან ვანაკანის მოწაფეთა ერთ ჯგუფთან ერთად კაიენაბერდში სკოლის დასაარსებლად. ვარდანმა კაიენაბერდში დაარსა უმაღლესი ტიპის სკოლა, სადაც გაშალა ფართო პედაგოგიური მუშაობა.

1248-1251 წლებში ვარდანი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა კილიკიაში¹⁵. ვარდანის მოღვაწეობა კილიკიაში ორი მთავარი მიმართულებით მიმდინარეობდა – კულტურულ-ლიტერატურული და საზოგადოებრივ-საეკლესიო. ვარდანი კილიკიაში გახდა მეფე ჰეთუმ I-ის (1226-1270) და კათალიკოს კონსტან-

¹² История монголов по армянским источникам. пер. и объяснения К. П. Патканова, вып. I, СПБ., 1873, с. VI; Всеобщая история Вардана Великого, пер. Н. О. Эмина, М., 1861, с. XI.

¹³ М. X. Абегян. Ծածակ. Ենթրոպօ, ցջ. 452; Փ. Անթապյան. Վարդան Արեւելցի, - «Պատմա-բանափրական հանդես», 1972 №4, էջ 59.

¹⁴ Յ. ԶԱՆԴԱՅՈՒՅՆ, Ց. 251.

¹⁵ Փ. Անթապյան, Ծածակ. ճամրոմու, գլ. 39.

ტინე I ბარძრბერდეცის (1221-1267) მეტად დაახლოებული პირი, მასწავლებელი და მრჩეველი. იგი ხელმძღვანელ მონაწილეობას იღებდა საეკლესიო-ადმინისტრაციული საკითხების გადაწყვეტაში, საეკლესიო კრებების ორგანიზაციაში. კირაკოს განძაკეცი ჩამოთვლის აღმოსავლეთ მხარეების სასულიერო წარმომადგენლებს და სომხური ეკლესიის მოღვაწეებს, რომელთა ავტორიტეტული აზრი აინტერესებდა კათალიკოს კონსტანტინე I-ს სისის საეკლესიო კრებაზე დასმულ საკითხებთან დაკავშირებით. მათ შორისაა ვარდანი¹⁶. ეს ეთუოდ მეტყველებს იმ დიდი როლის შესახებ, რომელსაც ვარდანი თამაშობდა თავისი ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

1264 წელს, როგორც თვითონ ვარდანი წერს „მსოფლიო ისტორიაში“, ჰულაგუ ყაენმა გამოიძახა ის თავრიზში, სადაც დიდი პატივით მიიღო. ვარდანმა ჰულაგუსაგან მიიღო სპეციალური იარლიყი, რომლითაც მონღლოლებს ებრძანებოდათ ლმობიერად მოპყრობა სომეხი მოსახლეობისადმი, განსაკუთრებით საგადასახადო პოლიტიკის სფეროში. ჰულაგუს კარზე ვარდანს ისეთი ავტორიტეტი მოუპოვებია, რომ მას სთხოვდნენ რჩევა-დარიგებას ყველაზე მნიშვნელოვან ვითარებაშიც კი. ასე, მაგალითად, ჰულაგუს სიკვდილის შემდეგ მისი მეუღლე დოხუზ ხათუნი მიმართავს ვარდანს და მისი რჩევით აყენებს მამის ადგილას, მის უფროს ვაჟს აბალას.

ვარდანი ფართო პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა. ის ასწავლიდა უმაღლეს სკოლებში კაიენაბერდში, ჰალბატ-სა და ხორ ვირაპში. ხორ ვირაპში გაატარა ვარდანმა თავისი ცხოვრების უკანასკნელი წლები. აქ მან დააარსა შუა საუკუნეების უმაღლესი სკოლა, სადაც სასწავლებლად ჩამოდიოდნენ არა მარტო მახლობელი ადგილებიდან, არამედ

¹⁶ კ. განძაკეცი, გვ. 330.

21 არდან არეველცი და მისი „მსოფლიო ისტორია“

შორეული კილიკის სომხეთიდანაც. ბევრი მისი აღზრდილი სომხური კულტურის გამოჩენილი მოღვაწე გახდა¹⁷. 1267 წელს აქ დაასრულა ვარდანმა „მსოფლიო ისტორია“.

სხვადასხვა მოსაზრება არსებობს ვარდან არეველცის გარდაცვალების თარიღთან დაკავშირებით. მკვლევართა ნანილის აზრით, ვარდანი გარდაიცვალა 1269 წელს¹⁸. ამ მოსაზრებას საფუძვლად უდევს სამუელ ანეცის გამგრძელებლის, დავით ვირაპეცის მოსახსენიებლები¹⁹, აგრეთვე ის ფაქტი, რომ ვარდანი „მსოფლიო ისტორიაში“ არ აღნიშნავს ჰეთუმ I-ის გარდაცვალებას (1270). ზოგიერთი მეცნიერი ვარდანის გარდაცვალებას 1271 წელს განაკუთვნებს²⁰. ამ მოსაზრების დასასაბუთებლად მოტანილია ისტორიულ წყაროთა მონაცემები: ა) მცირე ქრონიკებში ამასთან დაკავშირებით აღნიშნულია 1271 წელს²¹. ბ) ვარდანის თანამონაფე გრიგოლ აკნეცი ასახელებს 1271 წელს²². გ) ნერსეს მშეცი ვარდანთან მონაფეობდა 6 წელი, 1266-1271 წლებში²³. დ) გ. ჰოვსეფიანი თავის ნაშრომში აქვეყნებს ვარდან არეველცის მოსახსენიებლს, რომელიც დაწერილია ხორ ვირაპში და დათარიღებულია 1271 წლით²⁴. ამ არგუმენტების საფუძველზე ვარდანის

¹⁷ Գ. Հովսեփյան. Խաղակեանք կամ Պռոշեանք հայոց պատութեան մեջ, Բ, Երուսաղեմ, 1944, էջ 191-194.

¹⁸ M. X. Անգյան. დასახ. ნაშრომი, გვ. 452; Գ. Զահուկյան, დასახ. ნაშრომი, გვ. 224; Հ. Գաբրիելյան. Հայ փիլիսոփայական մտքի պատմություն, Բ, Ե., 1958, էջ 155; Ա. Սրապյան. Հովհաննես Երգնկացի, Ե., 1958, էջ 34-35.

¹⁹ Դահիթ Վիրապեցի, Կոնդակ, – «Արարատ», 1886, էջ 193.

²⁰ Փ. Անթապյան, დასახ. ნაშրომი, გვ. 43.

²¹ Մանք Ժամանակագրություններ, Բ, էջ 146.

²² Ց. Ազանեლո, გვ. 71.

²³ Գ. Հովսեփյան დასახ. ნაშրომი, გვ. 194.

²⁴ Ոქչե, გვ. 193.

ვარდან არეველცი

გარდაცვალების თარიღად ასახელებენ 1271 წელს, რაც მისალებად მიგვაჩნია.

ვარდან არეველცი სომხური ისტორიოგრაფიისა და კულტურის ცნობილი პიროვნებაა. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შუა საუკუნეების სომხეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების, განათლების, ისტორიოგრაფიის, გეოგრაფიის, სამართლის, მწერლობის, სომხური ენის გრამატიკის განვითარებაში, ამ სფეროების გონებრივი და სულიერი გამდიდრების საქმეში. ვარდანის მრავალფეროვან სამეცნიერო-ლიტერატურულ მემკვიდრეობაში სხვადასხვა ჟანრის ნაშრომები გვხვდება: ხოტბები, საუბრები, ჰიმნები, კომენტარები, შარაკანები, გრამატიკული და საკანონმდებლო ხასიათის ნაშრომები, „გეოგრაფია“, „მსოფლიო ისტორია“.

ვარდაგ არეველცის „მსოფლიო ისტორია“ შუა საუკუნეების სომხური საისტორიო მწერლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლია. თხზულება იწყება ქვეყნის დასაბამიდან და მთავრდება 1267 წლით, კათალიკოს კონსტანტინე I ბარძრბერდეცის გარდაცვალებით. ის სტეფანოს ტარონეცის (ასოლიკის) თხზულების (XI საუკუნე) შემდეგ, მსოფლიო ისტორიის ტიპის მეორე ნაწარმოებია სომხურ ისტორიოგრაფიაში. ვარდანი ამ თხზულებაში თავს უყრის მთელ თავის ისტორიულ ცოდნას. „მსოფლიო ისტორია“ ძვირფასი წყაროა არა მარტო სომხეთის, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების (რომის, პართიის, ეგვიპტის, ბიზანტიის, პალესტინის, ინდოეთის, სპარსეთის, არაბეთის, საქართველოს, ალბანეთის) ისტორიის, პოლიტიკური, საზოგადოებრივი, სოციალ-ეკონომიკური ცხოვრების, სულიერი კულტურის, რელიგიის შესასწავლად.

სომხური ისტორიული თხზულებების სტრუქტურისათვის დამახასიათებელია დაყოფა ნაწილებად, თავებად, ქვეთავებად. თხზულებებს წინ უძლვის ზოგადი ხასიათის შესავალი.

ვარდან არეველი და მისი „მსოფლიო ისტორია“

„მსოფლიო ისტორიას“ ვარდანი იწყებს შესავლით, სადაც მოცემულია სამყაროს შექმნის ბიბლიური სქემა. ვარდანი თავის ნაშრომში არ გამოყოფს თავებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ის „მსოფლიო ისტორიის“ წერისას წინასწარ დასახულ გეგმას ემყარება. ავტორი იწყებს თხრობას მსოფლიოს ხალხთა წარმომავლობით, მოცემული აქვს მათი წარმოშობის ბიბლიური სქემა. ეს გზა არ არის ორიგინალური, ის დამახასიათებელი და შეიძლება ითქვას სავალდებულოც კი არის ქრისტიანული მწერლობისათვის.

ვარდანი თხზულებას იმგვარად აგებს, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ისტორიას ცალ-ცალკე არ გამოყოფს, არამედ ყველა ხალხის თავგადასავალი საერთო თხრობაშია ჩართული ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. ვარდანი სომხეთის ისტორიასაც მოხერხებულად უფარდებს საერთო თხრობას. ცალკეულ მომენტებს კი არ რთავს, არამედ მსოფლიოს სხვა სახელმწიფოთა გვერდით, დროისდა მიხედვით, გადმოსცემს თავისი ქვეყნის ისტორიას.

ვარდანი დიდ ყურადღებას აქცევს მოვლენათა დროში განსაზღვრას. დათარიღებას ის გარკვეული დროიდან იწყებს. ყოველი ფაქტი თუ მოვლენა მას მეტ-ნაკლებად ზუსტ ქრონოლოგიურ საზღვრებში აქვს მოქცეული. ერთი და იმავე თარიღის ქვეშ ვარდანი გადმოსცემს არა ერთ, არამედ რამდენიმე ქვეყანაში მომხდარ ფაქტსა თუ მოვლენას. ავტორი ხშირად იძლევა თარიღებს, რომელთა სიზუსტე მტკიცდება ქართული, სომხური თუ უცხოენოვანი წყაროებით.

ვარდანი იყენებს დათარიღების სამ წესს: 1. შედარებითი ქრონოლოგია – გამოჩენილ ადამიანთა მოღვაწეობის მიხედვით; 2. ქრისტეს დაბადებიდან; 3. სომხური წელთაღრიცხვა. შედარებით ქრონოლოგიას და ქრისტეს დაბადებიდან დათარიღებას ავტორი უმეტესად თხზულების დასაწყისში იყე-

ნებს. ქრისტეს დაპატებიდან დათარიღების შემთხვევები შე-დარებით ნაკლებია. თხზულებაში ყველაზე ხშირად გვხვდება დათარიღება სომხური წელთაღრიცხვით²⁵. დათარიღების ეს წესი დამკვიდრებულია იმდროინდელ სომხურ ისტორიო-გრაფიაში.

* * *

მედიევალური ისტორიოგრაფიის წარმომადგენელთა შე-მოქმედებითი მეთოდის დახასიათებისათვის უთუოდ საინტე-რესორსი იმის გარკვევა, თუ რა წყაროებით სარგებლობდა ესა თუ ის ისტორიკოსი, რა პრინციპით ხელმძღვანელობდა მათი შერჩევისა და გამოყენების დროს და როდის მიაჩნდა საჭი-როდ წყაროების დასახელება.

ვარდანის მიერ გამოყენებულ წყაროთა მიგნებას ართუ-ლებს ის გარემოება, რომ შუა საუკუნეებში მიღებული წესის შესაბამისად ავტორი იშვიათ შემთხვევაში იმოწმებს გამოყე-ნებულ წყაროებს. ვარდანს იმ წყაროთაგან, რომლებითაც უსარგებლია, კონკრეტულად დასახელებული ჰყავს: ასოლიკი (XII საუკუნე), მხითარ ანეცი (XII საუკუნე), ვარდაპეტი ვანაკა-ნი (XIII საუკუნე), ვაპრამი (XIII საუკუნე), კირაკოს განძაკეცი (XIII საუკუნე), „ქართლის ცხოვრება“. მართალია, სხვა წყა-როების გამოყენებაზე „მსოფლიო ისტორიაში“ არაფერია ნათევამი, მაგრამ სამაგიეროდ ხშირად გვხვდება გამოთქმები „ჩვენ წაგვიკითხავს და მოგვისმენია“, „ამის ნახვა შეიძლება დაწვრილებით ისტორიებში“, „ამას ვნახავთ ისტორიკოსების

²⁵ ე. კვაჭანტირაძე, ვარდან არეველცის „მსოფლიო ისტორიის“ წყა-როთმცოდნეობითი დახასიათების ზოგიერთი საკითხი, ისტორი-ულ-წყაროთმცოდნეობითი ძიებანი, თბ., 1989, გვ. 77-82.

ვარდან არეველი და მისი „მოწყვიო ისტორია“

დაწვრილებით მონათხრობში, „ამის შესახებ დაწვრილებით წერენ ისტორიკოსები“ და სხვა. ყველაფერი ეს მოწმობს, რომ ამ შემთხვევაში ივარაუდება სწორედ ის ზეპირი და დაუსახელებელი წერილობითი წყაროები, რომელთა ცნობებით უხვად უსარგებლია ვარდანს.

საინტერესოა იმის გარკვევა, თუ რა შემთხვევებში ასახელებს ვარდანი გამოყენებულ წყაროებს.

ვაჰამაშ და მხითარ ანეცის ვარდანი უთითებს სელჯუკიანი ამირას თოღრულ-ბეგის შესახებ თხრობისას. ავტორს მოჰყავს ვაჰამაში ციტატა თოღრულ-ბეგის სულთნად დასმის შესახებ და აღნიშნავს: „ეს ისტორიკოს ვაჰამ ტიგრანის ძის მიხედვით“, შემდეგ აგრძელებს: „ხოლო საპატიო ბერი მხითარ ანეცი, რომლის ხსოვნა იყოს, ცხოვრების წიგნში ასე ამბობს“ ... და მოჰყავს ვრცელი თხრობა ამავე თოღრულ-ბეგის შესახებ. ამრიგად ვარდანი, რომელიც საერთოდ იშვიათად უთითებს წყაროებს, აქ ერთი და იმავე ამბის აღწერისას ორ წყაროს ასახელებს. ამ შემთხვევაში ვარდანი ერთმანეთს უპირისპირებს ორი ხსვადასხვა ავტორის ცნობებს და მყითხველს სთავაზობს, თვითონ გაერკვეს რომელია უფრო სარწმუნო.

მეფე იოანესა და მისი ძმის აშოტის შესახებ საუბრისას ვარდანი კიდევ ერთხელ ასახელებს მხითარ ანეცის, ისევ ციტირების დროს.

ასეთსავე შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როდესაც ქართველთა წარმომავლობის შესახებ თხრობისას ვარდანი წერს: „ქართველთა მეფობის დასაბამზე მათ წიგნებში წერია, რომ თარგამოსი რვა ვაჟით მოვიდა აირარატის თემში“. შემდგომ გადმოგვცემს მათი განსახლების ისტორიას და ბოლოს დასძენს: „ეს ხუცეს მხითარის გადმოცემის მიხედვით“.

ზემოთ აღნიშნულ შემთხვევაში ვარდანი წყაროებს უთითებს, როცა ახდენს ციტირებას, თანაც ასახელებს არა ერთ,

ვარდან არეველცი

არამედ ორ-ორ ავტორს. ვფიქრობთ, ეს გამოწვეული უნდა იყოს იმით, რომ ვარდანმა მის მიერ მოთხრობილი ამბების შესახებ თვითონ დაწვრილებით ბევრი არაფერი იცის, ამიტომ მოაქვს ფაქტები წყაროებიდან, რომლებსაც არ ითავისებს და დასახელებულ მოვლენებს ამაგრებს რამდენიმე ავტორის მონაცემებით. პირველ შემთხვევაში თოლრულ-ბეგის შესახებ საუბრისას, ვაჰრამის თხზულებიდან მოტანილი ცნობა მწირია, სამაგიეროდ იგი იქვე შევსებულია მხითარ ანეცის ვრცელი მონათხრობით. მეორე შემთხვევაშიც, ქართველთა წარმომავლობის შესახებ თხრობისას ვარდანი, საფიქრებელია „ქართლის ცხოვრებას“ იყენებს და იქვე ავსებს მის ცნობებს მხითარ ანეცის ისტორიით. მხითარ ანეცის თხზულებით სარგებლობა ვარდანის „მსოფლიო ისტორიის“ კომპილაციურ ნაწილსაც წყაროს მნიშვნელობას ანიჭებს, რადგანაც მხითარ ანეცის ნაშრომის „სელჩუკების, ივერიელებისა და სომხების ისტორია“ უდიდესი ნაწილი, კერძოდ II და III კარი დაკარგულია და მისი შინაარსის გარკვეულნილად აღდგენა მხოლოდ ვარდანის თხზულებითაა შესაძლებელი.

ვარდანი ასოლიკასაც ციტირების დროს ასახელებს. V საუკუნის II ნახევარში სპარსეთის მეფის იეზდიგერდ II-ის წინააღმდეგ სარწმუნოებრივი ბრძოლის შესახებ თხრობისას, ის წერს ვარდანიანების მონამეობრივი სიკვდილის შესახებ იეზდიგერდის მე-16 წელს. შემდეგ მოჰყავს ასოლიკის ციტატა, რომ ეს მოხდა იუზდიგერდის მე-16 წელს. ე. ი. ასოლიკი იძლევა იმავე თარიღს, რასაც ვარდანი. ამ შემთხვევაში, ვარდანი, როგორც ჩანს, უკვე თავის მოსაზრებას ამაგრებს ასოლიკის ცნობით.

„მსოფლიო ისტორიაში“ დასტურდება წყაროების მითითების მეორე პრინციპიც. როდესაც ვარდანი მონღლოლთა შესახებ იწყებს თხრობას, დასძენს, რომ მას აღარ სურს გაი-

ვარდან არეველცი და მისი „მსოფლიო ისტორია“

მეოროს ვარდაპეტ ვანაკანისა და კირაკოს განძაკეცის მიერ ადრე მოთხოვილი ამბები. ამ შემთხვევაში წყაროები – ვანაკანისა და კირაკოს განძაკეცის თხზულებები დასახელებულია იქ, სადაც ავტორი ამოკლებს თავის თხრობას და აღარ იმეორებს თავის წინამორბედ ისტორიკოსთა მონათხრობს. იმისათვის, რომ მკითხველს აუხსნას თავის თხზულებაში მონღოლთა დროინდელი ამბების შემოკლებული სახით გადმოცემის მიზეზი, ვარდანი ასახელებს წყაროებს, სადაც ვრცლადაა მოთხოვილი ამის შესახებ. ამგვარად, აქ შეიძლება ჩანდეს ერთგვარი თავის მართლება, მაგრამ ამავე დროს წყაროთა დასახელება შეიძლება აიხსნას მკითხველისათვის საჭირო ცნობების მიწოდების აუცილებლობით. ისტორიკოსს სურს, რომ მკითხველმა შეძლებისდაგვარად სრული ინფორმაცია მიიღო და უთითებს კიდეც შესაბამის ნაშრომებს, ე. ი. ამ შემთხვევაში ვარდანის მიერ წყაროების მითითებას ორი მიზეზი შეიძლება ჰქონდეს: ა) ის განმარტებას იძლევა აღნიშნული მოვლენების შემოკლებული სახით გადმოცემის გამო; ბ) დაინტერესებულ მკითხველს უსახელებს დამატებითი ინფორმაციის წყაროს.

ამრიგად, გამოვლინდა ვარდანის მიერ წყაროების დასახელების ორი წესი: 1) როცა ახდენს ციტირებას; 2) როცა აღარ იმეორებს სხვა ისტორიკოსთა მონათხრობს და შემოკლებით გადმოსცემს ეპიზოდებს²⁶.

²⁶ დაწვრ. იხ. ე. კვაჭანტირაძე. წყაროების დამოწმების წესი ვარდან არეველცის „მსოფლიო ისტორიაში“, „მაცნე“, ისტორიის სერია. 1988, №3, გვ. 151-155.

ვარდან არეველი

* * *

მედიევალური საისტორიო მწერლობის ძეგლთა წყაროთ-
მცოდნეობითი კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია
ძველ ავტორთა მიერ გამოყენებული წყაროების გამოვლე-
ნა და ამ წყაროებიდან ამოკრებილი მასალით სარგებლობის
ხერხების დადგენა. ეს აუცილებელია როგორც საკუთრივ იმ
ავტორთა შემოქმედებითი მეთოდის დახასიათებისათვის, ისე
მათ მიერ მოწოდებული მასალის სანდოობისა და უტყუარო-
ბის დასადგენად.

ვარდანის მიერ გამოყენებული წყაროების შესახებ საყურადღებოა მ. ბროსესა და ჟ. მილდერმანსის ნაშრომები²⁷. საინტერესოა აგრეთვე დ. კუიუმჭიანის მოსაზრებანი მხითარანეცის თხზულებიდან ვარდანის „მსოფლიო ისტორიაში“ შემონახულ ერთ ნაწყვეტთან დაკავშირებით²⁸. ა. მარგარიანიც იხილავს ვარდანის „მსოფლიო ისტორიისა“ და მხითარანეცის თხზულებათა ტექსტების გენეტიკურ კავშირებს²⁹. აღსანიშნავია ვარდანის შემოქმედების შესახებ პ. ანთაბიანის მონოგრაფია, რომელშიც დაზუსტებულია ვარდანის მიერ გამოყენებული წყაროები³⁰.

ვარდანი „მსოფლიო ისტორიის“ შესავალისა და დასაწყისი ნაწილისათვის იყენებს ბიბლიას. ვარდანის, როგორც XIII

²⁷ M. Brosset. *Additions et eclaircissements a l'histoire de la geographie, depuis l'Antiquite jusgu' en 1469* de J. C., St Peterburg, 1851, p. 298; J. Muyldermans. *La domination arabe en Armenie*, – Louvain-Paris, 1927, p. 108.

²⁸ D. Kouymjian. Mxitar of Ani on the Rise of the Seljugs, – “Revue des études arméniennes”. Nouvelle série. VI. Paris. 1969. p. 331-353.

²⁹ Սխիթար Անեցի. Մատեան աշխարհավեպ հանդիսաբանաց, աշխ. Հ. Արագածոտնի, Ե., 1983, Էջ 26-31, 37-38.

³⁰ Փ. Անթաղյան, Հասակ. ճամրոմի, գլ. 245-309.

ვარდან არეველცი და მისი „მსოფლიო ისტორია“

ს-ის ავტორის და სასულიერო პირის (ვარდაპეტი) მიერ ბიბლიის გამოყენება სავსებით ბუნებრივია. მაგრამ დასაწყის ნაწილში ვარდანის ოხრობა ზოგჯერ ბიბლიას არ ემთხვევა. ვარაუდობენ, რომ ეს განსხვავებები ვარდანს აღებული აქვს სირიელ ავტორთა ნაშრომებიდან, კერძოდ მიქაელ ასურის „უამთააღმწერლობიდან“³¹. ტექსტების შედარებისას აღმოჩნდა, რომ ვარდანმა ძირითადად ისარგებლა მოვსეს ხორენაცის (V საუკუნე), ფავსტოს ბუზანდის (V საუკუნე), ლაზარ ფარპეცის (V საუკუნე), სებეოსის (VII საუკუნე), ლევონდის (VIII საუკუნე), იოანე დრასხანაკერტცის (IX-X საუკუნეები), უხტანესის (X საუკუნე), ასოლიკის (XI საუკუნე), კირაკოს განძაკეცის (XIII საუკუნე) თხზულებებით³².

ვარდანი წყაროდ „მსოფლიო ისტორიისათვის“ იყენებს ქართულ წყაროებს, კერძოდ „ქართლის ცხოვრებას“. ქართველთა წარმომავლობის შესახებ საუბრისას ვარდანი იხსენიებს ქართველთა წიგნს, რომლის მიხედვითაც მოგვითხრობს ამ მოვლენების შესახებ, ბოლოს კი დასძენს: „ეს ხუცეს მხითარის გადმოცემის მიხედვით“. ალბათ ამ ადგილზე დაყრდნობით მივიდა ლ. მელიქსეთ-ბეგი იმ დასკვნამდე, რომ ვარდანი ქართული წყაროებით მხითარ ანეცის მეშვეობით სარგებლობს³³. ეს აზრი დამკვიდრდა ქართულ ისტორიოგრაფიაში. პ. ანთაბიანი თავის მონოგრაფიაში „მსოფლიო ისტორიის“ წყაროებს ეხება და ფიქრობს, რომ ვარდანს საქართველოს

³¹ Хронографическая история составленная отцом Мхитаром, вардапетом Айриванским, пер. К. П. Патканова, СПБ., 1869, с. 315.

³² დაწვრ. იხ. ე. კვაჭანტირაძე. ვარდან არეველცის „მსოფლიო ისტორიის“ წყაროების საკითხისათვის, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1989, №1, გვ. 97-107.

³³ ლ. მელიქსეთ-ბეგი. ძველი სომხური ლიტერატურის ისტორია, გვ. 133, მისივე, საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროების პუბლიკაციები, თბ., 1949, გვ. 261.

ვარდან არეველცი

შესახებ ცნობები უმეტესად სომხური წყაროებიდან უნდა ამოეკრიბა, ანდა მას გაგონილი და ნანახი მოვლენები გად-მოუცია, უშუალოდ ქართული მატიანეებით კი არ უსარგე-ბლია³⁴.

„მსოფლიო ისტორია“-ში წყაროთა დამოწმების წესების კვლევისას გაირკვა, რომ ვარდანის ზემოთ აღნიშნულ ციტა-ტაში მითითებულია ორი სხვადასხვა, დამოუკიდებელი წყა-რო – „ქართლის ცხოვრება“ და მხითარ ანეცის თხზულება. ამასთან ქართული წყარო არ არის დამოწმებული მხითარ ანეცის ნაშრომიდან, როგორც ეს ლ. მელიქეთ-ბეგს აქვს აღნიშნული. ერთსა და იმავე საკითხის შესახებ საუბრისას ორი წყაროს დასახელება უცხო არ არის ვარდანისათვის. ამის მსგავსია კიდევ ერთი შემთხვევა, კერძოდ სელჩუკიანი ამირას თოლორულ-ბეგის შესახებ საუბრისას ავტორი წყაროდ ასახელებს ვაჰრამს და მხითარ ანეცის. წყაროთა დამოწმე-ბის ამ წესის მიზეზებზე ზემოთ გვქონდა საუბარი. ახლა კი მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ, როგორც ჩანს, ვარდანი კარგად იცნობდა და შესაძლებელია ხელთაც კი ჰერონდა მხითარ ანე-ცის თხზულება. ნაკლებად ცნობილი მოვლენების აღწერისას მისი საშუალებით ამოწმებს და ამყარებს სხვა წყაროთა მო-ნაცემებს (კერძოდ ვაჰრამისა და „ქართლის ცხოვრების“).

XII საუკუნე და XIII საუკუნის დასაწყისი საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური ძლიერების ხანაა. ქვეყანა იწყებს ბრძოლას სომხეთის სელჯუკთაგან გასათავისუფლე-ბლად. განსაკუთრებული წარმატება ამ ბრძოლებს თამარის მეფობაში ჰქონდა, რის შედეგადაც ჩრდილო-აღმოსავლეთ სომხეთი საქართველოს მფლობელობაში შევიდა. სწორედ ამ პერიოდში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ვარდან არეველცი ჩრდილო-აღმოსავლეთ სომხეთში. აღსანიშნავია ისიც, რომ

³⁴ Փ. Անթապյան, დასახ. ნაშრომი, გვ. 272.

ვარდან არეველცი და მისი „მსოფლიო ისტორია“

ამ დროისათვის „ქართლის ცხოვრება“ უკვე თარგმნილი იყო სომხურ ენაზე. ამდენად, სავსებით შესაძლებელია, რომ ვარდანს, თავისი დროის განათლებულსა და განსწავლულ ადამიანს, საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში მყოფ მხარეებში მოღვაწეს, სცოდნოდა ქართული წყაროები, კერძოდ, „ქართლის ცხოვრება“ და გამოყენებინა ის თავისი თხზულებისათვის.

ამრიგად, ვარდანს ფართოდ გამოყენებია ადრინდელი ხანის და მისი თანადროული წერილობითი წყაროები. როგორც წყაროთმცოდნეობითმა კვლევამ გვიჩვენა, ისტორიკოსი დიდი სიფრთხილით და სერიოზულობით ეკიდება სხვა თხზულებებიდან მოპოვებული მასალის გამოყენებას. პირდაპირ კი არ იწერს, არამედ აჯერებს ერთმანეთთან სხვადასხვა წყაროდან ამოკრებილ მასალას. ეს ზოგჯერ ართულებს ვარდანის მიერ გამოყენებულ წყაროთა მოძიებას და ნიშანდობლივ დადგენას. ისეთი მოვლენების აღწერა „მსოფლიო ისტორიაში“, რომელთა თანამედროვე ჩვენი ავტორი არ ყოფილა, უმრავლეს შემთხვევაში დადასტურებას პოულობს ნინარე ხანის სომეხ ისტორიკოსთა ნაშრომებში.

* * *

ვარდან არეველცის „მსოფლიო ისტორიამ“ ადრევე მიიპყრო მკვლევართა ყურადღება. „მსოფლიო ისტორიის“ პირველი ისტორიოგრაფიული გამოკვლევა XVIII საუკუნის II ნახევრის მკვლევარს მ. ჩამჩიანს ეკუთვნის. მეცნიერი მთლიანობაში სანდოდ მიიჩნევს მას და ფართოდ იყენებს, როგორც მნიშვნელოვან პირველწყაროს³⁵.

³⁵ უ. გამუან. Պատմილების ხაյng, գ, Վեნესუელა. 1786. էგ 241.

ვარდან არეველი

განსაკუთრებული წვლილი შეიტანა „მსოფლიო ისტორიის“ გამოცემის, თარგმნისა და შესწავლის საქმეში მ. ემინ-მა. მან 1861 წელს გამოსცა თხზულების სომხური ტექსტი³⁶, ამავე წელს „მსოფლიო ისტორიის“ სრული ტექსტის რუსული თარგმანი. ამ გამოცემის შესავალი თხზულების მოკლე გა-მოკვლევას წარმოადგენს. მასში მკვლევარი ეხება ვარდანის ბიოგრაფიას, ეპოქას, ლიტერატურულ მემკვიდრეობას, თხ-ზულების წერილობით და ზეპირ წყაროებს³⁷.

მ. ბროსემ მ. ემინის გამოცემის საფუძველზე ჩაატარა „მსოფლიო ისტორიის“ ტექსტოლოგიური და წყაროთმცოდნეობითი კვლევა³⁸. მან ძირითადად ყურადღება გაამახვილა თხზულების იმ ცნობებზე, რომლებიც ეხება საქართველოს ისტორიას, საზოგადოებრივ, სოციალ-ეკონომიკურ ცხოვრებას, სომეხ-ქართველთა ისტორიულ-პოლიტიკურ და კულტურულ კავშირებს.

„მსოფლიო ისტორიას“ იკვლევდა ლ. ალიშანი მის მიერ გამოცემული თხზულების ტექსტის შესავალში³⁹. აქ საუბარია ვარდანის ბიოგრაფიის, მისი მოღვაწეობის შესახებ, გარკვეულია ვარდანის სახელების ცნობილი აღრევა და ნაჩვენებია, რომ ეს თხზულება ეკუთვნის არა ბარძრბერდეცის, არამედ ვარდან არევილცის კალამს.

ვარდანის თხზულებას საკმაოდ მაღალ შეფასებას აძლევს ჟ. მილდერმანსი. ის „მსოფლიო ისტორიას“ სომხური საისტორიო მწერლობის ერთ-ერთ ძვირფას წყაროდ მიიჩნევს

³⁶ Մեծին Վարդանայ Բարձրբերդեցւոյ Պատմութիւն տիեզերական, աշխ. Ս. Էմինի, Մ., 1861.

³⁷ Всеобщая история Вардана Великого, с. V-XXIII.

³⁸ M. Brosset. Analyse critique de la “Всебобщая история” de Vardan, St. Peterburg, 1862.

³⁹ Հաւաքումն պատմութեան Վարդանայ Վարդապետի, էջ Ա-ԺՎ.

ლვთისმეტყველების, სომხური ლიტერატურისა და ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით. მკვლევარი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს თხზულების იმ ნაწილს, რომელიც ისლამის წარმოშობის და გავრცელების ისტორიას ეხება⁴⁰.

მ. აპელიანი ვარდან არეველცის შემოქმედებითი მემკვიდრეობის განხილვისას განსაკუთრებულ ყურადღებას „მსოფლიო ისტორიას“ უთმობს. მკვლევარი დაწვრილებით განიხილავს ამ თხზულების შესავალს, რომელშიც ჩამოყალიბებულია ვარდანის რელიგიურ-ფილოსოფიური მსოფლმხედველობა და მიიჩნევს, რომ ავტორის თანადროული ხანისათვის ეს საკმაოდ ჩამოყალიბებული, დასრულებული სამეცნიერო-რელიგიური თეორიაა. თუმცა იმდროინდელ საისტორიო ძეგლებთან შედარებით მ. აპელიანი „მსოფლიო ისტორიას“ ლიტერატურული თვალსაზრისით დაბლა აყენებს⁴¹.

„მსოფლიო ისტორიის“ დეტალურ შეფასებას იძლევა თაის ნაშრომებში ლ. ბაბაიანი. მკვლევარი ამ ობზულებას ერთ-ერთ ძირითად წყაროდ მიიჩნევს სამხრეთ კავკასიაში მონღოლთა დაპყრობების ისტორიისა და ქრონოლოგიის, მათი ბატონობის პირველი პერიოდის შესწავლისათვის⁴².

ვარდან არეველცის მთელი შემოქმედებითი მემკვიდრეობა დეტალურადაა შესწავლილი პ. ანთაბიანის შრომებში: მის საკანაფილატო, სადოქტორო დისერტაციებში და მონოგრაფია-

⁴⁰ J. Muylldermans. დასახ. ნაშრომი, გვ. 1-2.

⁴¹ М. X. Абегян. Պատմակ. Եպիսկոպոս, հՅ. 452-453.

⁴² Л. О. Бабаян. Социально-экономическая и политическая история Армении в XIII-XIV вв., М., 1969, с. 8, 85-88, 90-95, 100-103, 152-153, 160, 239, 296, Թօևօչը, Դիվագներ Հայաստանի զարգացած ֆեոդալիզմի դարաշրջանի պատմության (IX-XII դ.դ.), Ե., 1981, Էջ 227, 234, 237, 249.

ში⁴³, სადაც ფართოდაა წარმოდგენილი ვარდანის ცხოვრების და მოღვაწეობის ყველა ძირითადი სფერო თუ ასპექტი, საზოგადოებრივ-კულტურული თუ შემოქმედებითი პრობლემები, ცალ-ცალკეა განხილული მისი ნაშრომები, მათ შორის „მსოფლიო ისტორია“.

„მსოფლიო ისტორიას“ თავიანთ ნაშრომებში ქხებიან და იყენებენ გ. ზარბჰანალიანი, ვ. ფაფაზიანი, ა. ზამინიანი, ჰ. ვოსკიანი, ე. დურიანი, ჰ. მანანდიანი, ვ. ჰაკობიანი, პ. მურა-ლიანი, ბ. ულუბაბიანი, ა. მარგარიანი⁴⁴.

ვარდან არეველცის შემოქმედებითი მექანიზმების და კერძოდ, მისი „მსოფლიო ისტორია“ ქართულ ისტორიოგრაფიაში ცალკე კვლევის საგანი არ გამხდარა. თხზულება აქამდე ქართულად არ იყო ნათარგმნი, მაგრამ ქართველი ისტორიკოსები იყენებენ ვარდანის თხზულებაში დაცულ მდიდარ

⁴³ П. П. Антабян. Литературно-художественные произведения Вардана Аревелци, АКД филол. наук, Ер., 1969; П. П. Антабян. Вардан Аревелци. Общественно-культурные и творческие проблемы, – АДД филол. наук. Ер., 1987; Ф. Անդրանիկ Արքայան. Վարդան Արքայանը. Հայության գործառնությունը. Երևան, 2000.

44 Գ. Զարքիանայխան, ջամանակագիրը, 1973-1979; Վ. Փափազյան. Պատմութիւն հայ գրականութեան, Թիֆլիս, 1910, էջ 196; Ա. Չամինյան. Հայ գրականութեան պատմութիւն, Ն. Նախիջեան, 1914, էջ 202-203; Հ. Ուսկյան, ջամանակագիրը, 1973-1979; Ե. Դուրյան. Պատմութիւն հայ մատենագրութեան. Երևան, 1933, էջ 226; Հ. Մանանյան. Քննական տեսություն հայ ժողովրդի պատմության, III, Ե., 1952, էջ 246; Մակր Ժամանակագրություններ, Ա, էջ 29, 51-55, 57-60, Բ, էջ 30, 85, 160, 168; Պ. Մ. Մուրադյան. К хронологии некоторых событий в Грузии и Армении конца XII в., «Բանբեր Մատենադարանի», 1969, IX, էջ 125; Բ. Ուղուբարյան. Խաչենի իշխանությունը X-XVI դ.դ., Ե., 1975, էջ 64, 84-85, 92-95; А. Г. Маргарян. К истории и хронологии внутриклассовой борьбы в Грузии и Северной Армении в 30-50-х гг. XII в., – «Кавказ и Византия», вып. I, Ер., 1979, с. 59.

ვარდან არეველცი და მისი „მსოფლიო ისტორია“

ფაქტობრივ მასალას საქართველოს ისტორიის სხვადასხვა სფეროს, პერიოდის, მოვლენის თუ ფაქტის კვლევისას.

ვარდანის „მსოფლიო ისტორიის“ წყაროთმცოდნეობით და ისტორიოგრაფიულ ანალიზს, მისი, როგორც წყაროს მნიშვნელობის განსაზღვრას საქართველოს ისტორიისათვის ეძღვნება ჩემი დოქტორის სამეცნიერო ხარისხზე დაცული დისერტაცია⁴⁵ და სამეცნიერო სტატიები.⁴⁶

* * *

ვარდან არეველცის „მსოფლიო ისტორია“ მნიშვნელოვანი წყაროა საქართველოს მედიევალური ისტორიის ქრონოლოგიური თუ ფაქტობრივი საკითხების დაზუსტებისა და ახლებური ინტერპრეტაციისათვის. ვარდანის ცნობებში სა-

⁴⁵ ე. გ. კვარაცხელია. «Всеобщая история» Вардана Аревелци, как исторический источник (сведения по истории Грузии), АКД ист. наук, Тб., 1990.

⁴⁶ ე. კვაჭანტირაძე. წყაროების დამოწმების წესი ვარდან არეველცის „მსოფლიო ისტორიაში“, მაცნე, ისტორიის სერია, თბ., 1988, №3, გვ. 151-155; ე. კვაჭანტირაძე. ვარდან არეველცის „მსოფლიო ისტორიის“ წყაროების საკითხისათვის, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, თბ., 1989, №1, გვ. 97-107; ე. კვაჭანტირაძე. ვარდან არეველცის „მსოფლიო ისტორიის“ ქრონოლოგიური საკითხები, მაცნე, ისტორიის სერია, თბ., 1989, №2, გვ. 102-113; ე. კვაჭანტირაძე. ვარდან არეველცის „მსოფლიო ისტორიის“ წყაროთმცოდნეობითი დახასიათების ზოგიერთი საკითხი, ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ძიებანი, თბ., 1989, გვ. 77-83; ე. კვაჭანტირაძე. საქართველოსა და სომხეთის ურთიერთობა ვარდან არეველცის „მსოფლიო ისტორიის“ ცნობათა შუქზე, ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევები, თბ., 1991, გვ. 70-95; ე. კვაჭანტირაძე. ვარდან არეველცი ბაგრატიონთა წარმოშობის შესახებ, ქართული წყაროთმცოდნეობა, VIII, თბ., 1993, გვ. 143-149.

ვარდან არეველი

ქართველოს შესახებ გამოვყოფთ რამდენიმე ტიპის მასალას:

ა) ესაა ცნობები, რომლებიც შეიცავს აშკარა შეცდომებს. ამ შეცდომების აღმოცენების მიზეზები სხვადასხვაა: ვარდანის მიერ მოპოვებული მონაცემების უხარისხობა, წყაროთა ხარვეზები, აგრეთვე ავტორის მსოფლმხედველობრივი მოსაზრებები და ზოგჯერ ტენდენციურობა; ბ) ცნობები, რომლებიც რაიმე ახალი ნიუანსის შემოტანით რაյურსს უცვლის სხვა წყაროების მიხედვით რეკონსტრუირებულ ისტორიულ მოვლენებს. ამგვარი ცნობების საფუძველს სრული ინფორმაციის გარდა ხშირად ავტორის საკუთარი დაკვირვებებიც წარმოადგენს; გ) ცნობები, რომლებიც სრულიად ახლებურ ინფორმაციას შეიცავს. მათი წყაროების დადგენა ხშირად ვერ ხერხდება, თუმცა მათ სანდოობას გვაფიქრებინებს ისტორიული კონტექსტის გათვალისწინება.

განსაკუთრებით ყურადსალებია „მსოფლიო ისტორიაში“ XII-XIII საუკუნეების საქართველოს ისტორიის შესახებ დაცული ფაქტობრივი მასალა. ამ პერიოდში საქართველოს სამხედრო ძალებმა დაიწყეს სომხეთის სელჯუკთაგან გათავისუფლება, რის შედეგადაც ჩრდილო-აღმოსავლეთი სომხეთი საქართველოს შემადგენლობაში შევიდა. ბუნებრივია, განსაკუთრებულად იზრდება ისტორიული სომხეთის ფარგლებში და მის გარეთ მცხოვრებ სომებს ისტორიკოსთა ინტერესი საქართველოს მიმართ. ამის შედეგია ამ პერიოდის სომხურ წყაროებში უხვი მასალა საქართველოს შესახებ. ვარდანის მიერ ამ ეპოქის საქართველოზე თხრობა სწორედ აღნიშნული პოლიტიკური ვითარების ფონზე იშლება. ვარდანი, ბევრი მის მიერ აღწერილი მოვლენის თვითმხილველი და თანადამსვდური იყო. ამასთან, ვარდანი სარგებლობდა სანდო წყაროებით, მათ შორის მხითარ ანეცის თხზულებით, რომლის დიდი ნაწილი დაკარგულად ითვლება. ძეგლის სწორედ ამ ნაწილიდან იღებს ვარდანი საქართველოს შესახებ ზოგიერთ უნიკალურ

ცნობას. ამდენად, ვარდანის თხზულებას დიდი დატვირთვა ენიჭება საქართველოს ისტორიის კვლევაში.

ვარდანის ამ მონაცემებიდან მხოლოდ რამდენიმე საყურადღებო ცნობას მოვიტანთ:

ვარდანთან მნიშვნელოვანი ცნობები მოიპოვება ბაგრატიონთა გვარის წარმოშობისა და მისი შემდგომი აღზევების შესახებ. ამ საკითხთან დაკავშირებით, ვარდანის მონაცემების შეჯერებით წერილობით წყაროებთან გაირკვა, რომ ის ხშირად განსხვავებულია, ან აზუსტებს, ზოგჯერ კი ავსებს ისტორიოგრაფიულ მასალას. ინფორმაცია ბაგრატიონთა წარმომავლობის შესახებ დაფიქსირებულია როგორც ქართულ, ისე სომხურ და ბიზანტიურ წყაროებში. ქართული და სომხური წერილობითი ძეგლების ჩვენება არ ეთანხმება ერთმანეთს, თუმცა არ არის ერთსულოვნება არც საკუთრივ ქართულ და არც სომხურ წყაროებში⁴⁷. ეს ავტორებია: ჯუან-შერი, სუმბატ დავითის ძე, გიორგი მერჩულე, მოვსეს ხორენაცი, ფავსტოს ბუზანდი, სებეოსი, იოანე დრასხანაკერტცი, კონსტანტინე პორფიროგენეტი.

კონსტანტინე პორფიროგენეტი გვაწვდის პირველ ბაგრატიონთა გენეალოგიას: დავით წინასწარმეტყველი – მისი ვაჟები: დავითი და სპანდიატესი – დავითის ვაჟი ბაგრატი – ბაგრატის ვაჟი აშოტი – აშოტის ვაჟი ადარნასე⁴⁸. კონსტანტინე პორფიროგენეტს აშოტის ვაჟად დასახელებული ჰყავს ადარნასე, რაც სიმართლეს არ შეეფერება და რაც ძლიერ აბრკოლებდა მკლევარებს (მ. ბროსე, ი. მარკვარტი, ე. თაყაიშვილი, ს. ჯანაშია). კონსტანტინე პორფიროგენეტის

⁴⁷ ე. კვაჭანტირაძე. „ვარდან არეველცი ბაგრატიონთა წარმოშობის შესახებ, გვ. 143-149.

⁴⁸ ს. ჯანაშია. კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობები ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ, თსუ შრომები, XVIII, 1941, გვ. 71.

ვარდან არეველი

შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ ადარნასე II კურაპალატი აშოტის შვილი კი არ იყო, არამედ შვილიშვილის შვილი. კონსტანტინეს გამორჩენილი აქვს ორი თაობა. ვარდანს სრულად მოაქვს პირველ ბაგრატიონთა გენეალოგია და სწორედ მისი ცნობების საშუალებით ხდება შესაძლებელი პორფი-როგენეტის მონაცემების შესწორება-შევსება.

საყურადღებოა ვარდანის ცნობა, რომელიც ბაგრატიონთა სამეფო გვარს ქართლის სამეფო დინასტიის ფუძემდებელ ფარნავაზთან აკავშირებს. ვარდანის ეს მონაცემები ეთანხმება და ამყარებს სომხურ წყაროთა (მოვსეს ხორენაცი, სებეოსი) პოზიციას, მაგრამ განსხვავებულია ამ წყაროთა დეტალები ბაგრატიონთა წარმოშობაზე ფარნავაზიანთა დინასტიიდან.

ყოველი საგვარეული სახლის წარმოშობა საძიებელია იმ ადგილის მკვიდრ ტომში, რომელიც მათ პირველსაცხოვრისს წარმოადგენდა. მოვსეს ხორენაცის ცნობით, არტაშეს I-ის (ძვ. წ. 189-161) მმართველობის ხანის ცნობილი მხედართმთავრის სუმბატ ბივრიტიანის (ბაგრატიონის) მამული სპერში იყო⁴⁹. სუმბატ ბივრიტიანი ბაგრატიონთა სახლის პირველი რეალური ისტორიული პირია. ვარდანი ბაგრატიონთა პირველსაცხოვრისად სპერს მიიჩნევს და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, აშოტ მსაკერ ბაგრატუნს (806-826) სუმბატ ბივრიტიანის შთამომავლად თვლის. ფავსტოს ბუზანდიც საგანგებოდ აღნიშნავს სპერს, როგორც ბაგრატიონთა სამშობლოს. ამრიგად, ვარდანისა და სხვა სომხური წყაროების მონაცემებით, ბაგრატიონები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი უძველესი მხარიდან სპერიდან წარმომავლობენ.

ვარდანი გვაწვდის ცნობებს პირველ ბაგრატიონთა ქართ-

⁴⁹ მოვსეს ხორენაცი. სომხეთის ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ა. აბდალაძემ, თბ., 1984.

ლში მოსვლის შესახებ და გვეხმარება ჯუანშერის მონაცე-
მების გარკვევაში. ჯუანშერის ცნობით, არჩილის მეფობის
დროს (736-786) „პიტიახშნი ვინმე“ არ შეუშვეს კლარჯეთს და
ტაოში გადავიდნენ, ხოლო მეორე ნახევარი კახეთში გადავიდა
მეფე არჩილთან. ჯუანშერის „პიტიახშნი ვინმეს“ განმარტავს
ვარდანი და მათ სომხეთის ცნობილი მთავრის აშოტ მსაკერ
ბაგრატუნის სახლად წარმოგვიდგენს. ჯუანშერის ცნობით,
„პიტიახშნი ვინმეს“ მეორე ნაწილი, კერძოდ ადარნასე, რო-
მელსაც ჯუანშერი ადარნასე ბრძის ძმის ძმისწულად ასახელებს,
მისულა მეფე არჩილთან თხოვნით და მიუღია შულავერი და
არტაანი⁵⁰. ადარნასეს ვინაობის დადგენა შესაძლებელია ვარ-
დანის ცნობებით. ვარდანის მონათხრობით, ადარნასე ქართ-
ლის ცნობილი ერისმთავრის აშოტ დიდი კურაპალატის მამა
იყო, ადარნასე კი შვილიშვილი იყო სომებთა მთავრის აშოტ
ბაგრატუნის. აქ სწორდება ჯუანშერის შეცდომა. ის სწორად
აღნიშნავს ადარნასეს ჩამომავლობას ბრმა წინაპრისაგან, მა-
გრამ ეს ბრმა წინაპარი აშოტ ბრმაა და არა ადარნასე ბრმა.
აშოტ ბაგრატუნი ვარდანის გადმოცემით, მამიკონიანებმა
დააბრმავეს. მას ჰყავდა ორი ვაჟი: სუმბატი და ვასაკი, ხოლო
ადარნასე, რომელმაც არჩილს მფარველობა სთხოვა, ვასაკის
ძე იყო. ამრიგად, პირველ ბაგრატიონთა გენეალოგია ასეთია:
აშოტ პატრიკიოსი – ვასაკი – ადარნასე – აშოტ I დიდი კუ-
რაპალატი.

ამრიგად, ვარდან არეველცის „მსოფლიო ისტორიაში“ ბა-
გრატიონთა წარმოშობის შესახებ არსებულ ცნობათა კვლე-
ვისა და მათი შეჯერების შედეგად წერილობით წყაროებთან
დგინდება: ა) ბაგრატიონთა საგვარეულო უძველესი ქართუ-

⁵⁰ ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, ქართლის ცხოვრება,
ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს.
ყაუხებიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 244.

ვარდან არეველი

ლი სამეფო დინასტიიდან ფარნავაზიანებიდან მომდინარეობს; ბ) ბაგრატიონთა პირველსაცხოვრისი იყო სპერი, ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი უძველესი მხარე; გ) ვარდანის მონაცემები გვეხმარება ჯუანშერის ცნობათა გარკვევაში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია ვარდანის ცნობა დავით აღმაშენებლის მიერ ახალგაზრდების უცხოეთში სასწავლებლად მივლინების შესახებ. ვარდანის მონათხრობით, დავითმა შეარჩია 40 ახალგაზრდა, გაგზავნა საბერძნეთში ენების შესასწავლად და თარგმანების შესასრულებლად. სამი მათგანი საუკეთესო აღმოჩნდა და ერის მშვენებად იქცა. ამგვარი ცნობა არ არის დაცული არც ერთ ქართულ, სომხურ თუ სხვა უცხოენოვან წყაროში, რაც ვარდანის ამ ცნობას უნიკალურობას ანიჭებს.

ვარდანის თხზულება უმნიშვნელოვანესი წყაროა დემეტრე I-ის ანისისათვის ბრძოლის ისტორიისათვის, რადგან „ქართლის ცხოვრება“ თითქმის არაფერს ამბობს ამის შესახებ. საქართველოსთვის ანისის ფლობა ჩრდილოეთ სომხეთზე ბატონობას ნიშნავდა, ამას კი ეკონომიკურთან ერთად სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობაც ჰქონდა⁵¹. ვარდანის ცნობით, დავით აღმაშენებელმა აიღო ანისი, მისი მეპატრონე აბულსუარი შვილებით საქართველოში წამოიყვანა, ხოლო ანისის გამგებლად აბულეთი და მისი ძმა ივანე დატოვა. დავითის გარდაცვალების შემდეგ აბულსუარის ვაჟმა ფადლონმა ითხოვა აბულეთისგან მამისეული ქალაქი, აბულეთმა კი დაუთმო. მეტად საკვირველია აბულეთის პოზიცია ასეთი მნიშვნელოვანი ქალაქის თხოვნისსავე გადაცემისას, არც ის ჩანს ფადლონს აბულეთმა მეფესთან შეთანხმებით გადასცა

⁵¹ მ. ლორთქიფანიძე, საქართველოს საგარეო და შინაპოლიტიკური ვითარება XII საუკუნის II მეოთხედიდან 80-იანი წლების და-საწყისამდე, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979.

ანისი თუ მეფის ნებართვის გარეშე. ერთი რამ ცხადია, დე-მეტრე საერთოდ არ იყო კმაყოფილი აბულეთის ამ ნაბიჯით და თავის მხრივ, აბულეთი და მისი ვაჟი ივანე მეფის გუ-ლმოდგინე მომხრეებს არ წარმოადგენდნენ, ისინი დემეტრეს წინააღმდეგ შეთქმულების მონაწილედ ჩანან.

აბულეთმა დაუთმო ქალაქი ფადლონს და დაბრუნდა სა-ქართველოში. როგორ განვითარდა შემდეგ აბულეთისა და მისი ვაჟის ივანეს ბედი, ან რას საქმიანობდნენ ანისის და-ტოვების შემდეგ ქართული წყაროებისთვის უცნობია. მხო-ლოდ ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე წერს: „დემე-ტრემ აბულეთის ძესა ივანეს თავი მოჰკუეთა ჩხერეს მერეს მეოცესა წელიწადსა მეფობისა მისისასა“⁵². რაში ედებოდა ბრალი ივანეს ალარ ხსნის „ქართლის ცხოვრება“. 1130 წლის ქვეშ ვარდანი გვაწვდის ცნობას ამის შესახებ: „ივანე აბულე-თის ძემ მოისურვა დემეტრესა და მისი ძმის მოკვლა. მამა-მისი აბულეთი მის წინაშე თეთრ წვერს იგლეჯდა და უკრძა-ლავდა ამას. ისინი დმანისის ციხეში გამოკეტეს ძმათა შორის სიცრუის გამო, რაც გაიგო დემეტრემ“. ივანე ჯავახიშვილმა იმთავითვე ეჭვი შეიტანა ამ ცნობის სისწორეში და გამოთქვა ორი სხვადასხვა მოსაზრება. ერთი, მან ივარაუდა, რომ უფ-ლისწული დემეტრე I-ის ძე დავითი უნდა ყოფილიყო და მე-ორე, ვარდანს მხედველობაში ჰყავდა ყივჩალთა მთავრის ასულისაგან შობილი დემეტრეს ნახევარმა ან დემეტრეს ბიძაშვილი, დავით ალმაშენებლის იმ ძმის შვილი, რომელ-საც მათეოს ურთაეცი თოტორმეს უწოდებს⁵³. ჯ. სტეფნაძე

⁵² ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე, ქართლის ცხოვრება, ტექ-სტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყა-უხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 367.

⁵³ ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. II, თხზულებანი, II, თბ., 1984.

აჯანყებულ უფლისწულად მიიჩნევს დავით აღმაშენებლის მეორე ვაჟს ცვატას⁵⁴. რ. მეტრეველი იზიარებს მოსაზრებას, რომ ეს უფლისწული დავითია⁵⁵. ჩვენი აზრით, ვარდანთან და-სახელებული უფლისწული არის დავით აღმაშენებლის ვაჟი, რომელსაც დავითის ისტორიკოსი და ვახუშტი ბაგრატიონი უწოდებენ ვახტანგს⁵⁶, ხოლო დავითის 1125 წლის ანდერძში და დავითის სვინაქსარულ ცხოვრებაში ცვატა ეწოდება⁵⁷. ეს მოსაზრება ხსნის ვარდანის ამ ცნობის ბუნდოვანებას და სანდოს ხდის მას. თუ რა იყო ივანეს მოკვლის მიზეზი, ესეც ვარდანის ცნობიდან ირკვევა – ივანე იბრძვის დემეტრეს წინააღმდეგ არა პირადი განზრახვით, არამედ დემეტრეს ძმი-სათვის, რომელიც ეძიებდა მეფობას. დმანისის ციხეში მყოფი ივანე ეუბნება დემეტრეს „მე ხელში ჩაგიგდე შენ შენი ძმა, რომელსაც სურდა მეფობა“. ვარდანის ამ ცნობით ირკვევა ივანე აბულეთის ძის დანაშაული, რომელიც უცნობია ქარ-თული წყაროებისათვის. ამრიგად, ვარდანის თხზულება ერ-თადერთი წყაროა XII საუკუნის საქართველოში შინაპოლი-ტიკური ბრძოლის შესასწავლად, კერძოდ ივანე აბულეთის ძის შეთქმულების შესახებ.

⁵⁴ ჯ. სტეფნაძე, საქართველო XII საუკუნესა და XIII საუკუნის I მე-ოთხედში, თბ., 1985.

⁵⁵ რ. მეტრეველი, შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართვე-ლოში, თბ., 1973.

⁵⁶ ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისის, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშ-ვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 337; ვახუშტი, აღნერა სამეფოსა საქართველოსი, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 159.

⁵⁷ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, ი. დოლიძის რედაქტორობით, თბ., 1965, გვ. 19.

ვარდანი ეხება ქართული ისტორიოგრაფიისათვის კი-დევ ერთ საინტერესო საკითხს. ეს არის დემეტრე I-ის ძის დავითის სიკვდილის ამბავი. დავითის შესახებ საუბრისას ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე მხოლოდ ერთი წინადადებით კმაყოფილდება: „დასუა ძე მისი დავით მეფედ, იმეფა ექუს თუე და მოკუდა“⁵⁸. ახალგაზრდა დავითის სიკვ-დილის მიზეზის განხილვას ქართველი მემატიანე აღარ ეხება. ეს საკითხი ნათელი ხდება მხოლოდ ვარდანის მონა-ცემების წყალობით. მისი ცნობით, მკვლელობა მომხდარა. ვარდანი ასახელებს მკვლელობის მიზეზს და მკვლელებსაც – სუმბატ და ივანე ორბელებს, რომელთაც ეს აქტი გიორგი უფლისწულთან შეთანხმებით განახორციელეს. ორბელები იმით იყვნენ უკმაყოფილი, რომ დავითმა ამირსპასალარობა თირქაშს უბოძა, გიორგი კი ორბელებს ამ სახელოს დაბრუნებას დაპირდა, რაც აუსრულა კიდეც გამეფების შემდეგ. ვარდანის აზრით, სწორედ ეს გახდა მკვლელობის მიზეზი. ვარდანის ამ მონაცემებს კიდევ უფრო მეტ სანდოობას ანიჭებს მხითარ გოშის ცნობა იმის შესახებ, რომ მეფე დავითი ორბელებმა მონამლეს⁵⁹. ვარდანი ამ ცნობებით ავსებს ქართულ წყაროს და გვთავაზობს საინტერესო ვერსიას.

ვარდანი ვრცლად ეხება ზაქარია და ივანე მხარგრძელების სამხედრო მოღვაწეობას და ჩამოთვლის მათ მიერ შემოერთებულ ტერიტორიებს: „მათწაართვეს თურქებს ბევრი ციხე-სიმაგრე და გავარი: 640 (1191) წელს აიღეს შირაკის ქვეყანა, 645 (1196) წელს ანბერდი, 648 (1199) წელს ანისი, 650 (1201) წელს ბიჯნისი“. ანბერდისა და ბიჯნისის აღებას ახსენებენ ლაშა-გიორგის ისტორიკოსი და კირაკოს განძაკეცი,

⁵⁸ ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე, გვ. 366.

⁵⁹ ლ. დავლიანიძე, მხითარ გოშის „ალბანეთის ქრონიკა“, ქართული წყაროთმცოდნება, II, თბ., 1968, გვ. 47.

ვარდან არეველცი

მაგრამ თარიღს არც ერთი არ ასახელებს. ამდენად, ვარდანისეულ თარიღებს უნიკალური მნიშვნელობა ენიჭება.

ვარდან არეველცი, სხვა სომებს ისტორიკოსებთან შედარებით, კეთილგანწყობილია ქართული ერთობის მიმართ. მაგალითად, ის დიდ სიმპათიებს ამჟღავნებს დავით აღმაშენებლის მიმართ, მაგრამ საქართველოს შესახებ საუბრისას ხშირად მაინც ტენდენციურია. ვარდანი ცდილობს აღგვინეროს სომხეთის ძლევამოსილება მსოფლიოს სხვა სახელმწიფოთა შორის, განადიდებს სომებს მეფეებს, მათ ლაშქრობებს, მათ სარწმუნოებას. ვარდანის ტენდენციურობა ამ მხრივ საქართველოს მიმართაც ვრცელდება. მაგალითად, ვარდანი აღფრთოვანებით მოგვითხრობს აშოთ ბაგრატუნის მოღვაწეობის შესახებ და იმისათვის, რომ გვიჩვენოს მისი სიძლიერე, აშოტს მიაწერს არა მარტო სომხეთზე ბატონობას, სადაც მან ყველა ნახარარი დაიმორჩილა, არამედ იბერიის მმართველობასაც. ტენდენციურობას იჩენს ვარდანი, როცა ძალიან მოკლედ მოგვითხრობს თამარ მეფის შესახებ, რომლის დროსაც საქართველო ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო იყო მახლობელ აღმოსავლეთში. ვარდანი ამ პერიოდის მოღვაწეა, ცხოვრობს და მოღვაწეობს ჩრდილო-აღმოსავლეთ სომხეთში, რომელიც საქართველოს საზღვრებშია მოქცეული. ამიტომ ავტორის ასეთი თავშეკავება ცხადია არ შეიძლება აიხსნას მასალის ნაკლებობით.

* * *

ვარდან არეველცის „მსოფლიო ისტორია“ ორჯერაა გამოცემული: 1861 წელს მოსკოვში და 1862 წელს ვენეციაში.

პირველი გამოცემა განახორციელა მ. ემინმა. როგორც აღნიშნულია შესავალში გამოცემა ეყრდნობა ორ ხელნაწერს, „ერთი, რომელიც ჩვენს წიგნსაცავშია, მეორე გადაწერილია

თბილისში 1814 წელს არქიეპისკოპოს ნერსეს აშტარაკე-ცის დავალებით, გაგზავნილი რუმიანცევის მუზეუმისადმი“. ამ უკანასკნელი ხელნაწერის შესახებ დამატებით ცნობებს გვაწვდის შესავლის ბოლოს მოცემული ნერსეს აშტარაკე-ცის წერილი გრაფ რუმიანცევისადმი. აქედან ირკვევა, რომ ეფრემ კათალიკოსი პირადად საგულდაგულოდ უწყობს ხელს გრაფის სურვილს მისი ძველი ხელნაწერი წიგნებიდან ახალი ასლების გაკეთების შესახებ. დიდი გაჭირვებით მოხერხდა ამ ასლების გაკეთება ორად: ერთი ხსენებული ხელნაწერია, მეორე კი მათეოს ურჰაეცის „უამთააღმწერლობის“ ხელნაწერი. ორივე ასლი გაუგზავნეს გრაფ რუმიანცევს⁶⁰. მ. ემინი-სეული გამოცემა ვერ იმსახურებს მაღალ სამეცნიერო შეფასებას. გამოცემას არა აქვს გამოკვლევა, არ ახლავს შენიშვნები, საძიებლები.

„მსოფლიო ისტორიის“ მეორე გამოცემა შესრულებულია ღ. ალიშანის მიერ. გამოცემას საფუძვლად უდევს ვენეციის მხითარიანელთა წიგნსაცავის №516 ხელნაწერი, რომელიც გადაწერილია 1307 წელს, გამომცემლის ვარაუდით ავტორი-სეული დედნიდან. გამოცემას ახლავს შესავალი, შენიშვნები, განმარტებები, სახელთა საძიებლები, მწვრივებს ქვეშ მოცე-მულია კითხვასხვაობები⁶¹.

„მსოფლიო ისტორიის“ სრული რუსული თარგმანი შეს-რულებულია მ. ემინის მიერ 1861 წელს. მ. ემინის თარგმანს აქვს გარკვეული ხარვეზები. თარგმნის დროს დაშვებულია უზუსტობანი. ამასთან ამ გამოცემაში გაკეთებულია საინტე-

⁶⁰ Մեծին Վարդանայ Բարձրებეրენցი Պատմოւթիւն տիեզերական, աշխ. Ս. Էմինի, Մ., 1861, Էջ Է, Ժ.

⁶¹ Հաւաքումն պատմութեան Վարդանայ Վարդապետի, աշխ., Ղ. Ալիշանի, Վենետիկ, 1862, էջ թ. Փ. Անթապյան. Վարդան Արեւելցի, Ա, Ե., 1987, էջ 34.

31 რდან არეველცი

რესო წყაროთმცოდნეობითი დასკვნები, მოძიებული და და-სახელებულია ვარდანის წყაროები, თარგმანს დართული აქვს შენიშვნები და დამატებები⁶².

„მსოფლიო ისტორიის“ რუსული თარგმანის მეორე ცდა ეკუთვნის კ. პატკანოვს. მან თარგმნა თხზულების ის ნაწყვეტები, რომლებიც მონღოლთა ისტორიას, დაპყრობებსა და ყოფას შეეხება⁶³.

„მსოფლიო ისტორია“ ნაწილ-ნაწილ არის ნათარგმნი ფრანგულად. ამის პირველი ცდა ეკუთვნის მ. ბროსეს. მისივე მონ-მობით, 1839 წელს პეტერბურგში იგი შეეცადა ფრანგულად ეთარგმნა ვარდანის თხზულება⁶⁴. თუ როგორ იქნა შესრულებული ეს თარგმანი, ან როგორი იყო მისი შემდგომი ბედი მეცნიერთათვის უცნობია.

ვარდანის თხზულების ფრანგული თარგმანი ეკუთვნის ე. დიულორიეს. თარგმანი შესრულებულია სანქტ-პეტერბურგის საიმპერატორო აკადემიის მუზეუმის სპეციალური ფონდის №12 ხელნაწერიდან და 1861 წ. მოსკოვის გამოცემიდან. ე. დიულორიემ პირველად თარგმნა ის ნაწყვეტები, რომლებიც შეეხება მონღოლთა ისტორიას, დაპყრობებსა და ყოფას და გამოსცა 1860 წელს⁶⁵. შემდეგ მან თარგმნა ჯვაროსანთა ლაშქრობების შესახებ მნიშვნელოვანი მასალის შემცველი ნაწყვეტები და გამოსცა 1869 წელს⁶⁶.

⁶² Всеобщая история Вардана Великого, пер. Н. О. Эмина, М., 1861, с. 3-210.

⁶³ История монголов по армянским источникам, вып. I.

⁶⁴ M. Brosset. Analyse critique de la “Всеобщая история” de Vardan, p. 26.

⁶⁵ E. Dulaquier. Extrait de Vardan. Les Mongoles d’apres les historiens arméniens, II, “Journal asiatique”, 1860, p. 273-322.

⁶⁶ E. Dulaquier. Extrait de l’ Histoire Universelle de Vardan, Recueil des Historiens der Croisades, I, 1869, p. 431-443.

ՅԱՐԺԱՆ ԱՐԵՎԵԼԱԴ ԾԱ ԹՈՍՈ „ԹՏՐՊԼՈՐ ՌԱՄՈՒԱՆԻԱ“

Ս. մոլուց մանաւագուղագ տարգմնա „մսոցլոր օս-
քորուուս“ յրտո նանոլո, րոմելու յեթա սոմետմո արածտա
ծագոնոծաս. տարգման յմպարեծա 1862 նլու զենցուուս ցամո-
ւումաս, այլ վրցուու մյազալո, րոմելու նարմուցընուուա
„մսոցլոր օսքորուուս“ մորուածո ելոնանցրեծո, մուցու-
լու գոյէստու շեդարեծոտո ցանեուցա մոսկոցիսա ծա զենց-
ուուս ցամուցեմբմո ցամուցենցուու ելոնանցրեծու մոնցուու,
ցանեուցու զարգանու տեղուուեծու նպարուու. ամու շեմուց
ծածէցուուա մու մոյր շեսրուուեծուու ցրանցուու տարգման ու
գոյէստու⁶⁷.

Ը. մարույսմա ցրանցուու տարգմնա „մսոցլոր օսքորուուս“
օս լոնուու, րոմլու յեթա ծագրագունտա ծագոնոծաս, մատո
նարմուացընլուուսա ծա նան ասուրու մորակացանու սայցուու
յրեծամո մոնանուուու⁶⁸.

Ս. մարկուարգմա ցերմանուու տարգմնա զարգանու տեղուու-
ծու օս նանոլո, րոմելու յեթա ծագրագունտա նարմուուս օս-
քորուուս⁶⁹.

⁶⁷ J. Muyldemans. գասած. նամումո, ց. 1-29, 73-141.

⁶⁸ L. Maries. Un commentaire sur l' Evangile de Saint Jean... par Nonos
(Nana) de Nisibe – “Revue des etudes armeniens”, I, Paris, 1921, p.
273-296.

⁶⁹ J. Marquart. Osteuropaische und Ostasiatische Streifzüge, Leipzig, 1903,
p. 391-465.

31რდან არეველცი

* * *

„მსოფლიო ისტორიის“ წინამდებარე სრული ქართული თარგმანი შესრულებულია სომხური ტექსტის ორივე გამოცემის (მოსკოვისა და ვენეციის) მიხედვით. მწკრივებს ქვეშ ვუთითებთ სომხური ტექსტის გამოცემებში არსებულ კითხვასხვაობებს. „მსოფლიო ისტორიის“ ტექსტის ქართულად თარგმნისას ვეცადეთ ქართული თარგმანი ზედმინევნით ახლოს მდგარიყო დედანთან, როგორც შინაარსობრივად, ისე ავტორისეული ტერმინებისა და წინადადებების წყობის შენარჩუნებით. ამისათვის უმჯობესად მივიჩნიეთ პირთა, გეოგრაფიული, ეთნიკური სახელები და ტერმინები გადმოგვეცა ძირითადად დედნის ფორმით, თუმცა ხშირ შემთხვევაში ტრადიციულად მიღებული ფორმით ითარგმნა საყოველთაოდ გავრცელებული სახელები. ტექსტში გარკვეულობის შესატანად ჩვენ მიერ ჩამატებული სიტყვები ჩასმულია ფრჩხილებში.

ეკა კვაჭანტირაძე

ဒုက္ခနာင် အကော်လွှာ

မြတ်ဖော် ပြည့်စုံရေး

შესავალი

უპირველეს ყოვლისა ჩვენ, [ღვთისაგან] შექმნილნი, ჩავწვდეთ უსასრულობას არა იმისათვის, რომ შევიცნოთ იგი მთლიანად, რაც მხოლოდ მას ერთადერთს ხელენიფება, არა-მედ [შევიგრძნოთ] მისი მიუწვდომელი დიდების ნაპერზეალი. ამით დავიკმაყოფილოთ ჩვენი შინაგანი მოთხოვნილებანი არა მხოლოდ საკუთარი ძალებით, არამედ სხვისი მეშვეობით. ეს არის ღვთის მეგობარი დიდი მოვსესი, ყველაზე მშვიდი ადამიანთა შორის, რომელსაც არ ეთაკილება გამოგვიწოდოს ხელი და ღვთისაგან [ბოძებული] კვერთხი. ამით ჩვენ აღვისებით სიბრძნით. როცა [მოვსესმა] ჰკითხა უფალს სახელი, გაიგო რომ ის წმინდაა. ამით ჩასწვდა მისი სიბრძნის სიღრმეს, გაამაყებულმა უწოდა მას ღმერთი და უფალი, ყოვლისშემქმნელი და შემოქმედი. [მან] გაიგო ღვთისაგან დაწვრილებით ყველაფრის შესახებ, დარწმუნდა რომ ის ღმერთია, ის „ასტ აწოლია“, მისი სახელია უფალი, მის მიერ შექმნილი [სამყაროს] ბატონი და მსაჯული. ჭეშმარიტი მუდამ არსებობს, ის არ არის ქმნილება, რადგანაც ჭეშმარიტი ნიშნავს ყოფას, ხოლო ღმერთი შემოქმედებას. ამიტომ [მოვსესმა] თავის პირველ წიგნს უწოდა „შექმნა და დაბადება“. მასში ასახულია ქმნილებისა და შემოქმედის, დაბადებულისა და შემქმნელის ურთიერთობა. [მოვსესმა] იცოდა, რომ ჭეშმარიტი ერთადერთია, როცა ქმნილებანი ბევრია, რომ არ არსებობს სიმრავლე ერთის გარეშე, ერთი კი არსებობს სიმრავლის გარეშე. მან აღიარა წმ. სამება და ჩასწვდა მის არსს ადამიანის შექმნის,

ენების განყოფის შესახებ საუბრისას. სხვა ქმნილებანი ან ერთზე მაღლაა, ან სამზე მეტია, რადგან არასრულყოფილი არიან მაშინ, როდესაც წმ. სამებას აქვს დასაწყისი, გული და დასასრული. იგი ღმერთია პირველი, შუა და უკანასკნელი. სხვა ამგვარი არის მხოლოდ მისი მსგავსი და არა ნამდვილი. [მოვსესმა] ჭეშმარიტი საწყისად აღიარა, რადგანაც ყველაფერი რაც იქმნება და არსებობს თავდაპირველად ჭეშმარიტი იყო და ჭეშმარიტისაგან გახდა ყოფითი. იგი მიხვდა, რომ ჭეშმარიტი მარტივია, ამიტომ ყველა ქმნილება სცნო [როგორც] რაღაც მკვრივი, [როგორც] სხეული. თუ ქმნილება კეთილია, [მაშინ] უცვლელი, უსასრულო, უთვისებო და განუზომელია რაგვარობის გარეშე. კეთილ ქმნილებას მხოლოდ თავისთვის არ სურს სიკეთე. [ღმერთმა] შექმნა კეთილი ქმნილებანი, რათა ისინი დატკბნენ შემოქმედის ამოუწურავი მაღლით. [მოვსესი] ასე იწყებს: თავდაპირველად ღმერთმა შექმნა ცა და მინა. ის არ მოგვითხრობს ნივთიერის შესახებ, რადგან [შემოქმედს] ის არ სჭირდება. [ღმერთმა] შექმნა ოთხი სტიქია: ცხელი და მსუბუქი ცეცხლი და ჰაერი, ცივი და მძიმე წყალი და მინა, რომელთათვისაც დამახასიათებელია სიმშრალე და ნესტიანობა. [მოვსესმა] თქვა: თავდაპირველად ვაჩვენოთ ქმნილების უსასრულობა, რადგან მას წარმოედგინა ქმნილება სამი პირობით: უსასრულობით, უკმარობითა და უადგილობით. რადგან დასაწყისს არა აქვს დრო, არც წელი, არც დღე, არც საათი, არც დროის ნაწილი, არავის ძალუძს ჩასწვდეს მთელ სამყაროს და არავინაა იმაზე მაღლა, როგორც თვითონ ღმერთია. ცვლილებით, მოძრაობით, ზომით, ხარისხით და ყოფით ის განსხვავდება შემოქმედის ბუნებისაგან.

ღვთის სიბრძნე [არის] ხელოვნება და ძალა, მაღლი კი უსხეულოა, რომელიც გაანივთა მისმა მდიდარმა ნებამ. [მან] არაფრისაგან შექმნა ცის და მინის ფორმა და მოუმზადებელ ნიადაგზე დაამკვიდრა ისინი. არსებობს სამი კამარა, ერთი

მეორებზე მაღალი: ცეცხლის, მის ქვემოთ წყლის და ჰაერის, რომელიც არის სიმყარე. ქარისაგან ამოძრავებული ეს სამი კამარა ბრუნავს დედამიწის გარშემო. მიწის ზემოთ უამრავი წყალია, რომელიც ზემოთ მიაქვს ქარს. წყალს თავისი ბუნებრივი სიმძიმე ხელს უშლის ავიდეს მაღლა. უფსერულთა ზემოთ მქროლავი კი იჭერს მას ვარდნისაგან. ღვთიური სიტყვა შექმნისთანავე მთლიანად სიმსუბუქითაა დატვირთული. ცა გაბრწყინდა ცეცხლოვანი ანგელოზებით, როგორც მათი ცეცხლოვანი სამყოფელია. ის დაყოფილია ათ დასად, რომლებიც განსხვავდებიან ადგილით, დიდებით და ძალით, გარდა უცვლელი და უკვდავი ოთხი სტიქიისა. ზედა ცა კი საფარია მათსა და ღმერთს შორის.

ბრძენი ამბობენ, რომ ცის პირველი ბრუნვისას შეიქმნა ბუნება, რომელიც არის ღვთის ხელოვნება – მქმნელი ძლიერებისა ღმერთის შემდეგ, გავლენის მომხდენი ოთხ სტიქიაზე. მეორე ბრუნვისას [ღმერთმა] შექმნა ხმელეთი და ასწია წყლის ნახევარი ორი მიზნისათვის: მიწის ზედმეტი სიმძიმის დასაკავებლად და ცეცხლოვანი ცის სიმხურვალისაგან სხეულის დასაცავად. ღვთის კარნახით მესამე ბრუნვისას ამოინვერა მცენარეულობა და ბალახი, რომელთა საწყისი მიწის ფორებშია, ხოლო დასასრული მის თესლში. [აქედან] აღმოცენდება ხეები. მათი საწყისია ხავსი – ახლოა მცენარეებთან და მთავრდება პალმით – ახლოა ცხოველებთან. მათ შორის არის მამრი და მდედრი. მეოთხე ბრუნვისას უფლის ბრძანებით იქმნა სინათლე, რომელიც მზისაგან გამოყოფილი ნაწილია. ის დაიყო სამად და [გადაეცა] მზეს, მთვარეს და მრავალ ვარსკვლავს. ისინი ზოდიაქოს ნიშნების მიხედვით უკავშირდებიან მზეს, მთვარეს და შვიდ ვარსკვლავს. ზოდიაქოს სამი ნიშნის გავლის შემდეგ მზე ქმნის გაზაფხულს, გაივლის რა შემდეგ [სამ ნიშანს], ქმნის ზაფხულს, მიაღწევს რა სასწორის [ნიშანს], ეშვება სამი ნიშნით დაბლა და ქმ-

ვარდან არეველი

ნის შემოდგომას. ჩამოდის რა ისევ ქვემოთ სამხრეთისაკენ, ქმნის ზამთარს. ქვეყნების სიმაღლეზე [განლაგების] მიხედვით დღე იმატებს ოცით და იკლებს ოთხი საათით. ბრძნოთა თქმით, ჩვენი სამყარო იყოფა 14 კლიმატურ ნაწილად, მათგან 7 დაუსახლებელია ადამიანებით. დედამიწის დაბალ [მხარეებში] სიცივე და სიბნელეა, რადგან 6 თვე დღეა ვერძიდან სასწორამდე, სასწორიდან თევზებამდე კი 6 თვე ღამე. ღრმა ინდოეთში [დღე და ღამე] მუდმივად თანაბარია, რადგან იქ საათი არც იმატებს, არც იკლებს, სულ თორმეტია. მეხუთე ბრუნვისას და მეექვსეზე გადასვლისას [ღვთის] ბრძანებით შეიქმნა ადამიანის განვითარების დონემდე მისული წყლისა და მიწის ცხოველების ათასი სახეობა, რომელთა შორის უმთავრესია ლევიათანი წყალში და მარტორქა ხმელეთზე. ეს არის არისტოტელეს მიხედვით სიცოცხლის მიმნიჭებელი საყვაელთაო სული.

ბუნებას მოჰყავს მოძრაობაში დედამიწა. ის [ატყობინებს] დროის ცვალებადობას სტიქიებს, მცენარეებს, ცხოველებს და მინერალურ ნივთიერებებს: ოქროს, ვერცხლს, ძვირფას ქვებს, რომლებსაც, როგორც განსწავლული ამბობენ, ბუნება ქმნის გოგირდისა და ვერცხლისწყლისაგან. [ღმერთმა] თავი დაადგა [სამყაროს] წევრებს, როგორც გაპედულმა შემოქმედმა, ფეხებიდან დაწყებული შექმნა ახალი ბუნება – ცა, მიწა და რაც მათ შორისაა. ექვსი ხელი იღწვის ერთი სახის შექმნისათვის, რათა ეს ერთი სამის ტოლფასი იყოს. სწორედ ამ ერთით განისაზღვრება შემოქმედის ბუნება, მისი არსი და ღვთიურობა. [ღმერთმა] იცოდა [ადამიანის] შეცოდებათა გარდუგალობა, მაგრამ [ღვთის] ამ წინასწარმეტყველებამ ვერ შეაჩერა მისი გულუხვი მადლის მოქმედება. ამ ძალით მოვიდა ის იმ ავადმყოფის სანახავად, რომელიც თვითონ შექმნა. [ღმერთი] მიაბარებს ადამიანს მიწას, გადასცემს მას ჯალათს და სიკვდილით წერტილს უსვამს მის ცოდვებს, დევნის მის-

გან ბოროტებას, მიუთითებს გველისაგან მიყენებულ ზიანზე, ეშმაკის მზაკვრობაზე, რათა არ უსმინოს მას და დაიმკვიდროს სასუფეველი. ღვთის მოწყალების გამო არ აღსრულდა ის განაჩენი, რომელიც [ადამიანს] თვითონვე გამოუტანა. რადგან სული უკვდავია მიწა იქცა მიწად, მოკვდავი კი დარჩა. შემოქმედი ძლიერი და მოწყალეა. მის ხელშია სამყარო, მასში კი მარადიული აღდგომის უამი.

წმიდათა წმიდაო! სიკეთე და წყალობა, დიდება და მადლობა შენ!¹

სერაფიმთა საშუალებით ღმერთმა ცეცხლის ალში გაახვია სამოთხე – სავსე ულევი ნაყოფითა და უჭქნობი ფოთლებით, მდებარე სამყაროს აღმოსავლეთით, მაღალი მთის მწვერვალზე, რომელიც მთვარის ბირთვის ტოლია. [სამოთხეზე] არა აქვს გავლენა მზისგან წარმოქმნილ დღესა და ღამეს, რადგანაც ის ნათელება ეთერით ან ღვთის დიდებული სხივებით, როგორც მისი დიადი საქმე და საოცარი ადგილი. მისი ერთხელ ხილვის ლირსიც არ გახდა მოკვდავი. [ღმერთმა] ყოველი მხრიდან მოუკიდა [სამოთხეს] ცეცხლი, გვერდებიდანაც და ზევიდანაც, როგორც ელვისებური ცეცხლი, რომელიც დაგარდნის ჟამს მაღავს [ადამიანთა] თვალთაგან თავის თავსა და ადგილს, რათა ვერავინ გაბედოს მისი მოძებნა ღვთის სურვილის გარეშე.

ადამმა და ევამ 30 წელი [გაატარეს] უბინოდ და იგლოვეს თავისი უგუნურება, შემდეგ კი შეიცნეს ერთმანეთი, დამდაბლდნენ ცხოველურ დონემდე და შვეს კაენი – ავადმყოფი მშობლების მტკივნეული ნაყოფი, როგორც იტყვიან მქურნალები, როცა ერთ ... ინოდნენ². 30 წლის შემდეგ შვეს აბელი და მისი და აბელუჲი. კიდევ 30 წლის შემდეგ კაენმა მოკლა აბელი, იმის გამო, რომ მშობლებმა ასწავლეს მათ ღვთის პატივისცემა პირველი შესანირავებით, ერთმანეთის სიყვარულით საკუთარი და ძმის [სახელით] შეწირვა. აბელმა შესწირა პირველშობილი და მსუქანი კრავი თავისი და თავისი ძმის [წილ]. ამიტომ ღმერთმა მოხედა უწინ აბელს და მის შესაწირავს, კაენს კი არ მოხედა, რადგან მან მოიტანა უარე-

სი [შესანირავო] და ისიც მხოლოდ თავისი წილი და არა ძმისა. [მისი შენირულება] არ იქნა მიღებული ცეცხლზე ზემოთ, როგორც აპელისა. ამის გამო კაენმა იფიქრა აპელზე, რომ მას ღმერთი წაიყვანდა სამოთხეში მიღებული შენირულობის გამო და შურით ალძრულმა მოკლა ის. ეს რომ გაიგეს ადამია და ევამ დასტიროდნენ მას 140 წელი. როდესაც ღმერთმა მოწყალედ მოუხმო კაენს მოსანანიებლად, მან იცრუა და დაამატა ცოდვა ცოდვაზე, მიიღო თეთრი ნიშანი შუბლზე, როგორც ამბობენ, და კანკალი მთელ სხეულში. მან შვა ვაჟები და შვილიშვილები, გაუგრძელდა ტანჯვა და მოკვდა შერცხვენილი. მისი ვაჟები: ენოსი, ღაიდადი, მალელიოლი, მათუსალა და ლამექი მამის მსგავსად ბოროტები იყვნენ. ლამექმა აღიარა ცოლებთან, რომ მოუკლა ქმრები და ყრმები, რომლებიც, როგორც ამბობენ, იყვნენ წრფელი ენოსის ძმები. მან ისინი დახოცა და წაიყვანა მათი ცოლები და არა კაენი და მისი ვაჟები, რომლებიც მამის მსგავსნი იყვნენ. მისი მოკვლა ღმერთს არავისთვის დაუვალებია.

ლამექის ვაჟებმა – თობელმა, იუბალმა და მათმა დამ ნოემმა გამოიგონეს ქნარი, სიმღერა და სინგური. მათგან მოდის სპილენძისა და რკინის ჭედვის ხელოვნება.

სამოთხიდან გამოსვლიდან 230 წლის შემდეგ იშვა ადამის ნუგეშის შვილი სეთი, რომელმაც 205 წლის შემდეგ შვა ენოსი. იგი ჩანდა წრფელი, სასოებით მიენდო ღმერთს და მოიხმო უფალი ღმერთის სახელი საშველად. მან შექმნა ასოები და დაწერა სპილენძის და თიხის ფილებზე, იწინასწარმეტყველა ქვეყნის ალსასრული ორჯერ წყლითა და ცეცხლით. მან დაწერა ეს და აგრეთვე ყველა ნივთის სახელი, რომელიც დააწესა ადამმა, რათა შენარჩუნებულიყო [ამ] ფილებზე. წყალში, ამბობდა ის, სპილენძი გადარჩება, ხოლო ცეცხლში გამოიწვება თიხა. ამის გამო ის ღმერთად იწოდა, ხოლო მისი ვაჟები ღვთის შვილებად. სხვები ამბობენ, რომ მისი ვაჟებიდან ორასმა

ვარდან არეველცი

კაცმა გაიხსენა სამოთხეში ცხოვრება და ავიდნენ მთებში უბინების შესანარჩუნებლად, რის გამოც ეწოდათ ღვთის შვილები. შემდეგ, როცა მოსწყინდათ, ჩამოვიდნენ აპერმონის მთიდან და განდევნეს ისინი ძმებმა.

კაენის ვაჟებმა და ქალებმა ქნარითა და სინგურით შეაცდინეს ისინი და თავისკენ გადმოიბირეს, რომ შეერთოთ მათგან ცოლები, რომლებსაც ამოარჩევდნენ. ისინი ასეც მოიქცნენ, რითაც დაარღვიეს საღვთო აღთქმა – არ დამოყვრებოდნენ მათ. ამბობენ, რომ სამოთხიდან გამოსვლიდან 1000 წლის შემდეგ კაენის ვაჟებმა დასვეს თავიანთ მეფედ სამიროსი, ისევე როგორც სეთის შვილებმა ალოროსი, რომელმაც დაადგინა ციური ნიშნების და პლანეტების რიცხვი. მისგან მიიღო სახელწოდება ქალდეველობამ, რაც ნიშნავს ვარსკვლავთმრიცხველობას. მისგან ითვლიან 10 მეფეს, რომელთა [მეფობა] გრძელდებოდა 1180 წელი: ენოსმა 190 წლის ასაკში შვა კაინანი; კაინანმა 170 წლის ასაკში შვა მალელეილი; მალელეილმა 165 წლის ასაკში შვა იარედი; იარედმა 162 წლის ასაკში შვა ენოქი; ენოქმა 165 წლის ასაკში შვა მათუსალა*; მათუსალამ** 165 წლის ასაკში შვა ლამექი; ლამექმა 188 წლის ასაკში შვა ნოე. ის გარდაიცვალა 753 წლის, მამაზე 29 წლით ადრე. ნოე დაიბადა ადამის [სამოთხიდან] გამოსვლიდან 1666-ე წელს. [ნოეს] დროს გამრავლდა ბოროტება და გახშირდა უკანონობა, რადგან ეშმაკმა აირჩია თავის იარაღად ჯერ სიხარბე, შემდეგ მრუშობა და შემდეგ მკვლელობა. ეშმაკმა ეს გააკეთა იმისათვის, რომ ძლიერი აღრევით ქალები გამხდარიყვნენ უშვილონი, სულიერთ დაეხოცათ ერთმანეთი და გადაშენებულიყო კაცობრიობა. ოცი კაცი კვდებოდა ერთი ქალისათვის და როგორც ამბობს წმ. მამა ეფრემი – მხო-

* ენოქმა... მათუსალა > – მოსკოვის გამოცემა (ქვემოთ: მ)

** ენოქმა (ზ)

ლოდ ქალებთან ჰქონდათ მშვიდობა. უფლის მზრუნველობამ ბოროტის საწინააღმდეგოდ ხშირი აღრევა აქცია საოცარი გოლიათების დაბადების მიზეზად. რადგან ეს ვნება [მოდიოდა] ქალების სურვილიდან, გოლათი არსებების შობისას დედები კვდებოდნენ და ნაშობნი რჩებოდნენ. გაზრდილებმა და თავიანთი უზარმაზარი ტანის ჭვრეტით გაამაყებულებმა თავიანთ თავს უწოდეს მარადიული კაცები. ღმერთმა იმის გამო ქმნა ისინი დღეგრძელი, რომ დამწერლობის მაგიერი ყოფილიყვნენ თავიანთი შთამომავლობისათვის და მრავალი [შვილი] ეშვათ. ისინი გაამაყებულები არასოდეს მოელოდნენ სიკვდილს, მაგრამ შემოქმედმა შეუმოკლა [დღენი] და წაართვა მათ – შებილნულებს სულიერი მადლი. [შემოქმედმა] თქვა: „იქნება მათი წლები 120 და ჩემი სული არ დარჩება მათთან“. 120 წელი [განკუთვნილი იყო] არა ყოველი ადამიანისათვის, არამედ იმ დროის კაცთათვის ცოდვათა მოსანანიებლად.

ნოეს შეუსრულდა 500 წელი და ცხოვრობდა უდაბნოში უბინოდ. ღმერთმა უბრძანა [ნოეს] მოეყვანა ცოლი, ეშვა ვაჟები და აეგო კიდობანი, რომელიც წყალზე ისრიალებდა. [ნოე] შესრულდა 600 წლის. [ღმერთმა] მისცა [ხალხს] მოსანანიებლად დრო. მაგრამ რადგან არ მოინანიეს, [ღმერთმა] შეამოკლა [მიცემული] დრო, რომელიც, როგორც ამბობენ, იყო 962 წელი მიმატებული მათუსალას წლები და [წლები] გატარებული წყლის ქვეშ. ამის გამო 600 წელს იყო წარღვნა, დაიღუპა ყოველი ცოცხალი, იმათ გარდა, რომლებიც ნოეს-თან იყვნენ კიდობანში რვა მეტყველთან ერთად.

სამოთხეში ადამის [მიერ გატარებული] წლების რიცხვი არავინ იცის. ჯერ ერთი იმიტომ, რომ დროის შემქმნელი ეს მზე არ ემსახურებოდა სამოთხეს. მეორე იმიტომ, რომ სანამ ადამი უცოდველი იყო, მისი ხვედრი უკვდავებთან იყო, რომლებიც არ ექვემდებარებოდნენ წლებს. დანაშაულის ჩადენის შემდეგ [ადამი] აღარ დარჩენილა სამოთხეში, რად-

გან სიკვდილის განაჩენს დაექვემდებარა. ღმერთისათვის მოკვდა და საფლავი ეკუთვნოდა, სამოთხე კი უკვდავთა ადგილსამყოფელია. ამის გამო [ღმერთმა ადამი] მიწაზე განდევნა და [ის] დაექვემდებარა დროს.

ამ დროიდან სული ალრიცხავს წლებს მოვსესის საშუალებით, რაც შეადგენს 70 [განმმარტებლის] თარგმანის მიხედვით სამოთხიდან გამოსვლიდან წარლვნამდე 2242 წელს, ხოლო ეპრაელთა მიხედვით 1656 წელს, ე. ი. 786* წლით ნაკლებს. ამის მიზეზად ასახელებენ იმას, რომ ურიები ქალთმოყვარულები იყვნენ. ამის გამო მათ შეკვეცეს პირველ [ადამიანთა] დაქორწინების წლები, რომ არავის აეკრძალა მათთვის ყრმობაში ცოლის მოყვანა, რადგან მათი უთანხმოება წინ უსწრებდა ქორწინებას.

ადამმა, როგორც ამბობენ, 130 წლის ასაკში შვა სეთი. სეთმა 105 წლის ასაკში შვა ენოსი. ქორწინების შემდგომ ეპრაელები ეთანხმებიან დროში 70 [განმმარტებელს]. იარედიდან, მათუსალადან და ლამექიდან ისინი კვლავ თანხმობაში მოდიან, რაც უფრო ცხადად აჩვენებს მათ სიცრუეს, რადგან თუ უმცროსებმა დიდხანს დაიცვეს უბინება, უფრო მეტად [არ უნდა შეენარჩუნებინათ] ის უფროსებსა და უკეთესებს?

ნოემ 500 წლის ასაკში შვა სემი, ქამი და იაფეტი. მათთან ერთად გადაურჩა წარლვნას, რაც მოხდა 600 წელს. კიდობნიდან გამოსვლის შემდეგ [ნოე] ცხოვრობდა კიდევ 350 წელი და, როგორც ამბობენ, შვა ერთი ვაჟი, სახელად მანიტონი და ერთი ასული, სახელად ასტლიკი³, რომლებსაც გაუყო მთელი ქვეყანა. [ნოემ] გამოჰყო სამი ნაწილი იმ სამი ვაჟის მიხედვით, რომლებიც გამოვიდნენ კიდობნიდან: ევროპა, ლიბია და აზია. ევროპა, ამბობენ, [ნიშნავს] „მოცილებულს“, რადგან ნოემ გამოჰყო დასავლეთი, გამიჯნა აღმოსავლეთისაგან

* 586 (3)

ემავონის მთით და მისცა ის იაფეტს. ის განსახლდა კასპიი-სა და კავკასიის მთებამდე და აავსო [თავისი მოდგმით] კუნძულები. დასავლეთის რაღაც ნაწილი [ნოემ] გამოჰყო და მისცა მანიტონს. მან ითხოვა ადამის ძვლები, რომლებიც ნოეს ჰქონდა კიდობანში. [ნოემ] მისცა მას [ადამის] მუხლები და [ის] წავიდა. მან იცოდა ფრინველთმისნობა და იყო ბივრიტანის მცხოვრებლების წინაპარი. ლიბია, ამბობენ, [ნიშნავს] „სავსე ნაწილს“, რომელიც მოიცავს სამხრეთ ეგვიპტის დიდ სასაზღვრო მხარეს, მთელ ინდოეთს და ეთიოპიას. ის [ნოემ] მისცა ქამს. სურნელოვანი ქვეყანა, წოდებული ბედნიერ არაბეთად, მისცა თავის ქალიშვილს ასტრიკს, საიდანაც მოვიდა საბაელი დედოფალი. მის შემდეგ ქალები იმკვიდრებენ ამ [მინას]. ხოლო აზია, ამბობენ, [ნიშნავს] „ლვთიურს“, რომელიც მდებარეობს აღმოსავლეთში. [ნოემ] ის მისცა სემს წითელი ზღვიდან, ევილიდან, პალესტინიდან და ასურეთიდან ვიდრე პართიამდე, პირკანიამდე და მზის ამოსვლამდე⁴. მას მისცა აგრეთვე პირველდაბადებულთა ძვლები ყუთით, რომელიც მის წინააღმდეგ ქამის აღდგომის დროს დაფლა გოლგოთაზე – ბეთლემში და დასწყევლა ვინც მოიტაცებდა.

მოწყალეო უფალო, სიხარული და მშვიდობა შენს ქმნილებებს და კეთილ წილს! პატივი და მადლიერება შენ სამარადისო, ამინ!*

მსოფლიო წარდვნიდან მეორე წელს სემმა 102 წლის [ასაკში] შვა არფაქსადი. არფაქსადმა 135 წლის ასაკში შვა კაინანი. მან განავითარა ასტროლოგია და აღმოაჩინა ვარსკვლავთმისნობა. ამის გამო მისმა შვილებმა შერაცხეს ღმერთად, გააკეთეს მისი ხატი მის სიცოცხლეში და მსახურებდნენ მას. კაინანმა 140 წლის ასაკში შვა საღა. საღამ 130 წლის ასაკში შვა ებერი. ებერმა 134 წლის ასაკში შვა ფალეკი, რაც

* მოწყალეო... ამინ > – ვენეციის გამოცემა (ქვემოთ: 3)

ვარდან არეველცი

ნიშნავს გაყოფას. ნოესაგან მიღებული წილით უკმაყოფილო [ხალხი] დაობდა, ვიდრე ხელმეორედ არ გაიყვნენ ადამიანთა მოდგმის დიდი და მცირე გამრავლების მიხედვით. ამის შემდეგ გაერთიანდნენ სიყვარულით, განიზრახეს წასულიყვნენ ალმოსავლეთით, ეხილათ სამოთხე, რადგან გაგონილი ჰქონდათ, რომ იქიდან გამოვიდნენ პირველშობილნი. იარეს მრავალი დღე, [იხილეს] დიდი ზღვა, რომელიც ჰყოფდა [სამოთხეს] ქვეყნისაგან. იქიდან გამობრუნდნენ და ფიქრობდნენ ასე – ცოდვებისათვის წყალმა ააოხრა ქვეყანა და გამოჰყო ის სამოთხისაგან. ეს ცოდვები დღესაც იპოვება ჩვენს შორის და არ მცირდება ქვეყანაზე. მოდით ახლა ჩვენ ავაგოთ კოშკი, [რათა მან] დაგვიცვას [ხელახალი] წარდვნისაგან ცოდვათა გამო. ფალეკმა 134 წლის ასაკში შვა რაგავი. ქვეყნის მთავრები მოვიდნენ სენაარის მიწაზე, ქალანის ველზე, ჩაუყარეს საფუძველი ქალაქს და სწრაფად ააშენეს. შემდეგ რაგავის პირველ წელს იწყეს კოშკის შენება ოქროსა და ვერცხლის საძირკვლით, გარშემო შემოწყობილი ცეცხლში გამომწვარი აგურით, [რომელშიც] შერეული იყო თაბაშირი, კირი და კუპრი. [კოშკი იყო] ფართო საძირკვლიანი, შუაში ვრცელი სივრცით, განიერი ქუჩით, გაღებული სარკმლებით, საიდანაც შემოდიოდა სინათლე. ამბობენ, რომ სარკმლებთან მათ დადეს ბრჭყვიალა ძვირფასი თვლები. ისინი დაუღალავად მუშაობდნენ ზამთარ-ზაფხულ და მიწაც ეხმარებოდა [მათ] და ჭიანჭველების რიგიც, რომელიც ყოველ მხარეს ადიოდა და ჩადიოდა. კაცი კაცს აქეზებდა და ქალი თავის მეგობარს. არავინ ამბობდა, რომ მე მეტი გავაკეთე, ვიდრე შენ, არა-მედ [პირიქით], შენ მეტი გააკეთე, ვიდრე მე, რადგან [მაშინ მათ] ჯერ კიდევ უსწეულო და შეურყვნელი ბუნება ჰქონდათ. რაგავის მე-40 წლამდე ისინი შეუსვენებლივ საქმიანობდნენ, ვიდრე არ აიყვანეს [კოშკი] უხილავ, მწველ, შემზუთავ და მომაკვდინებელ ჰაერამდე, სადაც ჩიტიც კი ვერ აფრინდე-

ბა, ხოლო თუ გაბედავს, ფრთებდამწვარი ძირს ეცემა. ამბობენ, რომ მათ გაიყვანეს შუაში ოქრო, ძირიდან დაწყებული [კოშკის] თავამდე. [ოქრო] დნებოდა სიმხურვალისაგან, ხოლო ხალხი მთელი ძალ-ღონით ცდილობდა უვნებელი დარჩენილიყო და არ წყვეტდა მუშაობას, ვიდრე თვით უფალმა არ შეიწყნარა და არ შეაწყვეტინა უსარგებლო შრომა.

ნებროთის სახლში არსებობს გადმოცემა, რომ ჯერ ანგელოზი მივიდა ნებროთთან, რომელიც იყო მთავარი, ნადირობდა მშენებელთა გამოსაკვებად და უთხრა მას: „მე ვარ ღვთის ანგელოზი, აღმოსავლეთის მხარის უფროსი. უფალი ღმერთი ზეცისა და ქვეყნისა ასე ამბობს: „დადუმდით, შეწყვიტეთ ჩემსკენ სვლა, რადგან [ამას] ვერ შესძლებთ. მე [თვითონ] მოვალ თქვენთან თავის დროზე და მოგცემთ კიბეს, რომლითაც თქვენ შეგეძლებათ ჩემთან მოსვლა“. [მათ] არ დაუჯერეს ანგელოზს. მაშინ თვით [ღმერთმა] უთხრა თავის თანაარსებებს: „წამოდით, ჩენე ჩავიდეთ და გავყოთ მათი ენა“. რადგან მისი ხელითშექმნილები იყვნენ, [ღვთის] რისხვის შიშით ილტვოლდნენ მასთან. [ღმერთმა] არ დასაჯა ისინი, არამედ დაათრო სამოთხის სურნელით, რადგან კოშკის თავი იყო სამოთხის პირისპირ. ამგვარად, ისინი დაწყნარდნენ, დატკბნენ დიდებული სურნელით და დაავიწყდათ თავდაპირველი ენა. [ღმერთმა] არ გასარჯა ისინი [კოშკის] დანგრევით და ეს საქმე დაავალა ქარს. მათგან არავინ მოკლა, რადგან კი არ დააქცია [კოშკი], არამედ დაშალა. [ამის შედეგად] მრავალი სიკეთე იქმნა: ერთი ის, რომ ადამიანებმა შეიგნეს თავიანთი უძლურება, ხოლო მეორე [ის, რომ ეს იქმნა] სიბრძნისა და სიმშვენიერის მიზეზი. პირველი უხეში ენისაგან წარმოიქმნა რბილი ელინთა [ენა], მაგარი რომაელთა, მრისხანე ჰუნთა, მვედრებელი ასურთა, მრავალფეროვანი სპარსთა, ლამაზი ალანთა, სასაცილო გუთთა, ყრუ ეგვიპტელთა, უღურტულა ჰინდოთა, ყოვლად შემკული და სასიამოვნო სომეხთა. ისევე

ვარდან არეველი

როგორც სხვადასხვა ფერები ქმნის სილამაზესა და მრავალფეროვნებას, ასევე [ქმნის სილამაზეს] ენათა ნაირგვარობა.

პირვანდელი ენა დარჩა ებერს, რომელიც არ შეუერთდა სხვებს. როგორც ცოდვამ გაჰყო კაცობრიობა ორ სახლად: კაენისა და სეთისა, ასევე ადამიანთა მოდგმა გაიყო ორად: ებერი და 72 მამასახლისი. ძლიერი და უნეტარესი ღმერთი იძულებულია დაგვსაჯოს და იწოდება ღმერთად და უფლად და ჩვეულებრივი აღდგომისას ებერაში ასე ამბობენ. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ სხვადასხვაგვარი და მრავლის-მომთხოვნი ჩვენი ბუნება როცა იწმინდება და იხვენება, მომთხოვნი აღარ არის და როგორც ამბობს წმ. ელიშე, იღებს ანგელოზთა ენას, რომლითაც საუბრობს ღმერთთან და ერთ-მანეთთან. უფალმა დააკმაყოფილა ადამიანთა მოთხოვნილებანი, მისცა მათ ჯვარი კოშკის მსგავსად ცაში ასასვლელად და ზნეობრიობის ხარისხად აჩვენა იაკობის მაგალითი. სულ-მა, რომელმაც გაჰყო მათი ენები, მოიხმო ღვთის ანგელოზები ადამიანთა ნაცვლად, რადგან [ადამიანებმა] მოინდომეს ანგელოზებამდე ამაღლება. ამბობენ, რომ ჭომთა საზღვრები დაადგინა ღვთის ანგელოზთა რიცხვის მიხედვით და გაუყო [ისინი] ანგელოზებს. ყოველ ენას დაუდგინა მეთვალყურედ [ერთ-ერთი] ღვთის ანგელოზი, რათა წარმართნი არ დაშორებოდნენ ღმერთს.

ბელი გაზიადდა თავისი შეუსაბამო სიმაღლით, რომელიც 60 წყრთას აღწევდა და დაიმორჩილა ყველა მთავარი, როგორც ღმერთმა. შემდეგ გაუშვა [ყველა] გარდა ჰაიკისა, რომელიც იყო ნოეს ვაჟის იაფეტის ძის, გამირის ვაჟის თორასის ძის, თარგამოსის ვაჟი, რადგან [ჰაიკი] არ მსახურებდა მას, როგორც ღმერთს. [ბელი] მოვიდა მის წინააღმდეგ მრავალრიცხოვანი ბრბოთი და ჰაიკმა მოკლა ის, სპილენძის აბჯრით [აღჭურვილს] ისრით განუგმირა გული.

ქამის შვილები წავიდნენ თავიანთ სამფლობელო ქვეყანა-ში, იხილეს პალესტინა და ნოკიერი და მოსავლიანი იორდანის მხარე, დასახლდნენ იქ თავისი ნათესავის ბელის ძალით, წაართვეს რა ის სემის შვილებს. ამის გამო დაიწყო სასტიკი ომი. იუქტანის ვაჟებმა საბამ, ევილმა და უფირმა გაიგეს რა მათი მზადყოფნა, დაიწყეს ვრცელი ადგილის ძიება, რათა გავრცელებულიყვნენ გამრავლების დროს. მათგან გადასახლდა ხალხი თვითნაკეთ სიმაგრეებში. შემდეგ იწყეს ციხეების შენება. მეომრებმა გამოიგონეს სიმაგრეების ასაღები მანქანები. ბოლოს ამ ტომებს მობეზრდათ და [შესთავაზეს] მათ აერჩიათ ის ქვეყანა, რომელიც სურდათ. საბამ აიღო სურნელების მომცემი ქვეყანა, რომელსაც უწოდა საბა; უფირმა – ქვეყანა ოქროს საბადოებით, რომელიცაა ინდოეთი; ევილმა კი პატიოსანი თვლების ქვეყანა, რომელსაც უწოდა თავისი სახელი ევილატი.

რაგავმა 132 წლის ასაკში შვა სერუქი. სერუქმა 130 წლის ასაკში შვა ნაქოვრი. სერუქმა ააშენა სრუჭი. ნაქოვრმა 79 წლის ასაკში შვა თარა. თარამ 70 წლის ასაკში შვა აბრაამი. ამბობენ, რომ ამ ხანებში ცხოვრობდნენ ამაზონები – მეომარი ქალები, რომ თარგამოსის მოდგმიდან სამეფოს მემკვიდრედ დარჩა ქალი და შეწყდა მამაკაცთა ხაზით მემკვიდრეობა. ის იყო მამაცი და უშიშარი და დაარბია მრავალი ტომი. [მის] ჯარში მოხდა უთანხმოება, [რის გამოც] გაანადგურა ის და შეადგინა ჯარი ქალებისაგან. იგივეს აკეთებდა, [ვიდრე] დაადგინა თავისი სამეფო ტახტი ქალაქ ალიონში.

მოკლედ გავიხსენოთ ჩვენი წინაპარი იაფეტი, რომელმაც წარღვნის შემდეგ შვა გამირი, მისგან [წარმოიქმნენ] გამირები⁶; მაგოგი, რომლისგანაც [მოდიან] კელტები⁷ და გალატიელები⁸; მედა, რომელმაც ააშენა მარსი; თობელი, რომლისგანაც [წარმოიქმნენ] თეტალები⁹; მოსოქი, რომელმაც აიღო ლი-რიკია¹⁰; თირასი, რომლის [შთამომავალია] ჩვენი ასქანასი და

ვარდან არეველცი

თარგამოსი. ბერძნების თანახმად თარშიდან [წარმოიქმნენ] ქართველები და ტიურენელები, კიტიმისაგან რომაელები და ლათინები*.

თარგამოსმა შვა ჰაიკი და მისი 7 ძმა: ქართლოსი, კავკასი და სხვები¹¹, რომლებსაც წილად ხვდათ ჩრდილოეთი. ჰაიკის შთამომავალია არამანეაკი, რომლისგანაც მიიღო სახელი არაგანის მთამ¹². არამანეაკის [შთამომავალია] არმაისი, რომელმაც ააშენა არმავირი¹³. არმაისმა შვა ამასია, რომლისგანაც მიიღო სახელი მასისის მთამ¹⁴. ამასიამ შვა გელამი, რომელმაც ააშენა გელარქუნი¹⁵. გელამმა შვა სისაკი, საიდანაც წარმოიქმნა სიუნიქი¹⁶ და ჰარმა, რომელმაც შვა არამი. [მის მიხედვით] ყველა ტომი გვიწოდებს ჩვენ არმენებს. [არამმა] განავრცო სომხეთის საზღვრები და [დაპყრობილ] კაპადოკიელებს, პროტს, კლიმს, თავისი სახელის მიხედვით არმანეაკი უწოდა. [ეს ქვეყანა] არმანეაკიდან პონტომდე [იწოდა] ჰირველ სომხეთად; პონტოდან ქალაქ მელიტენემდე¹⁷ მეორე სომხეთად; იქიდან წოფის გავარამდე მესამე სომხეთად; იქიდან ქალაქ მარტიროპოლამდე¹⁸ და აღნიქამდე¹⁹ მეოთხე სომხეთად. თავის სასეფო ქვეყანას კი [არამმა] უწოდა დიდი სომხეთი²⁰. [არამმა] შვა არა მშვენიერი, რომელიც დაიღუპა შამირამისაგან²¹ და დატოვა ვაჟი ანუშავანი. მისგან მოდის ტომთა რიგი ამგვარად: ჰარეტი, არბაკი, ზავანი, ფარანი, სური (იესუს დღეებში), იონაკი, იამბაკი, არნაკი, ნორაირი, ვსტაკი, კარგრაკი, იუვანი, ენწაკი, გლაკი, ჰავანი, ზარმაირი, რომელიც დაიღუპა ილიონის ომში ეთიოპელთა ჯარის სათავეში მყოფი²²; პერჭი – მეფე დავითის დროს, არბუნი, ჰონი, იუსაკი, კაპაკი, რომელსაც გვირგვინი დაადგა ვარბაკეს მარმა და რომელმაც წაართვა სამეფო სარდანაპალს, დაეუფლა ასურეთს და ნინევიას. მასთან მოვიდნენ სენექერიმის

* თარგამოსი ... ლათინები > – მ

ვაჟები. ისინი პატივით მიიღო პარუირმა, რომლის მემკვიდრე გახდა მისი შვილი ჰრაჩე. ის ახლდა ნაბუქოდონოსორს იერუსალიმში და წამოიყვანა სომხეთში შამბატი, რომლისგანაც წარმოიქმნა ბაგრატუნთა გვარი.

ჰრაჩეს შემდეგ იყო ფარნავაზი²³, პაჭოიჭი, კაინაკი, ფოვა, ჰაიკაკი, ერუანდი, რომელმაც შვა ტიგრან დიდი. მან მოკლა აჟდაპაკაკი, შეიპყრო და გაათავისუფლა კრესასი, ბაბი, ტირანი, ვაჟაგნი²⁴, არავანი, რომლისგანაც [წარმომავლობენ] არაველეანები, ნერსეპი, ზარეპი, არმოგი, პაიგამი, ვანი, ვაჟე²⁵, რომელიც მოკლა ალექსანდრე მაკედონელმა. ქამისაგან, რომელზეც დაგვრჩა სათქმელი, [წარმომავლობენ] ქუში, მესტრიმი, ნებროთი, იგივე ბელი, ბაბი, ანებისი, არბელი, ქაიალი, მეორე არბელი*, ნინოსი – შამირამის ქმარი.

მოვიყვანოთ აგრეთვე მეფეთა რიგი: ნებროთი სერუქის 56-ე წელს იკურთხა ბაბილონში დაწნული გვირგვინით და არა ნაჭედით. მან ააშენა ქალაქი შოში, რომელსაც უწოდებენ ისფაპანს²⁶ და მოკლულ იქნა თარგამოსის ვაჟის ჰაიკის მიერ. გამეფდა ქალდეველი თიროსი, რომლის დროს დაიწყო ოქროსა და ვერცხლის მოპოვება. მის შემდეგ მეფობდა სამიროსი სემის ტომიდან 72 წელი. მან დაიწყო დრაპეკანის და დრამის მოჭრა ზედნერილი [თავისი] სახელით. მის დროს შემოვიდა გამოსახულებათა ამოკვეთა, ფეირობა, საწყაო, წონა და ყოველგვარი სასარგებლო საქმე. მასზე ამბობს მენანდროს მოგვი, რომ სამი თვალი ჰქონდა.

ნაქოვრის 25-ე წელს განდეგილი გახდა იობი, ესავის ვაჟის რაგუელის ძის ზარეპის ვაჟი, რომელიც 38 წელი ებრძოდა სატანას, სძლია მას მოთმინებით და დიდებით შეიმოსა.

თარას მე-7 წელს გამეფდა არფიაზატი და [იმეფა] 18 წელი, მის შემდეგ ვილოს ათურელი [მეფობდა] 62 წელი. [მან]

* ბაბი ... არბელი > – მ

ვარდან არეველცი

გადაიტანა [დედაქალაქი] ბაბილონიდან ათურში, იგივე ნინე-
ვიაში²⁷. ბაბილონში გამეფდა ქსაროსი. ის მოკლა საჰირონმა,
მისმა ძმამ*, თავისი სათაყვანო კაინანის წართმევისათვის,
რომელიც იყო ქურუმთა თავი. ამ დროს არამ ჰითელმა ააშე-
ნა დამასკე.

აბრაამის დედას მალქათუ ერქვა სახელად. აბრაამის
დაბადებიდან 10 წლის შემდეგ თარას გაუჩნდა სარა თავი-
სი ცოლის ზმრუთასაგან და არა აბრაამის დედისაგან, რო-
გორც თვით მან უთხრა აბიმელექს: „ჩემი და ხარ მამიდან
და არა დედიდან“. აბრაამმა იწყო ლვთის ძიება 15 წლისამ,
ვიდრე 70 წლამდე. იმის გამო, რომ ქალდეველთა ნოეცი
და მოსავლიანი მიწა აღძრავდა მათ ყოველგვარ ბოროტება-
ზე, ღმერთი ეწვია მათ და უბრძანა თოლიებს ენადგურები-
ნათ მათი პურის ყანები და ვენახები დიდი ხნის განმავლო-
ბაში. ზოგიერთები მხოლოდ მცირედს მოიპოვებდნენ შრო-
მით, ინახავდნენ მარაგს და [ბოლოს] ჩავარდნენ სიღარიბე-
ში. ხოლო აბრაამი იყო მცველი თავის სამშობლოში, ღამე
სწავლობდა ვარსკვლავთმრიცხველობას, ხოლო დღე იცავდა
პურის ყანებს. [მისი თანამემამულები] ოჰით, აღთქმით და
ლოცვის აღსრულებით ემსახურებოდნენ თავიანთ კერპებს,
მაგრამ შედავათი მაინც ვერ მიიღეს. ამასვე იქმოდა აბრაა-
მიც, რომელიც თავის ფიქრებში წავიდა: „[ეს] სასჯელი არ
არის ჩვენ კერპთაგან, რადგან [მათ] არ ძალუდო მისი აცილე-
ბა. არ უნდა ჩავთვალოთ აგრეთვე ეს ვარსკვლავთა გავლე-
ნად, რადგან [ისინი] იმყოფებიან მუდმივ მოძრაობაში და [ექ-
ვემდებარებიან] აუცილებლობის კანონს. ცხადია, არის ჩვენ-
თვის უცნობი ვიღაც ამის შემძლე“. შემდეგ იწყო ლოცვის
წარმოთქმა: „უცნობი ღმერთო, შემოქმედო ყოველივესი და
ამ ჩიტებისაც, განდევნე ისინი შენ!“ და იმავ უამს [ჩიტები]

* თარას ძმამ (3)

გაქრნენ. აბრაამმა თქვა: „აპა ვიპოვეთ ღმერთი, კურთხეულ იყოს უფლობა შენი, შენმა დიდებამ აავსოს მთელი ქვეყანა“.^{*} ეს ამბავი მოყვა თავისი მამის სახლში, მაგრამ მათ ყურადღება არ მიაქციეს.

ამ ხანებში გარდაიცვალა მეფე ვილოსი და გვირგვინი მიიღო მისმა ვაჟმა ნინოსმა, რომელმაც დადგა მამის ოქროს კერპი, გააფართოვა ქალაქი ათური და უწოდა მას თავისი სახელი ნინევია. მის დროს მელქისედეკმა ააშენა იერუსალიმი. აბრაამს არ შეუწყვეტია ძიება ღვთის გამოსავლენად. უსმინა მას [ღმერთმა], გამოეცხადა და უთხრა: „გამოდი შენი ქვეყნიდან და შენი ხალხიდან და წაგიყვან შენი დაკარგული ხვედრისკენ და დაგიპრუნებ [წილს] შენ და შენს შვილებს“. ეს სიტყვები [აბრაამმა] გადასცა მამას, გამოვიდა მასთან ერთად, მივიდა ხარანამდე და იქ დაიდო ბინა. აქ თარამ ააშენა ბომბი კერპებისათვის, რომელიც დაწვა აბრაამმა. არანმა, მისმა ძმამ, სცადა ჩაქრობა და დაიწვა იქვე. ზოგიერთები ამბობენ, რომ ვირები მისი გამჭრიახობის [წყალობით არსებობენ] და [ამის გამო] მოკლა უფალმა. ხელახლა ესმა აბრაამს ღვთის ხმა, [რომელმაც მოუწოდა] გამოსულიყო ხარანიდან. ის გამოვიდა ღვთის სიტყვისამებრ. ამბობენ, რომ აბრაამმა მოიყვანა სხვა ცოლი და [მისგან ეყოლა] ვაჟი, სახელად ორესტე. [აბრაამმა] დატოვა ყველანი და 75 წლის წავიდა პალესტინაში, 87 წლის წავიდა ეგვიპტეში და გამოვიდა იქიდან დაუვიწყარი უფლისაგან. 115* წლის [ასაკში] მან წაიყვანა ვაჟიშვილი სამსხვერპლოზე, ხოლო 127** წლის [ასაკში] მოიყვანა ქეტურა და მისგან შეეძინა 6 ვაჟი. აღესრულა 175 წლის [ასაკში], იაკობის 37-ე წელს. ისააკმა 40 წლის [ასაკში] მოიყვანა რებეკა, [რომელიც] 60 წლისა დაორსულდა, წავიდა მელქისედეკთან

* 117 (3)

** 148 (3)

ვარდან არეველი

საკითხავად და მან უთხრა: „ორი ტომი და ორი ხალხია შენს საშოში“.

საჭავის 72-ე წელს ეგვიპტეში X დინასტიის დროს მთავრობდა აპისი, [რომელსაც] ღმერთადაც თვლიდნენ და ზოგიერთები უწოდებდნენ სარაპის. საჭავის 137-ე წელს იაკობი წავიდა ხარანში ლაპანთან და 80 წლის ასაკში მოიყვანა ლია – ლაპანის ქალიშვილი. იაკობის დღეებში ეგვიპტის მეფემ ფარაონმა განაწესა კანონები და მსაჯულები და ოგეგისმა ააშენა ელევსია ატიკაში. 100 წლის იაკობი მოვიდა ისააკთან, თავის მამასთან. მაშინ ლევი იყო 11 წლის, რადგან 89 წლის ასაკში შვა ის. იოსები გაყიდეს 17 წლის და 30 წლის ის წარსდგა ფარაონის წინაშე. 130 წლის წავიდა იაკობი ეგვიპტეში და გარდაიცვალა 147 წლის*. ლევიმ 46 წლის ასაკში შვა კაპადი. ამ დროს მიაკუთვნებენ ზოგიერთები იობის ცდუნებას. კაპადმა 60 წლის ასაკში შვა ამრამი. ამრამმა 70 წლის ასაკში შვა მოვსესი. იოსები 110 წლის მიიცვალა, ამრამის მე-6 წელს.

ლვთის აღთქმიდან 226-ე წელს ეგვიპტეში გამეფდა ქეპრონი 13 წლით. მის შემდეგ [მეფობდა] მენაფთისი 43 წელი. მან დაახრჩობინა ისრაელელი ყრმები, რასაც გადაურჩა მოვსესი. ის ამოიყვანა თერმოთეამ, ახლად [კურთხეული] მეფის ასულმა, რომელიც გახდა ქალაქ მემფისის მეფის ქანთარას ცოლი. 350 წელი გავიდა ლვთის აღთქმიდან. მოვსესი გახდა 10 წლის. ის მიაბარეს სასწავლებლად იანესს და იამრესს. მოვსესის 22-ე წელს ისრაელელმა ვაჟებმა იწყეს თიხის ზელა. 27 წლის მოვსესი გახდა მთავარი და ააშენა ქალაქი თერმუპოლისი, წოდებული თერმუთეად, რომელსაც მარისსაც უწოდებდნენ. ეგვიპტელთა მოხარკე ეთიოპელები აჯანყდნენ, თავს დაესხნენ [ეგვიპტეს], დაატყვევეს ეგვიპტელები და მოვსესის დედობილიც. მოვსესი წავიდა და ებრძოდა მათ 10 წელი. [ბო-

* 147 წლის გარდაიცვალა ლევი (მ)

ლოს] წამოიყვანა მათი დედოფალი თესპასი, დედამისი და დაბრუნდა ეგვიპტეში. მის მიმართ შურით აღიძრა მარისის ქმარი თერმოთისი. როცა მარისი გარდაიცვალა, მოვსესმა დამარხა ის. მისმა ქმარმა გაგზავნა ისრაელის მწვალებელი ქსანთისი მოვსესის მოსაკლავად, მაგრამ მოვსესმა მოკლა ის და გაიქცა მადიამში.

იანესმა და იამრესმა წაიყვანეს ისრაელელი ვაჟები 15 დღის სავალზე უდაბნოში. 15 წელი ისინი აშენებდნენ თავიანთ სამოთხეს. მშენებლობის დასრულებისას წაიყვანეს ისრაელელი ვაჟებისაგან 980 ყრმა და შესწირეს ავ სულებს, შემოიკრიბეს [ავი სულები] და დააყენეს სამოთხის მცველებად. იმ დროიდან ავი სულები მთლიანად ემორჩილებოდნენ ჯადოქრებს. ამბობენ, რომ 400 ავი სული არ დამორჩილდა, ვიდრე ხელმეორედ არ შესწირეს მსხვერპლი მათ სახელზე, შემდეგ მოვიდნენ და შეურიგდნენ მათ. მაგრამ შუატის თვეში მაინც ურჩობენ და ისრულებენ სურვილს – მიჰყავთ ვინმე ადამიანთაგან.

მოვსესმა მოიყვანა ცოლად სეფორა – ქეტურას ძეთაგან [ერთ-ერთის] იექტანის ძის დათანის ვაჟის რაქუელის ასული და შვა მისგან 2 ვაჟი. როგორც ამბობენ, დევკალიონის დროს [მოხდა] წყალდიდობა თეტალიაში, ხოლო ფაეთონის დროს ეთიოპიაში [იყო] ხანძრები და ადგილ-ადგილ სხვა მრავალი აოხრება, როგორც მოგვითხრობს პლატონი. დევკალიონი მეფობდა პარნასელთა მხარეებში. მოვსესი 70 წლის იყო, [როცა] ღვთის ხილვის ღირსი გახდა. [მას ღმერთმა] უბრძანა წასულიყო ეგვიპტეში და გამოეყვანა იქიდან ისრაელი, ხოლო ის [წასვლას] აყოვნებდა 10 წელი. [როცა მოვსესი] გახდა 80 წლის, წავიდა ეგვიპტეში 430 წელს ღვთის აღთქმიდან, აბრაამის 70-ე წელს, 205-ე წელს იაკობის ეგვიპტეში შესვლიდან*.

* 205-ე ... შესვლიდან > - გ

ვარდან არეველი

[ისრაელები] იყვნენ ეგვიპტეში 245^{*} წელი. ათმაგი დარტყმით ეგვიპტელთა დასჯის შემდეგ, სასწრაფოდ გაიყვანეს [ეგვიპტიდან] ისრაელის ვაჟები 3842 წელს სამოთხიდან გამოსვლის შემდეგ. გამოვიდნენ ხუთშაბათს და კვირას გაიარეს წითელი ზღვა. აქედან იწოდებიან ებრაელებად, რადგან „ებრა“ ითარგმნება გადმოსასვლელად²⁸. [მათ] მიიღეს საჩუქრად ახალი ენა, რომელზეც მღეროდნენ „გვაკურთხე“-ს. [ეს ენა] ჰგავდა მათ მშობლიურ ენას. 7 თვის მანძილზე [მინა] იძვროდა ეგვიპტეში და დაიქცა მრავალი ნაგებობა, მცხოვრებლები გამოვიდნენ შენობებიდან. იმავე წელს დაისაჯა ამალიკი იესუს მიერ. იმავე წლის მესამე თვეს მოვსესი ავიდა სინას მთაზე. ებრაელი ფილოსოფოსი აპოლიმოსი ამბობს, რომ ჯერ მოვსესმა, ღვთისაგან დაბრძენებულმა, შექმნა 22 ასო, რომლითაც ღმერთმა დაწერა 10 მცნება და მისცა მოვსესს. ამ [ასოებით] მოვსესმა დაწერა ჯერ გამოსვლის წიგნი, ხოლო შემდეგ დაბადების წიგნის 22 [თავი] და სხვა 3 წიგნი. [მოვსესმა] აჩვენა შემოქმედების თვალსაჩინო მაგალითი საკურთხევლის აშენებით, რომელიც იქმნებოდა 7 თვე, ქვეყნის შვიდდღიანი დაბადების მსგავსად. მოვსესის 5 წიგნი ევსებიას მიხედვით მოიცავს 3730 წლის ამბავს.

ღვთის მხილველი მოვსესი აღესრულა 120 წლის. მისი კვერთხი მიიღო იესუ ნავემ 27 წლით. იესუ დანავის მე-6 წელს ეგვიპტის მეფის ეგიპტოსის ძმამ თავისი 50 ქალიშვილით თავისი ძმის 50 ვაჟი მოკლა, გამეფდა გადარჩენილი ლიმბოსი, რომელიც, როგორც ამბობენ, ყველგან იმარჯვებდა, რადგან ბრძენი იყო. იესუს მე-18 წელს ფინიკი და კადმოსი წავიდნენ თებაელთაგან ასურეთში, გამეფდნენ და ქვეყანას დაერქვა ფინიკია, ხოლო [სახლს] კადმოსის სახლი. მათ შემოიტანეს იქ სიბრძნე, ისევე, როგორც კიკროპსმა მიიყვანა ქალაქ მემფი-

* 227 (3)

სის მცხოვრებლები ათენში, რომელიც გახდა ბრძენთა სახლი. კი კროპსმა შეუქმნა ბერძნებს დამწერლობა, სხვები კი [მის შემქმნელად] კადმოსს²⁹ ასახელებენ.

იესუ აღესრულა 107 წლის და მსაჯული იყო გოდონიერი 40 წელი. აფრიკანოსი იესუსა და გოდონიელს შორის სდებს 30 წელს. ბერძნები გოდონიელს აძლევენ 50 წელს, რადგან 8 წელი ემსახურებოდნენ ქუსას, რასაც მას მიათვლიან. ამ დროს გამეფდა არგიელებზე პელაპოსი, რომლის-განაც წარმომავლობს მეიგავე ფილადოსი. გოდონიელის შემდეგ ემსახურებოდნენ ისრაელელები ეგლომს, მოავის მეფეს 17 წელი, რასაც მიათვლიან აოდის წლებს, რომელიც მსაჯულობდა ისრაელში 80 წელი. აქ შესრულდა 4000 წელი ადამიდან. აოდის შემდგომ ისრაელელები ემსახურებოდნენ უცხოტომელებს 20 წელი. გაძლიერდა სამეგარი და მოკლა 600 ფილისტიმელი გუთნის სახელურით. ბარაკი დებორასთან ერთად მსაჯულობდა ისრაელში 40 წელი, თუ მას მივათვლით უცხოტომელთათვის მსახურებას. მის დროს იოინი გახდა ათენელების სარდალი, რომლებიც ამის გამო იწოდნენ იონელებად. მის დროს ასმა ბრძენმა იხილა ერთი ზმანება ერთ ღამეს – 7 მზე. ქალმა სიბილამ მიაწერა ის 7 საუკუნეს, მე-6 მზე მან მიაწერა ქრისტეს, რომლის სხივები აპნელებდა სხვა [მზეებს]. ბარაკის შემდეგ მაკედონელები ბატონობდნენ 7 წელი. გედეონი მსაჯულობდა ისრაელში 40 წელი, თუ მას მივათვლით უცხოელთა ბატონობასაც. აქ გამოჩნდა მოქანდაკე და მხატვარი დედალოსი*, რომელზეც ამბობენ, რომ თითქოს მის მიერ შექმნილი სურათები მოძრაობდნენ.

გედეონის 70 ვაჟი სცემა აპიმელექმა, რომელიც მსაჯულობდა ისრაელში 3 წელი, ხოლო მის შემდეგ თოლა – 22 წელი. ამბობენ, რომ ამ დროს პერაკლემ ააოხრა ილიონი

* დედალი (მ)

ვარდან არეველი

და მოკლა ანტეოსი, რომელსაც თვლიდნენ მიწის ნაშობად. აირ გაღადელი [მსაჯულობდა] 22 წელი, მის შემდეგ [ისრაელელები] ემსახურებოდნენ უცხოელებს 8 წელი, ზოგნი კი ასახელებენ 18 წელს, მიათვლან რა მას იეფთას 6 წელსაც. ალექსანდრემ აიღო ილიონი და დაანგრია. ამის გამო მიმდინარეობდა ომი 10 წლის განმავლობაში. ილიონის აღების დროს დაჭრილმა ჰერაკლემ ცეცხლში დაიწვა თავი. ესებონი [მსაჯულობდა] 7 წელი, მის შემდეგ ელონი – 10 წელი, რაც არ არის 70 განმმარტებელში, არის მხოლოდ ებრაელებთან. აბდონი [მსაჯულობდა] 8 წელი. შეიქმნა რომის სახელმწიფო. მათი პირველი მეფე იყო ანიასი. აბდონის შემდეგ [ისრაელები] ემსახურებოდნენ ფილისტიმელებს 40 წელი, ხოლო შემდეგ გამოვიდა სამსონი, იხსნა ისინი და [მსაჯულობდა] 20 წელი. მისი მსაჯულობის 25-ე წელს მოხდა რუთის ამბავი. მის დროს მოკვდა ზევსი და დამარხეს კრეტაზე. მასზე ამბობენ, რომ იცხოვრა 850 წელი და ხანგრძლივი სიცოცხლის გამო ზევსად იწოდა, ხოლო დაბადებისას დია დაარქვეს სახელად.

ებრაელები ამბობენ, რომ სამსონი მსაჯულობდა 40 წელი. იოანემ სამსონის შემდეგ დააყენა მსაჯულად ემაგორი 40 წლით. მაგრამ აფრიკანოსი ამბობს, რომ 40 წლის მანძილზე არ ყოფილა მსაჯული და იყო მშვიდობა. ილი 70 განმმარტებლის თანახმად [მსაჯულობდა] 20 წელი, ხოლო ასურელების თანახმად – 40 წელი. მაგრამ შეხვდები იმასაც, რომ წმინდა მოციქულები თვლიან 450 წელს სამუელამდე. და ეს ასეც იქნება, როცა არ ჩათვლი საულისა* და სამუელის წლებს, რადგანაც სამუელი მსაჯულობდა ისრაელში 40 წელი ებრაელების თანახმად, ხოლო 70 განმმარტებლის თანახმად – 20 წელი. მისი [მმართველობის] მე-20 წელს ითხოვეს [ისრაელებმა] მეფე და ამის შემდეგ იწყება მეფეთა ხანა.

* იესუ (ვ)

ვიდრე ცოცხალი იყო სამუელი, საულის ცხოვრების წლებს, რომლებიც არ იყო სასურველი ღვთისათვის, გარდა 2 წლისა, მითვლიდნენ სამუელს. საული მეფობდა 40 წელი. საულის მეფობის მე-10 წელს იშვა დავითი, რომელიც იკურთხა 23 წლის. მან 28 წლის [ასაკში] მოკლა გოლიათი. დავითის შობის 30-ე წელს გარდაიცვალა სამუელი და 5 წლის შემდეგ სამუელის სიკვდილიდან მოაკვლევინეს საული და იონათანი. დავითი მეფობდა 40 წელი. [მან] თავისი მეფობის მე-10 წელს გამოიტანა კიდობანი აბიათარის სახლიდან. აბიათარი მლვდელმთავარი იყო, ხოლო წინასწარმეტყველი – გადი, ასაფი და ნათანი, რომელიც ზრუნავდა დავითზე. მეფობის 38-ე წელს გამოარჩია დავითმა 288 კაცი ლევიტელთაგან და დაყო ისინი 24 დასად, 12 კაცი თითო დასში – მეფსალმუნები და უფლის კიდობნის მსახურნი. [დავითი] ცხოვრობდა 70 წელი, გარდაიცვალა და გადასცა თავისი გვირგვინი 40 წლით სოლომონს, რომელიც 12 წლის იყო. პირველ წელს ეყოლა მას რობოამი თავისი ცოლის ნამი ამონელისაგან. მეფობის მეოთხე წელს [სოლომონმა] იწყო ტაძრის შენება, ეგვიპტელთა ქვეყნიდან [ისრაელელთა] გამოსვლის 480-ე წელს. ეს მეფეთა წიგნის და 70 განმმარტებლის მიხედვით, ებრაელები კი 440 წელს ასახელებენ. სიმართლე კი ასეთია: 40 წელი მოვსესის, 27 – იესუსი, რაც შეადგენს 67 წელს. 450 წელი – მსაჯულები, უცხოელებისადმი სამსახურთან ერთად, რაც შეადგენს 515 წელს. ამის შემდეგ სამუელი და საული – 40 წელი და 40 წელიც დავითის, შეადგენს 597 წელს, 4 წელიც სოლომონის და იქნება ჯამი 601 წელი.

[სოლომონის] ტაძრის ზომა: სიგრძე 60 წყრთა, 20 სიგანე, 120 სიმაღლე. [სოლომონმა] ააშენა 7 ქალაქი. მასთან მოვიდა სამხრეთის დედოფალი, ხოტბა შეასხა ტაძრის მსახურებს, 24 დასს, დაწესებულს დავითის მიერ, რომელიც სოლომონმა 12 დასად განაწეა, თითო დასში 24 000 კაცს, 6 000 მსაჯულს,

31 რა არ არ არ არ არ არ არ

4 000 ქნარზე დამკვრელს, 4 000 კარისმცველს, სხვა ყოველ-გვარ მოწყობილობას და დედოფალი წავიდა. სოლომონმა შესცოდა თავისი მეფობის 37-ე წელს და გარდაიცვალა 52 წლის.

წინასწარმეტყველები იყვნენ სადოკი, აქია და სამა, ფილოსოფოსები – პომეროსი და სიდოსი, მღვდელმთავარი – სადოკი, ელიაზარის შთამომავალი, ზოგიერთები კი ამბობენ, რომ თამარის შთამომავალია, როგორც არის ეს მეფეთა წიგნში. ფინიკიელთა წიგნში აღნიშნულია, რომ ტაძარი იერუსალიმში აშენდა 144 წლით ადრე, ვიდრე ტიურენელები ააგებდნენ ქალდეკონს. სოლომონი და ქირამი წერდნენ ერთ-მანეთს არაკებს და არ შეეძლო ქირამს სოლომონის [არაკთა] ამოხსნა. მაგრამ ტიროსში აღმოჩნდა ერთი კაცი, სახელად აფგამანოსი, რომელმაც შესძლო მათი ამოხსნა. [ის თავის არაკებს] წერდა სოლომონს და სოლომონი ვერ იგებდა მათ.

რობოამი, სოლომონის ძე, მეფობდა მამის შემდეგ 17 წელი იუდეაზე და ბენიამინზე. სხვა ათმა გვარმა გაამეფა იერობოვამი, ნაბატის ვაჟი ეფრემის ტომიდან. მის დროს ეგვიპტელთა მეფე სოსაკიმი გამოვიდა, გაძარცვა უფლის ტაძარი და წავიდა. რობოამის შემდეგ მეფობდა ძე მისი აბია 3 წელი; მის შემდეგ მისი ძე ასა 41 წელი. იერობოვამის შემდეგ მეფობდა ისრაელში მისი ძე ნაბატი 2 წელი, ხოლო მის შემდეგ ბაასი 24 წელი. მათ დროს წინასწარმეტყველები იყვნენ: აქია, სამა, იოველი, აზარია, იგივე ადა, ანანია, იოა, რომელსაც სხვები ზაქარიას უწოდებენ, ეპიფანე, რომელსაც იუდას უწოდებენ და რომელიც მოკლა ლომმა.

ასას 29-ე წელს გამეფდა ისრაელში ილა 2 წლით. ის მოკლა მონა ზამბრიმ და თვითონ იმეფა 7 დღე. გვირგვინი მიიღო ამრიმ 12 წლით. მან ააშენა სამარია, რომელსაც ეწოდა სებასტია, ხოლო ახლა უწოდებენ მამლუზს. ასას შემდეგ მეფობდა იოსაფათი 29 წელი. 2 წლის შემდეგ ისრაელში 23

ნლით გამეფდა ამრის ძე აქაბი, რომელმაც ცოლად შეირთო სიდონის მეფის ქთილის ასული იზაბელი. იოსაფათის 28-ე წელს ისრაელში გამეფდა ოქოზია 1 ნლით, მის შემდეგ მისი ძმა იორამი 12 ნლით, მის შემდეგ იეჟ 28 ნლით, მის შემდეგ იოაქაზი 17 ნლით, იორამი მეფობდა იუდეაზე 8 წელი, მის შემდეგ ოქოზია 1 წელი; იორამის მე-7 წელს აღზევდა ელია. ოქოზიას შემდეგ [მეფობდა] მისი დედა გოთოლია, იზაბელის ასული. შემდეგ მღვდელმთავარმა იოვიდამ გაამეფა იუდეაში იოქოზიას 7 ნლის ვაჟი იოასი. მოვსესის შემდეგ მარტო დარჩა იოვიდა 106 წელი, რომლის შვილი აზარია წინასწარმეტყველებდა და გახდა მღვდელმთავარი მამის შემდეგ. ის მოკლა იოასმა თავისი მეფობის 30-ე წელს, ხოლო 35-ე წელს მოკვდა ელისე. იოასი მეფობის მე-20 წელს მოკლეს თავისმა მონებმა. იუდეაში გამეფდა ამასია 29 წლით. მისი [მეფობის] მე-10 წელს გამეფდა ისრაელში იოასი 16 წლით, მის შემდეგ რობოამი 40 წლით. ზოგნი ამბობენ, რომ მან მოკლა* ამასია, და დაანგრია იერუსალიმის კედელი – 400 წყრთა. იუდეაზე გამეფდა ოზია 52 წლით. მისი მეფობის 29-ე წელს ისრაელში გამეფდა ზაქარია – 6 წლით; მის შემდეგ სელუმი – 1 თვით, მის შემდეგ მანასე – 10 წლით.

24-ე წელს კეთროვანი გახდა ოზია და დადუმებული იყო ესაია მის სიკვდილამდე 29 წელი. ესაია ხელმეორედ წინასწარმეტყველებდა 61 წელი, ხოლო თავის დადუმებამდე 24 წელი. ოზიას 30-ე წელს მოვიდა ფუა და აიღო მანაიმისგან 1000 ოქროს ტალანტი. ოზიას მე-40 წელს ისრაელში გამეფდა ფაკე კიდევ 10 წლით. ოზიას 48-ე წელს მოვიდა ტიგლატფალასარი და ტყვედ წაიყვანა 10 გვარის დიდი ნაწილი. ოზიას შემდეგ მეფობდა მისი ძე იოათამი 10 წელი. [იმ დროს] სახელგანთქმულნი იყვნენ პოეტი პორფირე და

* მოკლა > – მ

ვარდან არეველი

წინასწარმეტყველნი: ესაია, ოონანი, ამოსი, ოსე. კუკრაქშისი იყო კანონმდებელი. მის დროს აღაპარაკდა კრავი. ითამაშის შემდეგ მეფობდა აქაზი 16 წელი, მის დროს ფაკემ და დამასკოს მეფე ჰრასონმა გაულიტეს იერუსალიმში 12 ბევრი³⁰ კაცი. აქაზმა დაიქირავა ტიგლატფალასარი, მოვიდა, აიღო დამასკო, მოკლა დამასკოს მეფე ჰრასონი და ტყვედ წაიყვანა ედომი. აქაზის მეორე წელს ოვსემ მოკლა ფაკე და იმეფა 9 წელი. აქაზის 30-ე წელს მოვიდა სალმანასარი, დაადო ხარკი ისრაელს და წავიდა. აქაზის შემდეგ გამეფდა იეზეკია. მისი [მეფობის] მე-8 წელს მოვიდა სალმანასარი, აიღო სამარია, დაატყვევა 10 გვარი და წაიყვანა ბაბილონში. მოისპო ისრაელის სამეფო 250 წლის არსებობის შემდეგ. ადამიდან გასული იყო 4330 წელი: რობოამი, ნაბატი, ბაასი, ილა, ზამპრი, ამრი, აქაბი, ოქოზია, იორამი, იეჟ, რომელმაც მოკლა იორამი და თავისი დედა იზაბელი; იოაქაზი, იოასი, იერობოვამი, ზაქარია, სელუმი, მანაიმი, ფაკე, მეორე ფაკე, ოსე უკანასკნელი.

ისრაელი დაატყვევეს იეზეკიას მე-6 წელს, რომელიც მეფობდა იუდეაში 29 წელი. მისი მეფობის 30-ე წელს რომულუსმა ააშენა რომი. მანასეა [მეფობდა] 55 წელი; ამოვსი – 17 წელი; იოსია – 31 წელი; იოაქაზი – 3 წელი; მისი ძმა ელიაკიმი – 11 წელი; იექონია – 3 წელი; სედეკია – 11 წელი. ის დაატყვევეს და ტაძარი დაანგრიეს. იუდეას მეფეები მმართველობდნენ 432 წელი, ხოლო ტაძარი მთლიანი რჩებოდა 442 წელი.

ნაბუქოდონოსორმა თავისი მეფობის მე-8 წელს დაატყვევა იექონია და ჩასვა საპყრობილეში 37* წლით. ნაბუქოდონოსორი და მისი ვაჟი ნაბობალასარი მეფობდნენ 42 წელი. [ნაბუქოდონოსორმა მეფობის] მე-8 წელს დაატყვევა იექონია, ჩასვა საპყრობილეში და ჰყავდა მთელი თავისი [მეფო-

* 35 (3)

ბის] ხანი, რაც შეადგენს 34 დარჩენილ წელს. ილმაროდაქმა მიიღო მამის ტახტი 3 წლით. თავისი მეფობის პირველსავე წელს მან გამოუშვა საპყრობილედან იქონია, რომელიც ამიერიდან სადილობდა მეფის სუფრასთან. [ილმაროდაქის] შემდეგ [მეფობდა] მისი ძმა ბალტასარი 1 წელი, რომლის დროს დანიელმა ამოიკითხა წარწერა ქალდეველთა სამეფოს აღმოფხვრის შესახებ. ის დაიმორჩილა მარელთა მეფე დარეჲმა, შესაძლოა [იგივე] აუდაპაკმა, რომელზეც ამბობენ, რომ ორი სახელი ჰქონდა და მარელებზე თავისი მეფობის 36-ე წელს დაიპყრო ქალდეველთა [სამეფო] 2 წლით. კიროს სპარსელმა მოკლა ის და ბატონობდა მარელებზე, სპარსელებზე, ქალდეველებზე და ასურელებზე 30 წელი. ამბობენ, რომ [თავისი მეფობის] პირველ წელს მან ააწიოკა ურიები და დახოცა ანანიას მიმდევრები. მას უფალმა ტანჯვა მოუვლინა სიზმარში და დაემუქრა. შეშინებულმა [კიროსმა] ბრძანა გაეშვათ დატყვევებული ურიები და მისცა ტაძრის ოქროსა და ვერცხლის ჭურჭლეული სალმანასარს, იუდეველთა მეჭურჭლეთუხუცესს, რიცხვით 1443. მაგრამ [ეს ყველაფერი] არ მოიტანეს იერუსალიმში ზორაპელის მოსვლამდე. აქ აღსრულდა იერემიას მიერ წარმოთქმული 70 წლიანი განაჩენი, რაც უნდა დაითვალოს მეფე იოსიას მე-18 წლიდან, ისე როგორც იეზეკიელი [ადგენს] 30 წელს იექონიას დატყვევების მე-7* წლიდან, როცა მან დაიწყო წინასწარმეტყველება, რადგან იოსია მეფობდა 31 წელი და მე-18 წელს წარმოითქვა განაჩენი 70 წელზე: 14 წელი იოსიას, 11 იოაკიმს – იქნება 25. 5 წელი ტყვეობისა – იქნება 30, ნაბუქოდონოსორის 34 წელი – იქნება 64, ილმაროდაქის 3 წელი, 1 ბალდასარის და 2 დარეჲმის – იქნება 70. რადგანაც შესრულდა 70 წელი და კიროსი კი აყოვნებდა, განრისხდა მასზე უფალი. ანგელოზ-

* მე-5 (3)

ვარდან არეველი

მა უთხრა დანიელს: „სპარსელთა მთავარი მებრძვის და არ მაძლევს საშუალებას გაუშვა ტყვეები შენი ლოცვის მიხედვით“. პირველად მოვიდა 7000* კაცი, რომლებმაც აღმართეს საკურთხეველი და ჩაყარეს ტაძრის საძირკველი. გარემომცველი ტომებისაგან შევიწროებული [ტაძარი] დარჩა დაუსრულებელი მეფე დარეჰამდე.

კიროსის შემდეგ [მეფობდა] მისი ძე კამბიზი 8 წელი. ურიები მას უწოდებენ ნაბუქოდონოსორს. ორი ძმა მოგვი [მეფობდა] 5** თვე; ვეშტასპ დარეჰი – 36 წელი; ქსერქსე, დარეჰის ძე – 41*** წელი. მამამისის მეფობის მეორე წელს ზორაბაბელი წავიდა იერუსალიმში და ააგო ტაძარი. მის დროს აღსრულდა მეორე სამოცდაათწლეული, რასაც ემატება 2 წელი ტაძრის აოხრებიდან: ნაბუქოდონოსორისა და მისი ძეების [მეფობის] 32 [წელი], 2 მარ დარეჰის და 38 კიროსის და მისი ძის – იქნება სულ 72. თუ ამას დავუმატებთ დარეჰის 2 წელს – იქნება 74. ეს წანამატი იყო ურიათა ბოროტებისა და სიზარმაცის და არა ღვთის მოწყალების შედეგი.

არტაშეს მხარებრძელი [მმართველობდა] 41 წელი. მის დროს ეზრა და სუფრაჯი ნოემია მოვიდნენ იერუსალიმში და ააშენეს კედელი. დარეჰი, ხარჭის შვილი [მმართველობდა] 15**** წელი, არტაშესი – 40 წელი. მის დროს ცხოვრობდა ესთერი; არტაშეს ოქოსი – 4 წელი; დარეჰი, არტამის [ძე] 6 წელი; ის მოკლა ალექსანდრემ და თვითონ იცოცხლა კიდევ 6 წელი; დარეჳ ვეშტასპის მეორე წლიდან ალექსანდრეს სიკვდილამდე გავიდა 171 წელი. მის შემდეგ მეფობდა ეგვიპტეში პტოლემაიოსი, ლაგოსად წოდებული, 40 წელი; პტოლემაიოს

* 5 000 (3)

** 7 (3)

*** 21 (3)

**** 19 (3)

ფილადელფიო – 38 წელი; მის დროს თარგმნეს ეპრაული წიგნები; პტოლემაიოს ევერგეტი – 24 წელი; პტოლემაიოს ფილუპატორი – 21 წელი; პტოლემაიოს ეპიფანე – 22 წელი; პტოლემაიოს ფილუპატორი – 33 წელი; მის დროს ანტიოქია ეპიფანემ შეავინროვა ებრაელები; ის მეფობდა 51* წელი; ანტიოქია ევპატორი – 2 წელი; იმავე წელს პტოლემაიოს ფილუპატორს შეუსრულდა მეფობის 17 წელი.

იუდა მაკაბეი ამბოხებული იყო 3 წელი; ზორაბაბელის მეფობიდან იუდა მაკაბეიმდე გავიდა 332 წელი; იუდა მაკაბეი [მმართველობდა] 3 წელი; იონათანი – 10 წელი; სიმეონი – 5** წელი; ჰირკანოსი, იგივე იოანე – 26 წელი; არისტაბულოსი – 1 წელი; იანუსი, იგივე ალექსანდრე – 27 წელი; ალექსანდრეს ცოლი – 9 წელი; ჰირკანოსი – 34 წელი; ჰეროდე უცხოელი – 37 წელი. მისი [მეფობის] 32-ე წელს იშვა ქრისტე ღმერთი; იუდა მაკაბეიდან ქრისტეს დაბადებამდე გავიდა 151 წელი; ზორაბაბელიდან ჰეროდეს 32-ე წლამდე, როცა უფალი იშვა, 483 წელი [გავიდა], მაგრამ დანიელის მიხედვით გავიდა 7 შვიდეული და 62 შვიდეული, რაც შეადგენს 69 შვიდეულს, კიდევ 1 შვიდეული და ნახევარი შვიდეული; რადგან თუ შვიდეულს გავამრავლებთ 70-ზე მივიღებთ 490-ს. ამ სათვა-ლავში, რაც შეადგენს 483 წელს მოგვები მეფეებად იყვნენ 7 წელი. ეს ერთი შვიდეულია და ამას არ მიათვლიან. თუ ამას 483-ს მივუმატებთ, იქნება 490, რადგან ეს შვიდეული ითვლება 7 წლად. ხოლო შვიდეულის ნახევარი 33 1/2 წელია, როცა ჯვარს ეცვა უფალი. სხვა 7 შვიდეული ითვლება 49-ად. ეს ნახევარი შვიდეული ითქმება იმიტომ, რომ არ არის შესრულებული 49, არამედ ნახევარია, ე. ი. ნაკლულია, რადგან ჩვეულება გვაქვს, რომ ნახევარი ვუწოდოთ არასრულს. თუ

* 11 (3)

** 9 (3)

ვარდან არეველცი

გსურს მიიღე ეს ასე, თუ არა – სასოება მიიღე უფლისაგან. სამარადისო დიდება ქრისტეს, ჩვენ ღმერთს, ამინ!

მრავალშვილიანი დიდი აბრაამი გახდა ჩვენი ხალხისათვის სახელოვანი ხორციელი და სულიერი მამა. მას 6 ვაჟი ეყოლა ქეტურასაგან: ემრანი, იექტანი, მადანი, მადიანი, იესბოკი და სოიე. უფროსმა ვაჟმა ემრანმა მოკლა იექტანი და მადანი. ამის გამო ის გაგზავნა მამამ აღმოსავლეთში, [შორს] თავისი ვაჟის ისააკისაგან. მისგან წარმომავლობს პართელთა ტომი, საიდანაცაა მამაცი არშაკი³¹. ის ალექსანდრეს სიკვდილიდან 60 წლის შემდეგ აუჯანყდა მაკედონელებს და გამეფდა ქუშანთა ქვეყანაში, ბაჰლ შაჰასტანში³² 6* წლით, ბატონობდა მთელ აღმოსავლეთში და ასურეთში, მოკლა ანტიოქიასი, განდევნა ბაბილონიდან და ქალდეველთა ქვეყნიდან მაკედონელები. ამბობენ, რომ ის იყო მარელთა მეფის არშავირის ძე. მან მოიყვანა ცოლი მოვსესის შვილთა ტომიდან, რომელიც სახლობდა ტაფნასში და დაუწათესავდა ტაჭიკთა მოდგმას. ის მოვიდა და დაემკვიდრა მარებსა და სპარსელებს, სომხებსა და ქუშელებს შორის. რადგან წინა და უკანა [მხრიდან], მარჯვინიდან და მარცხნიდან გარს ერტყმოდა 4 ტომი, პართელებად³³ იწოდნენ, ე. ი. 4 ტომის მომცველი, ხოლო ქალაქ ბაჰლის გამო იწოდნენ სამეფო პაჰლავებად. ის შეცვალა მისმა ძემ არშანმა, რომელსაც არტაშესსაც უწოდებენ – მშვენიერმა ვაჟკაცმა, წარმოსადევგმა და მედგარმა მეომარმა. მას ეყოლა ვაჟი არშაკი, რომელიც იწოდა დიდად³⁴. მასზე ამბობენ, რომ ბატონობდა ქვეყნიერების ერთ მესამედზე – აზიაზე, ლიბიაზე, და ევროპის დიდ ნაწილზე.

[არშაკმა] გაამეფა თავისი ძმა ვალარშაკი³⁵ სომხებზე და დაუწესა საზღვრად: პალესტინა, ასურეთი, შუა ხმელეთი³⁶, თეტალია³⁷ – პონტოს ზღვიდან იმ ადგილამდე, სადაც

* 26 (3)

კავკასიონი დასავლეთის ზღვას უერთდება³⁸, სხვა კი იტყვის: „აქ რა ზომითაც სიპრძე შენი და იარაღი მოკვეთავს“. [ვალარშაკმა] მოკლა მორფილიკენი*, რომელსაც დაპყრობილი ჰქონდა პონტოს მხარე, მოაწყო სამეფო მამასახლისობის დაწესებით, დანიშნა საპატიო თანამდებობებზე სახელოვანი ბაგრატუნი გვირგვინდამდგმელი, ბაგრატის შთამომავლები, რომელიც იყო ეპრაელ სმბატის ტომიდან, იუდას მოდგმიდან; თავის შემმოსველად [დაიყენა] გნთუნები, ქანანელთა ტომიდან, ხორხორუნები და არწრუნები** კი ჰაიკის მოდგმიდან თავის მცველებად, შემდეგ ვარაუნუნები, არწრუნები, გნუნები, გაბელეანები, ძიუნაკანები, ჰავუნები, სისაკანები – სივნიეთის მფლობელები; მურაცანები, რომლებიც დასვა თავის შემდეგ მეორე პირად, წარმომავლობენ მარელთა მეფე აჟდაჲაკისაგან და მურაცანის უფლად იწოდებიან; აღუანელები და არანელები***; ჰაიკის შვილიშვილებიდან ვინმე არანი დაადგინა ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარის მთავრად, მისი ჩამომავლები არიან უტიელები, გარდმანელები³⁹, გარგარელები**** და წოფელები⁴⁰; გუშარელებს შარას დარჩენილი შვილებიდან მისცა დაბურული მთა კანგარი და ჯავახეთის ნახევარი. კავკასიის ჩრდილოეთის მხარის მპყრობელს [ვალარშაკმა] უწოდა გუგარელთა ბდეშხი⁴¹ და დაადგინა ის გამგებლად ვერიელ ტყვეებზე, რომლებიც წარმოიყვანა ნაბუქოდონისორმა ვერიდან – ლიბის დასავლეთიდან⁴². მათი ნაწილი დაასახლა პონტოს ზღვასთან⁴³ და დუნინი უწოდა ბასიანის დიდ მთავარს ჰაიკის შთამომავალთაგან; ანგეასი უწოდა დასავლეთის მხარის მპყრობელს ტორქს, ჰაიკის [შთამომავალს], რომელ-

* მარნ-ფილიკა (3)

** არწრუნები > – გ

*** არანელები > – მ

**** გარგარელები > – მ

ვარდან არეველცი

საც როგორც ამბობენ, ჰქონდა 120 სპილოს ძალა, კლდეს ხელით ძერწავდა და გორაკის ფორმის ქვით ჩაძირა მრავალი ნავი პონტოს ზღვის ნაპირთან. სამხრეთ აღმოსავლეთის [მხარის] მფლობელს შარაშანს [ვალარშაკმა] უწოდა სასანაკანი და დაადგინა მდინარე ტიგროსის [აუზის გამგებლად]; მოკელები მსგავსი სახელწოდების გავარიდან, კორდუელები, ანძეველები და აკელები, ტრაპატუნები და ანძტაელები და კიდევ სხვანი – ძლიერი და გონიერი კაცები [განანესა]: მწიგნობრებად, კარისმატუელებად და სიკეთის შემხსენებლებად მრისხანების უამს⁴⁴.

გვსმენია და გვინახავს დაწერილი, რომ [ვალარშაკი] იყო არშაკ დიდის ძე და არა ძმა. ასეთი იყო თხრობა: „სპარსელთა მეფემ მოითხოვა მარმარილოს სვეტი, რომელიც იყო მნიშვნელოვანი, სომებთა სამეფო სასახლეში. [მასზე] ნახეს ბერძნული წარწერა: „ვწერ მე აგათანგელოსი: დიდ არშაკს ჰყავდა 4 ვაჟი: პირველი გაამეფა თეტალებზე, მეორე ლირიკიელებზე, მესამე პართელებზე, მეოთხე სომხებზე და მისცა ამ უკანასკნელს ის საზღვარი, რომელიც ჰაკიყის და მისი შთამომავლობის, მისი 7 ქალიშვილის ვაჟების მონაღვანი იყო“⁴⁵.

მოაწყო რა სამეფო კარი, ვალარშაკმა თავისთან დაიტოვა თავისი ძე არშაკი, ხოლო მისი ვაჟი არტაშესი და სხვა უფლისწულები გაგზავნა ჰაშტენის გავარში. ამის შემდეგ ეს იქცა კანონად ყველა სომები მეფისთვის: ერთი რომელიმე უფლისწული ჰყავდათ თავისთან მემკვიდრედ და სხვებს გზავნიდნენ ჰაშტენში დამოუკიდებლად საცხოვრებლად⁴⁶. ვალარშაკი მეფობდა 22 წელი და გარდაიცვალა მნიშვნელის მისი ვაჟი არშაკი მეფობდა 23 წელი*. მან პონტოს ზღვის ნაპირზე, კლდეზე აღმართა შუბი გაუღენთილი შხამიანი გვე-

* მისი... წელი > - მ

ლების სისხლით, რომელსაც ემსახურებოდნენ პონტოელები, როგორც ღმერთის ქმნილებას.

მის შემდეგ მეფობდა მისი ვაჟი არტაშესი⁴⁸ 24 წელი. სპარსეთის მეფე არშაკანის * [შმართველობის] მეორე წელს, რომელიც მეორე [პირად] დაადგინა თავის შემდეგ, გაბატონდა მთელ ზღვაზე და ხმელეთზე, გავიდა ოკეანის იქითა მხარეს, მიაღწია ესპანეთამდე, დაბრუნდა უკან და შეიპყრო ლიდის მეფე კრესოსი⁴⁹. მას ჰყავდა უთვალავი ჯარი. მეორედ დასავლეთში წასვლის დროს [არტაშესი] მოკვდა ზღვაზე.

გვირგვინი მიიღო მისმა ვაჟმა ტიგრანმა⁵⁰. არშაკანის მეფობის 27-ე წელს მან დაიპყრო იერუსალიმი და მოკლა რომაელთა მხედართმთავარი კრასოსი. მან მაჟაქში დაადგინა მირდატი⁵¹, რომლის ვაჟი აჯანყდა და წავიდა რომაელებთან. [მან] აიღო ქალაქი პერგეა, გააფართოვა მაჟაქი და უწოდა მას კეისრის სახელი. შემდეგ ბარზაფრანმა მეორედ აიღო იერუსალიმი, დაატყვევა მღვდელმთავარი იურკიანოსი და გადაასახლა ვანში. ტიგრანმა იმეფა 33 წელი და გარდაიცვალა.

გვირგვინი მიიღო მისმა ძემ არტავაზდმა⁵². მან დაასახლა თავისი ძმები და დები ალიოვიტსა და არბერანში⁵³, ისევე როგორც სხვა არშაკუნები [დაასახლეს] ჰაშტენში. თვითონ [არტავაზდი] წავიდა შუამდინარეთში. ანტონიუსმა გაიგო [არტავაზდის გამოლაშქრების შესახებ], წავიდა, გაჟლიტა მისი ჯარი, თვით [არტავაზდი] ტყვედ ჩაიგდო, წაიყვანა ეგვიპტეში და მართვა საჩუქრად დედოფალ კლეოპატრას.

გვირგვინი მიიღო ტიგრანის ძმის არტაშესის ძემ არშამმა. ის ხარეს უხდიდა რომაელებს შუამდინარეთში, ჰეროდეს დროს, რომელიც დააყენა ანტონიუსმა ებრაელთა მეფედ. სპარსელთა მეფის არშავირის დროს, რომელიც ძალიან ახალგაზრდა იყო, [სპარსელებმა] ვერ შესძლეს დახმარებოდნენ

* არშაკანი > – გ

ვარდან არეველი

არშამს, რის გამოც ის დაემორჩილა კეისარს და მისცა ჰე-როდეს მუშები ანტიოქიაში ქუჩების მოსაკირნყლად. ის მეფობდა 20 წელი და გარდაიცვალა.

გვირგვინი მიიღო მისმა ვაჟმა ავაგ აირმა, რომელსაც ასურელები აბგარს⁵⁴ უწოდებენ. მისი მეფობის მეორე წელს იმვა ქრისტე^{*} და გამოვიდა კეისარ ავგუსტუსის ბრძანება ქვეყნის აღწერის შესახებ. მისი გამოსახულება მოიტანეს სომხეთში და მთელი სომხეთი მოექცა [რომაელთა] ხარკის ქვეშ, ისე როგორც ასურეთი, ეგვიპტე და მთელი ხმელთაშუა ზღვის ქვეყნები ებრაელთა მსგავსად^{**}.

ადამის [სამოთხიდან] გამოსვლის შემდეგ, ებრაელთა მიხედვით [გავიდა] 4000 წელი^{***}, 70 განმმარტებლის მიხედვით 5198 წელი, ენანოსის მიხედვით 5091, ასურელთა მიხედვით 5026. [იგულისხმება] თორმეტთვიანი მთვარის წელი.

ავგუსტუსი იყო მეორე თვითმპყრობელი იულიუსის შემდეგ, რომელსაც უწოდებდნენ მუცლიდან გამოღებულს და აგრეთვე კეისარს, რომელიც გამეფდა რომში მეფობის გაუქმებიდან 462 წლის შემდეგ. ავგუსტუსი უფრო განდიდდა, როცა დაიბადა დიდი ომერთი და ყოვლისმპყრობელი მეუფე. ამ დღეებში მოვიდნენ მოგვები 12000 ცხენოსნით და ესმათ რა რომ პალესტინაში შიმშილია, დატოვეს თავიანთი ლაშქარი აბგართან, ხოლო უფროსები წავიდნენ 12 მთავრით და 1000 მხედრით: მელქონ სპარსი, გასპარ ჰინდი, ბაღდასარ არაბი, თან ჰერონდათ ოქრო, გუნდრუკი და კუპრი. ამის შესახებ ვინმე ფრანგმა ლუკიანოსმა, რომელიც იმყოფებოდა ასურეთში, მისწერა კეისარ ავგუსტუსს: „იცოდეს თქვენმა თვითმპყრობელობამ, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მო-

* უფალი (ვ)

** ებრაელთა მსგავსად > - ვ

*** ებრაელთა ... წელი > - მ

ვიდნენ სახელოვანი კაცნი პალესტინაში დაბადებული ერთი ყრმის თაყვანსაცემად, მიიღეს რა ამაზე ბრძანება ზემოდან, დიდი ვარსკვლავიდან, რომელიც წინ უძღვოდა მათ“. როცა მოგვი სხვა გზით წავიდნენ თავიანთ ქვეყანაში, ჰეროდემ დახოცა 1462 ყრმა. უფალი წავიდა ეგვიპტეში. ავგუსტუსმა ეგვიპტეში მოკლა თავისი მხედართმთავარი ანტონიუსი, რომელიც აუჯანყდა მას და გამეფდა. აბგარმა ააშენა ურჰა⁵⁵ და აქ გადაიტანა მწბინიდან თავისი ტახტი და არქივი, ისევე როგორც ტიგრანმა ააშენა ტიგრანაკერტი, რომელსაც უნი-დებენ ამითს.

33-ე წელს უფლის დაბადებიდან გარდაიცვალა სპარსეთის მეფე არშავირი. მას დარჩა სამი ვაჟი და ერთი ასული, რომლებიც დაობდნენ მეფობაზე. აბგარი მივიდა და მშვიდობიანად შეარიგა ისინი. უფროსი ვაჟი არტაშესი გაამეფა, ხოლო სურენს, კარენს და მათ დას კოშმს უბოძა პალჰავის საპატიო სახელი⁵⁶, უკან გაბრუნებისას კი დაავადდა კეთრით. [აბგარი] მოვიდა ედესაში, გაგზავნა რომაელთა მხედართმთავარ მარინოსთან აღნეველთა პიტიახში მარ იპაბი, აპაჟუნელთა მამამთავარი შამშაგრამი და თავისი ერთგული ანანე, რათა [მარინოსს] ღალატად არ ჩაეთვალა მისი აღმოსავლეთში წასვლა. მარინოსს შეხვდნენ ელევტრაპოლისში⁵⁷, მოისმინეს მისგან კეთილი სიტყვები და წავიდნენ იერუსალიმში. აქ მათ წახეს უფალი, რომელიც ახდენდა დიდ სასწაულებს და ირწმუნეს ის. მათ მოუტანეს აბგარს [ამბავი] მათ მიერ ხილულ სასწაულებზე, კვლავ გაბრუნდნენ, განადიდეს [უფალი] და მოიტანეს მისი ხატი, რომელიც იყო ურჰაში, ვიდრე ბერძენთა მეფე ნიკიფორემ⁵⁸ ეს ხატი გადაიტანა კონსტანტინოპოლში აბრაამ მიტროპოლიტის ხელით. [აბგართან] მოვიდა თადეოს მოციქული, მონათლა ის⁵⁹ და მთელი ქალაქი. შემდეგ წავიდა სანატრუქთან და აღესრულა მისგან არტაზ-ში⁶⁰. იგივე ხვედრი ერგო ბართლომე [მოციქულს], რომელიც

ვარდან არეველი

იმავე მეფემ მოკლა ქალაქ არაბისონში. აბგარი მეფობდა 38 წელი და აღესრულა. სანატრუკი ბატონობდა შუამდინარეთში და გააშენა მწბინი⁶¹, რომელიც დაანგრია მიწისძვრამ. ის დაიღუპა ნადირობის [დროს], იმედა 20 წელი^{*}.

გვირგვინი მიიღო არშაკუნი ქალის ვაჟმა ერუანდმა, რომელმაც დახოცა სანატრუკის ყველა შვილი. გადარჩა მხოლოდ ერთი ყრმა, სახელად არტაშესი, რომელიც წაიყვანა სმბატმა სპარსეთში, მეფე დარეჳ უკანასკნელთან. ერუანდმა დაუტოვა შუამდინარეთი ტიტეს⁶², ააშენა ერუანდაქარი და არმავირიდან იქ გადაიტანა სამეფო სასახლე. მისგან შორს მდინარე ახურიანზე ააშენა კერპების სახლი – ბაგარანი. ქურუმად [ბაგარანში] დააყენა თავისი ძმა ერუაზი [თავისი მეფობის] 21-ე წლამდე. ამ დროს დაბრუნდა არტაშესი, გამეფდა და ბრძოლა გაუმართა [ერუანდს] მარელთა ველზე, მდინარე ახურიანთან. ერუანდი გაიქცა კლდეებში და მოკვდა ეს ბოროტთვალიანი კაცი.

გვირგვინი მიიღო არტაშესმა⁶³. ის აშენებს არტაშატს, იმ ადგილზე, სადაც [მდინარე] მენამორი ერთვის ერასხს⁶⁴. მან მოიყვანა ტყვეები ყოველი მხრიდან, არ დატოვა დაუმუშავებელი ადგილი სომხეთში, ოთხნახნაგა კლდეებით მონიშნა საზღვრები. [არტაშესმა] დაანესა კვირები, თვეები და სრული წელი, განავითარა ნაოსნობა, თევზჭერა. ის მეფობდა 41 წელი და გარდაიცვალა. მასთან ერთად დაიღუპნენ დიდი რაოდენობით მისი მსახურნიც.

გვირგვინი მიიღო მისმა ვაჟმა არტავაზდმა, რომელიც რამდენიმე ხნის შემდეგ, ნადირობის დროს დაიხრჩო მდინარე მენამორის ხიდთან, გონებაარეული ეშმაკისაგან⁶⁵. გვირგვინი მიიღო მისმა ძმამ ტირანმა, პეროზ I-ის [მეფობის] მესამე წელს 21 წლით. ამბობენ, რომ მას ჰყავდა ორი სწრაფი ცხენი,

* იმედა... წელი > – მ

რომელებსაც ფრთიანებს უწოდებდნენ. ის დაიღუპა ეკვდეა-ცის⁶⁶ გზაზე, ძლიერად ნასროლი ისრით.

გვირგვინი მიიღო მისმა ძმამ ტიგრან უკანასკნელმა და [მეფობდა] 22^{*} წელი. ის შეცვალა მისმა ვაჟმა ვალარშმა⁶⁷, თავისი თანამოსახელე სპარსეთის მეფის⁶⁸ 32-ე წელს. მან აშენა ვალარშავანი ბასიანის გავარში, სადაც დაიბადა და შემოარტყა კედელი სოფელ ვარდგესს, მდინარე ქასალზე. [ვარდგესი] ააშენა ჰაიკიდ ერუანდ ხანმოკლის სიძემ ვარდგესმა. [ვალარშმა] შემოარტყა მას კედელი და უწოდა ვალარშაპატი⁶⁹, რომელიც ხორ-ქალაქადაც იწოდებოდა. მის დროს გაერთიანებული ბულგართა და ხაზართა⁷⁰ ტომების მეფე იყო ვინმე ვნასეპ სურპაპი. ისინი მოვიდნენ მდინარე მტკვართან ურიცხვი ბანაკით. ვალარშმა ხოცვა-ულეტით განდევნა ისინი ჩირის კარებში⁷¹, მაგრამ ისრით დაიჭრა და უეცრად დაიღუპა, იმედა 20 წელი.

გვირგვინი მიიღო მისმა ვაჟმა ხოსრომ⁷², სპარსთა მეფის არტავანის⁷³ [მეფობის] მეორე წელს და მაშინვე გადაიარა კავკასიის მთა მამის სიკვდილისათვის შურისსაძიებლად. მან მახვილით მოსრა ორივე ტომი, წამოიყვანა ასიდან ერთი წარჩინებული მძევლად და გამობრუნდა. თავისი ბატონობის ნიშნად დადგა იქ სვეტი ელინური წარწერით. მის დროს არტაშირ სტაპრელმა მოკლა არტავანი. ეს რომ გაიგო ხოსრომ, აცნობა ფილიპე კეისარს⁷⁴ და წაიყვანა ეგვიპტის ჯარები უდაბნოს პირიდან, აოხრებდა სპარსეთის ქვეყანას პონტოს ზღვის სანაპირომდე 10 წლის განმავლობაში, გააქცია არტაშირი ინდოეთში, [შემდეგ] მოვიდა ანაკი და ლალატით მოკლა მამაცი [ხოსრო], თვითონ ანაკიც დაიღუპა თავისიანებით. ანაკის ვაჟი გრიგორი წაიყვანა ბუნდარ სპარსმა, რომელიც მოვიდა ანაკის შემდეგ, წავიდა კესარიაში და ცოლად შეირთო

* 42 (3)

ევთალეას და სოფი. ერთი წლის შემდეგ [ბუნდარი] დაპრუნდა სპარსეთში, მას დაეწია სიმამრი და გააჩერა ქალაქ ვალარშაპატში. აქ სოფი გახდა ყრმა გრიგორის ძიძა, რომელიც მიაბარა მას ქმარმა. [ბუნდარს ეს ყრმა] ოგუპმა მისცა ანაკის ტომის გაულეტის დროს, რომელიც წაიყვანა კესარიაში და აზიარა ქრისტეს [რჯულს]. აქ მას ასწავლეს ბერძნული და ასურული ენები. როცა შეიქმნა 12 წლის, ვინმე დავითმა დააქორწინა თავის ქალიშვილ მარიამზე. მათ ეყოლათ ორი ვაჟი და გაშორდნენ ერთმანეთს. მარიამი უფროსი ვაჟით წავიდა დედათა მონასტერში, ხოლო უმცროსი გაჰყვა განდეგილს, ვინმე ნიკომაქს. ვრთანესი დააბრუნა დედამ თავის ძიძასთან, რომელმაც აღზარდა ის და დააქორწინა კიდეც.

ხოსროს სიკვდილის შემდეგ არტაშესმა* მოსპო მისი ხსოვნა, მაგრამ ერთი ყრმა სახელად თრდატი გააპარა მანდაკუნმა ნახარარმა არტავაზდმა საბერძნეთში, სადაც აღზარდა მთავარ ლიკიანესთან. როცა გრიგორმა გაიგო ყოველივე, რაც დაემართათ თავისიანებს, წავიდა თრდატთან და მსახურებდა მას, ხოლო გრიგორის მეორე ძმა სურენი წაიყვანეს არტაშირთან და აღზარდა მამიდასთან, ჰეფთალელთა მეფის ჯუანშერის** ცოლთან. როცა [სურენი] გაიზარდა, გაემართა ჭენთა ქვეყანაში და დარუბანდში და გამეფდა მათზე. ზოგიერთები ამბობენ, რომ გრიგორის ძმა იყო ვინმე იაკობი, მეტსახელად ბრძენი. მაგრამ იაკობი იყო მეფე ტირანის ცოლის, ანაკის დის ხოსროვუპეს ვაჟი, რომელიც მოკლა ლეფინთა მეფემ არიდესმა. იაკობმა წაიყვანა თავისი და საკდენი, მისი ვაჟი ჰრაჩე და მშობლების სიკვდილის შემდეგ წავიდა გუთების ქვეყნებში, სადაც ჰრაჩე ბედნიერი შემთხვევის წყალობით გამეფდა. ის გაემართა ბერძენთა მეფის წინააღმდეგ

* არტაშირმა (ვ)

** ჯუანშერის ძის (ვ)

და გამოიწვია პრძოლაში კეისარი დიოკლეტიანე. მან ჰრაჩეს-გან შეშინებულმა დაიწყო სხვა ვინმე უფრო ძლიერის ძებნა და იპოვა თრდატი. ის გამოეწყო კეისრის მსგავსად, შეიპყრო ჰრაჩე და მიჰვარა კეისარს. ამისათვის [თრდატმა] მიიღო მეფობა, მოვიდა სომხეთში გრიგორისთან ერთად, თავისი მეფობის პირველსავე წელს ანამა წმინდანი ღვთისა და ჩაგდო ღრმა ორმოში. თრდატის [მეფობის] მე-15 წელს სომხეთში მოვიდნენ წმ. ქალწულები და ენამნენ⁷⁵. მეფეს ამის გამო უბედურება ენვია. წმ. გრიგორი ამოვიდა [ორმოდან], ხუთი დღე იმარხულა და სამოცდლიანი ქადაგებით გაათავი-სუფლა ქვეყანა დევთმსახურებისაგან. თრდატის [მეფობის] მე-15* წელს ის მღვდლად იკურთხა უფლისგან, სამარადისო დიდება მას, ამინ**.

იულიუს კეისარი მეფობდა 4 წელი და 7 თვე. ის ფარუ-ლად მოკლა ერთმა საჭურისმა და დაწვა ცეცხლში. მისგან მოყოლებული რომის მეფეებს უწოდებენ კეისრებს, მისი წარ-მატებების გამო. ავგუსტუსი [კეისარი იყო] 56 წელი. ის ან-ტონიუსის მოკვლის, ეგვიპტისა და ასურეთის აღების შემდეგ იწოდა სეპასტოსად და ოქტავიოსად, რაც ნიშნავს „ძლევამო-სილს და ბედნიერს“. მისი [მმართველობის] 43-ე წელს იშვა უფალი. ტიბერიუსი [კეისარი იყო] 22 წელი. მისი [მმართვე-ლობის] მე-16*** წელს მოინათლა ჩვენი უფალი იესო ქრისტე. გაიუსი [კეისარი იყო] 4 წელი. მან ბრძანა მისთვის ღმერთი ეწოდებინათ და ღმერთმა მოკლა ის. კლავდიუსი [კეისარი იყო] 13 წელი და 9 თვე. მისმა ცოლმა და ვაჟებმა ირწმუნეს ქრისტე და მოიპოვეს უფლის ჯვარი. ნერონი [კეისარი იყო] 13 წელი. მან დახოცა წმ. მოციქულები. ვესპასიანე [კეისარი

* მე-17 (ვ)

** სამარადისო ... ამინ > - ვ

*** მე-15 (ვ)

ვარდან არეველი

იყო] 10 წელი, მისი ვაჟი ტიტე – 2 წელი. მან აიღო იერუსა-ლიმი. დომიციანე, ტიტეს ძმა [კეისარი იყო] 15 წელი. მან გაგ-ზავნა იოანე პატმოსში, ნერვა – 1 წელი. მან დააბრუნა იოანე აზიაში; ტრაიანე – 19 წელი, მან მოკლა იგნატიოსი; ადრიანე – 21 წელი. მან გააშენა იერუსალიმი თავისი სიმამრის აკი-ლასის დახმარებით; ტიტე ანტონიუსი, რომელიც იწოდებოდა ღვთისმოსაგად, შვილებთან ერთად – 24* წელი. ავრელიუსი – 59** წელი; კომოდუსი – 13 წელი; პერტინაქსი – 6 წელი; სე-ვერუსი – 19*** წელი; ანტონიუსი, სევერუსის ვაჟი – 4 წელი; ალექსანდრე სევერუსი**** – 13 წელი; მაქსიმინე – 3 წელი; გორდიანე – 6 წელი. მასზე ამბობენ, რომ ირწმუნა უფალი; ფილიპე – 6 წელი. მან კავშირი შეკრა ჩვენს ხოსროსთან; დე-ციუსი – 1 წელი; გალიენე – 3 წელი; ვალერიანე – 17 წელი; კლავდიუსი – 1 წელი; ავრელიანე – 7 წელი; ტაციტუსი – 6 წელი. მან შური იძია ხოსროს სიკვდილისათვის და მოკლეს; პრობუსი – 6 წელი. ზოგიერთები ამბობენ, რომ მან დაად-გა გვირგვინი თრდატს; კარუსი თავისი ვაჟებით – 2 წელი; დიოკლეტიანე და მაქსიმიანე – 19 წელი.

[დიოკლეტიანეს მმართველობის] მესამე წელს გამეფე-ბული თრდატი მოვიდა სომხეთში, ნახა აქ მთავარი ოტა, რომელმაც დაიცვა სამეფო განძი და [გადამალა] მისი და ხოსროვიდუხტი ანისის ციხე-სიმაგრეში⁷⁶. მრავალი სომები ნახარარი გამოვიდა [თრდატის] წინაშე. თრდატის [მეფობის] მე-17***** წელს წმ. გრიგორი⁷⁷ დაჯდა წმ. თადეოს მოციქუ-ლის ტახტზე. კესარიის პატრიარქ ღევონდისაგან წამოიღო

* 22 (3)

** 19 (3)

*** 18 (3)

**** მამე (3)

***** მე-15 (3)

წმ. ოთანე კარაპეტის წეშტი [სომხეთში], რომელიც ოთანესმა პატმოსიდან დაბრუნებისა და იერუსალიმში წასვლის დროს მოიტანა ეფესოში. დეციუსის დროს ფერუშიანოსმა ეს წეშტი გადაიტანა კესარიაში. წმ. გრიგორმა სთხოვა წეშტი წმინდათა წმინდა ღევონძს, მაგრამ მას არ სურდა მიცემა, ვიდრე არ მიიღო ბრძანება ანგელოზისაგან. ამის შემდეგ მისცა მას [წეშტი] ორ ძვირფას თვალთან ერთად, რომლებიც რომის პატრიარქისაგან ჰქონდა, აგრეთვე წმ. ათანაგენის წეშტი, რომელზეც ამბობენ, რომ იყო წმ. გრიგორის ცოლის, მარიამის ძმა. გადმოიტანა ეს წეშტი და დათესა სომხეთის მიწაზე, ნაწილი კი შეინახა აშტიშატში, ორი ინდოელი ძმის, მთავრების დემეტრესა და გისანის ადგილებში. [ეს ინდოელი ძმები] მოვიდნენ მეფე ვალარშაკთან და 15 წლის შემდეგ მოკლეს იმ ადგილებში. მათმა შვილებმა სამემკვიდრეოდ [მიიღეს] ტარონი. ისინი იყვნენ გრძელთმიანები და ეხლაც ზოგიერთები თმებს იტოვებენ, რის წებაც არავის ეძლევა.

იმ ხანებში ირწმუნა უფალი ესპანელმა კონსტანტინემ⁷⁸, რომელიც მეფობდა 34 წელი. მან დაიპყრო მთელი ევროპა, ხმელთაშუა ზღვის ქვეყნები და შუამდინარეთი. ეს რომ გაიგეს თრდატმა და წმ. გრიგორმა გაეშურნენ მასთან 70 000 მხედრით და შეკრეს კავშირი. მაშინ წმ. კონსტანტინემ მოისმინა გრიგორისაგან ქრისტეს ხორცშესხმის ამბავი. კონსტანტინემ ბრძანა მთელ იტალიაში ეზეიმათ მათი მოსვლა მსხვერპლშენირვით და თან წარმოეთქვათ: „მივუძღვნათ თავი ზეციურ ძალებს“. წმ. გრიგორმა ბრძანა მოეტანათ მარილი, აკურთხა და გაგზავნა მთელ ქვეყანაში, რათა ამ [მარილის] გარეშე არ შეენირათ მსხვერპლი, რადგან ის, რაც არ არის სამღვდელო პირის მიერ ნაკურთხი, კერპთმსახურებად ჩაითვლება. ებრაელებიც კი ჯერ განიბანდნენ და შემდეგ ჭამდნენ. წმ. გრიგორმა თქვა: „მათი ვაჟები არიან, რომლებიც წინდაცვეთას წინდაუცვეთაობად აქცევენ“. ორივე მეფემ⁷⁹ და

ვარდან არეველი

ორივე პაპმა გრიგორმა და სელვესტროსმა დადეს აღთქმა ეცოცხლათ და მომკვდარიყვნენ ერთმანეთისათვის. ამბობენ, რომ აღთქმის წერილის წერისას აწობდნენ წმ. საიდუმლოებაში⁸⁰.

დასავლეთიდან დაბრუნების შემდეგ მათ [დახვდათ] ალბანთა მხარე ჩრდილოეთის ხალხებით გავსებული სპარსთა მეფის შაპუჟის⁸¹ წაქეზებით. სლკუნთა ტომის მამამთავარი აჯანყებულიყო და შეფარებოდა ულკანის ციხეს⁸². აქ შეიჭრა ჭენი მამგუნი, მოჭრა თავი მას და გაუგზავნა თრდატს. [თრდატმა] მისცა მას ეს გავარი და მისი სახელის მიხედვით უწოდა მამიკონიანთა სახლი⁸³. გოლიათმა თრდატმა დაამარცხა ჩრდილოეთის ტომები გარგარელთა გავარში, სადაც მოკლა ბასილთა გოლიათი მეფე ქამანდის სროლით.

წმ. გრიგორმა, თავისი მოღვაწეობის 30-ე წელს, კესარიაში ხელდასასხმელად გაგზავნა არისტაკესი, იმის გამო, რომ თადეოს მოციქულმა აქ მოახდინა პირველი ხელდასხმა და საძირკველი ჩაუყარა ეკლესიას. ეპისკოპოსს, რომელიც აქ დააყენა წმ. მოციქულმა, ერქვა თეოფილე. როდესაც არისტაკესი დაბრუნდა კანონიკური წესებით ნიკეის საეკლესიო კრებიდან⁸⁴, წმ. პატრიარქი გრიგორი წავიდა ტარონში, დაჰყო იქ 4 თვე ანტონთან და კრონიდესთან, რომლებმაც უთხრეს მას: „დაიმალე სიბერის ჟამს გადამეტებული დიდებისაგან თავის დასალწევად, ისევე, როგორც დიდი მოვსესი, რათა თაყვანი არ სცეს შენს ძვლებს ახლადმოქცეულმა ხალხმა, ან არ შეცდნენ შენი სიკვდილის დროს არასწორი აზრებით“. მან შეასრულა ეს, წავიდა იქიდან მანის გამოქვაბულში⁸⁵ და აღესრულა მთაში დაყრდნობილი თავის კვერთხზე. ის იპოვეს მწყემსებმა და დამარხეს, ისე რომ არ იცოდნენ ვინ იყო. შემდეგ, როცა გაიგეს, განადიდეს ეს ადგილი. ამბობენ, რომ როცა იმპერატორი ზენონი ეძებდა მის ნაწილებს, [წმ. გრიგორი] სიზმარში გამოეცხადა ვინმე განდეგილს და სთხოვა

წაეღო და დაემალა ის საიდუმლოდ თორდანის ეკლესიის საძირკვლის ქვეშ, რომელიც „მე ავაშენეო“ – თქვა მან. და არის [წმ. გრიგორის წანილები] აქ ფარულად. კეისარს კი, როგორც ამბობენ, მისცეს რაც კი იპოვეს, ზოგიერთი წანილები არშარუნის ეპისკოპოსისა, რომელსაც ერქვა სახელად გრიგორისი და მისი ამ სახელის გამო განდიდდა. ის იყო კაცი ქველი და კეთილი.

წმ. კონსტანტინემ გაანადგურა მაქსიმიანე, მაქსენციუსი, მაქსიმიანე^{*} და უკანონო ლიცინიუსი⁸⁶, რომელმაც გაგზავნა ვინმე ასისთავი თავისი რაზმით კაპუტაკის გავარში და თევლახუნის, ანატოლიის, ხარასნექის, არამენაკის, დაზიმონის თემებში, რომ ეწამებინა ვისაც კი ჰპოვებდა ქრისტიანს. მისგან შეშინებულები გაიქცნენ სებასტიის მხარეში, ზოგიერთები კი მელესიტში – ციხე-სიმაგრეში მთიან მხარეში, სხვები გაიქცნენ ტახალასონის მთაში, მაგრამ შეპყრობილები გამოიყენეს და დახოცეს ეკვედეცაძორში. მათ ხსოვნას დღემდე სცემენ პატივს⁸⁷. მათგან 40 წმინდანი წავიდა და დაიმალა გამოქვაბულები, რომელიც მდებარეობს მდინარე ალისთან და ახლა იწოდება ქაჯაპანად. იქ მათ აღმართეს ჯვარი და დაწერეს კლდეზე თავიანთი სახელები, რაც გაიგეს და უამბეს ლიცინიუსს. მისი ბრძანებით მოვიდნენ და გამოდევნეს ისინი იმ გამოქვაბულიდან არეგის⁸⁸ თვის 17-ს. უხტანეს-მა ამ დღეს დააწესა საეკლესიო დღესასწაული. [ეს დღე] იყო მათი გმირობის დასაწყისი, ხოლო აღესრულნენ – 9 მარტს.

ამის შემდეგ, თრდატ მეფის მიერ შევიწროებულმა სპარსთა მეფემ შაპუჰმა მშვიდობა სთხოვა კონსტანტინეს. [კონსტანტინე] დათანხმდა და მოსთხოვა [შაპუჰს] დავით წინასწარმეტყველის გვირგვინი, რომელიც წაიღო იოაბმა ამონის შვილებისაგან, მელქომის სახლიდან და დადგა თავზე

* მაქსენციუსი, მაქსიმიანე > – მ

ვარდან არეველი

დავითს*. ის ჩაუგარდა ხელთ ქალდეველებს, შემდეგ კიროსს და დარეპს, დარეპიდან ალექსანდრეს. [ამ გვირგვინით] იკურ-თხებოდნენ მაკედონელები ანტიოქიამდე, რომელიც მოკლა არშაკ პართელმა და წაიღო მისგან [ეს გვირგვინი]. ასე მიაღწია [გვირგვინმა] შაპუჟამდე, რომლისგანაც ითხოვა კეი-სარმა, რათა მისი ნიმუშით გაეკეთებინა თავისი გვირგვინი და შემდეგ მისი გვირგვინი მისთვისვე დაებრუნებინა. როდე-საც მზად იყო, დასდო ორივე [გვირგვინი] სეფაზე და უთხრა შაპუჟის მსახურებს, რომ წაეღოთ თავიანთი. მათ დაათვა-ლიერეს, წაიღეს ახალი [გვირგვინი] და წავიდნენ, რადგან კონსტანტინე სთხოვდა ღმერთს, რომ მასთან დაეტოვებინა წმ. დავითის ხსოვნა.

წმ. თრდატი, რომელიც მონათვლის დროს იწოდა იოანედ, თავდაჭერილი ცხოვრებისა და ბოროტების სიძულვილის გამო მოწამლეს და მოკლეს ვიღაც უღმრთოებმა, 56 წლის მეფობის შემდეგ. რესტაკესი მოკლა მეოთხე სომხეთის მთა-ვარმა არქელაიოსმა, წოფის გზაზე, განუწყვეტელი საყვედუ-რების გამო მის ბოროტ საქმეებზე. ტახტი დაიკავა მისმა ძმამ ვრთანესმა⁸⁹, ჯერ კიდევ თრდატის სიცოცხლეში, მისი მეფობის 54-ე წელს. რესტაკესი წაასვენეს და დაკრძალეს თორდანში, მამის გვერდით.

თრდატის სიკვდილის შემდეგ სანატრუკ მეორე არშაკუნი დამკვიდრდა ფაიტაკარანში, დაიდგა გვირგვინი და განიზრა-ხა გაბატონება მთელ სომხეთში. მან მოსაკლავად მისცა ყრმა გრიგორისი ბარბაროს ტომს ვატნიანის ველზე. მისი გვამი გადაიტანეს და დაკრძალეს ამარასში⁹⁰. ეს რომ გაიგო აღძნე-ველთა დიდმა მთავარმა ბაჟურმა, კავშირი შეკრა სპარსელთა მეფე ორმიზდთან და განიზრახა [იგივე, რაც] სანატრუკმა. ეს რომ შეიტყვეს სომეხმა ნახარარებმა, შეიკრიბნენ დიდ ვრთა-

* მეფე დავითს (ვ)

ნესთან და გაგზავნეს ორი მთავარი კონსტანტინე დიდის ვაჟ-თან, კონსტანტისთან, რომელიც მამის სიკვდილის შემდეგ მეფობდა 24 წელი, რათა შესწეოდა სომხებს და გვირგვინი დაედგა თრდატის ვაჟის ხოსროსთვის⁹¹. [კონსტანტიმ] შეინ-ყნარა მათი თხოვნა და გაგზავნა მხედართმთავარი ანტიოქი-სი, რომელმაც გვირგვინი დაადგა ხოსროს და გაემართა სა-ნატრუკის წინააღმდეგ. [სანატრუკმა] ეს რომ გაიგო გაიქცა სპარსეთში, ხოლო სომეხთა ჯარმა ააოხრა მისი ქვეყანა და გაბრუნდა.

მანაჭიპრ რშტუნი გაემართა ბაკურის წინააღმდეგ, მოკლა ის, წაიყვანა მრავალი ტყვე მწბინის მხარიდან, მათ შორის წმ. იაკობის 7 დიაკონი და გაბრუნდა. [მას] უკან გაჰყვა წმ. იაკობი და სთხოვა [ტყვე დიაკვნები], მაგრამ მან არ მისცა. [იაკობს] სურდა წასულიყო მეფესთან, მაგრამ [მანაჭიპრმა დიაკვნები] მდინარეში ჩაყარა. ეს რომ შეიტყო წმ. [იაკობმა] დაბრუნდა თავის ადგილსამყოფელში, დაწყევლა მანაჭიპრი და მისი ქვეყანა. ამის გამო [მანაჭიპრი] მოკვდა საშინელი სიკვდილით, ხოლო ის მხარე უნაყოფო გახდა, ვიდრე მანაჭიპ-რის ვაჟმა ლირსეულად არ მოინანია. მან მოიტანა წმინდანის სიკვდილის შემდეგ მისი საფლავიდან მიწა, აკურთხა თავისი ქვეყანა ღმერთთან შერიგებით და წმ. იაკობის კეთილი სიტ-ყვით.

კონსტანტინე დიდს ჰყავდა ერთი ძმა (სახელად დალმა-ტიოსი, რომელსაც ჰყავდა ორი ვაჟი: გალოსი და იულიანე) და სამი ვაჟი. უფროსი კონსტანტი ატარებდა მამის სახელს და მას მისცა კონსტანტინოპოლი. ანდერძის მიხედვით, შუა-თანას, აგრეთვე თავის მოსახელეს, მისცა ანტიოქიის ტახტი და უმცროსს – რომი⁹². შუათანამ მოატყუა ანდერძისმცველი და მიიღო კონსტანტინოპოლი, შეპირდა მისი მწვალებლობის დაცვას, რადგან ის არიოსის მიმდევარი იყო. უფროსმა აიღო ანტიოქია და წავიდა უმცროსის წინააღმდეგ რომის [წასარ-

თმევად]. გამოვიდა მის წინააღმდეგ მისი ბიძა დალმატიოსი და მოკლა ის. უმცროსმა კონსტანციუსმა მოკლა ის* ძმის გამო, ხოლო მისი შვილები გაიქცნენ შუათანა ძმასთან. კონსტანციუსის [მეფობის] მეექვსე წელს გაძლიერდა მაგნენციუსი და ხელთ იგდო იტალია, აფრიკა და გვირგვინი დაიდგა სერმში. ამით გამხნევებულმა ვიღაც ბოროტმა კაცებმა მოკლეს კონსტანციუსი და მისი ძმისშვილი. ეს რომ გაიგო შუათანა ძმამ, მოვიდა, მოკლა მაგნენციუსი და თვითმპყრობელი გახდა. [მან] გალოსი დაადგინა ანტიოქიის კეისრად, ხოლო იულიანე გაგზავნა სასწავლებლად ათენში. ამის შემდეგ აჯანყდა გალოსი და დაიღუპა, ხოლო იულიანე გადარჩა დედოფლის თხოვნით. [იმპერატორმა იულიანე] დაადგინა დასავლეთის კეისრად, მისცა მას ცოლად თავისი და ალინე, თვითონ კი ანტიოქიაში წავიდა. იულიანემ დაამარცხა ბარბაროსები, დაიდგა თავზე გვირგვინი და მოვიდა კონსტანტინოპოლში. მის წინააღმდეგ გამოემართა კონსტანტი, რომელიც მონათლა ზოიამ და დაიღუპა კილიკიასა და ისავრიას შორის. ამბობენ, რომ მან სიკვდილის წინ მოინანია და მართლმადიდებლური რწმენით მიიცვალა უფალ ქრისტესთან. მის შემდეგ იულიანე [მმართველობდა] 2 წელი და 9** თვე. მის შემდეგ – იოვიანე 1 წელი, რომელსაც აქებს სოკრატი. ზოგიერთები ამბობენ, რომ ის იყო არიოსის მიმდევარი, შურს იძიებდა მართლმადიდებლებზე, რის გამოც მოახრჩეს. მის შემდეგ [მმართველობდა] ვალენტი 14 წელი, რომელიც არიოსის მიმდევარი იყო. 40 დღის შემდეგ მისი ძმა ვალენტინიანე შეუერთდა მას და [მეფობდნენ] 12 წელი. ის მოკვდა ბარბაროსების წინააღმდეგ მიმართული მუქარით აღსავსე ბევრი ლაპარაკის გამო. ვალენტი, რომელმაც გააძევა ჩვენი ნერსე-

* უმცროსმა ... ის > – მ

** 8 (ვ)

სი და შანთით დადაღა, დაიღუპა ადრიანოპოლში, მიხმობილი ჯოჯოხეთისგან.

ხოლო ჩვენი ხოსრო სპარსთა მეფის ორმიზდის მეორე წელს და კონსტანციუსის მეფობის მერვე წელს [გამეფდა] თავის სამშობლოში 9 წლით, ააშენა დვინი⁹³, რაც ნიშანვს გორაკს. იქ მათივე სურვილით გადაასახლა არტაშატის მკვიდრნი და ცხელი ჰავის გამო ააშენა აქ თავისი სამეფო სასახლე. მის დროს ჩრდილიან მხარეებში გაერთიანებული 30 000 კაცი თავს დაესხა აირარატს, სადაც სათნო ვაჰან ამატუნმა მოკლა მათი მხედართმთავარი შემოსილი სქელი ქეჩით. მისი ძლეული ლაშქარი უკან გაბრუნდა ზარალით. ამ ბრძოლაში დაეცა სარდალი ვაჩე⁹⁴. წმ. ვრთანესმა ბრძანა მისი სახელი მოეხსენიებინათ წირვის დროს. ხოსრო გარდაიცვალა და დაკრძალეს მამის [გვერდით] კამახში.

თვითმპყრობელმა კონსტანტინემ თავისი [მეფობის] მე-17 წელს გვირგვინი დაადგა [ხოსროს] ვაჟს ტირანს⁹⁵ და გაგზავნა სომხეთში. ის არ წავიდა თავის ქველმოქმედ მამა-პაპათა გზით. მისი [მეფობის] მესამე წელს წმ. პატრიარქი ვრთანესი წავიდა ამ ქვეყნიდან და დაკრძალეს თორდანში.

წმინდა ტახტი დაიკავა მისმა შვილმა იუსიკმა 6 წლით. ის სასტიკად კიცხავდა მეფეს მისი საზიზღარი საქმეები-სათვის. მის დროს მოიტანეს იულიანეს გამოსახულება ტირანთან, რომელმაც მოისურვა მისი დადება წოფის გავარის ეკლესიაში. წმ. იუსიკმა ფეხქვეშ გათელა და დაფშვნა ის ფილაქაზე. განრისხებულმა მეფემ ბრძანა ეცემათ ის ღვედით სულის ამოხდომამდე. ის წაიღეს და დაასვენეს მამის გვერდით. მაშინ მოვიდა მხცოვანი ქორეპისკოპოსი წმ. დანიელი, წმ. გრიგორის ყოფილი მოწაფე და დასწყევლა ტირანი. ამაზე განრისხდა მეფე და ბრძანა მისი დახრიბა. ის დაკრძალეს თავის მონასტერში, რომელიც „იფნის სამოთხედ“ იწოდებოდა. [პატრიარქის] ტახტი მიიღო კარგმა კაცმა ფარნერსეჲმა

აშტიშატიდან 4 წლით. მის დროს მოვიდა სპარსელთა სარ-დალი დიდი ლაშქრით და მოტყუებით თავისთან იხმო ტირანი, რომელსაც თვალები დასთხარა აპაჰუნის გავარის [ერთ] სოფელში, რომელიც ამ შემთხვევის გამო იწოდა არნივად⁹⁶. ამით ლმერთმა მისცა ტირანს ნება ეთქვა: „ორი მნათობი ჩა-ვაქრე და ამის გამო ჩაქრა ჩემი ორივე თვალის [სინათლეც]“.

ამბობენ წმ. იუსიკი მხოლოდ ერთხელ იყო თავის ცოლ-თან, რომლისგანაც ეყოლა ორი ტყუპი ვაჟი – პაპი და ათა-ნაგინესი. ისინი დიაკვნებად იყვნენ ხელდასხმულნი, მაგრამ შეძლებ თავი მისცეს უწმინდურებას, [რის გამოც] მეხმა განგმირა ისინი ერთ და იმავე დღეს. ათანაგინესს დარჩა ერთი ვაჟი ნერსესი⁹⁷, რომელიც სასწავლებლად იყო წასული კესარიაში. ტირანის შვილის არშაკის⁹⁸ მეფობაში [ნერსესი] მივიდა მასთან, იყო მისი მორჩილი და ატარებდა [მეფის] მახვილს. ბევრი ხვეწნა-მუდარის შედეგად ის დაითანხმეს და გაგზავნეს კესარიაში წმ. თადეოსისა და გრიგორის ტახ-ტის მისაღებად. სულინმიდამ მოახდინა სასწაული, დაეშვა მის თავზე მტრედის სახით, მხილველთა განსაცვიფრებლად. [ნერსესმა] დაბრუნების შემდეგ მოაწესრიგა ჩვენი ქვეყანა: ააშენა მონასტრები, სასტუმროები, თავშესაფრები, სწეულ-თა და კეთროვანთა სახლები, ცდილობდა აღმოეფხვრა შუღ-ლი, ულმობლობა, ტირილი მიცვალებულებზე და ნათესავთა შეუდლება. ამ დროიდან ჩვენი ქვეყანა დაემსგავსა ზემო იერუსალიმს, აივსო ყოველგვარი კეთილსახიერებით. ეს რომ დაინახეს მეფემ, ნახარარებმა და ეკლესიის ბრძენმა ხელ-მძღვანელებმა, უწოდეს მას პატრიარქი. ისინი ამბობდნენ: „იმიტომ რომ ჩვენთან არიან ურყევი სვეტი: ბართლომე, თადეოსი და წმ. ნათლისმცემელი, რომელიც რომში პაპად იწოდებოდა, იმის თანასწორად, ვინც იჯდა პეტრე მოციქუ-ლის ტახტზე“. თავდაპირველად მხოლოდ ოთხი [ტახტი] იყო: ანტიოქიაში – მათესი, რომში – ლუკასი, ეფესოში – იოანესი

და ალექსანდრიაში – მარკოზისა. კონსტანტინე დიდის შვილების დროს, კონსტანტინოპოლელებმა და იერუსალიმელებმა გაპედეს და პატრიარქები უწოდეს თავიანთ წინამძღოლებს. კონსტანტინოპოლში [პატრიარქის ტახტი დააწესეს] იმიტომ, რომ აქ გარდაისახა იოანე, ხოლო იერუსალიმში იმიტომ, რომ იქ მოხდა [უფლის] ხორცესხმა⁹⁹. [სომხებმა] თქვეს: „ჩვენ დავემყარებით ჩვენს დიდ სიამაყეს“. ქალაქების სებასტიის, მელიტენეს და მარტიროსის ეპისკოპოსებს ეწოდათ მიტროპოლიტები. სომხეთში დააწესეს 9 სასულიერო დასი, ესენია: პატრიარქი, მიტროპოლიტი, ეპისკოპოსი, მღვდელი, დიაკონი, დიაკვნის თანაშემწე, მედავითნე, ბერი და მრევლი.

ამ ხანებში განუდგა არშაკი ვალენტინიანე¹⁰⁰ კეისარს. მან განრისხებულმა მოკლა არშაკის ძმა თრდატი, რომელიც მდევლად იყო მასთან. დიდი ნერსესი წავიდა კეისართან, რომელმაც პატივით [მიიღო], მიუღლცა მას პატრიარქის ხარისხი, მისცა მოკლულის ვაჟი, მრავალი საჩუქარი და გამოისტუმრა სომხეთში. ვალენტინიანეს სიკვდილის შემდეგ ბოროტმა ვალენტმა¹⁰¹ დაარღვია სომხეთთან მშვიდობა და თავისთან დაიბარა არშაკი სარდალ თეოდოსის საშუალებით. წმ. პატრიარქმა [ნერსესმა] წაიყვანა არშაკის ვაჟი პაპი, წავიდა თეოდოსთან და [წარსდგა] კეისრის კარზე. [ნერსესმა] იხილა მეფე, უქადაგა მას მართლმადიდებლობა, რომელსაც არ იზიარებდა და [რის გამოც] მოკვდა მისი ვაჟი. განრისხებულმა [მეფემ] გადასახლა ის დაუსახლებელ კუნძულზე 70 კაცთან ერთად 9 თვით. აქ ისინი ღვთის წყალობით იკვებებოდნენ შაბათობითა და კვირაობით თევზით, რომელსაც ზღვის ტალღები გამოუგდებდნენ ხოლმე შეშასთან და ცეცხლთან ერთად. როგორც ამბობენ, მონამე გიორგიმ მოკლა ვალენტი და მისი გვამი დაიწვა. გვირგვინი მიიღო დიდმა თეოდოსმა¹⁰². მან დააპრუნა წმ. [ნერსესი] კუნძულიდან და მასთან ერთად მოიწვია სულთმობრძავთა წინააღმდეგ 150 ეპისკოპოსის

კრება, რომელმაც დასწყევლა მაკედონი და ყველა მის მიერ გზააცდენილი¹⁰³. პატრიარქი ნერსესი განმტკიცდა 150 ეპისკოპოსის მოწმობით და დაბრუნდა სომხეთში.

არშაკმა მოკლა თავისი ძმისშვილი გნელი, მისი ცოლის ფარანქემის გამო, ტირითის ჩაგონებით. წმ. ნერსესმა დასწყევლა ის და თვითონ კი წავიდა საბერძნეთში, დატოვა თავის ადგილზე ხადი, ბაგრევანდის ეპისკოპოსი, რომლის ბელლები უხვად ივსებოდა ისე, როგორც ელიას ქვრივისა.

ამ ხანებში სპარსეთის მეფე შაპუჰი¹⁰⁴ მოვიდა ადარბა-დაგანში და თავისთან იხმო არშაკი, შეიპყრო და ბორკილ-დადებული გაგზავნა ციხე-სიმაგრე ანუშში. აქ [არშაკმა] თავი მოიკლა. ეს რომ გაიგო წმ. ნერსესმა, სთხოვა კეისარს, გაემეფებინა პაპი¹⁰⁵ – არშაკის ვაჟი, რაც მან აღუსრულა კიდეც. [კეისარმა] გაგზავნა ჯარი სომხეთში პატრიარქ ნერსესთან ერთად. ისინი ჩამოვიდნენ და ნახეს ქვეყანა ქრისტეს მგმობი მეპრუჟან არწრუნის ხელისუფლების ქვეშ, სავსე სპარსელ-თა ჯარით, რომელიც დაამარცხეს წმ. [ნერსესის] ლოცვით. მეპრუჟანი შეიპყრო სმბატ ბაგრატუნმა, ამონვა ის გახურებული გვირგვინით და ასე შერცხვენილი დაიღუპა. ქვეყანა გაძლიერდა პაპის შვიდწლიანი [მმართველობისას]. მის დროს ბერძნეთა სარდალმა ანატოლიმ ააშენა [ქალაქი] თეოდოსიო-პოლი¹⁰⁶ კეისრის სახელზე. პაპი განრისხდა ნერსესზე მისი საყვედურების გამო და დაალევინა საწამლავი სოფელ ხახში, უკალეაცის გავარში¹⁰⁷. ის დაკრძალეს თილში. [ნერსესს პატრიარქის] ტახტი ეპყრა 34 წელი. პაპმა მის ადგილზე დააყენა ვინმე შაპაკი* მცირე ხნით, შემდეგ პატრიარქთა ნე-სის მიხედვით საპაკი**, აპაპუნიქის გავარიდან, კესარიის მიტ-

* ჩუნაკი (ვ)

** შაპაკი (ვ)

როპოლიტის თანხმობის გარეშე, რომელიც ფლობდა ტახტს 4 წელი.

სარდალმა ანატოლიმ მოტყუებით იხმო [თავისთან] პაპი, დაადო ბორკილები და გაგზავნა თეოდოსთან, რომელმაც ნახვის ღირსადაც არ ჩათვალა ის და ბრძანა გადაეგდოთ ზღვაში¹⁰⁸. [მან] გაამეფა სომხებზე ვინმე ვარაზდატ¹⁰⁹ არშაკუნი 4 წლით. მეორე წელს მიიცვალა უფალი საპაკი და შეცვალა ის მისმა ძმამ ზავენმა, რომელიც ისეთივე კარგი იყო, როგორც [საპაკი]. ის [პატრიარქი იყო] 4 წელი.

ვარაზდატმა განიზრახა მამაცი მუშელის მოკვლა, რის-თვისაც დევნილ იქნა მამიკონიანთა გვარის მიერ. თეოდოსმა გადაასახლა ის კუნძულ თულისზე და სომხეთში გაამეფა პაპის ორი ვაჟი – არშაკი და ვალარშაკი.

არშაკის [მეფობის] მესამე წელს მიიცვალა ზავენი და [პატრიარქის] ტახტი დაიკავა ასპურაკესმა – მათმა ძმამ და [მათივე მსგავსად] კეთილმოქმედმა 7* წლით. [სომხეთი] გაიყვეს სპარსეთის [მეფემ] შაპუჰმა და არკადიმ – თეოდოსის ვაჟმა¹¹⁰, რომლებიც სიყვარულით დაუკავშირდნენ ერთმანეთს. არშაკმა აიღო [სომხეთის] ბერძენთა კუთვნილი მხარე ერთ-მორწმუნოების გამო, ხოლო ვალარშაკს ჰქონდა [სომხეთის] სპარსთა ნაწილი – აღმოსავლეთი მხარე. ის გარდაიცვალა და მის ადგილზე შაპუჰმა დააყენა ვინმე ხოსრო არშაკუნი, რომელიც 3 წლის შემდეგ განდევნეს ხელისუფლებიდან ქვეყნის აგენტების დაბეზღუდების გამო. მან დასვა საპატრიარქო ტახტზე წმ. საპაკი – დიდი ნერსესის ვაჟი, რომელიც განაგებდა წმ. ტახტს 50 წელი.

სპარსთა მეფემ ხოსროს ადგილზე დააყენა მისი ძმა ვრამ-შაპუჰმა¹¹¹ 15 წლით. მისი [მეფობის] მე-7 წელს და შაპუჰმა ვაჟის არტაშირის [მეფობის] პირველ წელს წმ. მესროპმა შექმნა

* 5 (3)

ვარდან არეველიცი

სომხური ანბანი. 22 ასო, რომელიც მოიპოვა დანიელ ასური-საგან და არსებობდა უძველესი დროიდანვე, არ იყო საკმა-რისი [სომხური] ენის მრავალფეროვნების გამოსახატავად. წინაპრები აღარ ზრუნავდნენ მის [შევსებაზე], რადგან დიდი ნაწილი ბერძნული, ასურული და სპარსული ასოებით იყო შევსებული. ასე რომ მესროპს არ შეეძლო სალვოთ წიგნების თარგმნა სომხურ ენაზე. ამიტომ მან ლოცვას მისცა თავი და წმ. საპაკის შეწევნით ლმერთმა მისცა 14 ასო, რომლე-ბიც თავისი მარჯვენით გამოსახა მის წინ, ისევე როგორც დიდ მოვსესს [გამოესახა] სინას მთაზე, ასევე მას ბალუს მთაზე¹¹², სადაც ჯერ ისევ ჩანს ღვთის მიერ გამოსახული ასოები კლდეზე. ადგილობრივი მცხოვრები - ტაჭიკებიც და ქრისტიანებიც პატივს სცემენ ამ ადგილს სანთელ-საკ-მეველით. ის, რომ არსებობდა სომხური დამწერლობა ძველი დროიდანვე დამოწმდა ლევონ მეფის ხანაში. [ამ დროს] იპო-ვეს კილიკიაში დრამა, რომელზეც სომხური ასოებით ეწერა წარმართი ჰაიკიდი მეფის სახელი. [სომხური დამწერლობის] ეს ნაკლოვანება შეავსო ღვთის მადლით ადსავსემ, ახალი ისრაელის განმაახლებელმა და მომწერიგებელმა ჩვენმა ახალმა ეზრამ. [მესროპმა] ღვთისგან ბოძებული ამ ძლვენით ნათელი მიიღო წმ. სამებისაგან და წინასწარმეტყველებ-თან, მოციქულებთან, მახარობლებთან, დასებთან და ყოველ წრფელთა გუნდთან ერთად მოვიდა, შემოიტანა სომხეთში და ჩვენი ეკლესიების საგანძურში წარმოუდგენელი სიმშვენიერე სულთა და სხეულთა შესამკობად და მარადიული დიდებისათ-ვის. ეს ყველა ერისათვის არ გაუკეთებია უფალს, რადგან არა მაცდუნებლებმა და არა შუაკაცებმა [წაგვაგონეს] სიბრძნე და წარგვიძლვნენ მასთან, არამედ ზეციდან გამოწვდილ-მა ქვენისშემქმნელმა მარჯვენამ დაგვიწერა ჩვენ სასწავლო დამწერლობა. ჩვენი უფლის და ღმერთის ხსოვნა ცოცხალია ჩვენს მატიანეებში, რომლებიც ძალასა და მადლს ანიჭებდნენ

იმათ, ვინც რწმენითა და გონიერებით მიდის [ამ წიგნებთან]. ამის გამო დიდება, პატივი და მადლი, ვინც უფლისაგან მოიტანა ჩვენთან [ეს დამწერლობა]. დიდება მესროპის სახელის ხსოვნას ცხოვრების წიგნში, რომელიც არის მარადმწვანე, ე. ი. მუდამ მხიარული და სიხარულით აღსავსე ადგილი ჩვენი მამისა. დაე იყოს მისი ხსოვნა უწმინდესებთან ერთად. ჩვენ კი – მის მოწაფეებსა და სულიერ შვილებს მისი ლოცვით მოგვენიჭოს ღვთის წყალობა და მოწყალება.

წმ. პატრიარქმა საპაკმა, გახარებულმა ამ ზეციური საჩუქრით, გამოარჩია გონიერი ყრმები და გაგზავნა სხვადასხვა ხალხებში, რათა ყველა ხალხისაგან გადმოედოთ წიგნის ხელოვნება: იოსები, ღევონდი, იოანე, აბრაამი, არძანი, მუშე, ეზნაკი, კორიუნი და სხვები. ცოტა ხნის შემდეგ გაგზავნა: მოვსესი, დავითი, ელიშე და მამბრე – მოვსესის ძმა. მათ შემდეგ – არძან არწრუნი, ხოსრო და ისტორიკოსი ლაზარე¹¹³. მათ გადმოთარგმნეს ყველა მატიანე წმ. ღევონდის ზუსტი სიის მიხედვით. წმ. საპაკმა განაახლა შაპუჰის მიერ აოხრებული წმ. რიფსიმიანების ტაძარი. მათი წეშტი დაფარული იყო და [წმ. საპაკის] თხოვნით ღმერთმა გამოაჩინა ის. მან იხილა მეფობის გაუქმება, ფაპლავუნთა ტომის ღვთიურობა და ხელახლი განახლება დროთა განმავლობაში. [საპაკს] ჰყავდა ერთადერთი ქალიშვილი, რომელიც მიათხოვა ჰამაზასპ მამიკონიანს. მისგან იშვა წმ. ვარდანი.

შემდეგ ღვთის საკვირველი კაცი მესროპი გაეშურა საქართველოში და შეუქმნა მათ დამწერლობა თავისი მოწაფის ვინმე ჯალელის¹¹⁴ ხელით. შემდეგ წავიდა ალბანეთში და შექმნა მათი ენის შესაფერი დამწერლობა ბენიამინის ხელით, რომელიც ასევე მისი მოწაფე იყო.

ვრამშაპუჰმა კეთილად დაასრულა თავისი სიცოცხლე. წმ. საპაკი წავიდა იაზკერტან¹¹⁵, სთხოვა ხოსროზე, რომელიც იმყოფებოდა საპყრობილები და ხელმეორედ გაამეფა ის. მაგ-

ვარდან არეველცი

რამ [ხოსროს] ერთ წელზე მეტი აღარ [უმეფია] და აღესრულა. იაზკერტის სიკედილის შემდეგ ტახტზე დაჯდა ვრამ II¹¹⁶, რომელმაც განიზრახა მრავალი ბოროტებით აევსო ჩვენი სარწმუნოება*. ეს გაიგო წმ. საპაკმა, წავიდა ბერძნებთან და გაგზავნა წმ. მესროპი და თავისი შვილიშვილი ვარდანი თეოდოსთან – არკადის ძესთან. [თეოდოსმა] ისინი სიხარულით მიიღო, უბოძა ვარდანს სტრატელატის, ხოლო მესროპს – ვარდაპეტ-ვარდაპეტის წოდება. თეოდოსმა და პატრიარქმა ატიკმა ბრძანეს გაეხსნათ სკოლები და დაუნიშნეს ჯამაგირი სამეფო სალაროდან. დაბრუნებული [მესროპი და ვარდანი] მივიდნენ წმ. საპაკთან და შეასრულეს ბრძანება. ამის შემდეგ [წმ. საპაკმა] გაგზავნა ვარდანი ვრამთან ზავისა და სომხეთში ვრამშაპუჰის ძის არტაშირის გამეფების სათხოვნელად. [ვრამმა] შეუსრულა ეს. მოვსესი კი ამბობს, რომ ხოსროს შემდეგ იაზკერტმა გაამეფა თავისი ვაჟი შაპუჰი¹¹⁷ 3 წლით. მამის სიკვდილის ამბავი რომ გაიგო, ის გაეშურა [სპარსეთში] და მოკლულ იქნა ლაშქრის მიერ. ამბობენ, რომ [სომხეთში] სუფევდა უმეფობა და არეულობა 11 წელი. შემდეგ გამეფდა არტაშირი¹¹⁸, რომელიც შეიძულეს ნახარარებმა საშინელი მრუშობისათვის. ამის გამო სთხოვეს დიდ საპაკს გაეძევებინა ის. ის არ დაეთანხმა მათ. მაშინ თვითონვე წავიდნენ ვრამის კარზე, უხმეს არტაშირს და გადაასახლეს ხუშასტანში. მათ გადააყენეს წმ. საპაკიც და მის ადგილზე დაადგინეს სურმაკი, მათი დაბეზღების [თანამონანილე], რომელიც 1 წელიც კი არ ყოფილა და განდევნილ იქნა. [შემდეგ] დააყენეს ბრგიშო ასური 1 წლით; შემდეგ შმუელი, იმავე ტომიდან, ბოროტი და უკეთური, რომელიც შეიზიზლეს სომებმა ნახარარებმა, განდევნეს და სთხოვეს წმ. საპაკს მიეღო [პატრიარქის] ტახტი, რაზეც ის არ დათანხმდა. მაგრამ [წმ. საპაკს] არ შეუწყვე-

* სომხეთი (3)

ტია მოღვაწეობა, არამედ კვებავდა თავის სულიერ ცხვრებს ზეციური წყაროდან დღე და ღამე. ზოგიერთები ამბობდნენ, რომ ბრგიშოსა და შმუელის შემდეგ [საპატრიარქო] ტახტი მიიღო სურმაკმა 7 წლით. წმ. საპაკმა დაჰყო მცირე ხანი ბაგრევანდის გავარის სოფელ ბლურში, მიიცვალა ქრისტესთან და დამარხეს აშტიშატში.

ვრამის დაღუპვისა და მის შვილის იაზკერტის მმართველობის 6 თვის შემდეგ აღესრულა წმ. მესროპი ვალარშაპატში და დაკრძალეს სოფელ ოშაკანში. ჯვრისებური ზეციური ნათელი ადგა მის კუბოს, ვიდრე არ ჩაასვენეს საფლავში. პატრიარქის ტახტს, როგორც მოადგილე, განაგებდა იოსები – მესროპის მონაფე ვაიოც ძორიდან¹¹⁹, სოფელ ჰოლოციმიდან. ამბობენ, რომ სურმაკი სიკვდილამდე ასრულებდა ხელდასხმას 7 წლის განმავლობაში. ნახარარები შეიკრიბნენ ერთ ადგილზე და დაადგინეს მეფისნაცვლად წმ. ვარდანი.

ამ ხანებში დაბრუნდნენ სათარგმნელად წასული ლევონდი, კორიუნი და არძანი. ისინი შეხვდნენ ერთმანეთს ეფესოს კრებაზე¹²⁰, რომელიც მოიწვია თეოდოსმა თავისი მეფობის მე-11 წელს ბოროტი ნესტორის [დასაგმობად]. იქიდან მათ ჩამოიტანეს 6 თავისგან [შემდგარი] კანონები.

სომეხთა ჯარი ხან ემორჩილებოდა სპარსელებს, ხან ბრძოლას უცხადებდა, როცა ისინი სარწმუნოებრივად ძლიერ ავიწროებდნენ. უფროსმა ნახარარებმა შავასპ არწრუნმა და ვენდომ უღალატეს სარწმუნოებას, ააშენეს დვინში ორმიზდის და ცეცხლის სახლი, ქურუმთა უფროსად კი დაადგინეს ვენდოს შვილი შერო. ეს რომ გაიგო ვარდანმა, მოვიდა თავისი ჯარით, მოკლა შავასპი, მარზბანი მეშეკანი გააქცია, ბილნი ვენდო ატროშანის ცეცხლში ჩააგდო და დაწვა, ხოლო შერო ჩამოკიდა ბაგინზე ამართულ ძელზე და ამ ადგილას ააშენა წმ. გრიგორის სახელობის ეკლესია. კათალიკოსად აკურთხეს წმ. იოსები. მან მოიწვია საეკლესიო კრება შაპაპი – ვანში,

სადაც დააწესეს სასჯელის კანონები. 2 წლის შემდეგ მოვიდა სპარსელთა ჯარი, შეიპყრო [იოსები], საპაკი, ღევონდი და სხვები, ჩასვეს [ისინი] საპყრობილები, როგორც ვარდანის მრჩევლები. [სპარსელები] ადრევე ცდილობდნენ ამ წმინდანთა ხელში ჩაგდებას. მათ სიხარულით დაიდეს ბორკილები ქრისტესთვის და არ თანხმდებოდნენ მათ ვადამდე მოხსნაზე. ამის გამო შეიკრიბნენ სომეხი მთავრები, დაადგინეს პატრიარქად გიუტი¹²¹ და დვინში გადაიტანეს [საპატრიარქო] ტახტი იოსების ბრძანებით. ამ დროიდან მთელი სომეხი ნახარარები მუდამ მორჩილებდნენ წმ. ვარდანს, რომელიც მათთან ერთად ებრძოდა სპარსელებს 19 წელი. თავის მოწამეობრივ აღსასრულამდე მან გაიმარჯვა 42 ომში წმ. საპაკის კურთხევით, რომელმაც თავისი სიკვდილის უამს, ნავასარდის¹²² თვის 30-ში, თავის დაბადების დღეს აკურთხა ის და მისი ძმები: ჰმაიაკი და ჰამაზასპიანი; ასევე [აკურთხა ისინი] წმ. მესროპმა თავისი აღსასრულის უამს, მეცეკის¹²³ თვის 13-ში. [მათი] ლოცვა-კურთხევით [ისინი] გაძლიერდნენ და [გვირგვინით] შეიმკნენ.

ამ ხანებში მოვიდა [სომხეთში] იაზერტის ათასისთავი ბოროტი ნერსეჲი. მასთან მივიდა სეპუჲი ვარაზ ვალიანი, სივნიელი მთავრის ვასაკის სიძე, იმავე ტომიდან, შეძულებული და დევნილი თავისი სიმამრისაგან. მან უარყო ქრისტე [სიმამრისაგან] აგულიანებულმა და ბევრი დანაშაული ჩაიდინა სომხეთში. ეშმაკის იმავე ორმოში ჩავარდა მისი სიმამრი ვასაკი და ორივე გახდა იმ უბედურების მიზეზი, რაც დაატყდა თავს სომხეთს და რაც ჩანს ვრცელ ისტორიებში. ჰროტიცის¹²⁴ თვის 30-ში ენამნენ ვარდანიანები – 1230* კაცი იაზერტის [მეფობის] მე-16 წელს. 2 წლის შემდეგ [ენამნენ] წმ. ხუცესი სამუელი და წმ. დიაკონი აბრაამი – ჰროტიცის თვის

* 1232 (3)

7-ში. ჰეროტიცის 10-ში [ენამა] მწარე ტანჯვით ბასიანის წმ. ეპისკოპოსი თათიკი, რომელიც ადრე წაყვანილი იყო ხუსატანში. წმ. კათალიკოსი იოსები, წმ.* საპაკი, წმ. მღვდლები:** ღევონდი, მუშე, ხუცესი არსენი და წმ. დიაკონი ქაჯაჯი – ექვსივე ისინი აღესრულნენ ჰეროტიცის 25-ში აპარის ქვეყანაში ღვთის სადიდებლად, ხოლო წეტარი მოგპეტი – მარგაცის¹²⁵ თვის 10-ში. ასოლიკი ამბობს: „შევამოწმეთ, რომ ეს მოხდა იაზკერტის მე-16 წელს და მარკიანეს მე-3 წელს“.

ამ დღეებში წმ. მოვსესი, მამბრე და დავითი დაბრუნდნენ სასწავლებლიდან და მართავდნენ საკათალიკოსო სახლს. ვგონებ, რომ ქალკედონის კრების¹²⁶ დროს [უკვე] გარდაცვლილი იყო [პატრიარქი] გიუტი და ჯერ არ იჯდა [ტახტზე] იოანე მანდაკუნი¹²⁷. მათთან მოიტანეს [ქალკედონის კრების] აღსარების სიგელები. მათ არ მიიღეს, რადგან არ ეთანხმებოდა ყველა წმ. მამების გადმოცემებს. მაშინ წავიდნენ მოვსესი და დავითი, რომ, თუ შესაძლებელი იყო, ეშველათ მართლმადიდებლობისათვის. ამის შესახებ არსებობს ასეთი თხრობა ჩვენს [წიგნებში], რომ დავითი დიდხანს ესაუბრა იუბენალს, პულქერის კარის ხუცესს და კორინთოს არქიეპისკოპოსს მამბრეს, დაადუმა ისინი და შეარცხვინა. შემდეგ ფეხზე წამოდგა მაკედონიის მიტროპოლიტი მელიტოსი და ეუბნება მოვსესს: „კარგად გიცნობ შენც და შენს მონაფეებსაც. ყრმობიდანვე გაწრთვილი და გაქნილი ხართ ფილოსოფოსთა მახვილისტყვაობასა და ქედმაღლურ ტრაბახში, ამიტომ არავის შეუძლია თქვენი დამარცხება. აგრეთვე შურით ხართ აღსავსე, რომ არ გიხმეთ [კრებაზე], რადგან არ გყავდათ პატრიარქი“. მოვსესი პასუხობს: „კარგად გვიცნობთ ჩვენ, [ისიც იცით] რომ ჩვენ ვიყავით პირველები ეკლესიაში და

* უფალი (ვ)

** წმ. მღვდლები > – მ

ვარდან არეველცი

საბატრიარქოს მოსამართლეები¹²⁸. მაშ რატომ არ გვიხმეთ ჩვენ [კრებაზე], ჩვენს დიდ ცოდნას დანაშაულად გვითვლით? მაგრამ თქვენი შეკრების მიზანი არავისთვის არ არის დაფარული. ხოლო ჩვენ არ ვუღალატებთ ჭეშმარიტებას და კვლავ ვაღიარებთ ხორცებს სხმული ღმერთის ერთბუნებოვნებას“. მელიტოსი ეკითხება: „როგორ აღიარებთ ერთბუნებოვნებას? განარჩევთ ძეს მამა ღმერთისაგან და აერთიანებთ სხეულში?“ მოვსესი პასუხობს: „არ განიყოფება [ძე] მამისაგან და შეერთებულია სხეულთან“. და ასე წარმოთქვა მან მრავალი ამგვარი სიტყვა¹²⁹.

აქედან, ჩვენ ვფიქრობთ, ასეთია [პატრიარქთა] თანმიმდევრობა: * ნელი ტახტი ეპყრა გიუტს და აღესრულა. ის შეცვალა ფილოსოფოსმა და ლვთიური სულით აღსავსე იოანე მანდაკუნიმ. მან დააკანონა ხელდასხმისა და ლიტურგიის წესი და [დაგვიტოვა] რჩევა-დარიგებები. მან თარგმნა მესამე ეპისტოლე კორინთელებისადმი, იოანეს [ეპისტოლე] და სხვა მრავალი სასარგებლო საქმე გააკეთა თავის სიცოცხლეში. ამბობენ, რომ [სომხეთის] ბერძენთა მხარეში კათალიკოსი იყო გიუტი და იმავდროულად სპარსელთა მხარეში იოანე. მათ დროს ცხოვრობდა განდეგილი ანტონი, იგივე თათული¹³⁰, რომელმაც დატოვა მთელი ქონება ქრისტეს გამო და თავის ლვიძლ ძმასთან ვაროსთან ერთად წავიდა ბერად იმ ადგილას, რომელსაც ახლა ჰქვია წმ. თათული.

წმ. წამებულთა სიკვდილის შემდეგ ბოროტმა ვასაკმა ჰმაიაკის ცოლი და 3 ვაჟი წაიყვანა [იაზკერტის] კარზე, როგორც სიკვდილმისჯილის შვილები. ქართველთა პიტიახშმა არშუშამ¹³¹ გამოსთხოვა ისინი იაზკერტს და მისცა მათში ძვირფასი საჩუქარი. მათგან უფროსი ვაჰანი გახდა სომეხთა სპარაპეტი. იაზკერტის სიკვდილის შემდეგ, მისმა ვაჟმა პე-

* 10 (3)

როზმა მოკლა თავისი ძმა და გამეფდა. მან მშვიდობიანი ურ-თიერთობა დაამყარა [სომხეთთან] და ვაჰანი დანიშნა სამეფო ხარკის ამკრეფად. ცილისმწამებელთაგან შევიწროებულმა ვაჰანმა უღალატა სარწმუნოებას, მაგრამ ბოლოს შეაწუხა სინდისმა, აუჯანყდა მეფეს და მრავალჯერ დაამარცხა სპარ-სელთა ჯარი.

ვარაზ ვალიანი გაბატონდა სივნიეთში. [ის] სარწმუნოები-დან განდგომის გამო მრავალი დღე იტანჯებოდა ავი სულე-ბისაგან და მოკვდა მონანიების გარეშე. ამავე დროს მოკლულ იქნა სარწმუნოებისაგან განდგომილი ვარსექნი¹³². მან და სხვა მრავალმა სარწმუნოების უარმყოფელმა დაიმკვიდრა [ადგი-ლი] ჯოჯოხეთში.

ამის შემდეგ სპარსთა სარდალი მიჰრანი მრავალრიცხოვა-ნი ლაშქრით მოდის ქართველთა მეფე ვახტანგის წინააღ-მდეგ¹³³. მან სთხოვა დახმარება ვაჰანს, რომელიც ხალისით დათანხმდა. ბრძოლის დაწყებამდე გაიქცა მხდალი ქართველ-თა ჯარი თავის მეფესთან ერთად და ზოგიერთი მშიძა-რა სომები. მონამეობრივად აღესრულა ვაჰანის ძმა ვასაკი. [მისი] სახე აღჭურვის უამს ისეთივე ნათელით ბრწყინავდა, როგორც მოვსესის, ისე რომ მხილველებს არ შეეძლოთ მზე-რა და მიხვდნენ რომ მოკვდებოდა იმ დღეს. [მონამეობრივი] გვირგვინი დაიდგა აგრეთვე სივნიელმა დიდებულმა იაზდმა ჰორის თვის 16-ში ბაგუანში. [ის] შეიძყრო მიჰრანმა, აიძუ-ლებდა უარეყუ სარწმუნოება და ეცხოვრა დიდებით, მაგრამ უარი მიიღო. [იაზდი] მოკლულ იქნა ქრისტესთვის და [მო-ნამეობრივი] გვირგვინით [შეიმოსა]. ასევე მამაცი მხედართ-მთავარი საჰაკი აღესრულა ბრძოლის უამს წმ. სარწმუნოე-ბისათვის.

ამის შემდეგ პეფთალებმა¹³⁴ მოკლეს პერიზი და [მისი] 7 ვაჟი. გამეფდა მისი ძმა ვალარში¹³⁵, რომელმაც იხმო ვაჰა-ნი და უბოძა სომეხთა მხედართმთავრობა, ხოლო შემდეგ კი

ვარდან არეველცი

მარზპანობა¹³⁶. ვალარშის შემდეგ [ტახტზე] დაჯდა მისი ვაჟი კავადი, ხოლო მის შემდეგ ხოსრო¹³⁷ 48 წლით.

ვაპანმა აღადგინა სპარსელთა მიერ აოხრებული ეკლესიები არტამატში. მის დროს ნეტარმა ტანთამ არშარუნიდან, სხვა მრავალთან ერთად, [მონამეობრივი] გვირგვინი დაიდგა სპარსელთა მხედართმთავარ ზარნავუხტის [ხელით]. უფალ ოიანეს ეპყრა [პატრიარქის] ტახტი 6 წელი; მის შემდეგ უფალ ბაბგენს – 7*; მის შემდეგ უფალ სამუელს – 5**, მის შემდეგ უფალ მუშეს – 8; მის შემდეგ უფალ საპაკს – 7; მის შემდეგ უფალ ქრისტეფორეს – 7. ვაპანი კეთილი [ცხოვრების შემდეგ] აღესრულა და ძალაუფლება მიიღო მისმა ძმამ ვარდმა 4 წლით. ზოგიერთის გადმოცემით, ვაპანი მმართველობდა 20 წელი, ხოლო ნაწილის თქმით – 31 წელი. უფალ ქრისტეფორეს ადგილი დაიკავა უფალმა ლევონდმა 2 წლით; შემდეგ უფალმა ნერსესმა 9 წლით. მის დროს სპარსელთა მეფე ხოსრომ მოაწყო თავდასხმა ვარდის შესაპყრობად. დიდი ბრძოლა მოხდა ხაზამახის ველზე, სადაც პატრიარქ ნერსესის ლოცვის წყალობით მოისრა სპარსელთა ჯარი.

ამ ხანებში წმ. იზიტბუზიტი¹³⁸, რაც ნიშნავს „ღმერთისაგან გადარჩენილს“, მოკლა დვინში მარზპანმა ვაპანმა. ვარდის შემდეგ სპარსელები ინიშნებოდნენ მარზპანებად. წმ. მონამის გვამი წმ. პატრიარქმა ნერსესმა დამარხა კათალიკოსის სასახლის ახლოს და მასზე ააშენა ეკლესია თლილი ქვისაგან. ამ ხანებში ეზრას ანგელაცის [წყალობით] რიტორთა დასები გამრავლდნენ. უფალ ნერსესის შემდეგ [პატრიარქის ტახტი ეპყრა] უფალ ოიანეს 15 წელი; მის შემდეგ უფალ მოვსესა¹³⁹ ელივარდიდან 30 წელი; თავისი პატრიარქობის მე-10 წელს, კავადის ვაჟის ხოსროს [მეფობის] 31-ე წელს, იუსტი-

* 5 (3)

** მის... 5 > - მ

ნიანეს [მეფობის] მე-14 წელს, რომელმაც ააშენა წმ. სოფია, [მოვსესმა] შემოიღო სომხური წელთაღრიცხვა და კალენდარი¹⁴⁰, როცა შესრულდა 532 წელი. სომხეთის მარზპანს მეუეუ გნუნს ეპყრა ძალაუფლება 31 წელი. წელთაღრიცხვის დაწესებას ესწრებოდნენ: სივნიელი ეპისკოპოსი პეტრე, ნერშაპუჰი ტარონიდან და აბდიშო სასუნიდან, რომელიც ეპისკოპოსად ხელდასხა მოვსესმა.

[მოვსესმა ხელდასხა] კირიონიც, რომელიც ტომით ქართველი იყო, ჯავახეთის გავარის სოფელ სკუტრიდან და იცოდა სომხური და ქართული მწიგნობრობა. ის იკურთხა ქართლის კათალიკოსად და შემდეგ გახდა ქალკედონიკი, რადგან ყმაწვილობაში წავიდა საბერძნეთში, კოლონის მხარეში და დასახლდა სოფელ ნიკოპოლისში, მდინარე გაილის ნაპირზე, სადაც გაინაფა ბერძნულ მწიგნობრობაში. 15 წლის შემდეგ მოვიდა მოვსესი დვინში და დანიშნა [კირიონი] წმ. კათოლიკე მონასტრის უხუცესად და არარატის ნაპანგის ქორეპისკოპოსად 7 წლით. როდესაც გარდაიცვალა ქართველთა კათალიკოსი, [ქართველმა] მთავრებმა გაგზავნეს უფალ მოვსესთან [მოციქული] ძველი წესის თანახმად, რომ მიეცა მათვის [სულიერი] წინამძღვარი. [მოვსესმა] მოისურვა გაეგზავნა [კათალიკოსად კირიონი], რადგან მათი ტომისა იყო. [კირიონი] წავიდა და დაიმორჩილა მთელი ქვეყანა. შემდეგ მოვიდა მასთან ერთი ხუსასტანელი ნესტორიანელი, სახელად კისი, რაც წიშნავს „სისასტიკე“-ს, როგორიც ის იყო სინამდვილეში. [ის] იყო კოლონიიდან, სოფელ ზუტარიმიდან, რომელიც მდებარეობდა ნიკოპოლისის ახლოს. [კირიონი და კისი] იყვნენ თანამოწაფეები და თანამესექტეები. [კისი] ხელდასხა ეპისკოპოსად [კირიონმა] და დაიღუპა ამით მთელი ქვეყანა. ეს გაიგო ცურტაველმა ეპისკოპოსმა მოვსესმა, რომელსაც ახლა უწოდებენ განძენქს და აცნობა პატრიარქ მოვსესს. მან მოსწერა [კირიონს] გამკიცხველი წერილი და დაემუქრა. ის

მთლიანად განუდგა თავის სარწმუნოებრივ მიმდინარეობას. რამდენიმე ხნის შემდეგ გარდაიცვალა პატრიარქი [მოვსესი] თავისი მამამთავრობის 30-ე წელს და კირიონმა უზრუნველად აღიარა ქალკედონის კრების მოძღვრება¹⁴¹.

სპარსელთა მეფე ხოსრომ სიკვდილის მოახლოებისას ირწმუნა ქრისტე და იხმო თავისთან ნეტარი კათალიკოსი, რომელიც ხელდასხა უფალმა გიუტმა სხვა ეპისკოპოსებთან ერთად პერიზ მეფესთან მისი წასვლის წინ. [კათალიკოსმა] გაეიცხა სპარსელთა სარწმუნოება. სიკვდილის მომლოდინე [ხოსრო] მოინათლა ერანას მიერ და ეზიარა, მცირე ხნის შემდეგ კი აღესრულა და დაკრძალუს ის ქრისტიანებმა სამეფო სასაფლაოზე. გვირგვინი მიიღო მისმა ვაჟმა ორმიზდმა, რომელიც გამცემთა მიერ იქნა მოკლული თავის სასახლეში¹⁴². გვირგვინი მიიღო მისმა ვაჟმა ხოსრომ, რომლის წინააღმდეგ აღსდგა მხედართმთავარი ვაპრამი და გააქცია ის. [ხოსრო] წავიდა კეისარ მავრიკესთან, მიიღო მისგან დახმარება, დაბრუნდა და დაეუფლა თავის მემკვიდრეობას¹⁴³. მადლიერების ნიშნად [ხოსრომ] დაუთმო მავრიკეს შუამდინარეთი, სომხეთში ქვეყანა, რომელსაც ეწოდება ტანუტერაკან გუნდი, გარდა დვინის და ორი გავარის: ოტნ მასიაცის და არაგანის¹⁴⁴, აგრეთვე [ტერიტორია] იმ მთიდან მოყოლებული, რომელსაც ეწოდება ენწაკი სარი¹⁴⁵, სოფელ არესტამდე და პაციუნამდე¹⁴⁶. [იმპერატორი] გაკადნიერდა და შეცვალა მეფის მიერ დარქმეული სახელები: მის მიერ დარქმეულ არმენიას – პირველ სომხეთს უწოდა მეორე სომხეთი, რომლის დედაქალაქია სევასტია; კაპადოკიას, რომლის დედაქალაქია კესარია, უწოდა მესამე სომხეთი და აქცია ეპარქიად; მელიტენეს, რომელსაც აქვს იმავე სახელწოდების გავარი, უწოდა პირველი სომხეთი; პონტოს, რომლის დედაქალაქია ტრაპიზონი, უწოდა სომხეთის დიდი ნაწილი; მეოთხე სომხეთს, რომლის დედაქა-

ლაქია ნეფრკერტი^{*}, იგივე მუფარლინი, იუსტინიანოპოლად ჩაწერა სამეფო არქივში; კარინის ქვეყანას, რომლის ქალაქია თეოდოსიოპოლი, უწოდა სომხეთის დიდი ნაწილი; ხოლო იმ ნაწილს, რომელიც დიდ სომხეთშია, ბასიანის მხრიდან ასურეთის საზღვრამდე, უწოდა დიდი სომხეთი. ტაოს მხარეს, თავისი საზღვრებით, უწოდა შიდა სომხეთი¹⁴⁷, დვინის მხარეს ქვედა სომხეთი უწოდა^{**}. მან ყველა ეს სახელი ჩააწერინა არქივში.

ამ ხანებში სმბატ ბაგრატუნმა მამაცურად დაამხო ხოსროს ფერხთა წინ ყველა მისი მტერი. [მან] კეთილგანწყობილების ნიშნად მისცა [სმბატს] ვრკანის¹⁴⁸ ქვეყნის მარზპანობა. ის წავიდა და ნახა აქ სომხების ტომი ტყვედ წაყვანილი და დასახლებული თურქესტანში, დიდ უდაბნოში, რომელსაც საგასტანი ეწოდება. [მათ] დავინწყებული ჰქონდათ [თავიანთი] ენა და მწიგნობრობა. გახარებულებმა სმბატის ნახვით მათ განაახლეს [თავიანთი] ენა და დამწერლობა. დიდმა პატრიარქმა მოვსესმა აკურთხა მათ ეპისკოპოსად ერთი ბერი, სახელად აბელი და დაადგინა ისინი წმ. გრიგორის წილხვდომილად. [სმბატმა] მიიღო მეფის ნებართვა და მოვიდა თავისი ქვეყნის სანახავად, ჩამოვიდა დვინში, დაიწყო წმ. ვარდანის მიერ ხისგან ნაშენი წმ. გრიგორის ეკლესიის გადაკეთება. ციხის მცველები ჩიოდნენ [მეფის] კარზე, რომ [ხის ნაგებობა] საშიშია ციხისთვის. გამოვიდა [მეფის] ბრძანება – დაენგრიათ ციხე და აეგოთ მოშორებით [ახალი]. გაუხარდა სმბატს და ქრისტეს სადიდებლად ააშენა თლილი ქვისაგან ეკლესია. მან აკურთხებინა პატრიარქად უფალი აბრაამი¹⁴⁹, რშტუნის ეპისკოპოსი, რომელიც ძლიერ ცდილობდა პეტრეს საშუალებით გაგზავნილი ეპისტოლეებით კირინის მოქცევას მართლ-

* ნეფრკერტი > – მ

** დვინის... უწოდა > – მ

ვარდან არეველი

მადიდებლობაზე, მაგრამ ვერ შესძლო. ამის გამო მოიწვიეს დვინის საეკლესიო კრება¹⁵⁰, სადაც შეაჩვენეს კირიონი, როგორც მწვალებელი.

მავრიკემ [სომხეთის ბერძნულ] ნაწილში კათალიკოსად დაადგინა იოანე, რომელიც იჯდა სოფელ ავანში და ააშენა აქ ეკლესია. [ის იყო] წმინდა კაცი, რომელსაც არასდროს უღალატია ბერძენთა სარწმუნოებისათვის. ამ ხანებში ბერძენმა დიდებულებმა მოკლეს მავრიკე და დასვეს მეფედ ფოკა¹⁵¹, რომელიც მოვიდა ბასიანში და ცდილობდა დაემორჩილებინა სომხეთი. აქ მის წინააღმდეგ გამოილაშერა აშოტმა ხოსროს ბრძანებით, უკან დაახევინა ურიცხვი მსხვერპლით, აიღო კარნუ ქალაქი და გადაასახლა მცხოვრებნი აპმადანში¹⁵², თან წაიყვანა კათალიკოსი იოანე, რომელიც იყო იქ მალულად. [იოანე] გარდაიცვალა, წამოიღეს და დაკრძალეს სოფელ ავანში. ის კათალიკოსი იყო 26 წელი. 3* წლის შემდეგ გარდაიცვალა წმ. პატრიარქი აბრამი და შეცვალა ის უფალმა კომიტასმა¹⁵³ სოფელ აღცქიდან.

მთავართა რიგში მეუეუის შემდეგ [მარზპანებად] დააყენეს სპარსელები: ჯერ დენმაპუჟი, რომელმაც გააძლიერა კერპ-თაყვანისმცემლობა, მის შემდეგ ვინმე ვარაზდატი; შემდეგ სურენი, ხოსროს ნათესავი, რომელიც მრუშობდა მთავართა ცოლებთან. ამის გამო შეიძულა ის ვარდანმა, ვასაკ მამიკონიანის ვაჟმა, მოკლა ის და თავისი სახლეულით წავიდა კონსტანტინოპოლიში.

ჰერაკლემ მოკლა ფოკა და გაამეფა თავისი ვაჟი, ხოლო თვითონ გაემართა აღმოსავლეთში სალაშეროდ. ხორემმა ააოხრა საბერძნეთი ხოსროს ბრძანებით მავრიკეს სიკვდილი-სათვის შურისსაძიებლად, წარტყვევნა იერუსალიმი, დაატყვევა მხსნელი ხე და იერუსალიმის პატრიარქი ზაქარია.

* 23 (3)

ამ ხანებში პატრიარქმა კომიტასმა, წმ. მოწამე რიფსი-მიანების¹⁵⁴ [ტაძრის] გაფართოებისას, იპოვნა მათი ნეშტი, რის გამოც დიდი სიხარული განიცადეს ქრისტიანებმა. [ეს ნეშტი] დაბეჭდილი იყო წმ. გრიგორისა და წმ. საპავის ბეჭდებით. [კომიტასმა] ვერ გაბედა მათი მოხსნა, არამედ დაასვა თავისიც მათზე. რიფსიმეს ტანის სიმაღლე იყო 10 მტკაველი და 4 გოჯი. ამბობენ წმ. გრიგორი იყო 9 მტკაველი, ხოლო თრდატი 11 მტკაველი.

[კეისარმა] ჰერაკლემ¹⁵⁵ გაგზავნა დესპანი საჩუქრებით ხოსროსთან და სთხოვა ზავი, მაგრამ მან არ გასცა პასუხი. ჰერაკლე განრისხდა, წაიყვანა თავისი ძმა თეოდოროსი და ანტიოქიასთან ორჯერ დაამარცხა სპარსელთა ჯარი, გაემართა სომხეთის გავლით ხოსროს წინააღმდეგ. მას შეუერთდა ხოსროს ვაჟი კავადი. მან მოკლა ხოსრო, ზავი ითხოვა ჰერაკლესაგან და დაუთმო მას შუამდინარეთი. ჰერაკლე გაბრუნდა და მივიდა კარნუ-ქალაქში. ამ დროს წმ. კომიტასის ტახტი ეპყრა უფალ ქრისტეფორეს, რომელიც განდევნა, რათა უთანხმოება ჩამოეგდო მთავრებს შორის და დაადგინეს [პატრიარქად] ეზრა¹⁵⁶ ნიგიდან. ის იხმო [ჰერაკლემ] კარნუ-ქალაქში [ეზრა] თავისი უმეცრების გამო ქალკედონიკი გახდა და სარწმუნოების დათმობის ფასად მიიღო მარილის საპატიობი და კოლბის მესამედი. დაბრუნებულ [ეზრას] საყვედურით შეხვდა კათალიკოსის სასახლის მოძღვარი იოანე, რომელმაც უთხრა: „სამართლიანად გქვია ეზრა, რადგან მართლმადიდებლობის ზღვარს გადახვედი“¹⁵⁷. თვითონ [იოანე] წავიდა ალბანეთში, გარდმანის გავარის¹⁵⁸ საზღვართან და იწყო განდევილის მკაცრი ცხოვრება. მან დაწერა 3 ნაშრომი, რომელთაც არ დააწერა თავისი სახელი. პირველს უწოდა „ცხოვრების რჩევა“, მეორეს – „რწმენის ფესვი“, მესამეს – „ნოიემაკ“-ი. მას ჰყავდა ერთი მოწაფე, სახელად სარგისი, რომელსაც საბე-

ვარდან არეველი

ლის¹⁵⁹ უკეთურება გადაედო და [იოანემ] გააგდო ის. უმეცარნი კი მას მიაწერენ [სარგისის] შეხედულებებს*.

ამ ხანებში გარდაიცვალა მეფე კავადი და გამეფდა მისი ყრმა ვაჟი არტაშირი. ეს რომ გაიგო ჰერაკლემ ურჩია ხორემს მოეკლა ყრმა და ნაერთმია მისთვის გვირგვინი, რაც მან შეასრულა კიდეც, ხოლო ჰერაკლეს მისცა წმ. ჯვარი. ხორემი ლაშქარმა მოკლა და გვირგვინი გადასცეს ხოსროს ასულს ბორს. მის შემდეგ [მეფობდა] მისი და ზამრიკი; ხოლო მის შემდეგ ორმიზდი, ხოსროს შვილიშვილი, რომელიც დაახრჩვეს და [მეფედ] დაადგინეს იაზერტი, [ასევე] ხოსროს შვილიშვილი¹⁶⁰. ჰერაკლემ წაიღო ჯვარი იერუსალიმში და აღმართა თავის ადგილზე¹⁶¹.

ამ ხანებში სომეხთა მხედართმთავრად [ჰერაკლემ] დანიშნა მეუეუი, რომელიც მოკლა დავით საპარუნმა და თვითონ გახდა მთავარი ჰერაკლეს ბრძანებით 3 წლით. [მან] ააშენა ეკლესია მრენში, შემდეგ შეურაცხყოფილი განდევნეს მთავრებმა. სომხეთში დაიწყო დიდი არეულობა და ხან ერთი ადიოდა [ტახტზე], ხან მეორე. ამ ხანებში ეზრამ გააფართოვა წმ. გაიანეს [ეკლესია]. უფალმა ქრისტეფორემ ააშენა მონასტერი ოტნ-მასიაცში და იღწვოდა ლოცვით.

ამ ხანებში ედესაში შეიკრიბა 12 000 ებრაელი და განუდგა ჰერაკლეს. [ჰერაკლე] წავიდა, ალყა შემოარტყა ურჰას, აილო, გაუშვა ებრაელები ცოცხლები და ნება დართო, სადაც სურდათ წასულიყვნენ. [მან] არ დაუჯერა თავის ძმას თეოდოროსს, რომელსაც სურდა მათი დახოცვა. [ებრაელები] უდაბნოს გავლით მივიდნენ ტაჭკასტანში¹⁶², ისრაელის შვილებთან, როგორც თანატომელებთან და სთხოვეს დახმარება. მათი ნაწილი დათანხმდა, ხოლო ზოგიერთები კი არა მათი სხვადასხვა სარწმუნოებრივი მიმდინარეობის გამო, ისევე რო-

* უმეცარნი... შეხედულებებს > - 3

გორც ადრე ეგვიპტელები მათი განსხვავებული ღვთისმსა-ხურების გამო.

ამ ხანებში [გამოჩნდა] ერთი კაცი ისმაილის შვილთა შორის – ვაჭარი მუჰამედი¹⁶³. [ის] დაბადა ქალაქ მედინაში, მექადან 2 დღის სავალზე, წარმომავლობდა გვარიდან, რომელსაც ერქვა კორეში. იგი იყო აბდალას ვაჟი, რომელიც მოკვდა და დატოვა ობლად. [ის] დადგა სამუშაოდ ერთ ვაჭართან და გახდა მის სახლში უპირველესი. ვაჭარი მოკვდა და [მუჰამედი] დაეუფლა მისი პატრონის სახლს, შეირთო მისი ცოლი. [ის] მიდიოდა აქლემებით ეგვიპტეში და შეხვდა ერთი განდეგილი, სახელად სარგისი, არიოსისა და კერინთოს მიმდევარი. მან ასწავლა [მუჰამედს] ძველი აღთქმიდან ღვთის ცნება და [გააცნო] წიგნი ჩვენი უფლის ყრმობის შესახებ. როდესაც [მუჰამედი] დაბრუნდა სახლში, ქადაგებდა იმას, რაც მოისმინა. მაგრამ მისმა ტომმა გააძევა და წავიდა ის ფარანის უდაბნოში. როდესაც მოვიდა 12000 ებრაელი განტევებული [ჰერაკლე კეისრის მიერ], ისარგებლა შემთხვევით და უქადაგა ისრაელის შვილებს აბრაამის ღმერთი, აღუთქვა მათ, რომ თუ თაყვანს სცემენ მას, მიიღებენ იმ მემკვიდრეობას, რომელიც ღმერთმა მისცა აბრაამს. გაუგონეს მას და შეიკრიბნენ ევილიდან სურამდე, რომელიც ეგვიპტის პირდაპირაა. 12000 ებრაელი, ისრაელის ტომთა [რიცხვის] მიხედვით გაყვეს 12 მამამთავარს შორის, ე. ი. ათას-ათასი მიათვალეს თითოეულს. ამრიგად, ისინი გახდნენ 12 მამამთავრის წილებვდომილი, რომლებიც დაადგინეს თავიანთი ტომის მთავრებად და რომელთა სახელით იწოდნენ კიდეც: ნაბაიუთი, კიდარი, აბდალა, მარსამი, მარსმა, იდუმა, მასე, ქოდადი*, თემანი, იეტური, ნაპესი, კედმა. ისინი წავიდნენ ბანაკ-ბანაკ ფარანის უდაბნოდან რაბიოთ მოიაბში და გადავიდნენ იორდანის მეორე მხარეს, რუბენის

* ქოშე, დიდი (θ)

ვარდან არეველი

წილხვდომილ მხარეში. [ამ დროს] ბერძენთა ჯარი იყო არა-ბეთში, რომელიც დაამარცხეს, კეისრის ძმა თეოდოროსი გაიქცა. [მთავრები] დაპრუნდნენ არაბეთში და დასახლდნენ ტომების მიხედვით. მათთან შემოიკრიბნენ ისრაელის ყველა დარჩენილი შვილები და შეიქმნა დიდი ჯარი.

მათ შეუთვალეს კეისარს, რომ დაეთმო მათვის ის ქვეყანა, რომელიც მისცა ღმერთმა აბრაამს. ამაზე მან შემოუთვალა უარყოფითი პასუხი, შეკრიბა 70 000-იანი ჯარი ერთგული საჭურისის ხელქვეით და უბრძანა წასულიყო არა-ბეთში ისმაილის წინააღმდეგ. ეს ჯარი მოისრა და მუჰამედის ბანაკი აივსო ნადავლით. ეს იყო ჩვენი წელთაღრიცხვით 65 წელს. რადგან მათ გაიმარჯვეს მუჰამედის რჩევით, სთხოვეს მას კანონი. მან იმ ადგილს, სადაც [იდგა] გველის ტაძარი, რომელსაც თაყვანს სცემდნენ, უნოდა ალ-ქაუბა, რაც ნიშნავს „ღვთის კარს“, თავის საცხოვრებელ ქალაქს კი უწოდა „აბრაამის სახლი“.

როდესაც გაძლიერდა ქრისტიანობა, დამასკოს კერპი რემანი, რომელიც არის თვით კოჭლი ჰეფესტოსი, წაიღეს და დააგდეს უდაბნოში. ის იპოვეს ტაჭიკებმა და წაიღეს გველის ტაძარში, მაგრამ გველის ქურუმებმა არ ისურვეს იქ მისი დადება და გააგდეს გარეთ, ამოქრეს ერთი ფეხის ადგილი ქვაში და იქ დადგეს. აქედან ის მოიპარეს ეთიოპელმა ვაჭრებმა ოქროსთვის, რისგანაც ის იყო ჩამოსხმული ისმაიტელების მიერ. სასტიკი ომი მოხდა ორ ხალხს შორის. როდესაც ეს დავიწყებულ იქნა [მუჰამედმა] თქვა, რომ ეს არის აბრაამის ფეხის კვალი, რომელიც მან დატოვა, როცა მოვიდა თავისი ვაჟის ისმაილის სანახავად. რადგან ამ დროს ისმაილი სანადიროდ იყო წასული, [აბრაამმა] ჰკითხა მის ცოლს: „სად არის შენი ქმარი?“ ხოლო მან უპასუხა: „წადი აქედან, დაუძლურებულო ბებერო“. [აბრაამმა] კი უთხრა: „როცა მოვა სახლში შენი ქმარი, უთხარი შეცვალოს სახლის კარი“. როდესაც მო-

ვიდა ისმაილი და იყნოსა მამის სუნი, გამოჰკითხა ცოლს და მან უთხრა რაც მოისმინა. მიხვდა ისმაილი, გააგდო ცოლი და სხვა მოიყვანა, ვიდრე მეშვიდე ცოლამდე, რომელმაც სთხოვა აპრაამს ჩამოსულიყო ვირიდან, რათა დაეზილა მის-თვის ფეხები. ამბობენ, რომ მან ჩამოდგა ერთი ფეხი, დადგა ქვაზე და ქვამ ადგილი მისცა ფეხს. მეორე ფეხი მას არ ჩა-მოუდგამს საპალნე პირუტყვიდან, რადგან ფიცი მისცა სა-რას, რომ არ ჩამოვიდოდა. [სარას] ეშინოდა მისი აგარასთან შეხვედრის. ეს ყველაფერი შეთხზა მუჰამედმა და ბრძანა ყო-ველი მხრიდან მოსულიყვნენ და თაყვანი ეცათ, ქვის გარშემო შემოვლოთ ცალ ფეხზე და ეთქვათ: „ლბაიქ, ლბაიქ“, რაზეც თითქოს ვიღაცა უპასუხებდა ხოლმე: „აი, აი, ავას, ავას“. აქე-დან ისინი მიდიან ველზე, კლავენ პირუტყვს, ჯდებიან ცხენე-ბზე და მიაჭენებენ მექას მთამდე. ამ გაქცევის დროს ტანისა-მოსი სძვრებოდათ და ვერავინ ბედავდა უკან მოხედვას. ორ კლდეს შუა გავლისას, რომელთაც ეწოდებათ საბა და ერმა, კლდიდან კლდეზე მიაწყდებიან შვიდჯერ შეუსვენებლივ, ეს-ვრიან ქვას და ამბობენ, რომ მუჰამედიც ასე აკეთებდა და გვასწავლიდა.

ცალ ფეხზე სირბილი დაწესებულია [აპრაამის] ფეხის კვა-ლის გამო. ველზე პირუტყვის დაკვლა და გაქცევა, ამბობენ იმიტომა დაწესებული, რომ მუჰამედმა მსხვერპლი შესწი-რა ყველა ბოროტ სულს, რათა ეჩვენებინათ მისთვის ხილ-ვა, ხოლო როდესაც მოევლინენ მას ბოროტი სულები, [მუ-ჰამედი] გაიქცა. ორ კლდეს შუა სირბილი და ქვის ძგერება დაწესებულია იმის გამო, რომ კერპებზე ადრე ისინი თაყვანს სცემდნენ ქვებს. აგრეთვე, როდესაც მუჰამედი ასრულებდა ჩვეულების მიხედვით ღვთისმსახურებას, მას თავს დაესხა ცოფიანი ძალი. მან ესროლა ძალს ქვები და იგივეს გაკე-თება უბრძანა სხვებსაც. გველებსა და ქვენარმავლებს ისინი არ კლავენ, რადგან მათ თაყვანს სცემდნენ [ადრე]. ძალლის

ვარდან არეველცი

მოკვლა, ამბობენ ნიშნავს იმას, რომ როცა მუჰამედი მოკვდა, არ სურდათ მისი დამარხვა, რადგან იმედი ჰქონდათ რომ აღსდგებოდა 3 დღის შემდეგ ჩვენი უფლის მსგავსად. ძალ-ლებმა შეუჭამეს მას სახე^{*}. როცა ეს შეიტყვეს, დახოცეს ძალ-ლები და ყოველ წელს^{**}, იმავე თვეში ბრძანეს იგივეს გაკეთება. ის გვასწავლიდა: „ერთია ღმერთი და არავინ არის მისი ტოლი, მუჰამედი კი მისი მოციქულია“. როგორც ამბობენ ერთი ებრაელის სიტყვების მიხედვით, წინასწარმეტყველები ქადაგებდნენ როგორც ქრისტეზე ისე მუჰამედზე, იმას ეხება, რომ ესაიამ იხილა ორი მხედარი: ვირზე და აქლემზე.

ერთხელ მუჰამედი მოულოდნელად, ჯადოქრობის მეშვეობით უხილავი გახდა, ცოტა ხნის შემდეგ გამოჩნდა და თქვა: „მშვიდობა, ღვთის წყალობა და მადლი თქვენდა“. ხოლო ისინი შეძრნუნებულები ეკითხებოდნენ: „საიდან მოხვედი, რა არის ეს ახალი მოსალმება და რომელი ღმერთის მადლი მოგაქვს ჩვენთან?“ ხოლო ის პასუხობს: „წამიყვანა მე ღმერთმა მექაში, ჩვენი მამის აბრაამის სახლში და მამცნო თავისი ნება. ხვალ გამოგზავნის კანონს“. მან წაიყვანა ერთი ძროხა, რომელმაც ხალხის შეკრების ადგილზე დაბადა ხბო, გააშორა ხბოს, დაწერა რაც სურდა და მიამაგრა რქებზე. ერთგული კაცების საშუალებით გაგზავნა ძროხა უდაბნოში^{***} და უბრძანა [მეორე დღეს] გამოეშვათ. თვითონ [მუჰამედი] ხალხით გარშემორტყმული ელოდებოდა. მოვარდა ძროხა ბლავილით, შეიწრა ბრბოში და ეძებდა ხბოს. [მუჰამედმა] ბრძანა შეეპყროთ [ძროხა], მოხსნა წერილი, ეამბორა და თქვა: „ღმერთი-საგან მოვიდა“. ამის გამო დღემდე ყურანის დასაწყისში წერია: „სურატ ალ-ბაკარა“, რაც ნიშნავს: „ძროხის კანონები“.

* ჩვენი... სახე > - 3

** ყოველ წელს > - 3

*** დაწერა... უდაბნოში > - 3

[მუჰამედმა] ბრძანა შვიდჯერ შეესრულებინათ ოოცვა გან-ბანვით. ისმაიტელების საყვირების ნაცვლად მან ბრძანა მაღლიდან ეხმოთ სალოცავად, რადგან ნათქვამია: „მახარობელო ადი სიონის მთაზე!“. მახარობელს უწოდებენ „მუდინ“-ს, რაც ნიშნავს „რჯულმდებელს“. ყურზე თითის მიდება ნიშნავს, რომ ნებით თუ უნებლიერ უნდა მოისმინონ ყურით. [მუჰა-მედმა] ქრისტეს უწოდა ღვთის სიტყვა და სული. ამბობენ, რომ ის სასწაულებს ახდენდა: მთვარე ჩამოჰქონდა ქვემოთ, ოთხად გაჭრიდა, ხელახლა გაამთელებდა და ცაში გზავნიდა. ადრე ისმაიტელების მთავარი იყო ქადერთი, ხოლო შემდეგ მათ ჰპოვეს მუჰამედი და ირწმუნეს მისი ყოველი სიტყვა.

როდესაც [ისმაიტელები] გაძლიერდნენ, იერუსალიმელებს შეეშინდათ მათი, უფლის ჯვარი და ყველა საეკლესიო ნივთი წაიღეს გემით და ჩაიტანეს კონსტანტინოპოლში. თვითონ [იერუსალიმელები] დაემორჩილნენ ისმაილს, რადგან კეიისარმა ვერ შესძლო მათ წინააღმდეგ ჯარის გაგზავნა. [ისმაიტელები] გაიყვნენ 3 ნაწილად: ერთი ნაწილი [გაემართა] ეგვიპტეში, ერთი – საბერძნეთში, ერთი – სომხეთში და ყველგან იყვნენ გამარჯვებულნი. მათ, რომლებიც წავიდნენ სომხეთში ასურეთის გავლით, მიაღწიეს დვინს, აიღეს ის და დახოცეს უამრავი [ადამიანი], ტყვედ წაიყვანეს 37 000* კაცი თეოდოროს რმტუნის¹⁶⁴ მთავრობის დროს, რომელიც იყო დავითის შემდეგ. მათ დაამარცხეს ბერძენთა მხედართმთავარი პროკოფი, რომელიც 60 000 კაცით იდგა სომხეთის საზღვართან.

ამ ხანებში გარდაიცვალა ეზრა და [საპატრიარქო] ტახტზე დაჯდა ნერსესი, ტაოს ეპისკოპოსი¹⁶⁵, ეზრას [მმართველობის] 10 წლის შემდეგ. მაგრამ იმის გამო, რომ იყო რბევა და უწყალო ხოცვა-ჟლეტა, [ნერსესმა] განიზრახა გაქცეულიყო [იმ

* 35 000 (3)

საპაპით, თითქოს] არ იყო ღირსი ამ დიდი წოდებისა, მაგრამ მრავალთა თხოვნის შედეგად დარჩა, [ბრძანა] შეეკრიბათ მრავალი გვამი და დაემარხათ. მან განაახლა მოწამე სარგისის დამწვარი ეკლესია, ამავე ადგილს ააშენა წმინდანთა ტაძარი ღრმა თხრილზე და საფუძველი ჩაუყარა კლდოვან ადგილზე წმ. გრიგორის სახელობის დიდ ტაძარს¹⁶⁶. 4 სვეტის ქვეშ მან მთლიანად მოათავსა წმ. გრიგორის ნაწილები, ხოლო თავი ჩადო კიდობანში, რომელიც შეინახა სწეულთა განსაკურნებლად. აქვე ჩადეს წმ. იზიტბუზიტის და მოწამე დავითის¹⁶⁷ ნაწილები. ამბობენ, რომ წმ. გიორგის ნეშტი ჩამოიტანა სომხეთში გრიგორ მამიკონიანმა¹⁶⁸, კონსტანტინოპოლში ელჩად ყოფნის დროს. მას მისცა [ნეშტი] რომელილაც დიდებულის ცოლმა, რომელსაც ჰქონდა ის თავისთან. ის გავიდა ზღვაში და ქალაქისაგან ფარულად წამოილო წარუვალი დიდების განძი. მან თავის ქალა მისცა ალბანელებს, ჯუანშერისა და მისი დის თხოვნით, რომელიც გრიგორ [მამიკონიანის] ცოლი იყო.

ამ ხანებში კეისარი კონსტანტინე შეთქმულებს მოაკვლევინა დედამისმა მარტინამ და დასვა [მეფედ] თავისი ვაჟი ჰერაკლეონი. მხედართმთავარმა ვალენტინმა მოკლა მარტინა და ჰერაკლეონი*. გამეფდა კონსტანტინეს ვაჟი კონსტანტი¹⁶⁹. რადგან [ამ დროს] ამბოხებული იყო ვარაზ ტიროცი¹⁷⁰, სთხოვა მის შესახებ [კეისარს] პატრიარქმა ნერსესმა და დაადგინა ის [კეისარმა] სომეხთა კურაპალატად. მთავრობის მიღებისთანავე ის გარდაიცვალა და დაკრძალეს ტარონში, თავისი მამის, მამაცი სმბატის გვერდით. მხედართმთავარი თეოდოროს რშტუნი და სმბატი დაიმარხნენ მამა-პაპათა პატივით**.

* მხედართმთავარმა... ჰერაკლეონი > – მ

** სმბატი დაიმარხნენ > – მ

მუჰამედს ეპურა ძალაუფლება 40° წელი და მიცვალა. მის შემდეგ ხელისუფლება მიიღეს ომარმა, ამრმა და აბუბექრმა.

მოკლულ იქნა ხოსროს შვილიშვილი იაზკერტი და შენყდა მეფობა სპარსეთში¹⁷¹, რომელიც გრძელდებოდა 481 წელი. მათ შემდეგ ძალაუფლება მიიღო მოავიამ¹⁷². ჰერაკლეს შვილიშვილმა კონსტანტინემ წაართვა ხელისუფლება თეოდოროსს და უბრძანა კილიკიის მხედართმთავარს გაელაშქრა მოავიას წინააღმდეგ. თეოდოროსის ვაჟმა ვარდმა მზაკვრობა ჩაიდინა ბერძენთა ჯარის მიმართ – გადაჭრა ხიდის კამარა ევფრატზე, ბერძენთა გაქცევის დროს. მოავიამ სომეხთა მთავრად დაადგინა გრიგორ მამიკონიანი და დაადო სომხებს ხარკად 500 დრაჟკანი¹⁷³. ზოგიერთი ამბობს, რომ თორდანიდან გადმოიტანეს გრიგორ განმანათლებლის მთელი სხეული. ისრაელი მოვიდა ალბანელთა მთავრის ვარაზ გორდატის ბრძანებით, გამოსთხოვა განმანათლებლის თავის ქალა, წაიღო და დადო გლხოვანად წოდებულ ადგილზე¹⁷⁴.

სომხები იძულებით დამორჩილდნენ აგარიანებს. ამაზე განრისხებულმა კეისარმა გამოიიღაშქრა სომხეთზე, მაგრამ ნერსეს კათალიკოსმა თხოვნით გააჩერა ის დვინში, კათალიკოსის სასახლეში. კათალიკოსი და კეისარი ერთად ეზიარნენ და შემდეგ 8 დღე ჩაფიქრებული იყვნენ ბერძენთა სწავლების თანახმად და იწყეს ქალკედონის კრების [დადგენილებების] ქადაგება. ერთი ვინმე ეპისკოპოსი გამოვიდა საკურთხევლიდან და შეერია ბრძოში. შემდეგ ჰკითხა მას კეისარმა: „რატომ არ ეზიარე შენს პატრიარქთან ერთად?“ [ეპისკოპოსმა] უპასუხა: „თვითონ ის არის ამის მიზეზი, რადგან 2 წლის წინ მოიწვია კრება და შეაჩვენა ყველა მწვალებელი და განსაკუთრებით ქალკედონის კრება“. მეფემ გაამტყუნა [პატრიარქი] ვერაგობისათვის, შემდეგ ეზიარა ეპისკოპოსი და და-

* 20 (3)

ლოცა მეფე, მეფემ კი ის. მეფის წასვლის შემდეგ ნერსესს შეეძინდა რშტუნის მფლობელის და წავიდა ტაოს¹⁷⁵. 6 წლის შემდეგ დაპრუნდა, როცა შეიტყო თეოდოროსის სიკვდილის ამბავი. მან ააშენა სენაკები დიდი ეკლესის ახლოს და და-აყენა იქ 2 კაცი ქალკედონიტთა წესის მიხედვით, გამოიყვა-ნა წყალი მდინარე ქასახიდან და მოაშენა ტყე და ვენახები. მან მოიწვია დიდი კრება ფერისცვალების დღესასწაულზე 10 მამის^{*} მონაწილეობით¹⁷⁶. [მგალობლები] ვერ აგრძელებდ-ნენ ერთიმეორეს [გალობას]. ამის გამო ბრძანა გამოერჩიათ ღირსეული და მხოლოდ ერთი [გალობა] ესწავლათ, რაც შეას-რულეს კიდეც წმ. ბარსელის საშუალებით, რომელსაც მეტ-სახელად ერქვა ჭონი. ის იყო ანისის გავარის წმ. მონასტრის წინამდლვარი, რომელსაც ეწოდებოდა დპრავანქი¹⁷⁷. მასზე ამ-ბობენ, რომ ის ღირს იქნა საოცარი შემართებით 7-ჯერ ეხილა ქრისტე. ამის შესახებ [არსებობს] შარაკანი, რომელსაც ამჟა-მადაც მსახურებენ ჩვენს ეკლესიაში და ეწოდება ჭონენტირი.

ნერსესის ტაოში ყოფნისას თეოდოროს რშტუნიმ გააშე-ნა კუნძული აღთამარი¹⁷⁸. დპრავანქიდან წაიღეს წმ. ღვთის-მშობლის სახელობის ჯვარი, რომელიც ახლა ვარძიისად იწოდება, მაშინ კი ეწოდებოდა ჭონელთა [ჯვარი]. ის საი-დუმლოდ წაიღო სარგის ჭონელმა უცხო ტომთაგან იქ, სადაც მოახდინა სასწაულები ტიმოთე მოძღვრის ხელით: ქართველ-თა მეფის დემეტრეს ცოლი სავსებით მოარჩინა კეთრისაგან, რის გამოც წაიღეს ის სომხეთიდან. ის წაკურთხია მესროპის მიერ, ან წმ. ბარსეღ ჭონელისგან და აქვს სომხური წარწერა მარჯვენა მკლავზე. დიდი პატრიარქი ნერსესი აღესრულა და დამარხეს თავის ხელითნაგებ ადგილზე. ტახტი მიიღო ანას-ტასმა აკორიდან¹⁷⁹, ნერსესის სახლთუხუცესმა, რომელმაც [წერსესის] ბრძანებით ააშენა წმ. გრიგორის ეკლესია, სანამ

* 8 საკითხი (3)

ის იყო ტაოში. მის დროს გრიგორ მამიკონიანმა ააშენა კა-თოლიკე ეკლესია არუქში¹⁸⁰ და ელივარდის მონასტერი. ანას-ტასმა ააშენა ეკლესია აკორში და განაწესა ის საძმოდ და საავადმყოფოდ. მთავარ გრიგორთან მოვიდა სურპან სპარ-სი¹⁸¹ სამეფო გვარიდან, რომელსაც სურდა გაქრისტიანება. ის მონათლა ანასტასმა და გახდა მისი ნათლიმამა, უწოდა თავი-სი მამის სახელი დავითი და აჩუქა ძაგი კოტაიქში.

ამ ხანებში ცხოვრობდა ანანია შირაკუნი¹⁸², რომელმაც მიიღო ბრძანება ანასტასისაგან და შეადგინა მუდმივი კალენ-დარი. ვიდრე პატრიარქი დაამტკიცებდა მას კრებაზე, აღეს-რულა. ის შეცვალა ისრაელმა¹⁸³ ანასტასის 6 წლიანი ღვთის-მსახურების შემდეგ. მის დროს ტაჭიკთა მხედართმთავარი ვინმე ბარაბა, რომელიც სომხეთში იდგა, დაამარცხა და გან-დევნა ქართველთა მთავარმა ნერსემ. ისრაელი იჯდა [წმინდა] ტახტზე 10 წელი და აღესრულა. [პატრიარქის] საბურველი მიიღო წმ. საპაკმა¹⁸⁴, რომელიც იყო ძოროფორის დიდებულ-თა გვარიდან. მისი პატრიარქობის მე-7 წელს სომხეთს შემო-ესივნენ ხაზარები¹⁸⁵, მოკლეს მთავარი გრიგორი და დაატყვე-ვეს ვინც კი მოახერხეს. ძალაუფლება მიიღო სმბატის ვაჟმა აშოტ ბაგრატუნმა.

ისმაილების მთავარმა მოავიამ განიზრახა აღმოეფხვრა ბერძენთა სამეფო, ისევე როგორც სპარსელთა, აღჭურვა 300 დიდი გემი – თითოეული 1000 კაცით და 1000 პატარა გემი – თითოეული 100 კაცით და გაუშვა ისინი ზღვით, ხოლო თვი-თონ ხმელეთით მიაღწია ქალკედონს. მაგრამ ყველა მისი გემი დაიღუპა. თვითონ გაიქცა დამით და მოკვდა ასურეთში¹⁸⁶. ხელისუფლება მიიღო მისმა ვაჟმა მრუანმა. [მან] გაგზავნა სომხეთში ვოსტიკანად¹⁸⁷ ვინმე მუჰამედი, რომელმაც ააოხრა კუნძული სევანი და დაატყვევა იქ მყოფნი¹⁸⁸, მოტყუებით ააოხრა წმ. გრიგორის ეკლესია, მოაკვლევინა ერთი თავისი მონა და ჩააგდო ღრმა ორმოში. შემდეგ დაიწყეს [მოკლულის]

ძიება და როცა იპოვეს, შური იძიეს – კიდურები მოაჭრეს ბერებს და ძელზე ჩამოჰკიდეს 40 კაცი. მუჰამედი წავიდა და [მრუანმა] სომხეთში გამოგზავნა სხვა ვოსტიკანი, სახელად აბდალაჰი^{*189}, რომელსაც სურდა აღმოეფხვრა სომხეთის აზატობა. [მან] ბორკილები დაადო კათალიკოს საპაკეს და გააგზავნა დამასკოში, სომეხი მთავრები სმბატი და წმ. დავითი ჯვარზე გააკრა.

დარჩენილმა სომეხმა მთავრებმა სმბატმა, აშოტმა და ვარდმა განიზრახეს საბერძნეთში გაქცევა. მათ გამოედევნა 5000 ისმაიტელი, დაეწია ვარდანაკერტთან და შეებრძოლა. ისინი ლვთის შემწეობით სწრაფად ამოხოცეს ჩვენმა მთავრებმა. [სმბატმა] დახოცილებს ცხვირები მოაჭრა და გაუგზავნა კეისარს, რისთვისაც მიიღო კურაპალატობა აშოტის შემდეგ¹⁹⁰. მან ააშენა ეკლესია ტარონში მაცხოვრის ხატის სახელზე, რომელიც ჩამოიტანა მისმა ვაუმა დასავლეთიდან და დღესასწაულის წინ ხოტბა შეასხა ჯარს ამ გამოსახულებით¹⁹¹. ის შეცვალა სმბატ ბაგრატუნმა, რომელიც წავიდა ტაოში და გამაგრდა თუხარისში¹⁹². ეს რომ გაიგო აბდულმელიქმა¹⁹³, უბრძანა თავის მხედართმთავარს მუჰამედს წასულიყო სომხეთის დასარბევად. ეს რომ ესმა ბორკილებში მყოფ საპაკეს, მისწერა თხოვნის [წერილი], რომ მუჰამედს ებრძანებინა საპაკის მასთან მისვლა. [საპაკი] წავიდა ხარანში, სადაც ავად გახდა და მისწერა მას სათხოვარი წერილი, რომ ეპატიებინა სომხებისათვის დანაშაული. მუჰამედმა წაიკითხა საპაკის წერილი, ჩაცხრა მისი რისხვა და არ შევიდა [სომხეთში] ბოროტი ზრახვებით. ზოგიერთები ამბობენ, რომ ის, ვისთანაც საპაკი მივიდა, იყო ამირათათავი ოკბა, რომელმაც დაწერა მშვიდობის სიგელი და წმ. ცხედართან ერ-

* აბდალა (ვ)

თად გაგზავნა* [სომხეთში]. [საპაკის] პატრიარქობის 27 წლის შემდეგ წმ. ტახტზე ის შეცვალა ელიამ.

კვდება აბდულმელიქი და მის ადგილს იჭერს მისი ვაჟი ვალიდი¹⁹⁴, რომელმაც უბრძანა მუპამედს გაენადგურებინა სომები აზატები ვინმე კამსას საშუალებით, რომელიც იყო ნახიჭევანის მბრძანებელი. მან მოტყუებით შეყარა ზოგი ხრა-მის ეკლესიაში, ნაწილი ნახიჭევანის ეკლესიაში და დააწვევი-ნა ისინი 150 (701) წელს¹⁹⁵, დიდი ნახარარები ძელზე ჩამოკიდა და ანამა, ხოლო მათი ცოლები და შვილები ტყვედ წაასხა¹⁹⁶. მათთან იყო გოლთნის მფლობელის ვაჟი ვაპანიც¹⁹⁷, რომე-ლიც ეწამა.

ვალიდი შეცვალა მისმა ძმამ სულეიმანმა, ის კი ომარ-მა, რომელმაც მოაკვლევინა წმ. ვაპანი. [სომები] მთავრების დაწვის შემდეგ სმბატ კურაპალატი და მასთან ერთად სხვა ნახარარები წავიდნენ ეგრისში, წაართვეს კეისარს ქალაქი ფოთი¹⁹⁸ და დასახლდნენ იქ. შემდეგ მათ ააოხრეს [ქალაქი], მოიტაცეს საეკლესიო ნივთები და მოვიდნენ სომხეთში. ბერძნები განრისხდნენ მათზე და შეაჩვენეს, რასაც აღდგო-მის დღესასწაულზე კითხულობენ.

დიდი ელია წავიდა ალბანეთში და ომარის საშუალებით გაკიცხული განდევნა ქალკედონის კრების მიმდევარი ნერსეს ბაკური და მისი თანამორნმუნე დედოფალი¹⁹⁹. [ნერსეს] ად-გილზე მან ხელდასხა სხვა, დაბრუნდა სომხეთში და აღეს-რულა თოთხმეტწლიანი პატრიარქობის შემდეგ. ის შეცვალა დიდმა** ფილოსოფოსმა იოანემ²⁰⁰, რომელსაც შიგნით ეცვა თხის ბერძისაგან ნაქსოვი ჯვალო, ხოლო გარედან ირთვებო-და ბრწყინვალე ტანსაცმლით და წვრილად დაფშვნილ ოქროს იყრიდა ქალარა წვერზე. ეს რომ გაიგო ომარმა, იხმო თავის-

* ზოგიერთები ... გაგზავნა > - ვ

** დიდმა > - მ

თან, 7 სამეფო სამოსელი აჩუქა მას და გაგზავნა სომხეთში. [იოანე] ჩამოვიდა და ეწეოდა განდეგილის ცხოვრებას. მარხვაში, ლოცვაში და [ქადაგებდა] ნათელ მოძღვრებას. მან მოიწოდა მანაზერტში საეკლესიო კრება²⁰¹ სომხებისა და ასურელების [მონაწილეობით] და განწმინდა სარწმუნოება ეზრას სექტისკენ გადახრისაგან.

ამ ხანებში ომარმა მისწერა ლეონ კეისარს მრავალი კითხვა და მათ შორის ასეთიც: „გვესმა ჩვენ, თითქოს ქრისტიანები 72 [მიმდინარეობად] არიან დაყოფილნი“. ხოლო მან მოსწერა პასუხი: „12 ხალხია [ქრისტიანი]: ბერძნები, რომაელები, ბაბილონელები, ეგვიპტელები, ეთიოპელები, ინდოელები, ასურელები, სომხები, სარკინოზები, სპარსელები, ალბანელები, ქართველები*. თქვენ რისთვის იწოდებით [მრავალი სახელით]? ქუზი, საბრი, თურაფი, კნარი, მურჯი, ბასლი (ულმერთო), ჯერდე, რომლებიც უარყოფენ ღმერთის არსებობას, აღდგომას და წინასწარმეტყველ ჰარიოს; აგრეთვე არის 2 [სექტა], რომელთაგან ერთს სძულხართ თქვენ და ერთი არ არის ჩხუბისმოყვარული. თქვენი წიგნები დაწერა ომარმა, აბუთურაბმა და სულეიმან სპარსმა. სპარსელთა ტომის მეთაური ჰაჯაჯი შეეცადა მათ გადაკეთებას. ჩვენი [წიგნები] კი ისეთივეა, რადგან ისინი სულინმიდისგანაა. წარტყყვევნის დროს ყველა წიგნი არ მოისპო, არამედ დარჩა გაფანტული [ხალხთა] შორის და როდესაც ეზრამ დაწერა შინაარსი, ის სავსებით ეთანხმებოდა ძველს. [ამ წიგნების რიცხვი] ანბანის რიცხვის მიხედვით იყო, თუმცა [რიცხვი] 7** მეორდებოდა დიდი მნიშვნელობის გარეშე“. წმ. პატრიარქმა იოანემ ომარის ბრძანებით მთელ სომხეთში ხმარებიდან ამოიღო გავრცელებული ბერძნული [ენა]. ამბობენ, რომ [კეისარმა] ლეონმა

* ქართველები > – მ

** 5 (ვ)

გაგზავნა დესპანად მთავარი ვასიდი იოანესთან და [ჰერიტა]: „რატომ სჩადიხარ ასეთ ბოროტებას?“ ეს მთავარი ავად გახდა, სიკვდილის პირას იყო, მას თავს დაახვიეს მკურნალები, მაგრამ ვერ უშველეს. [მაშინ მას] ხელი დაადო წმ. იოანემ და მაშინვე გამოჯანმრთელდა. იხილა რა [ეს] სასწაული, [ვასიდმა] ირწმუნა ჩვენი სარწმუნოება, აღარ დაბრუნებულა საბერძნეთში, აღიკვეცა ბერად და განდეგილი იყო 15 წელი გამოქვაბულში, რომელსაც მისი სახელის მიხედვით ეწოდა ჰორომ-აირი. როდესაც რომიდან [სომხეთში] ჩამოვიდა, ამ მთავარს ჰქონდა ჯვარი. ასე გვსმენია ჩვენ და თუ გსურს შენც მიიღე [ეს] სიყვარულით. იოანე 11 წლის შემდეგ აღესრულა და ტახტი მიიღო დავით კოტაიელმა* სოფელ არმორიკიდან, რომელიც საკათალიკოსოს საკუთრება იყო თრდატ მეფიდან მოყოლებული. [დავითმა] ააშენა ეკლესია და აქ გაატარა თავისი ცხოვრების დარჩენილი 13 წელი, შევიწროებულმა დვინში მყოფი ტაჭიკთა გარყვნილი ტომისაგან. ის შეცვალა თრდატმა სოფელ ოთმუსიდან, კაცმა კარგმა და ქველმა. მისი ლოცვის წყალობით 22 წლის მანძილზე იყო მშვიდობა.

ომარი შეცვალა იზიდმა, კაცმა ბოროტმა და ეშმაკეულმა**. მან აღმოფხვრა ჯვარი და ხატი ქვეყნიდან და ხოცავდა ლორებს, ვიდრე არ მოიშთო ბოროტი სულის მიერ***. მის შემდეგ მოვიდა ჰეშმი, რომელმაც გაგზავნა თავისი ძმა მესლიმი 70 000 კაცით ბითვინიაში. მეორე ლაშქრობის დროს [მესლიმს] ქრისტეს ჯვრის ძალით ზღვაში დაეღუპა 50 000 კაცი****. კეისარმა გაუშვა მესლიმი, რათა მას მოეთხოვ ლმერთის დიდების შესახებ. ჰეშმმა გაგზავნა სომხეთში მუჰა-

* კოტაიელმა > – მ

** კაცმა ... ეშმაკეულმა > – ვ

*** ბოროტი... მიერ > – ვ

**** გადაურჩა 50 კაცი (ვ)

ვარდან არეველი

მედის ვაჟი მერვანი²⁰², რომელიც მოვიდა და დაადგინა აშოტ ბაგრატუნი კურაპალატად²⁰³ ანუ პატრიკად. მისი შურდათ სმბატ, დავით და გრიგორ მამიკონიანებს. მერვანმა გაილაშექრა ჰუნების ქალაქ ვარაჩაზე²⁰⁴ და დაბრუნდა გამარჯვებული. ჰემის შემდეგ [ტახტზე] დაჯდა გარყვნილი ვალიდი, რომელიც კურაიების²⁰⁵ ბრძანებით იქნა მოკლული. [მის ადგილზე] დააყენეს სულეიმანი. ის მოკლა მერვანმა და თვითონ გაპატონდა.

სომეხთა ჯარი იღებდა ყოველ წელს 100 000 ვერცხლის დრაპენს. მერვანმა აიღო დამასკო და შეარცხვინა [მცხოვრებლები] – ამაგრებდა კაცს 4 მარგილზე და სცემდა მათ სახეში 3 და 4* შეცოდებისათვის, რომელიც იყო მკვლელობა, ვერცხლისმოყვარეობა, ავხორცობა და მეოთხე – ღმერთის სასჯელს რომ არ ელოდნენ.

ამ ხანებში სომეხმა მთავრებმა განიზრახეს ამბოხება [არაბთა წინააღმდეგ], რაც არ მოისურვა აშოტ პატრიკმა. ის შეიპყრეს და დაბრმავეს გრიგორ და დავით მამიკონიანებმა²⁰⁶. ეს აშოტი იყო სომეხ და ქართველ მეფეთა წინაპარი.

შემდეგ გამოვიდა ორი აბდალაქი, ჰემის ვაჟები და სისხლისმღვრელი ბრძოლა ჰქონდათ მერვანთან 2 წელი, ისე რომ ერთ ბრძოლაში დაეცა 30 000 კაცი და მოკლულ იქნა მერვანიც. გაბატონდნენ აბდალაქები, რომლებმაც ხარკი დაადეს მკვდრებსაც კი. მათ გაგზავნეს სომხეთში იზიდი, სასტიკი მჩაგვრელი, შემდეგ ბაქრი, შემდეგ ცოფიანი ჰასანი, რომლის დროს გამნარებული მუშელ მამიკონიანი აჯანყდა და მოკლა ისმაიტელთაგან 200 კაცი, ხოლო შემდეგ – 600**. შემდეგ [სომხებმა] მოტყუებულებმა ერთი ბერის მიერ, რომელიც ხილვასა და ცრუ სიზმრებს ყვებოდა და ამბობდა, რომ

* 3 და 4 > - 3

** 400 (3)

„დასრულდა ისმაილის ჟამი“, შეკრიბეს 5000 [კაცი], რომელთა მეთაურები იყვნენ მუშელი და სმბატი²⁰⁷. ისინი შეებრძოლნენ 30 000 [კაცს], დაიღუპნენ მუშელი და სმბატი 3000 [მებრძოლთან] ერთად*.

თრდატის შემდეგ მეორე თრდატი დამკვიდრდა წმ. ტახტზე 3 წლით. შემდეგ [პატრიარქი იყო] სიონი²⁰⁸, აღძნიქის ეპისკოპოსი, კაცი წმინდა და სასწაულმოქმედი, რომელმაც სიმის მთის ძირას დამშრალი წყარო კვერთხის დარტყმით ამოაჩქეფა. 8 წლის შემდეგ [სიონი] აღესრულა. ტახტი მიიღო უფალმა ესაიამ²⁰⁹ ელაპატრუშიძან, რომელზეც ამბობენ, რომ ის გაზარდა დედამ სიღატაკეში, ღია ცის ქვეშ, მათხოვრობით ყინვიან ზამთარში და სიცხიან ზაფხულში. [ერთხელ როცა] ვიღაცა აგდებდა მას მამამთავრის კარიდან, დედამ უთხრა: „განა არ იცით, რომ პატრიარქად ვზრდი ჩემს ყრმას?“, რაც აღსრულდა კიდეც. ჯერ ეპისკოპოსი, ხოლო შემდეგ პატრიარქი გახდა ღვთის მადლით. 13 წლის შემდეგ [ესაია] აღესრულა. ტახტი მიიღო სტეფანოსმა²¹⁰ – 2 წლით, შემდეგ იობმა – 6 თვით, მის დროს სოფელ ბაგრევანდში ეკლესიის ოქროს შემკულობის [ხელში ჩასაგდებად] ვოსტიკანმა ცილი დასწამა 40 კაცს, დახოცა ისინი და წაიღო მდიდრული განძი. იობის შემდეგ ტახტი მიიღო სოლომონმა²¹¹ გარნისიდან, მაქენაცის მონასტრის წინამდღვარმა, რომელიც წავიდა სოფელ ზრესკში, შირაკის გავარში, განმარტოებულ სენაკში და ფრიად იგვემდა ხორცს. აქედან გაიყვანეს ის და აიყვანეს [პატრიარქის] ტახტზე. ხედავდნენ რა [გზაში მას] ფრიად დაუძლურებულს განდეგილობისაგან ეკითხებოდნენ: „სად მიდიხარ?“ ის პასუხობდა: „[ჩემი] სახის გამოსახატავად შავი საღებავით სხვა პატრიარქების გვერდით“. ასეც მოხდა – 1

* ისინი ... ერთად > – მ

წლის შემდეგ გარდაიცვალა და გამოხატული იქნა სხვა [პატ-რიარქებთან] ერთად. ის შეცვალა გეორგიმ არაგან-ოტენიდან.

აბდალაპის შემდეგ მისმა ვაჟმა მუჰამედმა გაგზავნა ლეონ [კეისართან] 2 ფუთი მდოგვის თესლი და მას უკან გააყოლა ჯარი, რომელმაც ვერ შესძლო რაიმე ზიანის მოტანა²¹².

დიდი ომის გადახდის შემდეგ²¹³ გადარჩნენ: აშოტის ძის სმბატის 2 ვაჟი, რომელთა სახელებია აშოტი და შაპუჰი; სამუელის 1 ძმა სახელად შაპუჰი; მუშელის 4 ასული და 2 ვაჟი, [მათ შორის] სიყრმის შვილი ჰაპუჰი, რომლებიც მოხვდნენ ვასპურაკანის ქვეყანაში და ორივე მოკლა მეჰრუჟან არწრუნ-მა, თითქოს იმ მიზეზით, რომ მათი მამა იყო [სომხეთში დატრიალებული] დიდი უბედურების [მიზეზი]. ერთ-ერთი და გათხოვდა ვიღაც ისმაიტელ ჯაპასპზე, რომ გაეხადა ის მფარველად. სმბატის ვაჟებმა აშოტმა და შაპუჰმა თანაბრად გაიყვეს თავისი მამული. რადგან ჯაპასპმა მიიტაცა არშა-რუნიქის²¹⁴ რაღაც ნაწილი და განზრახული ჰქონდა თავისი ცოლის საშუალებით გაბატონებულიყო [სომხეთის] მთელ ქვეყანაზე, აშოტმა და შაპუჰმა ნაართვეს მას ეს [ნაწილი არ-შარუნიქისა]. ისინი შევიდნენ შირაკის გავარში, განდევნეს იქ მდგომი ისმაიტელთა ჯარი, დაიპყრეს შირაკი, აშოცი და ტაოს გავარი²¹⁵. ასე ბედმა გაულიმა მამაც აშოგს, ააშენა კამახი და იქ დაასახლა თავისი სახლეულები, ხოლო თვითონ ჰპაძავდა თავის წინაპარს სმბატ ბივრიტის ძეს, მთავარს სმბატოვანისა, რომელიცაა ციხე სპერის გავარში²¹⁶. ერთ დღეს მას ალყა შემოარტყა მტერმა ლოცვის დროს. ეს რომ დაინახა, მან არ შეწყვიტა საუბარი ლმერთთან, ვიდრე არ დაასრულა. შემდეგ გამოვიდა მათ წინააღმდეგ, გაჰკვეთა ორად მათი მთავარი, რომლის სახელი იყო ლიპავონ აბდალაპი და დახოცა 500 კაცი. მას თხოვნით მიმართა გნუნის გვარმა²¹⁷, რათა ეხსნა ისინი ისმაიტელთაგან. [აშოტი] წავიდა 1000 კაცით ალიოვი-

ტის გავარში, წამოიყვანა მთელი ეს გვარი თავისი ქონებით, მიიყვანა და დაასახლა ტაოში.

ამ ხანებში არეულობა ატყდა ისმაიტელებს შორის და სომებთა ქვეყანამ დაისვენა. იწყეს გაძლიერება მთავრებმა თავ-თავის ადგილებზე. ისმაიტელთა მთავარმა მისცა აშოტს – სომებთა მთავრის აშოტის ძის ვასაკის ვაჟის ატრნერსეპის ძეს – ქართველთა ქვეყანა. [აშოტი] წავიდა და დაიმორჩილა, ხოლო კეისარმა უბოძა მას კურაპალატობა. ჯაპასპი აუჯანყდა თავის მთავარს, მოვიდა და ძალით დაჯდა დვინში თავისი შვილით აბდალაპით. ეს რომ იხილა აშოტ კურაპალატმა, გაგზავნა კეისარ ლეონთან თხოვნა სომხეთის დასახმარებლად. მას არ ეცალა, რადგან ვინმე მიქაელმა სცადა მისი მოკვლა, მაგრამ ვერ მოახერხა. ეს რომ გაიგო კეისარმა, გადაწყვიტა მისი დასჯა, მაგრამ დათანხმდა დედოფლის თხოვნას, რომ ვიდრე არ გაივლიდა დიდი აღდგომის დღე, საპყრობილები ჩაესვა [და არ მოეკლა]. ციხის უფროსი იყო მიქაელის კეთილისმსურველი, რომელმაც მოისყიდა მეფის პალატის მცველები და დაახლოებული პირები. ისინი მოულოდნებლად მახვილებით დაესხნენ თავს კეისარს ეკლესიაში წირვის დროს. ის გაიქცა საკურთხევლისაკენ და ხელებით ჩაეჭიდა, ხოლო მათ შეუბრალებლად, როგორც მხეცებმა, მოკლეს ის ადგილზე. გამეფდა მიქაელი²¹⁸. მან იხმო თავისთან დიდი მხედართმთავარი მანუელ მამიკონიანი, რომელიც 150 კაცით გადავიდა კამახში და იქიდან ისმაიტელთა მთავარ მამუნთან²¹⁹, რომელმაც მოკლა მუჰამედის ძმა და თვითონ პატონობდა ტაჭიკებზე. [მამუნმა] დიდი პატივით მიიღო ის, დაუნიშნა ჯამაგირი დღეში 1306 წონა ვერცხლი და ყოველ დღე [აძლევდა] აურაცხელ და შეუფასებელ საჩუქრებს. აშოტ კურაპალატი²²⁰ ბატონობდა კლარჯეთიდან თბილისამდე²²¹ მთიანი თემების ჩათვლით.

ვარდან არეველი

ჯაპასპის სახლი გაძლიერდა დვინში და 5000 კაცით სურ-და წასულიყო ტარონზე, აშოტ სმბატის ძის სამფლობელოზე. კეთილგონიერი, მამაცი და სარწმუნოებით განმტკიცებული [აშოტი] არ დაელოდა შეკრებილი ჯარის მოსვლას, 200 მხედ-რით და 300 ქვეითით გამოვიდა მის წინააღმდეგ, მოსრა მათ-გან 3000 კაცი, მიაღწია მათ ბანაკს, ხელთ იგდო მთელი მათი სიმდიდრე, გამობრუნდა სიხარულით და ადიდებდა ქრისტეს. მისი ძმა შაპუჰი კი თავს დაესხა დვინის შემოგარენს, ხელთ იგდო დიდი ნადავლი და გამობრუნდა. მას უკან გამოედევნა ქალაქიდან ჯარი. მოქალაქეები თავს დაესხნენ აბდულმე-ლიქს, მოკლეს ის და მიიტანეს ქალაქის კარებთან. ასე [სომ-ხები] ხელახლა გაძლიერდნენ, ხოლო [ისმაიტელებმა] რომ გაიგეს მომხდარი ამბავი, გაიფანტნენ.

ამ ხანებში აშოტთან მოვიდა ერთი ეპისკოპოსი, სახელად აპიკურა და ცდილობდა მოქეცია ის ქალკედონურ სარწმუ-ნოებაზე. ეს რომ გაიგო შუამდინარეთის ერთმა მოძღვარმა ბივრატმა, გაგზავნა დიაკონი ნანა, რომელიც მოვიდა, შეებ-რძოლა აპიკურას და დაამარცხა ის სულინმიდის ძალით²²². მთავარმა [აშოტმა] განდევნა [აპიკურა] და კიდევ უფრო მე-ტად განმტკიცდა წმ. გრიგორის სარწმუნოებაზე. ამის შემდეგ აშოტი აღესრულა და მიიღო ძალაუფლება მისმა ვაჟმა სმბატ-მა 1 წლით. [სმბატი] შეებრძოლა 500 კაცით 4000 ისმაიტელს და დაიდგა ქრისტეს [მონამეობრივი] გვირგვინი. მისმა ძმებ-მა: დავითმა, საპაკმა, მუშელმა და ბაგრატმა წაიყვანეს დედა და წავიდნენ მუფარლინში²²³ ამირა ხალაფთან, რომელმაც სიყვარულით მიიღო ისინი.

ვინმე სევადა, ჯაპასპის სახლიდან, 4000 კაცით ებრძოდა აშოტს და მის ძმას შაპუჰს. შაპუჰი დაიღუპა ბრძოლაში. 2 წლის შემდეგ თავის სახლში გარდაიცვალა აშოტი და ძალა-

* ნეფრერტში (3)

უფლება მიიღო მისმა ვაჟმა სმბატმა, რომელმაც იზრუნა შაპუჰის ობლად დარჩენილ შვილებზე, დაასახლა ისინი ანისში უსაფრთხო ადგილას. მან ზავი დადო სევადასთან და მიიღო მისგან სპარაპეტის მემკვიდრეობითი პატივი, იქორნინა დავითის დაზე და ეყოლა 2 ვაჟი: აშოტი და შაპუჰი. მათი და გათხოვილი იყო ბაგრატზე, აშოტ კურაპალატის ვაჟზე. სმბატის ძმამ დავითმა ააშენა ოძ-ბერდი²²⁴.

ამ ხანებში მოვიდა ბალდადიდან ერთი კაცი სპარსთა ტომიდან, სახელად ბაპი, მრავალი განგმირა და მახვილით მოსრო ისმაიტელთა ტომიდან, მრავალი დაატყვევა, ხოლო თავის თავს აცხადებდა უკვდავად. ისმაიტელებთან ერთ ბრძოლაში დახოცა 30 000 კაცი, მოვიდა გელარქუნამდე და ულეტდა მახვილით დიდს და პატარას. [ამ დროს] მამუნი იყო ბერძენთა მხარეებში. [მან] 7 წლის [შემდეგ] აიღო მიუდგომელი სიმაგრე ლულუა და დაბრუნდა შუამდინარეთში. მანუელი ხელმეორედ გაეშურა საბერძნეთს. მოკვდა მამუნი და მიიღო ძალაუფლება მისმა ძმამ აბუსაკმა. მან გაგზავნა აფშინი მთელი ძალებით ბაბანას წინააღმდეგ სომხეთში, რომელმაც გაულიტა ბაბანას ლაშქარი.

სმბატის ვაჟმა საპლმა შეიპყრო ბაბანა და მოითხოვა აფშინისაგან გამოსასყიდი მილიონი წონა ვერცხლი და მიიღო მისგან 100 000. ბაბანას მოაჭრეს ფეხები და ხელები და ჩამოჰკიდეს ძელზე²²⁵. აფშინი წავიდა საბერძნეთს, დაამარცხა კეისარი, აიღო ქალაქი ამურა, წარტყმული ის და დაბრუნდა მშვიდობით.

ამ ხანებში ვინმე აბლპერთი, ჯაპასპის სახლიდან, თავს დაესხა 4000 კაცით სივნიეთის ქვეყანას. მის წინააღმდეგ გამოვიდა ბაბგენი 200 კაცით და სრულიად გაანადგურა მისი ჯარი.

პატრიარქთა რიგში გეორგი შეცვალა იოსებმა 11 წლით, ხოლო ის დავითმა – 13 წლით. მის დროს სომხეთში მოვი-

და ვოსტიკანად ჰოლი, რომლის წინააღმდეგ გამოვიდნენ და დაიღუპნენ სმბატი და საპაკი – სივნიეთის უფალი. [პატ-რიარქის ტახტზე] იოსები შეცვალა იოანემ, კაცმა წმინდამ და თავმდაბალმა. 8 წლის შემდეგ ის დაასმინეს ტავროსის მთის მფლობელ ბაგრატთან, რომელმაც განიზრახა მისი ტახტიდან ჩამოგდება, მაგრამ ცილისმნამებლები დაისაჯნენ უფლის მიერ. მოვიდა ვოსტიკანი აბუსეთი, რომელმაც ბორკილებგაყრილი გაგზავნა ბაგრატი ამირასთან. ტავროსის [მოსახლეობა] აჯანყდა და განრისხებულმა მოკლა აბუსეთი²²⁶. ეს რომ გაიგო ამირამ, გამოგზავნა მრავალრიცხოვანი ჯარი თავისი ყმის ბუღას²²⁷ ხელქვეით და უბრძანა მას ამ ქვეყნის ნახარარები დატყვევებულნი გაეგზავნა მასთან. [ბუღა] მოვიდა და შეასრულა ბრძანება: შევიდა ტარონში, შეიპყრო ტყვე ბაგრატის ვაჟები: დავითი და აშოტი, არწრუნთა სახლის დიდი მთავარი აშოტი*, მშვენიერი ატომი, სხვა 150 კაცი და აიძულებდა უარეყოთ ქრისტეს ღვთიურობა**. ამაზე ისინი არ დათანხმდნენ და მწარე სატანჯველით, მახვილით, ცეცხლითა და ჯვრით [მონამეობრივი] გვირგვინი დაიდგეს ქრისტესთვის მეპეკის თვის 25-ში. [ამ დღეს] წმ. პატრიარქმა იოანემ დააწესა დღესასწაული, თვითონ კი აღესრულა თავისი პატრიარქობის 22 წლის შემდეგ. წმ. ტახტი მიიღო ზაქარიამ, სოფელ ძაგიდან. ბუღამ შეიპყრო: სივნიეთის მთავარი ვასაკი, მისი ძმა აშოტი, დიდი მთავარი ატრნერსეპი ხაჩენის გავარში და გარდმანის მთავარი კტრიჭი. შემდეგ წავიდა უტიქში, შეიპყრო სტეფანოს კონი, რომელმაც თავისი სატომო სახელი, სევკო-ორდიქი მიიღო თავისი წინაპრისაგან, და ალბანთა მთავარი ისაია. ყველა ისინი მიიყვანა ამირათათავთან და მოტყუებით უხმო აგრეთვე სპარაპეტ სმბატს, რომელიც, როგორც კი მოვიდა,

* არწრუნთა ... აშოტი > - მ

** ღვთიურობა > - ვ

საპყრობილები ჩააგდეს და მოითხოვდნენ მისგან [სარწმუნოების] უარყოფას. მაგრამ მამაცი აღმსარებელი სმბატი არ დათანხმდა, ციხეში აღესრულა ქრისტესთვის და დაფლეს წინასწარმეტყველ დანიელის საფლავში. მისი ძალაუფლება მიიღო მისმა ვაჟმა აშოტმა. დიდი ტანჯვით ეწამა აგრეთვე სტეფანოსი, მეტსახელად კონი იმავე ადგილზე.

გრიგორ მამიკონიანმა ვაჟკაცურად დაიცვა სარწმუნოება, გამოვიდა საპყრობილებდან, მოვიდა, შევიდა ბაგრევანდის გავარში²²⁸ და სურდა გამაგრებულიყო გაბელიანქის²²⁹ გავარში, გაზანანაკეში, მაგრამ 7 დღის შემდეგ გარდაიცვალა. ეს რომ გაიგო ვოსტიკანმა მუჰამედმა, რომელიც სომხეთში იყო, შეატყობინა აშოტ სმბატის ძეს, რომ სადაც არ უნდა ყოფილიყო [გრიგორ მამიკონიანი] შეეპყრო და მასთან გაეგზავნა. [აშოტმა] მოკვეთა თავი მკვდარს, გაგზავნა მასთან და შეუთვალა: „უნდოდა გადასულიყო საბერძნეთში, მე დავადევნე [ხალხი], მოვკალი და აპა მისი თავი“. მუჰამედს გაუხარდა და აცნობა ჯაფარს²³⁰, რომელმაც ბრძანა დაენინაურებინათ აშოტი, მიეცათ მისთვის ბაგრევანდის გავარი და 70 000* ვერცხლი. ამ დროიდან აღმოიფხვრა სომხეთში მამიკონიანთა გვარი.

აქ უნდა ვთქვათ სომეხთა და ქართველთა მეფობის დასაბამზე, რომელიც ბაგრატუნებისაგან მომდინარეობს. როგორც ზემოთ ითქვა, მამაცი ვარდანის შემდეგ სომეხი უფლისწულები შემთხვევით ინიშნებოდნენ სმბატ ბაგრატუნამდე. მის შემდეგ იყო აშოტ ვასაკის ძე, რომელიც დააბრმავეს მამიკონიანებმა. მას ჰყავდა ორი ვაჟი: სმბატი – სომეხ მეფეთა მამამთავარი და ვასაკი – ქართველ მეფეთა მამამთავარი, რომლის ვაჟი იყო ატრნერსეპი, მისი [ვაჟი] აშოტი, მისი ბაგრატი, რომლის ძმა იყო გუარამი; მის შემდეგ დავით

* 50 000 (3)

ბაგრატის ძე, რომელიც მოკლულ იქნა თავისი ბიძის გუარა-
მის მიერ; მისი ვაჟი იყო ატრნერსეპი, მისი ვაჟი დავითი, მისი
ძმისშვილი იყო გურგენი, მისი ვაჟი იყო ბაგრატი, რომელმაც
მოიყვანა ცოლად ვასპურაკანის მეფის სენექერიმის²³¹ ასული.
ასეთია თანმიმდევრობა²³².

სომებს მეფეთა მამამთავრის სმბატის ვაჟი იყო აშოტ
ხორციჭამია²³³; მისი ვაჟი იყო სმბატ აღმსარებელი²³⁴; მისი
ვაჟი კი აშოტ კეთილმორწმუნე, რომელიც იწოდა მთავართა
მთავრად ალი ვაჟეის ძის მიერ, ამირათათავის ჯაფარის ბრ-
ძანებით. მასთან გამოგზავნა კონსტანტინოპოლის პატრიარქ-
მა ფოტიმ 318 (869) წელს ნიკეის მიტროპოლიტი იოანე. მას
ჰქონდა ზაქარიასთან წერილი, [სადაც იყო] პასუხი კითხვაზე:
რატომ მოიწვიეს მეოთხე საეკლესიო კრება. ერება მოიწვიეს
შირაკავანში²³⁵. იქ იყო აგრეთვე ასურელთა დიაკონი ნანა,
რომლის მოკვლა სურდა ჯაფარს სარწმუნოების გამო, მაგ-
რამ ხილვით შეშინებულმა გაუშვა ის.

დაწერილია, რომ ქრისტეს აღდგომიდან 315 წელს შეიკრი-
ბა ნიკეის საეკლესიო კრება²³⁶ 518* [მამის მონაწილეობით].
მას ესწრებოდნენ პატრიარქები: სელვესტროსი – რომის,
ალექსანდრე – კონსტანტინოპოლის, ალექსანდრე – ალექ-
სანდრიის, ევსტათე – ანტიოქიის, არისტაკესი – სომხეთის.

72** წლის შემდეგ ჩატარდა II საეკლესიო კრება, თეო-
დოსის მეფობის 25-ე წელს²³⁷, [რომელშიც მონაწილეობდნენ]
პატრიარქები: დამასკოსი – რომის, ნექტარიოსი – კონსტან-
ტინოპოლის, ტიმოთე – ალექსანდრიის, იოანე – ანტიოქიის,
ნერსესი – სომხეთის.

* 318 (3)

** 74 (3)

47 წლის შემდეგ, თეოდოს უმცროსის მეორე წელს* შეიკრიბა III საეკლესიო კრება²³⁸, [რომელშიც მონაწილეობდნენ] პატრიარქები: კელესტინოსი – რომის, კირილე – ალექსანდრიის, იოანე – ანტიოქიის, იუბენალი – იერუსალიმის, სომეხთა პატრიარქ საპაკისაგან იყო წერილი. ამის შემდეგ გამოჩნდა კონსტანტინოპოლის არქიმანდრიტი ევტიქე, რომელიც გაუგებრად ქადაგებდა ქრისტეს ერთბუნებოვნებას. ის განდევნა პატრიარქმა ფლაბიანოსმა. [ევტიქემ] სთხოვა ვინმე საჭურისთაუფროსს ოსკევანს მიეწერა დიოსკოროსთვის, რომ ებრძანებინა მისი მიღება, რაც მან შეასრულა კიდეც, თუმცა შემდეგ ინანა.

კირილედან 22 წლის შემდეგ მოწვეულ იქნა ეფესოში საეკლესიო კრება, რომელზეც უარყვეს ლეონის წერილი, განკვეთეს ფლაბიანოსი** და დომნას ანტიოქელი. ამის შესახებ ბრალდებით აღსავსე წერილი გაგზავნეს თეოდოსთან. გამოვიდა ბრძანება მოეწვიათ კრება და ხელახლა გადაეხედათ საქმისათვის.

[თეოდოსი] აღესრულა და მარკიანემ – ქრისტეს აღდგომიდან 462 წლის შემდეგ, წმ. საპაკის სიკვდილიდან 15 წლის შემდეგ, რა წელსაც აღესრულნენ წმ. ვარდანიანები²³⁹ – მოინვია კრება²⁴⁰ იოანე მანდაკუნის პატრიარქობის დროს, რომელსაც არ ეცალა კრებაზე წასასვლელად. კრებიდან განდევნეს დიოსკოროსი, პეტრე ანტიოქელი, დიოსკოროსის ძმა ანატოლი ჯერ კიზიკონში, შემდეგ ჰერაკლეაში და შემდეგ პაფლაგონიაში.

6 წლის შემდეგ გარდაიცვალა მარკიანე და გვირგვინი მიიღო ლეონმა 19 წლით. მან ტიმოთე გადაასახლა ქერსონში. ლეონ უმცროსი [მეფობდა] 5 წელი; ზენონი – 16 წელი. მან

* მეორე წელს > – მ

** ფლაბიანოსი > მ

ჩააცხრო მლელვარება, აღმოცენებული ქალკედონის კრეპის შედეგად. მაგრამ რომმა დაიცვა [ქალკედონის კრეპის] მოძღვრება. ანასტასი [მეფობდა] 17 წელი. ის დადგა იმავე კეთილსარწმუნოებაზე და დააბრუნა ტიმოთე ალექსანდრიაში. იუსტინე [მეფობდა] 9 წელი. მან ხელმეორედ აღადგინა [ქალკედონის] კრეპის მოძღვრება. იუსტინიანისი [მეფობდა] 33 წელი, იუსტინიანისი – 9 წელი. მას სურდა განემტკიცებინა მართლმადიდებლობა და ღალატით იქნა მოკლული. ტიბერიუსი [მეფობდა] 7 წელი. მის დროს მოიწვიეს კრება კონსტანტინოპოლიში, რომელიც არ მიიღეს სომხებმა. მავრიკე [მეფობდა] 23 წელი. ფოკა – 8, ჰერაკლე – 37*, კონსტანტინე – 3, კონსტანტინე, ჰერაკლეს შვილიშვილი – 29. მის დროს მარტინოსმა მოიწვია საეკლესიო კრება რომში, რომელმაც აღიარა ქრისტეში ორი ნება და ორი მოქმედება. კონსტანტინე [მეფობდა] 13 წელი. მის დროს აგათონმა მოიწვია კრება, რომელმაც დაამტკიცა მარტინოსის [მოძღვრება]. იუსტინიანე [მეფობდა] 2 წელი, ლეონი – 3, აპტიმაროსი – 7, იუსტინიანე – 7, ფილიპე ვარდი – 2, არტემი – 2, თეოდოსი – 2, ლეონი – 7, კონსტანტინე – 15, ლეონი** – 5, ნიკიფორე – 6, სტრაკოსი – 1, მიქაელი – 1, ლევონ სომეხი – 10, მიქაელი – 1, თეოფილოსი – 1***, მიქაელი – 2. ბასილის დროს ცხოვრობდა ფოტი, მან [სომხეთში] მოიწერა წერილი, რომელშიც ამბობდა, რომ არ იყო განხეთქილება [ეკლესიაში] უკანასკნელ ნერსესამდე, რომლის დროს დადგინდა სომხური წელთაღრიცხვა 104 წელს და რომელმაც შემდეგ მოიწვია კრება დვინში²⁴¹ სასუნიდან მოსული ბარდიშო ასურის მეშვეობით. მის დროსვე თარგმნეს

* 35 (3)

** ლევონდი (3)

*** მიქაელი ... 1 > - გ

ქალაქ ნაბუნის ეპისკოპოს ფილარქესიონის და ტიმოთე კუზის წიგნები.

16 (567) წელს შურისმგებელმა ვარდანმა მოკლა სპარსელი მარზპანი სურენი და თვითონ თავისი სახლეულით წავიდა იუსტინიანესთან მისი მეფობის 30-ე წელს. ჯვართამაღლების დღესასწაულზე ის არ ეზიარა ჩვენთან და განაცხადა, რომ ჩვენი მოძღვრები არ გვიპრძანებენ ამას. ამის გამო მეფემ მოიწვია 150 ეპისკოპოსის საეკლესიო კრება, რომელსაც უწოდებენ V კრებას²⁴².

როდესაც მუშელმა სომეხთა და ბერძენთა ჯარებით დაიმორჩილა მეფე ხოსრო და დაბრუნდა საჩუქრებით, სიტყვა ჩამოვარდა სარწმუნოებაზე. მავრიკე [კეიისარმა] მოიწვია 160 ეპისკოპოსის საეკლესიო კრება, რომელთაგან 25 ეპისკოპოსი იყო სომხეთიდან²⁴³.

ჰერაკლე [კეიისარმა] მოიწვია VII საეკლესიო კრება, რომელიც არ შეიწყნარა იოანე მაირივანელმა, რისთვისაც ის თეოდოროს რშტუნიმ და ნერსესმა განდევნეს კავკასიაში²⁴⁴. შემდეგ ის დაბრუნდა სომხეთში და გააკეთა რაც სურდა. სომხები გამოეყვნენ ბერძნებს სამუდამოდ და უფრო მეტად მაშინ, როცა თარგმნეს იულიანე გალიკარნელის წიგნები სარგისის საშუალებით. მანაზკერტის კრებაზე ფოტის წერილი ბევრმა არ მიიღო. მასზე პასუხი დაწერა საპაკიმა, მერუტენად წოდებულმა. ის იყო ეპისკოპოსი ტაოში, აშუნქიდან და იქიდან განდევნილი სარწმუნოების გამო მოვიდა სომხეთში აშოტთან.

იმავე კეიისარ ბასილისგან 325 (876) წელს მოვიდა ერთი საჭურისი სახელად ნიკიტა დიდი საჩუქრებით და სთხოვა აშოტს გვირგვინი, იმის გამო, რომ ტარონის ეპისკოპოსმა ვაპანმა დაარწმუნა [ბასილი], რომ ის არკაშუნიანია, რადგან დედამისი სომეხი იყო. თითქოს აღსრულდა წმ. საპაკის ზმანება, რომ ისევ არშაკუნი მეფე დაჯდებოდა ტახტზე. [ბასილს]

სურდა რომ მისთვის გვირგვინი ეკურთხათ ბაგრატუნებს, რაც შეასრულა აშოგმა. [აშოგმა] გაგზავნა აგრეთვე შესაწირავი – 10000 ვერცხლი ახალაგებული ეკლესიისათვის. ასევე ამბობენ, რომ მამიკონიანებმა²⁴⁵ იყიდეს ხუთ გრივ ვერცხლად წმ. სოფიის ტაძრის დასავლეთი კარი იუსტინიანესგან სომეხთა მოსახსენებლად. ნიკიტა მოვითხობს, რომ [ბერძნებმა] იპოვეს წმ. გრიგორ განმანათლებლის ნაწილები დიდმარხვის V შაბათს, რომელიც დღესასწაულად დააწესეს.

ამ ხანებში უფალი ზაქარია წავიდა იესე შეიხისძის²⁴⁶ სანახავად და ფრიად განდიდდა მის მიერ. [იესემ] მისცა მას დიდძალი საჩუქრები და ნება დართო მის წინაშე ყოველთვის მოსულიყო ზეალმართული დროშით და ჯვრით. [ზაქარია] შეცვალა გეორგმა პატრიარქის სახლიდან.

ამ ხანებში აშოტ დიდი შეიჭრა იბერიაში და ალბანეთში და დაიმორჩილა კავკასიულები²⁴⁷. არაფერი აკლდა აშოგს გარდა გვირგვინისა, რაზეც ფიქრობდნენ სომეხი მთავრები. მათ იესეს საშუალებით აცნობეს ამირათათავს, რომელმაც გულითადი სიხარულით გაუგზავნა მას გვირგვინი, სამეფო სამოსელი და ცხენები. აგრეთვე კეისარმა ბასილმა გაუგზავნა მას გვირგვინი. მისი გვირგვინი აკურთხა უფალმა გეორგმა 336 წელს, თავისი პატრიარქობის მე-12 წელს, 888 წელს უფლის დაბადებიდან²⁴⁸. [აშოგტი] კეთილად განაგებდა სამეფოს 7th წელი. მის დროს ცხოვრობდა ჰამამი, რომელმაც დაწერა განმარტება იგავებისა და გრამატიკისათვის, თარგმნა იობის „ვინ არის ის?“, კურთხევანი, რომელიცაა ფსალმუნებში ერთი წიგნი და უბინოებაზე ერთი წიგნი.

მეფე აშოგმა დაადგინა ქართველთა მთავრად თავისი დისშვილი, ხოლო თვითონ აღესრულა ქრისტესთან 71 წლის

* 5 (3)

[ასაკში]. გვირგვინი მიიღო მისმა შვილმა სმბატმა* 344 (895) წელს²⁴⁹ 24 წლით, ლეონ ვასილის ძის ნებით. ის მეფობდა თავისი მამის შემდეგ 26 წელი, [იყო] კაცი უხვად გამცემი და არ ჰერაც რომაელს, რომელთა ენაზე, როგორც ამბობენ, არ არსებობს სიტყვა უხვი**. ის იყო სომების ვაჟი და ძალიან უყვარდა სომხები. ხოლო სმბატმა მიიღო რა [მეფობის] პატივი, ააშენა წმ. მაცხოვრის ეკლესია ერაზგავორში, იგივე შირაკავანში²⁵⁰, სადაც ის ეკურთხა მეფედ. [ერაზგავორი] იყო ბაგრატუნ მეფეთა ადრინდელი სატახტო ადგილი, ვიდრე არ იყო აშენებული და გაფართოებული ქალაქი ანისი, რაც ნიშნავს ზრუნვას. თუმცა შიდა ციხე [ანისის] სახელით იყო ცნობილი და აშენებულია ძველ დროს. (აქ გამაგრდა ნახარარი ოტა და იცავდა თრდატის დას, კერპებს და არშაკუნიან მეფეთა განძს ხოსროს სიკვდილის შემდეგ. ბერძენთა ქვეყნიდან თრდატის დაბრუნების შემდეგ მას ეკელეაცის გავარში შეეგებნენ ოტა და მისი სიმამრი – აშოცის უფალი ტაჭატი, რისთვისაც მიიღეს მრავალი მადლობა***. ეს ტაჭატი იყო, რომელმაც აცნობა მეფეს, რომ გრიგორი ანაკის ვაჟია). ანისი ჰქვია აგრეთვე ამჟამად კამახად წოდებულ ციხეს; სიმაგრე ანისი კი შიდა ციხეა****, სადაც, როგორც ამბობენ, გამაგრდა ერთი ფეხებ-დაავადებული მთავარი და არ გამოდიოდა ნათლისსალებად სომეხთა მოქცევის დროს, ვიდრე არ იეშმაკა წმ. გრიგორმა. [მან] შეიცვალა გარეგნობა, მივიდა ციხესთან, ჩაცოცდა ციცაბო კლდეებზე და ჩავიდა წყალში. უეცრად მისი გამხმარი ფეხები გაცოცხლდა წყლის ძალისაგან. იგი მთელი ხმით ადიდებდა ღმერთს. ეს რომ იხილა და ისმინა იმ მთა-

* პაპმა (მ)

** რომელთა ... უხვი > - ვ

*** რისთვისაც ... მადლობა > - ვ

**** ანისი ... ციხეა > - ვ

ვარმა, თავისთან უხმო [წმ. გრიგორს], მიიღო ნათელი და განეურნა ფეხები სულიერი განეურნების ნიშნად.

პატივმოსილი მეფე სმბატი ჩამოახრჩეს ძელზე ტაჭიკთა ვოსტიკან იუსუფის²⁵¹ ბრძანებით დვინში ქრისტიანობისათვის. ასევე მისი ვაჟი მუშელიც მონამლეს და აღესრულა უფლისა-თვის წამებით. ის დაკრძალეს ბაგარანში თავის წინაპრებთან. 7 წელი უმთავროდ იყო ქვეყანა და ოხრდებოდა მახვილითა და წარტყყვევნით. აშოტ სმბატის ძე, მამაცობისათვის რკინად წოდებული²⁵², გადავიდა ბერძენთა კეისარ ლეონთან, რომელ-საც ერქვა კონსტანტინეც.

ამ დროს აღესრულნენ ქრისტესთან დიდებული და დიდი მთავრები – დავითი და გურგენი გნუნთა სახლიდან, ქალაქ დვინში ურნმუნო იუსუფის მიერ და მონამეობრივი სისხლით იკურთხეს გვირგვინი. მათი აღსრულების დღეს – მარერის თვის 20-ში პატივს მიაგებენ მათ ხსოვნას. წმ. ეპისკოპოსი საპაკი 200 საერო და 7 საეკლესიო პირით აღესრულა ბიუ-რაკანში აჰების თვის 10-ში. [აღესრულა] აგრეთვე ორი კირა-კოსი იმავე თვის 15-ში. მათ მოსახსენებლად დღესასწაული დააწესა წმ. პატრიარქმა იოანემ²⁵³, რომელმაც თავისი თვა-ლით იხილა ეს შავბნელი დრო, დაწერა [თხზულება] შემდგომ საუკუნეებში მოსაგონებლად და დაადგინა დღესასწაული წმ. მეფე სმბატის [მოსახსენებლად].

ლეონისაგან გამეფებული აშოტი დაბრუნდა სომხეთში 370 (921) წელს და ჰპოვა აქ გამეფებული თავისი თანამოსახელე აშოტი, მისი ბიძაშვილი, რომელიც დაიმორჩილა ისევე, რო-გორც გაგიკა – მეფე არწრუნთა სახლიდან²⁵⁴. ხოლო მოვსესი, რომელსაც დაეპყრო ალბანეთი, დააბრმავებინა. [აშოტი] გა-ძლიერდა უფრო მეტად, ვიდრე ისინი და ვიდრე ქართველთა მეფე ნერსე, იწოდა შაპანშაპად, 8 წელი [მმართველობდა] და აღესრულა. გვირგვინი მიიღო მისმა ძმამ აბასმა²⁵⁵, რომელიც მამის სიკვდილის შემდეგ წავიდა იბერიაში, მათი სიძე გახ-

და, დაპრუნდა იქიდან და უფლობდა მთელ თავის მამულში 371 (922) წლიდან 29 წელი. მის დროს რომაელთა ქვეყნიდან მართლმადიდებლობისათვის განდევნილი ბევრი ბერი მოვიდა ჩვენს ქვეყანაში და ააშენა მრავალი მონასტერი, ჯერ კამრჯაძორი, შემდეგ ჰორომოსი*, ე. ი. [მონასტერი] „რომის მხარიდან მოსულთათვის“ და დპრავანქი²⁵⁶. ამბობენ, რომ ამ მოსულმა [ბერებმა] ააშენეს სანაინის²⁵⁷ წმ. ღვთისმშობლის ეკლესია.

მეფე აბასმა ააშენა ყარსში²⁵⁸ კათოლიკე [ეკლესია] მშვენიერი კონსტრუქციით. ამ ხანებში კავკასიის გაღმა მხრიდან გადმოვიდა სარმატთა მთავარი, სახელად ბერი დიდი ჯარით მდინარე მტკვარზე. გაიგო რა, რომ სომეხთა მეფე აშენებს ეკლესიას, გაგზავნა მასთან [კაცი] და შეუთვალა: „იცოდე რომ მე მოვედი მაგ ეკლესიის საკურთხებლად ჩემი წესის მიხედვით, ქალკედონის კრების დადგენილებების შესაბამისად“. [აბასი] გამოვიდა მის წინააღმდეგ სომეხთა ჯარით, მახვილით მოსრა მტრის ჯარი, თვითონ ბერი ხელთ იგდო, ცოცხალი წამოიყვანა ყარსში და ერთხელ აჩვენა ის ეკლესია. შემდეგ დააპრმავა და მიჰყიდა მის ტომს, ჩამოართვა რა ფიცის წიგნი, რომ სომხეთზე არასდროს აღარ წამოვიდოდა.

ბერძენთა კეისარ ლეონის შემდეგ გვირგვინი მიიღო ალექსანდრემ 1 წლით; მის შემდეგ [იყო] რომანოსი 29 წელი; აბასისა და [რომანოსის] დროს ტაჭიკებმა 383 (934) წელს აიღეს მელიტენე. 388 (939) წელს ჰამდუნი შეიქრა ჯარით კოლონიაში და გამოპრუნდა უკან. შემდეგ 392 (943) წელს გამეფუდა ლეონის ვაჟი კონსტანტინე 16 წლით. მან 26 წლისამ, 398 (949) წელს ტაჭიკებს წაართვა მარაში. ამბობენ, რომ მან ერთ დღეს მოკლა 7 ლომი, ბრძანა ჩაეყარათ მდინარე ალისში

* ჰორომოს ვანქი (ვ)

ვარდან არეველცი

მრავალი შეკვრა ნეხვი და გააქცია ისმაიტელთა ჯარი, რის გამოც ეწოდა „ნეხვის შემკრები“.

[პატრიარქის] წმ. ტახტზე უფალ იოანეს შემდეგ ავიდა უფალი სტეფანოსი²⁵⁹ 1 წლით; [შემდეგ] უფალი თეოდოროსი 11 წლით; მის შემდეგ მისი ძმა, უფალი ელიშე 22 წლით; მის შემდეგ უფალი ანანია მოკაცი²⁶⁰ 22 წლით. მან დიდი ძალის-ხმევით დაიმორჩილა სიუნიქი, რომელიც ალბანეთისაკენ იყო მიდრეკილი. [სიუნიქის] არქიეპისკოპოსად [ანანიამ] განდგო-მილი იაკობის შემდეგ ხელდასხა უფალი ვაჰანი ბახვიდან, მთავარ ჯუანშერის ვაჟი, რომელმაც ააშენა წმ. იოანეს ბრწყინვალე მონასტერი აუღებელი ციხის ბახვის ძირში. შემდეგ [ანანიამ] ალბანელებიც დაარწმუნა არ ეკურთხები-ნათ თავიანთი კათალიკოსი წმ. გრიგორის ტახტის მპყრობე-ლის გარეშე. მის შემდეგ ტახტი მიიღო ვაჰანმა²⁶¹ ბახვიდან 1 წლით. მასზე ეჭვი აიღეს, რომ შეთანხმებული იყო ქართ-ველებთან და ბრძანა მათგან ხატების შემოტანა. ამისათვის ის შეცვალეს და დასვეს ტახტზე უფალი სტეფანოსი²⁶², წმ. მაშტოც სევანელის ნათესავი – 2 წლით.

400 (951) წელს გარდაიცვალა წმ. მეფე აბასი და ტახტი მიიღო მისმა ვაჟმა აშოტმა²⁶³, მოწყალედ წოდებულმა. [მან] ააშენა კეთროვანთა მრავალი თავშესაფარი და დიდი შესაწი-რავით ნუგეშს სცემდა მათ. ხშირად თვითონ ემსახურებოდა მათ და სიამოვნებით სვამდა მათ ჩირქიან ნარჩენს ჭიქიდან, უწოდებდა მათ სახელად გოთების მთავრებს და კურაპა-ლატებს იაკობის მიხედვით, [რომელიც ამბობდა], რომ „ისინი მდიდრები არიან სარწმუნოებით“. 413 (964) წელს მან ააშენა ქალაქ ანისის პატარა კედელი და ყველა კოშკები აქცია ეკლე-სიებად. მისმა ღვთისმოსავმა ცოლმა ხოსროვანუშმა გააშენა დიდებული წმ. მონასტრები სანაინი და ჰალბატი. მათ განის-

ვენეს ქრისტესთან 427* (978) წელს და დატოვეს 3 ვაჟი, რომელთა სახელებია: სმბატი, გაგიკი და გურგენი. იმავე დღეს გვირგვინი მიიღო უფროსმა ვაჟმა სმბატმა²⁶⁴, რომელსაც ტიეზერაკალი ეწოდა. მან ააშენა ანისის ფართოსაძირკვლიანი კედელი და საფუძველი ჩაუყარა დიდ კათოლიკე ეკლესიას. მისმა უმცროსმა ძმამ მემკვიდრეობად მიიღო ტაშირი სევორდით, ძოროგეტი, კაიანი და კაინონი, ხორ-ხორუნიქი, ხორის მიერ აგეპული ხოშორნი, ხორაკერტი, ბაზუნიქი, იგივე ბაზკერტი – ტაშირის გავარებში²⁶⁵. გურგენს ერგო [აგრეთვე] სხვა ცნობილი ციხეები, რომელსაც ქართველები უწოდებენ სომხითს²⁶⁶. იქიდან წარმომავლობენ მეფეები დავითი, აბასი და კვირიკე, რომელთა ცოლები მამქანი და რუზუქანი მონაზვნები იყვნენ. გაგიკი მცირე ხანს ცხოვრობდა ძმასთან და განდევნილ იქნა რაღაც ვერაგობაში ეჭვის მიტანის გამო. სმბატი გარდაიცვალა 434** (985) წლის დასაწყისში. მაშინვე უხმეს განდევნილ გაგიკს²⁶⁷ და მისცეს გვირგვინი, შერთეს ცოლად კატრამიტე – სივნიეთის მეფის საჰაკის ასული. მან დაამთავრა საყდარი ღვთის ანგელოზის შთაგონებით, რომელმაც აღუთქვა, რომ დაეხმარებოდა მას საქმიანობაში და დარჩებოდა იმავე ტაძარში იქამდე, ვიდრე ქრისტეს მოსვლას არ იხილავენ [ღვთის] ქმნილებები.

კათალიკოსის წმ. ტახტი მიიღო უფალმა ხაჩიქმა, უფალ ანანიას ნათესავმა 19 წლით. ის შეცვალა უფალმა სარგისმა²⁶⁸ 24 წლით. მან ააშენა წმ. რიფსიმიანთა ეკლესია ანისის საყდრის ახლოს, გადმოიტანა აქ დიდი ზეიმით მათი ნაწილები და დააწესა ამ დღეს დიდი დღესასწაული.

კონსტანტინე კეისრის შემდეგ გვირგვინი მიიღო ლეონმა; შემდეგ კონსტანტინემ და მისმა დედამ ირინემ, რომელმაც

* 425 (3)

** 428 (3)

დააბრმავა თავისი ვაჟი და თვით გაბატონდა დიდ ტახტზე 7^{*} წლით. მის დროს აღესრულნენ ქრისტესთვის საპატი და ოსები ტაჭიკთა ტომიდან, არაცის თვის 17-ში^{**}. შემდეგ [კეისარი იყო] მიხეილი; შემდეგ ლეონი; მის შემდეგ მიხეილი; შემდეგ თეოფილოსი; მის შემდეგ მიხეილი; შემდეგ ბასილი; მის შემდეგ ლეონი; შემდეგ ალექსი; მის შემდეგ რომანისი, რომელმაც განდევნა მართლმადიდებელი ბერები აღმოსავლეთის ქვეყნებში, სურდა ხელეყო აგრეთვე შავი მთის მონასტრები²⁶⁹ თავისი დიდალი ჯარით ლაშქრობის დროს ალეპოს თემებში, მაგრამ უწია ღვთის რისხვამ და გაქცევით იხსნა თავი. მის შემდეგ [კეისარი იყო] კონსტანტი, ლეონის ძე; შემდეგ რომანოსი; მის შემდეგ ნიკიფორე; შემდეგ კიურუანი²⁷⁰; შემდეგ ბასილი 52 წელი.

ქართველთა მეფობის დასაბამზე მათ წიგნებში წერია, რომ თარგამოსი 8 ვაჟით მოვიდა აირარატის გავარში დიდი წარღვნის შემდეგ. მისი 3 ვაჟი ჰაოსი, ქართლოსი და კავკასოსი გახდნენ პირველი ტახტის მფლობელები, გაბატონდნენ ქვეყნებზე და თავიანთი სახელების მიხედვით უწოდეს ჰაისი, ქართლი და კავკასია. [ისინი] ბატონობდნენ პონტოს ზღვიდან კასპიის ზღვამდე, მიჰრანამდე და მის შვილიშვილ არბოკამდე, რომელმაც მოიყვანა ცოლი პართელთაგან, სახელად საპაკუდუხტი პართიიდან. ის უშვილო იყო და ირწმუნა რა ქრისტე, [ღმერთმა] მისცა მას ვაჟი ვახტანგი, რომელიც გურგასლანად იწოდა, რაც სპარსულად მგლისთავას ნიშნავს^{***}, რადგან მუზარადზე ჰქონდა მგლისა და ლომის გამოსახულება. მან მოიყვანა ცოლად კეისარ ლეონის ასული და მისგან წარმომავლობენ მეფეები თევტასამდე, რომელიც დააბრმავა

* 5 (3)

** 15 (3)

*** რაც ... ნიშნავს > - გ

აბასმა. მის შემდეგ აშოტ მწყალობელის ვაჟის გურგენის ძე ბაგრატი გამეფდა აფხაზებზე²⁷¹. ეს ხუცეს მხითარის²⁷² გადმოცემის მიხედვით.

ვასპურაკანის მეფეები არიან სენექერიმის გვარიდან: გაგიკი დერენიკის ძე, რომელმაც ააშენა აღთამარი; შემდეგ დერენიკი, მისი ვაჟი; მის შემდეგ [დერენიკის] ძმა აბუსაპლი; მის შემდეგ მისი ვაჟი შაპანშაპი; მის შემდეგ მისი ძმა გურგენი; შემდეგ მისი ძმა სენექერიმი, რომელმაც სპარსელებისაგან შევიწროებულმა თავისი ქვეყანა მისცა ბასილს და თავისი 4 ვაჟით, რომელთა სახელებია: დავითი, აბუსაპლი, ატომი და კონსტანტინე, აგრეთვე ძმისშვილებით: დერენიკით, გაგიკით და აშოტით წავიდა მასთან. [თავისი ქვეყნის] სანაცვლოდ მან მიიღო სებასტია, ლარისა²⁷³ და მრავალი სოფელი. ბოლოს დავითმა მოკლა მეამბოხე ფოკა და მიიღო ხავამანესის [წყალობის] წიგნი.

444 (995) წელს გარდაიცვალა გაგიკი და დაუტოვა სამეფო თავის სამ ვაჟს: იოანეს, აბასს და აშოტს²⁷⁴. იოანეს მისცა გვირგვინი, ანისი, შირაკი, სურბ-გრიგორი აშოცის ველით, ანბერდი, აირარატის ველი, კაიანი, კაინონი, ტავუში, სევორდიქის გავარი. სხვა დარჩენილი [ადგილები] გაუყო აშოტს და აბასს. მათი წილისყრის შემდეგ მოვიდა აფხაზთა მეფე გიორგი²⁷⁵, აშოტ მწყალობელის ვაჟის გურგენის ძის ბაგრატის ვაჟი, შეარიგა ისინი და წავიდა. რადგან ზოგიერთი მთავარი ურჩობდა, წავიდა უმცროსი აშოტი კეისარ ბასილთან²⁷⁶, მიიღო მისგან ჯარი, მოვიდა და დაიმორჩილა ყველა.

ამ დროს გარდაიცვალა დავით კურაპალატი²⁷⁷ უშვილოდ და დაუტოვა ანდერძის წიგნით კეისარ ბასილს თავისი მამული: უხტიქი, მამრუანი, აპაპუნიქის ქალაქი მანაზკერტი²⁷⁸ და მთელი თავისი ქონება. ეს რომ გაიგო კეისარმა ბასილმა, მოვიდა და დაბანაკდა კარინის ველზე. ეს შეიტყო იოანემ, შეეშინდა და გაგზავნა მასთან საჩუქრებით პატრიარქი პეტრე²⁷⁹,

რომელიც უფალმა სარგისმა თავის სიცოცხლეში თავისი ხელით აკურთხა ანისში დიდი ზემოთ. იოანეს ავიწროებდა ქართველთა მეფე. ამის გამო მან უბრძანა პატრიარქს დაეწერა სიგელი, რომლითაც თავისი სიკვდილის შემდეგ ბერძნებს დაუმტკიცებდა ანისს, თუ კურაპალატი დაიცავდა მას შემვიწროებლებისაგან, რაც სიხარულით მოისმინა ბასილმა. მან დაიბარა ქართველთა მეფე გიორგი, რომელიც არ წავიდა, რის გამოც, განრისხებული [ბასილი] გაემართა და ააოხრა მისი 12 გავარი²⁸⁰, გამობრუნდა ხალტიქის ქვეყანაში და აქ გაატარა ზამთარი²⁸¹. [კეისარმა] თავისთან იხმო უფალი პეტრე წყალკურთხევაზე, ღვთის გამოცხადების დღესასწაულზე. აქ გამოვლინდა საოცარი ნიშანი – გამობრწყინდა ნათელი პატრიარქის მარჯვენიდან და წმ. საკმევლიდან მაყურებელთა განსაცვიფრებლად, რომლებმაც ფრიად ადიდეს სომეხთა პატრიარქი*. ბასილი დაბრუნდა კონსტანტინოპოლში და აღესრულა 473 (1024) წელს. გვირგვინი მიიღო კონსტანტინემ 3 წლით; მის შემდეგ მისმა სიძემ რომანოსმა – 5 წლით. ის ცოლის ბრძანებით დაახრჩვეს აბანოში; მის შემდეგ დააყენეს მიქაელი 7 წლით.

ამირ-მუმინთა რიგი ჩვენ მივიყვანეთ ჯაფარამდე და შევწყვიტეთ. მათი ხელისუფლება დაიწყო 60 (611) წელს და არეულობის გამო შეწყდა 350 (901) წელს. აქა-იქ კიდევ ეპყრათ [ქვეყნები], მაგრამ მათი ძლიერება შესუსტდა. გაძლიერდა თურქთა ტომი შემდეგი მიზეზით: იყო ხორასანში ერთი ვინმე ისმაიტელი, სახელად მაჰმუდი. ის გავიდა მდინარე ჯაპანის გალმა, თეტალქთა ქვეყანაში, მოიყვანა იქიდან მრავალი ტყვე ხორასანში, რაც ნიშნავს „აღმოსავლეთს“ და დაასახლა განცალკევებით. როცა ისინი გაძლიერდნენ და გამრავლდნენ, [მაჰმუდმა] დაადგინა ერთი მათგანი ამირად,

* სომხური სარწმუნოება (3)

ხოლო შემდეგ სიკვდილის წინ მისცა მას გვირგვინი. მან წარმატებას მიაღწია, გაბატონდა სპარსეთზე და სულთანი გახდა, რომლის სახელი იყო დოლლა-ბეგი. ეს ისტორიკოს ვაჰრამ ტიგრანის ძის²⁸² მიხედვით. ხოლო საპატიო ბერი მხითარ ანეცი, რომლის ხსოვნა დარჩეს ცხოვრების წიგნში, ასე ამბობს: „ბევრი ვიშრომე რომ მეპოვნა ცნობები ამ სულ-თანზე თურქთა შორის და ღვთის წყალობით ვპოვე შემდეგი: მაჰმუდი, რომელიც ვახსენეთ, იყო სებქთანის ვაჟი, რომელიც განდიდდა მდაბიოთაგან, როგორც არტაშირ სასანიანი. მან წართვა მუჰამედის ტომის ძალაუფლება მაჰმუდ მუსტაფას – 33-ს მუჰამედიდან, 246 წელს მათი ბატონობიდან. ის გაძლიერდა ქალაქ ბაჰლში, ქუშანთა ქვეყანაში. ამბავი მისი სიძლიერის შესახებ ხალიფამდე მივიდა, რომელმაც შეშინებულმა გაუგზავნა მას საჩუქრები და უწოდა ალამი, ლალაბი, ამინი, აბდალა და სულთანი. მან მიიღო ეს ტიტულები და უფრო განდიდდა. [მაჰმუდი] შეიჭრა ინდოეთში, შემუსრა მათანის კერპები, აიღო ნადავლი, გამოპრუნდა და დატოვა იქ თავისი ვაჟი მუჰამედი. თვითონ წავიდა გურგანში და გამოართვა გურგანის მფლობელს 400 000 დრაჟკანი და ერთი სახლი იარაღით – 440* წელს მათი წელთაღრიცხვით. აქედან წავიდა რეიში²⁸³. რეის უფალი მაჯადავლა როსტომი, რომელსაც 3 დღის წინ აეღო დელმისი, გამოვიდა მის წინაშე. მოვიდა ისრავი აურაცხელი ძალით და 250 სპილოთი და იხილა რა [მაჰმუდი] ჰკითხა: „შაჰო, წაიკითხე ნამაზი^{284?}“ ხოლო მან უპასუხა: „დიახ!“ [ისრავმა] კვლავ ჰკითხა: „ჭადრაკს თამაშობ?“ [მაჰმუდმა] უპასუხა: „დიახ!“ [ისრავმა] ისევ ჰკითხა: „მეფე [სხვა] მეფის სახლში შევა თუ ვერა?“ [მაჰმუდი] ამაზე გაჩუმდა. [ისრავმა] იმავ უამს დაადო მას ბორკილები და გაგზავნა ხორასანში, წაართვა მთელი ქონება და გაბატონდა

* 420 (3)

რეიში. [ისრავი] შეიჭრა ტაპარასტანში, ტარაბში და სარდში და დაუტოვა მთლიანად თავის ვაჟს მასხუთს რეი, ყაზინი²⁸⁵ და ქერპასტანი. ისრავი წავიდა რეიში, აიღო 100 000 დინარი და წავიდა ნიშაბურში 421 წელს მათი წელთაღრიცხვით. მასხუთმა აიღო ჰამინი, ისფაპანი²⁸⁶ და ის იყო დაბრუნდა რეიში, როცა ესმა, რომ მისი შაჰნები²⁸⁷ მოკლეს ისფაპანში. მიბრუნდა იქ, ამოულიტა 4000 კაცი და გამობრუნდა რეიში. მაშინვე მოუტანეს მას ცნობა მამის სიკვდილისა და სულთნად მისი ძმის მაჰმუდის დადგენის შესახებ. ის აღელდა, წავიდა, შეიპყრო ძმა, დააბრმავა, აიღო ძალაუფლება და ტახტი. როდესაც მამამისი მიდიოდა იმ ტომის დასახმარებლად, რომლის მთავარს ერქვა ხეტერ-ხან ბოლერ-ხანი, გზაზე შეეყარა თურქთა მრავალრიცხოვან ბანაკს. როდესაც გამარჯვებული უკან ბრუნდებოდა იმავე გზით, შეიპყრო მათი ამირა აფალუ, მოიყვანა ხორასანში და ჩასვა საპყრობილები. მისი ტომი მოვიდა და სთხოვა ჯერ მამას, ხოლო შემდეგ შვილებს [თავიანთი ამირა], მაგრამ არ დაუბრუნეს. ისინი განრისხდნენ, გადავიდნენ ჯაჰანზე მთელი თავიანთი ბანაკით, თავი სასიკვდილო საფრთხეში ჩაიგდეს, შეებრძოლნენ, გაიმარჯვეს, აიღეს ნიშაბური და გაულიტეს სულთნის ჯარი დადაღანში, მერმნის ახლოს²⁸⁸. სულთანი გაიქცა და ჩავიდა ყაზინში, შემდეგ კი ინდოეთისკენ [მიმავალ] გზაზე იქნა მოკლული. ყაზინში გამეფდა მისი ბრმა ძმა, რომელსაც ხანგრძლივი მეფობის მანძილზე ეყოლა ვაჟები. ყაზინი დღემდე გადადის ერთიდან მეორის ხელში [მათი გვარიდან].

თურქთა წარჩინებულს, რომელსაც ერქვა მუსეფალუ სარჩუქის ძე, ჰყავდა 5 ძმისშვილი, რომელთა სახელებია: აბუსალისი, დავუთი, ჩაღრი-ბეგი, აბუდალიქი და ტუღრილ-ბეგი, რომელმაც მიიღო სულთნის ხელისუფლება და 15 წლის მანძილზე გააფართოვა ქვეყანა, დაანაწილა ხორასნის მთელი მიწა-წყალი. [ტუღრილ-ბეგი] მოვიდა რეიში, იპოვა აქ 2 ოქრო-

თი სავსე საგანძურო, ხელთ იგდო ის, გაგზავნა ხალიფასთან და სთხოვა მას კურთხევა. [ხალიფამ] განადიდა ის, საპატიო კაცების [ხელით] გაუგზავნა ალამი და საჩუქრები, დაარქვა იმამბარი და დაუწესა ზენოდებად დუქნატალა. იმ დღიდან ის გამოცხადდა ქვეყნის მპყრობელად²⁸⁹. ის შეცვალა აღფ-არსლანმა²⁹⁰ – ტულრილის ძმისშვილმა, რომელმაც სისხლით აავსო მთელი ქვეყანა. [აღფ-არსლანს] ჰყავდა 8 ვაჟი. მათგან მეფობა ერგო მელიქ შაჰს²⁹¹, კეთილსა და მშვიდობისმყოფელს. მის შემდეგ სულთანი [იყო] მაჰმუდი; მის შემდეგ უფროსი ძმა ბაქიარუხი²⁹², რომელმაც მოკლა ის და ეპყრა ტახტი 40 წელი. მის წინააღმდეგ აღსდგა აღფ-არსლანის ვაჟი დუდუში, რომელიც შეავინროვა ბაქიარუხმა, ამონყვიტა მისი ჯარი და მოკლა თვით დუდუშიც. მაჰმუდმა, სულთან მაჰმუდის ვაჟმა, ყრმობის ასაკში მოკლა ბაქიარუხი და ეპყრა სულთნობა 12* წელი; მის შემდეგ [სულთანი იყო] მისი ვაჟი მაჰმუდი, რომელსაც ომი გაუმართა სულთანმა სანჯარმა და მოკლა ის. ხელისუფლება მიიღო ჩარალამ, რომელმაც დააყენა [სანჯარი] აღად. მის შემდეგ სულთანი გახდა მისი ვაჟი დავუთი, რომელიც მოკლეს მელპედებმა²⁹³. შემდეგ [სულთანი იყო] ტულრილი; მის შემდეგ მასხუთი; შემდეგ მისი ვაჟი ასლანი; მის შემდეგ ძალით გახდა [სულთანი] ტულრილი, რომელიც უფალი ღმერთის წყალობით იყო [ტახტზე] ჩვენი მატიანის [დაწერამდე].

იგივე მემატიანე ამბობს მეფე იოანეზე, რომ მისმა ძმამ აშოტმა თალინის ძირში თავი მოიკატუნა, თითქოს ავად იყო, სიკვდილის პირას და უხმო თავისთან მეფეს. ამოთხარა სას-თუმალის მხარეს მახე, შეიპყრო [იოანე] და გადასცა მოსაკლავად დიდ მთავარს, აპირატად წოდებულს. მაგრამ მან მიიღო [მეფე] კეთილგანწყობით, წაიყვანა, დასვა მის ტახტზე ანისში

* 13 (3)

და უთხრა: „არ ავღმართავ ხელს უფლისაგან მირონცხებულ-ზე და მის ადგილზე არ დავსვამ გიუს“. [აპირატზე] ამბობენ, რომ ის არარაობიდან აღზევდა და ჭკუისა და გულუხვობის მეოხებით იქმნა 12 000 შედრის უფლად. მან ააშენა კეჩარუ-სის მონასტერი, როგორც მთავარმა ვაჰარამმა მარმაშენი²⁹⁴, რათა არა მხოლოდ წარმავალ ცხოვრებაში ვიყოთ მდიდრები, არამედ უკვდავთა მხარეშიც. [ორივე] თავისი შთამომავლო-ბით განისვენებს [ამ მონასტრების] საძვალეში ზეცის იმედად მყოფი*.

470 (1021) წელს მოვიდა ტულრილ-ბეგი²⁹⁵. მას შეხვდა ნა-ხიჭევანში ლიპარიტი 5000 ცხენოსნით და უკუიქცა მტრის სა-შინელი სიმრავლის გამო. როდესაც თურქი მოვიდა დვინში და დაიწყო რბევა, მის წინააღმდეგ გამოვიდა გულადი ვასაკი და გამოიჩინა საოცარი მამაცობა. ის სერკეველში დაბრუნე-ბული ისვენებდა, როდესაც ვიღაცამ უცაბედად ქვა მოარტყა თავში და მოკლა.

ამ ხანებში პატრიარქი პეტრე, რაღაც მტრობის გამო მეფე იოანესთან, წავიდა ვასპურაკანში და ხვეწნის მიუხედავად აღარ დაბრუნდა უკან. მაშინ ამ მხარის დუკამ ძალით მიიყ-ვანა [პატრიარქი იოანესთან], რომელმაც დააპატიმრა ის ბიჯ-ნისში. ეს რომ გაიგო ალვანთა კათალიკოსმა უფალმა იოსებ-მა, გამოუშვა ის საპყრობილედან, წაიყვანა და დასვა თავის ტახტზე, საიდანაც გადააყენა სანაინის მონასტრის წინამ-ძლვარი დიოსკორისი, რომელიც დადგინებულ იყო კათალი-კოსად პეტრეს ადგილზე. 1 წლის შემდეგ კი კვლავ დაბრუნდა თავის მონასტერში. ის იყო კაცი წმინდა და მამაცი.

ამ ხანებში ქართველთა მეფე გიორგი შეცვალა მისმა ვაჟმა ბაგრატმა. ქართველთა მთავარი ლიპარიტი²⁹⁶ აჯანყდა, გააქ-ცია ის შიდა აფხაზეთში და თვით ეპყრა ქვეყანა ბრძნულად,

* რათა ... მყოფი > - 3

კეისარ მიქაელის ხელშეწყობით. [მიქაელმა] სიკვდილის წინ გვირგვინი გადასცა თავის დისტვილს კალაფატს²⁹⁷, რომელიც მცირე ხნის შემდეგ დააპრმავეს მიქაელის ცოლის, დედოფალ ზოას ბრძანებით. იმ ადგილზე, [სადაც დააპრმავეს კალაფატი], ნაპოვნია ქვა წარწერით: „აქ დაუბრელდა მეფეს“. ზოა ცოლად გაჰყვა მონომახს²⁹⁸ და დაადგა მას გვირგვინი. მასთან წავიდა უფალი პეტრე და შემდეგ დაბრუნდა სებასტიაში. სენექერიმის შვილებმა მისცეს მას მონასტერი, რომელიც ააშენეს წმ. ვარაგის ჯვრის სახელზე. [ეს ჯვარი] თავისთან ჰქონდათ, მაგრამ შემდეგ დააპრუნეს. მონომახმა მისცა პატრიარქს 3 სოფელი, რომელმაც ამ ადგილზე იცხოვრა მხოლოდ 1 წელი და აღესრულა. შემდეგ [საპატრიარქო] მოსასხამი მიიღო მისმა დისტვილმა ხაჩიკმა, რომელსაც მან ხელი დაასხა ანისში, თავის სიცოცხლეშივე. [ხაჩიკმა] იცოცხლა 2 წელი და გარდაიცვალა. საპატრიარქო ტახტი ცარიელი იყო 7* წელი.

493 (1044) წელს გარდაიცვალნენ იოანე და აშოტი და გვირგვინი მისცეს აშოტის ვაჟს გაგიქს. ბერძნებმა გაიხსენეს დამდუპველი ანდერძი ანისზე და თქვეს, რომ სიკვდილის შემდეგ ანდერძი შეუცვლელი და მტკიცეა. მათ იხმეს კონსტანტინოპოლში გაგიკი იმ პირობით, რომ იქიდან დააპრუნებდნენ დიდი საჩუქრებით. ამასთან, [ანისში ბერძნებმა] დაადგინეს თავისი მმართველი და გააუქმეს ორი გვირგვინი: საპატრიარქო ტახტი და სამეფო, იძულებით მიიყვანეს ორივე [მეფე და პატრიარქი] თავისთან და იქიდან აღარ დააპრუნეს. ამის გამო გაგიკმა დაკარგა რა ყოველგვარი იმედი, [ანისის] ნაცვლად მიიღო კალან-პალატი და პიზა** და ცხოვრობდა უცხოეთში თავისი ტომის მოძულებებთან²⁹⁹.

* 5 (3)

** კიზა (8)

ამ დროს გრიგორმა³⁰⁰, მამაცი ვასაკის შვილმა, მისცა მონომახს ბიჯნისი, კაიანი და კაიწონი, რომლებიც თვითონ ეპყრა და [სამაგიეროდ] მიიღო მესოპოტამიის დუქსობა. [მან] წაიყვანა თავისთან აპირატი, ქართველთა მთავარი, ორი სხვა მაგისტროსი და წავიდა სულთან ტულრილ-ბეგის მხედართ-მთავრის იბრაჰიმის³⁰¹ წინააღმდეგ. მათ შეიპყრეს ლიპარიტი და მიიყვანეს სულთანთან, რომელმაც მიუგზავნა მას კაცი და შესთავაზა ზიარებოდა მის სარწმუნოებას. [ლიპარიტმა] ასეთი პასუხი გასცა: „როდესაც ვიხილავ შენს სახეს, გავაკეთებ რასაც მიბრძანებ“. ხოლო როდესაც იხილა [ლიპარიტმა სულთანი] უთხრა: „როდესაც ვიხილე შენი სახე, აღარ შევასრულებ შენს ნებას და არ მეშინა სიკვდილის“. სულ-თანმა ჰკითხა: „რა გსურს?“ ხოლო მან უპასუხა: „თუ ვაჭარი ხარ – გამყიდე, თუ ჯალათი ხარ – მომკალი, ხოლო თუ მეფე ხარ – გამათავისუფლე საჩუქრებით“. სულთანმა უთხრა: „არა ვარ ვაჭარი, არც შენი სისხლის ჯალათი მსურს ვიყო, არამედ ვარ მეფე, წადი სადაც გსურს!“ და გაუშვა ის საჩუქრებით³⁰². რადგან კეისარი ითხოვდა [ლიპარიტს], ჩავიდა მასთან, მიიღო მისგან ჯარი და წავიდა საქართველოში, შეიპყრო მეფე ბაგრატი, გაგზავნა კეისართან და თვით იპყრა მთელი ქვეყანა.

ამ დღეებში სპარსეთიდან მოვიდა ერთი ქალი, სახელად მამი 3 ვაჟით ფარისოსის გავარში³⁰³ დიდებულ მთავარ გრიგორთან. ვაჟებმა მისცეს მძევლად დედა და მიიღეს შოთსი და ციხე შამირამი³⁰⁴. აქედან დაუნათესავდნენ განძაკის ამირა ალაზიზს, მოკლეს ის, აიღეს განძაკი და გაბატონდნენ იქ. უფროსი ვაჟი პარზუანი მოკლე ხანში გარდაიცვალა და მისი ადგილი დაიკავა მეორე ძმაშ ლელქარმა³⁰⁵, რომელმაც წაართვა ბარდავი და შამქორი³⁰⁶ სალარს. მისმა უმცროსმა ძმაშ ფადლონმა³⁰⁷ მოკლა ის ნადირობის დროს და ხელთ იგდო ძალაუფლება. სიყვარულის საპაპით წავიდა [ფადლონი] გრიგორის ძე ფილიპესთან³⁰⁸, დაადო მას ბორკილები მამის სიკ-

ვდილის შემდეგ და წაართვა შაშუაში და შოთისი. [ფადლონბა] იხმო თავისთან ჰამამის ძე გაგიკი, განძაკის უფალი, მოკლა და დაიპყრო მისი ქვეყანა. [ფადლონი] ამგვარად გაძლიერდა და დაეუფლა ხაჩენს, გოროზს და სევორდელებს³⁰⁹, თავს დაესხა ძოროგეტის მეფე გაგიკა, ალბანთა მეფე კვირიკეს და ქართველთა მეფე ბაგრატს და შეავიწროვა ისინი, დაეუფლა აგრეთვე დვინს და დაადო სომხებს ხარკი – 3000 დრამა*.

ამგვარადვე, რამდენიმე კაცი ქალდეველთაგან გამოვიდა თავისი ქვეყნიდან, მივიღნენ გარდმანს და უთხრეს გარდმანის მთავარს: „მოგვეცი ჩვენ იმ ჯვრის ნაწილი, რომელიც მოგცა შენ ჰერაკლემ, გაეხდებით ქრისტიანები და შენი მონები“. ასეც მოხდა. ეს რომ გაიგო ბალდადის ამირამ, დაემუქრა მათ. ამით შეშინებულები ისინი წავიდნენ კავკასიის ქედის კალთებთან, ხელი მოუმართა ქრისტემ, რომელიც ირწმუნეს და დაეუფლნენ ყველა გავარს. ერთი მათგანი, სახელად დავითი, გამეფდა და დაესიდა ძოროგეტის მეფეს. მათ თემს ეწოდა წანარეთი³¹⁰, იმის გამო, რომ მათ აქ შეიცნეს თავიანთი საქავიდრებელი ადგილი. გარდმანის მთავარმა დაუდგინა მათ ქორეპისკოპოსა³¹¹ ქართული ენის მიხედვით. ანისში სომეხთა მეფობის გაუქმების შემდეგ მოვიდა ტულრილის ბიძაშვილი ალფ-არსლანი და ააოხრა 24 გავარი. ის იყო სულთნის მხედართმთავარი და მისი სიკვდილის შემდეგ თვითონ გახდა სულთანი. შემდეგ [ალფ-არსლანი] ხელმეორედ მოვიდა 100 000 კაცით, აიღო ახალქალაქი, რომელიც ქართულად ახალ ქალაქს ნიშნავს** და სამშვილდე³¹², ცოლად მოიყვანა კვირიკე მეფის ასული, ქართველთა მეფე ბაგრატის დისმვილი³¹³, აიღო აგრეთვე ანისი, სადაც 1000 კაცი დაკლა ერთ ორმოში და იბანავა მათ სისხლში. ზოგიერთები ამბობდნენ, რომ ამით

* 300 000 (გ)

** რომელიც ... ნიშნავს > – გ

მსხვერპლი შესწირა თავის მიცვალებულებს. შემდეგ ხალი-ფასაგან მოვიდა მოციქული, ჩამოჰკიდა მას კისერზე ოქროს ძენკვი, შეკრა ერთად 12 თასმა და დაჰკრა იმის ნიშნად, რომ ის თავისი წინამდლოლის უსაზღვროდ მორჩილი იყო. ეს მოხ-და მეფე იოანეს სიკვდილიდან 23 წლის შემდეგ, 513 (1064) წელს.

მონომახის შემდეგ გვირგვინი მიიღო თეოდორამ³¹⁴, შემდეგ დუკიწმა; მის შემდეგ დიოგენმა, რომელიც გამოვი-და სულთნის წინააღმდეგ და ემუქრებოდა სომხებს ბერძენ-თა სარწმუნოებაზე მოქცევას. ამის გამო მოვიდა ყარსში და დაწვა ხისაგან ნაგები სომეხთა ეკლესია. შემდეგ წავიდა მანაზკერტზე და აიღო ის. სულთანი წამოვიდა მის წინააღ-მდეგ, დაამარცხა და შეიპყრო [დიოგენი]. თუმცა [სულთან-მა] მოწყალედ გაუშვა ის, მაგრამ არ მიიღო თავისმა ტომმა. მათ გვირგვინი გადასცეს მიქაელს, დუკიწმის ვაჟს, რომელმაც შეიპყრო და დააპრმავა დიოგენი³¹⁵. ის გარდაიცვალა დარდი-საგან 521 (1072) წელს.

ყარსის მეფემ, გაგიკ აბასის ძემ³¹⁶, თურქთა შიშით შე-ვიწროებულმა, მისცა თავისი მამული ბერძნებს და [სამაგიე-როდ] მიიღო: წამნდავი, ლარისა, ამასია, კომანა და 100 სო-ფელი. [გაგიკი] წავიდა კეიისართან და გამოითხოვა ბრძანება სომეხთა პატრიარქად მაგისტროსისა და დუკის გრიგორის ვაჟის, ვაჰრამის³¹⁷ ხელდასხმის შესახებ. [კეიისარმა] არ მოი-სურვა მისი ხელდასხმა და მან წამნდავში საპატრიარქო ტახ-ტის 1 წლის პყრობის შემდეგ დაუთმო ის თავის ვარდაპეტს – გეორგ ლორელს, ხოლო თვითონ წავიდა კონსტანტინოპოლიში მთარგმნელობითი მოღვაწეობისათვის. მან აიღო წიგნები და სურდა წასულიყო იერუსალიმში. [ამ დროს] ტაროსმა მიიწვია ის მისრში³¹⁸, სადაც ფრიად განადიდა სულთანმა. აქ [მან] ააშენა სომხური მონასტრები და ხელდასხა თავისი ძმისმვილი გრიგორისი ეპისკოპოსად, თვითონ კი წავიდა და აღესრულა

კარმირვანქში³¹⁹, მდინარე ევფრატის საზღვრებში, ტავროსის მთასთან და დაკრძალეს უფალ ბარსელის საფლავის ახლოს, რომელიც [პატრიარქი იყო] გეორგის შემდეგ.

521 (1072) წელს დაიწვა წმ. პეტრეს საყდარი ანტიოქიაში³²⁰. იძრა მიწა, გაირლვა და შთანთქა ბერძენთა პატრიარქი და მასთან ერთად 10 000 კაცი იმის გამო, რომ მათ დაწვეს მართლმადიდებელ ასურელთა სახარება. ის ოთხჯერ გადაურჩა ცეცხლს და მხოლოდ მეხუთედ მიიღო მათი რისხვა, როგორც ჩვენმა უფალმა მიიღო ებრაელებისაგან ჯვარი.

523* (1074) წელს ამირა ფადლონმა გაგზავნა განძაქზე ფაპლავი ვასაკი, გრიგორ მაგისტროსის ვაჟი მთელი ჯარებით აუღებელი სიმაგრეების ბახვისა და კაპანის³²¹ წინააღმდეგ. ის მოტყუებით შევიდა იქ და მოკლა სენექერიმი – სომეხი მეფე, რამეთუ აქაური მეფეები სომხები იყვნენ. ისინი არ გადაშენდნენ ორი უშვილო ძმის სმბატისა და გრიგორის უკანასკნელ დღეებამდე, რომლებმაც აიყვანეს სომეხი ყრმა სენექერიმი და დასვეს თავიანთი სამეფოს მემკვიდრედ. ის მოკლეს ფადლონის ბრძანებით. ამგვარად ჩაქრა ის ჭრაქი, რომელიც აქ იყო და გაბატონდნენ სპარსელები.

ფადლონმა მიიღო ალფ-არსლანისაგან ანისი, რაშიც მისცა მას ყვავილოვანი ოქროქსოვილი. უფალმა აოხრებულ ქალაქს გამოუგზავნა მისი შვილიშვილი ყრმა მანუჩე³²², რომელმაც სრულწლოვანებას რომ მიაღწია, გააფართოვა და გაამაგრა ანისის კედელი. მან შეკრიბა ქალაქში დარჩენილი ყველა მთავარი, დიდი ზეიმით გამოვიდა მათ წინ და შეიყვანა ქალაქში გრიგორ ვასაკის ძე, აპირატის შვილიშვილი 500 აზნაურთან ერთად. მათ თავზე ედგათ ბრწყინვალე გვირგვინები, რადგან იყო დიდძალი ჯარისა და მრავალი აზნაურის მბრძანებელი. ის იყო უფალ ბარსელის³²³ ძმა, რომელიც გეორგის შემდეგ

* 543 (3)

ხელდასხმულ იქნა ჰალბატში კათალიკოსად მანუჩესა და ყველა სომების ბრძანებითა და სურვილით. ასე აღორძინდა ქალაქი ანისი და არაფრით ნაკლები არ იყო ადრინდელზე.

ალფა-არსლანი წავიდა ალამუთში³²⁴ და ალყა შემოარტყა ერთ ძლიერ ციხეს. ციხის უფალი თავის სახლში მიეცა ჯერ დიდ სიხარულს, შემდეგ დიდ მწუხარებას, შემდეგ გამოვიდა სულთანთან ვითომდა დასამორჩილებლად. როდესაც ის ეამ-ბორა [სულთანს] ფეხებზე, დაკლა ეს მხეცი, რომელიც სვამდა უცოდველთა სისხლს. [ალფა-არსლანის] ხელისუფლება გადა-ვიდა მისი ვაჟის მელიქ შაჰის ხელში, რომელიც იყო მოწყალე და კეთილგანწყობილი, განსაუთრებით ჩვენი ხალხისადმი. მან ნება დართო პატრიარქ ბარსელს გამოცხადებულიყო მას-თან ხელში აღმართული ჯვრით, დაასაჩუქრა ის და უბოძა იარლიყი. ამით გამხნევებულმა [ბარსელმა] წაართვა კვერთხი და წოდება ჰონელს, რომელმაც თვითონებურად და უკანონოდ მიითვისა პატრიარქობა.

525 (1076) წელს ბერძნებმა ღალატით მოკლეს მთავარი ვა-საკი, კათალიკოს ვაპრამის ძმა, ანტიოქიის დუკა. მისმა ჯარ-მა, გამაგრებულმა კლაში³²⁵, დაუთმო ეს ქალაქი ფილარტოსს – წარმომავლობით სომებს, რომელმაც ამ დროისთვის ხელთ იგდო მრავალი გავარი. ფილარტოსმა ჯერ კიდევ ვაპრამისა და გეორგის სიცოცხლეში ბრძანა ეკურთხებინათ მესოპო-ტამიაში კათალიკოსად სარგისი – უფალ პეტრეს დისშვილი, წმინდა და კეთილმორწმუნე კაცი, რომელიც განდევნეს აღ-მოსავლეთში მყოფმა უფლებმა ვაპრამმა და ბარსელმა. მეფე კვირიკემ აკურთხა ჰალბატში ალბანთა კათალიკოსად სტეფა-ნისი. აქვე ორივე კათალიკოსმა ხელდასხეს კარის მღვდელი სარგისი ჰალბატის [მონასტრის] არქიეპისკოპოსად და მისცეს თითოეულმა თითო ეპარქია თავის საკათალიკოსოში. მიუხე-დავად ამისა, უფალ სარგისის სიკვდილის შემდეგ ფილარ-

ტოსმა ბრძანა მის ადგილზე ეკურთხებინათ ვინმე თეოდოროსი.

ამ ხანებში მოკლეს შირაკუნის მთავარი ბელიდი, რომელიც კეისარმა მისი მადლიანობის გამო აიძულა [მონათლულიყო] ბერძენთა სჯულზე და მისცა მას სულიერ მამად ბერძენი აბელი. იმის გამო, რომ [ეს მთავარი] არ იცავდა ბერძნულ სჯულს, 1 წლის შემდეგ უკეთურმა ბერმა დაახრჩო ის ძილის დროს, მოიხელთა რა მარტო საკუთარ ციხე ანდრიონში³²⁶. ეს რომ გაიგეს [მთავრის] ჯარებმა, გადმოაგდეს კლდიდან [ეს] საშინელი მხეცი.

კეისარი მიქაელი შეცვალა ვოტანიოტმა 1 წლით; მის შემდეგ [იყო] მესელიანოსი 6 თვე; შემდეგ – ალექსი, კაცი გამოსადეგი და გონიერი. მის დროს პიზაში, მეფე გაგიკის მიერ აშენებულ მონასტერში გამოჩნდა საზარელი ნიშანი: ორმა მეუდაბნოემ ნახა ზმანება. ისინი მივიღნენ მონასტერში და ვიდრე შესრულდებოდა სამი ყრმის გალობა, მოჰყვნენ ნანახი ზმანება. ერთმა მათგანმა თქვა: „მე ვნახე, რომ ეკლესიის თაღის ქვეშ ჩამოვიდებული ლამპარი ჩამოვარდა იატავზე, მაგრამ შუქი არ ჩაქრა“. მეორემ დაუმატა: „მე ვნახე, რომ ციდან ჩამოვარდა ვარსკვლავი და მისმა შუქმა გაიკიაფა ამ ეკლესიაში“. მაშინ მონასტრის წინამდლვარმა თქვა: „მონახეთ! ალბათ ჩამოვარდა წმ. შესაწირავთა ნაწილი“. აანთეს ცვილის სანთლები, წავიდნენ და მართლაც საკურთხეველში იპოვეს ნაწილი შესაწირავისა, დატოვებული გაუფრთხილებელი კაცის მიერ წმ. პენტეკოსტეს დღეებში. ის იპოვეს 3 დღის შემდეგ და ამ 3 დღის განმავლობაში ის ვერც ცოცხმა გაგავა, ვერც ფეხმა [გათელა] უთქმელი საიდუმლოების სადიდებლად. ყველამ მადლობა შესწირა ღმერთს.

ანისის მფლობელი გაგიკი წავიდა კონსტანტინოპოლში. თეოდორას და ზოია³²⁷ ძლიერ სთხოვდა მას მიეღო ბერძნული სჯული, შეერთო ის და ემეფა საბერძნებში, მაგრამ [გა-

გიყო] არ დათანხმდა. მას სურდა დაექორწინებინა თავისი უმცროსი ვაჟი ვასპურაკანის მთავრის აბელხარიბ ხაჩიკის ძის ქალზე, რომელიც ფლობდა სისს, ადანას, პაპარონს და ლამბრონს³²⁸. მან გატეხა პირობა და ციხეში ჩასვა [თავისი ქალის მთხოვნელი]. ეს რომ გაიგო [გაგიკმა], წავიდა მის გასათავისუფლებლად, მაგრამ დაბრუნებისას ფუნდუქში ბერძნებმა დაახრჩვეს. საზიზღარმა აბელხარიბმა მოწამლა სიძე. [გაგიკის] უფროსმა ვაჟმა იოანემ კი ანგარიშით შეირთო ანისის დუკას, წარმოშობით ბერძენი ქალი, ჩამოვიდა ანისში, მაგრამ ვერ ჰქოვა აქ მოსვენება. შემდეგ ის წავიდა იბერიაში, საიდანაც დაბრუნდა კონსტანტინოპოლში თავისი ვაჟით აშოტით, რომელიც სიძედ უნდოდა კეისარს, ის კი არ დათანხმდა. კეისრის ბრძანებით [აშოტი] წავიდა სულთანთან და სთხოვა დაეთმო მისთვის ანისი. ის მოწამლა რომელიდაც საჭურისმა, მანუჩეს ნათესავმა. მისი გვამი გაგზავნეს კონსტანტინოპოლ-ში. შვილის გვამის ჩამოტანაზე ადრე გარდაიცვალა მამა. ასე შეწყდა ანისის გვირგვინოსანთა რიგი³²⁹.

537 (1088) წელს ამირა ბულამ, მელიქ შაპის ბრძანებით, წაართვა განძაკი ფადლონიანებს, რომლებიც იწოდებოდნენ შადადიანებად. ქართველთა მეფე ბაგრატი დაბრუნდა კეის-რისაგან და მიიღო მამისეული სამფლობელოები. მის შემდეგ იყო მისი ვაჟი გიორგი, რომელიც კვირიკეს შემდეგ წავიდა ხორასანში მელიქ შაპთან და დაბრუნდა პატივით³³⁰. ეს კვი-რიკე იყო აშოტ მწყალობელის ვაჟის გურგენის ძის დავითის ვაჟი³³¹. მას მამამისმა დავითმა აუგო ლორე³³² და სხვა 12 ციხე-სიმაგრე. ის დაკრძალულია სანაინში. მისი შვილიშვილები აბასი და დავითი, შევიწროვებული ქართველთა მიერ, წავიდნენ არანის მფლობელებთან და მიიღეს თითოეულმა თითო ციხე, სადაც ცხოვრობდნენ გაჭირვებაში³³³.

მშვიდობისმოყვარე და ქრისტიანებისადმი კეთილგანწყო-ბილი სულთანი მელიქ შაპი უფლობდა 12 სამეფოზე კასპიის

ზღვიდან პონტოს ზღვამდე. მან აიღო ქვიშა ოკეანიდან³³⁴, წაიღო თან სპარსეთში, დაყარა მამის საფლავზე და თქვა: „გიხაროდეს მამა, შენი შვილი, შენს მიერ ყრმად დატოვებული უფლობს ქვეყნის დასასრულამდე“. მას ეახლა ფილარტოსი და შეუსუსტდა რწმენა. დიდმა ამირამ ბუღამ, სულთნის ბრძანებით, აიღო ურჟა და დამსმენთა გამცემლობის გამო დახოცა სახელოვანი სომეხი მთავრები.

ამ ხანებში პენენიკთა მეფე 600 000-იანი ჯარით მოვიდა კონსტანტინოპოლიში ალექსის წინააღმდეგ³³⁵. მაგრამ ქრისტიანებმა რვადღიანი ლოცვის შემდეგ გაულიტეს ისინი, ესროდნენ რა ცეცხლს მათ ურიკებს, რითაც მოვიდნენ. ამავე ხანებში გამომულავნდა ერთი ბერძენი ბერის უღირსი საქციელი, რომელმაც თავები სცა ძალლს. მან ჩაითრია 10 000 კაცი, მათ შორის ალექსის დედა. ის უფლის წმ. ჯვრის ნაწილს სდებდა თავისი ვაჟის ფეხსაცმელში, რომელიც ამგვარად მუდმივად თელავდა მას. როცა ეს გაიგო ალექსიმ, გაანადგურა ყველა, დედას კი ახადა სამეფო ღირსება.

540 (1091) წელს მარაშში გარდაიცვალა ფილარტოსის მიერ დაყენებული კათალიკოსი პოლოსი, აგრეთვე წმ. და დიდი სწავლული, სომეხი ვარდაპეტი გეორგი, რომელიც დაკრძალეს კამრჯაძორში, ვარდაპეტი სამუელის გვერდით. ამ დროიდან წმინდა საპატრიარქო ტახტი გაერთიანდა, რადგან უფალმა ბარსელმა³³⁶ მაშინვე გადააყენა ტახტიდან კათალიკოსი თეოდოროსი და წაართვა მას მიტრა, კვერთხი და უფალ პეტრეს წმ. ჯვარი. [ბარსელმა] გაიარა კესარია, ჩავიდა ანტიოქიაში, ხოლო აქედან ურჟაში. მას ყველგან ხვდებოდნენ დიდი სიხარულით.

მშვიდობისმოყვარე სულთანმა, ცოლისაგან მოწამლულმა [მელიქ შაჰმა] დაასრულა თავისი დღენი 541 (1092) წელს. ეს რომ გაიგო ამირა ბუღამ, რომელიც ამ დროს იმყოფებოდა ნიკეაში, დაბრუნდა ურჟაში. უფალი ბარსელი წავიდა ანისში.

მელიქ შაჰი დაკრძალეს მარანდში³³⁷, თავისი მამის ალფ-არს-ლანის გვერდით. [მელიქ შაჰი] ჰყავდა ორი ვაჟი: ბაქიარუ-ხი და საფანი³³⁸. მელიქ შაჰის ძმა დუდუში სულთანი გახდა ბერძნულ ქვეყნებში, ბაქიარუხი სპარსეთსა და სომხეთში. მან თავისი ბიძა ისმაილი დანიშნა ეჯიბად. [ბაქიარუხი] იყო მოწ-ყალე და კეთილგანწყობილი სომხების მიმართ. ის ზრუნავდა ჩვენს ხალხზე, რის შედეგადაც ჩვენმა ქვეყანამ იწყო აყვა-ვება. მან გაათავისუფლა ჩვენი მონასტრები და მთელი სამ-ღვდელოება [სარკისაგან]. დუდუში დაეუფლა შუამდინარეთს, დაამარცხა არაბთა მეფე იბრაჰიმი და ხელთ იგდო მთელი მისი მდიდარი ბანაკი. ამ დროს მან მიიღო წერილი ბაქია-რუხის ცოლისაგან, რომელიც იწვევდა მას სპარსეთში და სთავაზობდა თავის ხელთან ერთად უფლობასა და მთავრო-ბას მთელ ამ ქვეყანაზე. [დუდუში] გახარებული ამ ცნობით, უთვალავი ბანაკით გაემართა ისფაპანის ველისაკენ. ბაქია-რუხმა სთხოვა [დუდუშს] რომ დაეთმო მისთვის ისფაპანი და ყველა სხვა სამფლობელოებს მისცემდა მას. როცა [დუდუში] არ დათანხმდა ამაზე, [ბაქიარუხი] თავს დაესხა მას. დუდუ-ში დაიღუპა. მისი ვაჟი რადუანი გაიქცა ურპაში და გახდა სულთანი ალეპოსა³³⁹ და მის მიმდებარე მხარეში. მისი გვა-რიდან ვინმე, სახელად ალფიარაკი გახდა სულთანი ბერძნულ ქვეყნებში. შემდეგ წავიდა ურპას დასაპყრობად, მაგრამ კუ-რაპალატმა თოროსმა მონამლა ის. იმავე წელს, 30 დღის შემდეგ ჰონიში გარდაიცვალა წმინდა და ღირსეული კათა-ლიკოსი თოროსი* და დამარხეს უფალ სარგისის გვერდით³⁴⁰.

ამ ხანებში კალიისა და გვალვის შედეგად დაიწყო საში-ნელი შიმშილობა, რისგანაც ძლიერ დაზარალდა ქალაქი ანი-სი. შიმშილისაგან გარდაცვლილთა რიცხვი იმდენი იყო, რომ ვერ ასწრებდნენ არა მარტო მათ დამარხვას, არამედ წმ.

* თეოდოროსი (3)

აღსარების ჩაპარებასაც. ამბობენ, რომ ვინმე ბეხმა, თავისი ვაჟუაცობისა და ლვთის სიყვარულის დასამტკიცებლად მიწას მიაბარა 6000 კაცი. ვიღაც მდიდარმა სპარსეთში გაიგო რა ეს ამბები, ხორბლით დატვირთა აქლემთა ქარავანი, ჩამოვიდა ანისში და უბრძანა დაერიგებინათ ის მარტო ბავშვებისათვის. ეს ამბავი ყველგან გავრცელდა. მასთან მოჰყავდათ თვალცრემლიანი ბავშვები, რომელთაც ის აცმევდა და აპურებდა. როდესაც გათავდა ხორბლის მარაგი, მან მოუხმო ბავშვების მშობლებს, რომ მათ შესძლებოდათ მოხვეოდნენ თავიანთ ვაჟებსა და ქალებს. ისინი ეხვეოდნენ ერთმანეთს გამგმირავი მოთქმით. მაშინ ამ კაცმა საამო და ტკბილი ხმით თქვა: „წაიყვანეთ თქვენი ბავშვები, წადით თქვენს სახლებში და ადიდეთ მწყალობელი ღმერთი, ღმერთი მის დიდებაში“, რაც შესრულდა კიდეც.

შიმშილობის დამთავრების შემდეგ, რომელიცაც სკვითური წარმომავლობის ხალხი, უძველესი დროიდან დამკვიდრებული ვრკანის ქვეყნების ახლოს, 7000 [კაცი] ელლაზის წინამდლობრით შემოვიდა და ომით გაიარა ჩვენი ქვეყნის შუაგული ქალაქ ანისამდე. აქ გოლიათის მსგავსი მისი ძმა მოკლა ვასაკის ვაჟმა, აპირატის შვილიშვილმა გრიგორმა, რომელიც მალე მოკვდა მონამებრივი სიკვდილით კალზუანში. [მან] სიკვდილისაგან გადაარჩინა ანისის ამირა მანუჩერ. მანუჩერ თავის ძმასთან, კათალიკოს ბარსელთან ერთად გადაიტანა და დაკრძალა ის კეჩარუსის [მონასტერში]. მის ცხედარს მის-დევდა მთელი სომეხთა ბანაკი. ელლაზმა გაიარა შუამდინარეთი და წაართვა იერუსალიმი ფრანკებს. მან ჩაარჭო ისარი აღდგომის [ტაძრის] ჭერში ამ გამარჯვების ნიშნად, რომელიც დღემდე არსებობს.

544 (1095) წელს ართუხის ძე სუქმანი³⁴¹ და სამუსატის ამირა ბალდუხი, ამირა ხაზის ძე წავიდნენ ურპაზე, საიდანაც დაბრუნდნენ შერცხვენილები. კურაპალატი თეოდოროსი ისე-

ვარდან არეველცი

თო სიბრძნითა და მამაცობით იცავდა ქალაქს, რომ სულთან-მა რაღუანმაც კი ვერ შესძლო მისი დამორჩილება.

547 (1098) წელს დასავლეთის სულთანი ხილიჭ არსლანი, დუღუშის შვილიშვილი წავიდა მელიტენეს წინააღმდეგ. მაგრამ ქალაქის გამგებელმა ხავრილმა, ურჰას კურაპალატის სიმამრმა, უკან დაახვინა შეურაცხყოფილს.

ამ ხანებში ასრულდა წმ. პატრიარქ ნერსესის წინასწარმეტყველება ფრანკთა გამოჩენის შესახებ. ვიდრე სკვითებს ეპყრათ იერუსალიმი, ისინი განუწყვეტლივ იღებდნენ ფასს [უფლის] წმ. საფლავის სანახავად მოსულებისაგან. ერთხელ ბრბოსგან შევიწროვებული ფრანკი გაცხარდა და გაჯავრდა. ამის გამო ის ისე სცემეს, რომ თვალიც კი გამოუვარდა ფოსოდან და გაგორდა მინაზე. [გრაფმა] აილო ის, ჩაიდო ჯიბებში, წაილო რომები და ყველას აქეზებდა შურისაძიებლად. გამოვიდნენ სახელოვანი ვაჟკაცები, მრავალრიცხოვანი ჯარების წინამძღლლები, რომელთა სახელებია: კონდოფრი და მისი ძმა ბალდუინი – მეფის შთამომავლები, რომლებზეც ამბობენ, რომ ფლობდნენ იერუსალიმის ამაოხრებლის ვესპასიანეს გვირგვინს; დიდი გრაფი პაიმუნდი და მისი დისშვილი ტანკრი; გრაფი ზნჯილი და რობერტი, დატოვებული გრაფად; მეორე ბალდუინი და გრაფი ჟოსლინი. ეს ძლევამოსილი ვაჟკაცები, მრავალრიცხოვანი ჯარებით გაეშურნენ და მივიდნენ ბიზანტიაში, მშვიდობით გაიარეს ნიკეა, ორჯერ დაამარცხეს ხილიჭ არსლანი, აიღეს ნიკეა და მისცეს ის ალექსის, თვითონ გაიარეს კილიკია, აიღეს ანტიოქია, ყველა სანაპირო ქვეყნები, იერუსალიმი და დაადგინეს იქ მეფე, როგორც მოგვითხრობს მრავალი ისტორიკოსი³⁴².

ამავე ხანებში ანისში მოიტანეს წმ. ნუნეს³⁴³ ჯვარი, რომელიც ქართველი მმართველის ვარსკენის სარწმუნოებიდან გადახვევის დროს გადატანილ იქნა პარხალის მთებში წმ. საპაკის მონაფის, წმ. ბერის ანდრეასის მიერ, სადაც დარჩა

7 წელი. ეს რომ გაიგო გრიგორ მამიკონიანმა, პშაიაკის ვაჟმა, [ბრძანა] გადაეტანათ ის ციხესიმაგრე კაპუუეტში; აქედან ის გადაიტანეს ვანანდში და ენოდა ვანანდის ჯვარი. როდესაც უკეთურმა სუქმანმა გაულიტა მამიკონიანთა გვარი, ბარსელის პატრიარქობისას [ეს ჯვარი] მოიტანეს ანისში. დღესასასწაული მის სახელზე დაწესებულია კვირას, ჯვართამაღლების მერვე დღეს.

547 (1098) წელს გრაფმა ბალდუინმა აიღო თელბაშარი და ურპა, ხოლო შემდეგ წელს ბაქიარუხის სპასალარმა გაილაშქრა ფრანკთა წინააღმდეგ ანტიოქიაში, სასტიკად დამარცხდა და დაკარგა 300 000 კაცი. [ფრანკებმა] იპოვეს წმ. პეტრეს [ტაძრის] მარცხენა კუთხეში შუბი, რომლითაც ებრაელებმა გახვრიტეს მაცხოვრის ხატი. [ხატიდან] გადმოედინა სისხლი და წყალი, როგორც უფლის ბარძაყიდან. [ისინი] თაყვანს სცემდნენ ამ იარაღს, როგორც იმას, რომლითაც გაგმირეს ქრისტე და რომელიც ინახება სომხებთან. ამის საშუალებით დაამარცხეს ფრანკებმა მტერი და შემდეგ გაუგზავნეს ეს [შუბი] ალექსის.

548 (1099) წელს გარდაიცვალა სომეხთა დიდი მთავარი კონსტანტინე³⁴⁴ რუბენის ძე, მეფე გაგიკის ღვიძლი ძმა, რომელსაც ნათლად ეჩვენა მისი სიკვდილის ნიშანი: თითქოს მისი გარდაცვალების დღეს ციხე-სიმაგრე ვაპკში ციდან ჩამოვარდა მეხი და დაეცა მის წინ მდგარ ვერცხლის თეფშს, იმავე წუთს მოკვდა ვიღაც კაცი, ხოლო მის შემდეგ თვითონ [კონსტანტინეც] – შავი მთის მპყრობელი. მას დარჩა ორი ვაჟი: თოროსი და ლევონი³⁴⁵.

549 (1100) წელს სებასტიის მფლობელი დანიშმენდი, რომელზეც ამბობენ რომ წარმომავლობით სომეხი იყო³⁴⁶, თავს დაესხა მელიტენეს. ურპაში მყოფი პაიმუნდი და რაჯარდი გამოვიდნენ მის წინააღმდეგ, მაგრამ ტყვედ ჩაუვარდნენ [დანიშმენდს], რომელმაც ჩასვა [ისინი] საპყრობილები.

550 (1101) წელს იერუსალიმში ლამპარი აენთო არა შაბათს, არამედ კვირას, 9 საათზე. მთელი ქვეყანა განცვიფრდა. ამის მიზეზი კი იყო ფრანგთა გამოუსწორებელი საქციელი, რომლებმაც ქალებს დააკისრეს სამსახური მაცხოვრის წმ. საფლავთან.

იმავე წელს დიდი გრაფი პეტევანი³⁴⁷ 300 000 კაცით ჩამოვიდა კონსტანტინოპოლში და ქედმაღლური სიტყვებით კიცხავდა ალექსის, უნოდებდა მას ეპარქს და სთხოვდა ჯარებს თურქთა მინაზე წასასვლელად. [ამ ჯარებმა] თავიათი მეფის ბრძანებით მოტყუებით განდევნეს [პეტევანი] უწყლო უდაბნოსაკენ, დაქანცეს ის და ხელთუგდეს დანიშმენდისა და ხილიჭ არსლანის ჯარს. ძლივს გადარჩენილმა პეტევანმა მხოლოდ 30 კაცით მიაღწია ანტიოქიას. იერუსალიმში მისვლის და თავისი აღთქმის შესრულების შემდეგ ის დაბრუნდა რომში.

551 (1102) წელს ათმა ქრისტიანმა ხალხმა, გარდა სომხებისა და ასურელებისა, არასწორად იზეიმა აღდგომა ბზობის კვირას ირიონის თვალსაზრისის მიხედვით.

552 (1103) წელს სომხებმა მთავარმა გოლვასილმა³⁴⁸ გამოისყიდა პაიმუნდი 100 000 [დრაჟკანალ], მიუმატა [ამ თანხას თავისი] 10 000 დრაჟკანი. იმავე წელს ურჰას გრაფი ბალდუინი წავიდა თურქის წინააღმდეგ მარდინის³⁴⁹ მიდამოებში, ხელთ იგდო ამირა ული სალარი და მოიყვანა ურჰაში, სხვა მრავალრიცხოვან ტყვეებთან და ცხვრის ურიცხვ [ჯოგთან] ერთად. ამ დროს პატრიარქი ბარსელი ჩამოვიდა ანისიდან [ბალდუინთან]. გრაფმა ის პატივით მიიღო, [უბოძა] მას სოფლები და განძეულობა.

553 (1104) წელს გარდაიცვალა დანიშმენდი და დატოვა 12 ვაჟი. უფროსმა ღაზიმ მიიღო მისი ხელისუფლება³⁵⁰. იმავე წელს გარდაიცვალა სულთანი ბაქიარუხი, რომლის ადგილი დაიჭირა მისმა ძმამ ტაფარმა³⁵¹. ამავე ხანებში ჭოშლინმა აიღო მარაში, ხოლო იქ მყოფმა ბერძენმა მთავარმა თათულმა

რუბენის ვაჟის კონსტანტინეს ძეს თოროსს მიპყიდა ღვთის-მშობლის ხატი დიდი რაოდენობით ოქრო-ვერცხლის [საფა-სურად].

554 (1105) წელს სპარსეთში ამბოხის შედეგად გამოჩნდა ერთი ამირა, სახელად ხზილი, [წარმომავლობით] სკვითი, აილო ლორე, შეიჭრა დვინში და ძალადობით მოკლა მანუჩეს ძმა ბუნარი. მანუჩე წავიდა სპარსეთის მეფის კარზე, წა-მოიყვანა ჯარი, დაბრუნებულმა მოკლა ხზილი თავისი ძმის საფლავზე და დაუთმო დვინი სპარსელებს.

ამ ხანებში პატრიარქი ბარსელი შეწუხებული სხვადასხვა მღელვარებით დაბრუნდა თავის ტახტზე ანისში. მასთან მა-შინვე გამოცხადდა უფალ გრიგორ ფაპლავუნის მოციქული, ვაპრამ ვკაიასერად³⁵² წოდებული [შემდეგი სიტყვებით]: „ჩემ-მა დრომ მოაწია, მოდი და გამიშვი მე უფალთან“. [ბარსელმა] აღარ დაყოვნა და [გაეშურა], რათა მიეღო მისგან უკანას-კუნელი კურთხევა. მაგრამ მენკერტის ციხის გზაზე, ბაღლუს ახლოს მას უნია იქ მყოფ ბერძენთა ცდუნებამ, რომლებსაც სურდათ მისი გაძარცვა. მაგრამ მან გამოიჩინა სიმამაცე და არ მისცა მათ საშუალება მოქცეულიყვნენ როგორც სურდათ, არამედ დაუთმო მათ [თავისი ქონებიდან ის, რაც თვითონ სურდა]. [ბარსელის] წინ მიმავალმა [ჯვრისმტვირთველმა] თადეოსის ხელით გაკეთებული რკინის ჯვარი ჩააგდო ტბაში. შემდეგში ქრისტიანებმა, რომელთა ყურადღება მიიპყრო [ამ ჯვრის] სხივების ბრწყინვამ, იპოვეს ის და დადგეს წმ. გრი-გორის მთაზე, სადაც მისი საფლავია. ის დღესაც დგას იქ და ახდენს სხვადასხვა სასწაულებს. [ბარსელმა] გაიარა გრძელი გზა და ჩავიდა კარმირ-ვანქში, სადაც იმყოფებოდა ღვთის წმ. კაცი დიდ მთავარ ვასილთან და მიიღო მისგან კურთხევა. მო-მაკვდავმა შევედრა [ბარსელს] თავისი აღზრდილი ყმანვილე-ბი, თავისი დისმეტილის ვაჟები: გროგორისი, დადგენილი მის მიერ კათალიკოსად და მისი ძმა ნერსესი³⁵³ – აპირატის ვაჟე-

ვარდან არეველცი

ბი. თვითონ კი განისვენა უფალთან თერის თვეს³⁵⁴, შაპათს, ზაფხულის ორმოცდაათიანელთა [დღეს], იერემია წინასწარმეტყველის დღესასწაულზე და დაკრძალეს იმავე ადგილას. მას დასტიროდნენ ვასილი და მთელი სომეხი აზატები.

იმავე წელს მიიცვალა წმ. განდეგილი და წინასწარმეტყველი მარკოსი, კოკქის გავარში, კონკრნატის მთაზე, მარაშის ახლოს. ის 65 წლის მანძილზე არ ჭამდა ჰურს, არც მის მსგავს რაიმეს, იკვებებოდა მხოლოდ მწვანილით. სწორედ მან თქვა: „გამრავლდება ადამიანთა ბოროტმოქმედებანი, უცხოელები ააოხრებენ ქვეყანას, დაიხურება ეკლესიების კარები და თურქები ხელახლა აიღებენ იერუსალიმს“³⁵⁵. მან 22 ადგილას იპოვა წყალი. [მარკოსი] დაასვენეს იმავე უდაბნოში, კასტალონის³⁵⁶ მონასტერში. მის [ხსოვნას] ზეიმობენ ღვთის-მშობლის დღესასწაულის შემდეგ ხუთშაბათს.

557 (1108) წელს აღებულ იქნა ტრაპოლისი 11 თვის ალყის შემდეგ, იერუსალიმის მეფისა და გრაფ ბერდრანის მიერ. ამის მიუხედავად, ქალაქი მისცეს ანტიოქიის მფლობელს ტანკრს. ამის გამო განრისხებულმა მეფემ და ბერდრანმა ხელახლა აიღეს ქალაქი, დაარტიეს და მახვილით მოსრეს ის. [ქალაქი] დაიკავა ბერდრანმა³⁵⁷.

559 (1110) წელს სპარსელთა სარდალმა მამდუდმა დაარბია მთელი ურპას ქვეყანა, დაამარცხა, დაატყვევა და მწუხარებაში ჩააგდო ყველა ქრისტიანი. იმავე წლის ზამთარში, ღამე ციდან ცეცხლი ჩავარდა ვასპურაკანის ზღვაში, რომელიც ხმაურით გადმოპირქვავდა ხმელეთზე და გახდა სისხლისფერი, თევზები დაიხოცნენ. გათენებისას მთელი ნაპირი მოფენილი იყო [თევზით], როგორც გაჩეხილი ტყე.

560 (1111) წელს სომეხთა დიდმა მთავარმა³⁵⁸ სიბრძნის ძალით აიღო ციხე-სიმაგრე კენდროსკავისი, სადაც მოკლეს შაპან-შაპი გაგიკი³⁵⁹. იმის გამო რომ მეფის მკვლელები – სამი ძმა მანთალიონის ვაჟები ჯერ ისევ ცოცხლები იყვნენ, [მთა-

ვარმა] წამებით დახოცა ისინი, წაართვა მეფის მახვილი და სამოსელი, ხელთ იგდო იმ გავარის მთელი საჭურჭლე, რომელიც ინახებოდა ამ მიუდგომელ ციხეში ჯვრებთან, ხატებთან და დიდი რაოდენობის ოქროსთან ერთად. ყველაფერი ეს მან წაიღო ვაჰეში, მადლი შესწირა ღმერთს და მცველები ჩააყენა ციხეში. პატრიარქი ბარსელი აღარ დაბრუნებულა ანისში. რამდენიმე ხანი დაჲყო აქ და შემდეგ გადაწყვიტა იერუსალიმში წასვლა. ფერისცვალების დღესასწაულზე მან მოიწვია ეპისკოპოსები და ქვეყნის მთავრები გრიგორის მოციქულის ხარისხში საკურთხებლად, რომ თვითონ შესძლებოდა დაწყნარებული სინდისით გასდგომოდა გზას. მაგრამ შუღრის³⁶⁰ მონასტერში სახლის მშენებლობისას მას შეემთხვა უბედურება: ასწიეს ბოძი, გაუვარდათ ხელიდან, დაეცა მას და სასიკვდილოდ დააშავა. ამის შემდეგ მან იცოცხლა კიდევ 7* დღე, აკურთხა გრიგორი [საპატრიარქო] ხარისხში და გარდაიცვალა. ის დაკრძალეს ამავე ადგილზე 562 (1113) წელს.

ეს რომ გაიგო თორნიკეს ძემ დავითმა, მოიწვია კუნძულ ალთამარზე 5 ეპისკოპოსის კრება, რომლებმაც აკურთხეს ის კათალიკოსად იმ მიზეზით: რომ იქ გარდაიცვალა კათალიკოსი ვაჰენიკი გაგიკის ვაჟთან, აბუსაჰლთან ძორო-ვანქში ყოფნისას; რომ იქ იყო წმ. გრიგორის შესაწირავი ტრაპეზი, მისი ტყავის ქამარი და კვერთხი, წმ. რიფსიმეს ქოშები, საბურავი შეღებილი სისხლით და გაზის პირსახოცი – შენახული ადგილობრივ სამღვდელოებასთან; რომ დევნილების დროს [რიფსიმე] იმალებოდა კუნძულ ალთამარზე; [იმის გამოც], რომ ამბობენ აქ იყო არწრუნთა დინასტიის მეფეთა ადგილ-სამყოფელი და აქვე უნდა ყოფილიყო საპატრიარქო [ტახტიც]. მაგრამ [დავითი პატრიარქად] არ იქნა აღიარებული, მიუხედავად მისი მცდელობისა, თხოვნისა და საჩუქრებისა,

* 5 (3)

რომლებსაც ის აძლევდა მრავალთ და განსაკუთრებით ანისის მფლობელებს. მათ პატრიარქმა გრიგორისმა დიდი მადლიერებით გაუგზავნა კურთხევის სიგელი, ხელმოწერილი შავი მთის ყველა მონასტრის და ახლომდებარე [მონასტრების] ეპისკოპოსთა მიერ³⁶¹.

უფალ ბარსელის სიცოცხლეში გარდაიცვალა სომეხთა^{*} დიდი მთავართა-მთავარი, დიდებული ვასილი, რომელმაც ღვთის შემწეობით ხელთ იგდო მრავალი ციხე და გავარი. პატრიარქი ბარსელი ზრუნავდა მის სახლზე და გადასცა ხელისუფლება ყმაწვილ ვასილს კამსარაკანთა³⁶² გვარიდან, დაახლოებულს დიდ ვასილთან^{**}. ამ ხანებში ვასილის სახლი იყო მეფეთა შთამომავლების და სომეხი აზატების, აგრეთვე პატრიარქთა შეკრების ადგილი. ამავე წელს მიიცვალა ანტიოქიის დიდი გრაფი ქრისტესმოყვარე და სამართლიანი ტანკრი, ძალაუფლება მიიღო მისმა დისპვილმა როჭერმა.

563 (1114) წელს, მარერის თვის 12-ში მიწა იძრა. მთების მწვერვალთაგან და ჩამონგრეული კედლებიდან ისმოდა გამგმირავი ხმა. კვირა დღე იყო და ხმა გაძლიერდა, რის გამოც ფიქრობდნენ, რომ დადგა ქვეყნის აღსასრულის დღე. მრავალი ქალაქი დაინგრა და დაიღუპა 40 000 კაცი, ის რაც დაითვალეს. იმავე წელს გარდაიცვალა ვარდაპეტი გეორგი, რომელსაც მეტსახელად მელრიკს უწოდებდნენ, მისი ტკბილი ქადაგებების გამო^{***}. [ის იყო] დრაზარკის³⁶³ მონასტრის განმაახლებელი, წმინდა, საკვირველი და დიადი განდეგილი, ვასპურაკანის ნაჰანგის სოფელ ანალიურიდან. ამავე წლის დამდეგს^{****} ამიდში³⁶⁴ ციდან ჩამოვარდა ცეცხლი მინარეთზე,

* სომეხთა > – 3

** დაახლოებულს... ვასილთან > – 8

*** მისი... გამო > – 8

**** მეორე წლის დამდეგს (8)

საიდანაც უხმობდნენ მუსლიმანებს და ცეცხლი მოეკიდა მის ქვის სახურავს, ისე რომ აღი სწვდებოდა ცას.

565 (1116) წელს თოროსმა, ლევონის ძმამ, კონსტანტინეს ძემ შეიპყრო ყმანვილი ვასილი და გადასცა ბალდუინს – ურჰას გრაფს, რომელმაც წამებით აიძულა დაეთმო მთელი სამფლობელოები. ეს ქვეყანაც ჩამოშორდა სომხებს³⁶⁵. ვასილი წავიდა თავის სიმამრთან ლევონთან კილიკიაში, ხოლო იქიდან კონსტანტინოპოლში. კეისარმა პატივით მიიღო [ის] და მისი ამაღლა. შემდეგ წელს ბალდუინი წავიდა ნზებში, სომეხი მთავრის ვასაკის ძის აბელხარიბისა და მისი ძმის ლიკონის³⁶⁶ წინააღმდეგ, რომლებიც სარდლობდნენ 1000 კაციან რაზმს. ადრე ისინი ფლობდნენ თელბაშარს და ბირს, რომლებიც დიდი ბრძოლით წაართვეს თურქებს. [ეს ადგილები] ალყაში იყო ერთი წლის განმავლობაში და ბოლოს აიღო. [აბელხარიბი] წავიდა თოროსთან. ასევე დაარბია [ბალდუინმა] მეორე მთავარი ბაგრატიც, რომელიც ცხოვრობდა რავენდანში³⁶⁷, ხოლო კარკარის მფლობელი კონსტანტინე მოკვდა დატუსალებული სამუსატის ციხეში³⁶⁸.

567 (1118) წელს გარდაიცვალა იერუსალიმის მეფე ბალდუინი და გვირგვინი მიიღო მეორე ბალდუინმა, ურჰას გრაფმა³⁶⁹.

იმავე წელს გარდაიცვალა სპარსთა სულთანი ტაფარი. მან სიკვდილის წინ ბრძანა მოეკლათ მისი პირველი ცოლი გო-ჰარ-ხათუნი, რომელსაც, როგორც ამბობენ, ემსახურებოდა 400 ქალიშვილი თავზე გვირგვინებით. [სულთანი] სარდლობდა მრავალრიცხოვან ჯარს, რომელსაც უბრძანა დაეკლათ [მისი ცოლი], „რათა, როგორც ამბობდა [სულთანი], ის არ გათხოვდეს ჩემს ძმაზე, რომელიც უფლობს შიდა სპარსეთში, ქალაქ ოზკენდში და ხიზნში – ისფაპანის იქით 6 დღის სავალ მანძილზე“. მან ტახტი გადასცა თავის უფროს ვაჟს

ვარდან არეველი

მაპტუდს, ხოლო უმცროსი ვაჟი მელიქი დანიშნა სომხეთის განძაკის გამგებლად³⁷⁰.

ამ წლის დასაწყისში გარდაიცვალა ალექსი და გვირგვინი მიიღო მისმა ვაჟმა ფეროზემ³⁷¹, რომელიც კარგად იყო განწყობილი სომხებისადმი და ამტყუნებდა დედას, რომელმაც ცრუ მრჩევლების მიერ შემცდარმა მეორედ ნათლისდებით მეორედ [აცვა] ჯვარს უფალი.

იმ ხანებში გაძლიერდა ქართველთა მეფე დავითი, ბაგრატის ვაჟის გიორგის ძე, რომელმაც წაართვა სპარსელებს თბილისი³⁷², სასტიკად დაამარცხა განძაკის სულთანი მელიქი და 500 განიარალებული კაცი ძელზე გასვა ქალაქ თბილისში.

იმ დღეებში, რადგან გარდაიცვალა ანისის ამირა მანუჩე, მისმა შვილმა აბულსუარმა, კაცმა მშიშარამ და ქალაჩუნამ, ხელში ჩაიგდო [ქალაქი]. მას სურდა მიეყიდა ანისი 60 000 დინარად³⁷³ ყარსის ამირასათვის. მან მოატანინა ხლათიდან³⁷⁴ მძიმე, უზარმაზარი ნალი და დადგა ტაძრის გუმბათზე, ნაცვლად მისი წინაპრების [მიერ აღმართულისა]. ამის გამო გალიზიანებულმა ქრისტიანებმა მოუხმეს დავითს და ჩაბარეს ქალაქი ანისი. ტაძრის წმინდა გუმბათიდან ჩამოაგდეს საძულველი ნიშანი, რომელსაც ის მოთმინებით აჭარებდა 60 წლის განმავლობაში ჩვენი ცოდვების გამო. დაადგეს თავზე სამკაული, იესოს გვირგვინი, პავლეს სიამაყე, მზე ჩვენი ხსნისა ჯვარი უფლის გამოსახულებით, დაიწყეს ზარის რეკვა, ჯვართან ადიდეს ღმიერთი, რომელიც ჯვარს ეცვა მორწმუნეთა გადასარჩენად. მეფემ აბულეთი და მისი ძე ივანე დატოვა ანისში, დაბრუნდა თავის ქვეყანაში, თან ჩამოიყვანა აბულსუარი თავისი შვილებით, რომლებიც აღარ დაბრუნებულან, იქვე გარდაიცვალნენ. დავითმა გააფართოვა საქართველოს საზღვრები, შემოირთა უხტიქი და მისი მოსაზღვრე რაიონები – გაგი, ტერუნაკანი, ტავუში, კაიანი, კაინონი, ლორე, ტაშირი, მაპკანაბერდი³⁷⁵, დაიმორჩილა მთელი სომხეთის სამეფოები,

[რომელსაც ფლობდნენ] კვირიკე და აბასი³⁷⁶, კავკასიის მთა, სვანეთის სამეფო, მრაჭული, კლარჯეთი, დვალეთი*, ჰერეთი კასპიის ზღვამდე, ჰაბანდამდე³⁷⁷ და ქალაქ შაპურანამდე. ის ძლიერ ზრუნავდა უგუნურ ქართველ ხალხზე, [რომელთა რიგებიდან] შეარჩია 40 ახალგაზრდა, გაგზავნა საბერძნეთში ენების შესასწავლად და თარგმანების შესასრულებლად, რაც მათ შეასრულეს. სამი მათგანი საუკეთესო და აზრიანი აღმოჩნდა, [იქმნა] ერის მშვენებად³⁷⁸. [დავითი] ორჭოფულად არ უყურებდა სომხურ ეკლესიასა და ლოცვას, რის გამოც მრავალჯერ თავს გვიხრიდა ჩვენ, შეგვთხოვდა კურთხევას. მან იმედა 33 წელი³⁷⁹, გარდაიცვალა თბილისში და დასაფლავებულია გელათში, წინაპართა სასაფლაოზე. გვირგვინი მიიღო მისმა ვაჟმა დემეტრემ³⁸⁰, რომელმაც არაფერი მოაკლო მამისეულ სამფლობელოებს, არამედ შემოიერთა დმანისი და ქალაქი ხუნანი³⁸¹ წაართვა სპარსელებს.

იმ დროს ხორასანში³⁸² მყოფმა აბულსუარის ვაჟმა გაიგო რა მამისა და ძმების ამბავი და დავითის სიკვდილი, მოვიდა და ვედრებით სთხოვა აბულეთს და ქალაქის უხუცესებს მამისეული ქალაქი ანისი. რადგანაც ქალაქი დიდ საშიშროებაში იყო თურქთაგან, აბულეთმა დაუთმო მას [ანისი], ზრუნავდა რა ქრისტიანებზე და უფრო მეტად თავის შვილ ივანეზე, რომ არ დაღუპულიყო ხშირი ბრძოლების დროს, თვითონ კი დაბრუნდა თავის სახლში. აბულსუარის ვაჟი ფადლონი დაეპატრონა ქალაქს და მის შემოგარენს, ყოველმხრივ შეეცადა დაემყარებინა მშვიდობა, აიღო დვინი, განძაკი და გახდა სახელოვანი. [მან] მოინდომა წმ. საკათედრო ტაძრის [გაძარცვა]. 3 წლის შემდეგ დაემართა უბედურება: ის დააწყლულეს ცეცხლოვანმა კაცებმა, რომლებიც გამოდიოდნენ ეკლესიის კლიტედან. [ეს კლიტე ფადლონმა] წაართვა წმ. მსახურ გრიგორს ეკლე-

* დვალეთი > – მ

სიის ძვირფასეულობის გასაძარცვავად, რომელიც ახლად იყო შემოსილი ციური საბურველით სამოცნელიანი მწუხარების შემდეგ. ამ ხილვების შედეგად [ფადლონი] შეუძლოდ გახდა და შეშინებულმა მიმართა გრიგორის ლოცვას, გამოიყვანა ის საპყრობილედან. ცოტა ხნით ადრე [გრიგორი] წასული იყო ვირაპში³⁸³, დაბრუნებისას მან დვინში იხილა თურქთა თავყრილობა მრავალრიცხვან ბანაკად და ხმამაღლა შესძახა: „დიდება ქრისტე ღმერთს, ძესა უფლისას“, რასაც ყოველდღიურად აკეთებდა ანისში. იმიტომ [მოიქცა ასე, რომ] მლოცველმა მეგობარმა ხუმრობით უთხრა მას ყურში: „აი ეს არის ადგილი ქრისტეს სადიდებლად“. ამის გამო შეიპყრეს [გრიგორი] და მოიყვანეს ფადლონთან, რომელმაც საღამოს* ჩააგდო საპყრობილები და მოისურვა იმავე ლამით მოეკლათ. მაგრამ ღმერთმა გადაარჩინა ის ამგვარად.

ამ დროს ცხოვრობდნენ ვარდაპეტები: იოანე, იგივე სარკავაგი, წარმოშობით ფარისოსის გავარიდან, რომლის ხსოვნა დღემდე სხივებითაა გაბრწყინებული მის ნაშრომებში³⁸⁴; მისი მონაფე იერემია, იგივე ანძრევიკი, რომელიც 30 წელი მშრალ [საჭმელს ჭამდა] და იმდენად დამჯერი იყო თავისი მასწავლებლის, რომ როცა მან მუქარით [უთხრა] „გაჩუმდი!“, 3 წლის განმავლობაში არავის დალაპარაკებია, მაგრამ შეაჩვია თავი ამ გასაჭირს; სამუელ ანეცი, რომელმაც შეადგინა ქრონოლოგიური ცხრილები³⁸⁵; მათზე ადრე ანანია სანაინელი, რომელმაც კათალიკოს პეტრეს ბრძანებით [დაწერა] სამოციქულო განმარტებანი. წმ. ვარდაპეტმა [იოანემ] ნაყოფიერად იღვანა და დაასრულა თავისი დღენი 568 (1119) წელს. ერთი წლის შემდეგ [გარდაიცვალა] მისი მეგობარი ალავიკის ვაჟი დავითი, რომელმაც დაწერა დამრიგებლური კანონები; მისი მონაფე, თოქაკერის ვაჟი და განდეგილი მამები ალბანეთში, ესენია: პეტროსი,

* საღამოს > - 3

ხონთაკის ვაჟი, საოცარი იაკობი, რომელმაც ერთხელ იხილა ეშმაკი ამხედრებული ბერზე, რომელიც მოდიოდა აღსარებაზე. როდესაც [ბერი] მოახლოვდა [ეშმაკმა] გაამათრახა ის და აიძულა გაქცეულიყო. [იაკობმა] უპრძანა თავის მსახურს დაწეოდა [ბერს] და ძალით მოეყვანა მასთან. მის კითხვაზე [ბერმა] უპასუხა: „შენთან მოვდიოდი აღსარებაზე, გამახსენდა ჩვეულებრივი საქმე და მივუბრუნდი შურისძიებას“. წმ. [იაკობმა] მოუყვა მას თავისი ხილვა. [ბერი] ფეხებში ჩაუვარდა მას, უთხრა აღსარება და მიიღო შენდობა. ქობაირში³⁸⁶ იყვნენ სამეფო წარმოშობის ქალები ხორასუ და მარიამი, რომელთაც ქალწულებრივი მონაზვნობის [გზით იცხოვრეს]. მათ წერდა წმ. ვარდაპეტი სარკავაგი სამოძღვრებო დარიგებებს.

579 (1130) წელს კუზის ვაჟი სურთი³⁸⁷ თავს დაესხა დვინს და აიღო, ბრძოლაში დაჭრა ფადლონი, რომელიც ვიღაც მოღალატებმა ფარულად დაახრჩვეს. მიზეზად ასახელებდნენ [ჭრილობას], რომელიც არ იყო სასიკვდილო. ამირა გახდა ფადლონის უმცროსი ძმა ხუშერი, მცირე ხნის შემდეგ კი უფროსი მაჰმუდი. ანისის ქვეყანა კვლავ გასაჭირდი აღმოჩნდა.

დაახლოებით იმ დროს ივანე აბულეთის ძემ მოისურვა დემეტრესა და მისი ძმის გიორგის მოკვლა. მამამისი აბულეთი მის წინაშე თეთრ წვერს იგლეჯდა და უკრძალავდა ამას. ისინი დმანისის ციხეში გამოკეტეს ძმათა შორის სიცრუის გამო, რაც გაიგო დემეტრემ. ივანემ უთხრა: „რატომ დამიჭირე მამა?“³⁸⁸ მან გაგულისებულმა უთხრა: „არა მეფევ, მე ხელში ჩაგიგდე შენ შენი ძმა, რომელსაც სურდა მეფობა“. [მეფემ] შეიძყრო ის, თვალები დასთხარა და გაუშვა³⁸⁹.

ამ დროს გაგის მინდორი აივსო ურიცხვი მხედრებით, შეიკრიბა ყველა ტომის ურჯულო, რათა დაეწვათ სურბ-ხაჩი³⁹⁰ მხედართმთავარ სარგისის სახელზე. უფალზე გახელებულებმა მათ გაჟლიტეს ერთმანეთი. ეს ესმა დემეტრეს, წავიდა და იოლად ჩაიგდო ხელში მთელი ავლა-დიდება. ამ

დღეებში ფადლონის ერთმა ჭაპუქმა ძმამ, გაიგო რა, რომ
მისი ბებია კატაი იყო ქრისტიანი, ბაგრატიონთა სამეფო
გვარიდან, სიყვარულით განიმსჭვალა ქრისტეს მიმართ, წავი-
და წმ. გრიგორის მთაზე, მოინათლა და 15 წელი [გაატარა] სრულ
განდევილობასა და ღამით ფხიზლობაში*. არაერთგზის
უნახავთ კაშკაშა აუნერელი შუქი, [რომელიც მისი] კელიის
საკვამურიდან გიზგიზებდა. შემდეგ [ის] წავიდა დრაზარკში
და იქ მიიცვალა ქრისტესთან.

580 (1131) წელს ივანე აბულეთის ძემ ილაშქრა გარნის-
ში³⁹¹. მისი ჯარი დაამარცხა ხურთმა, რომელმაც [ბრძანა
მეომრებისათვის] თავები მოეკევთათ და მოეხარშათ შექამა-
დი, თავის ქალები დაედოთ მინარეთზე და მისი ქვის ბექზე.
მეორე წლის დასაწყისში დემეტრემ მზაკვრობით მოკლა მა-
მაცი ივანე. მისი ვაჟი თირქაში წავიდა ამირათათავთან შაჰი
არმენთან და მიიღო მისგან არშარუნიქი, თამამად დაიწყო
ქართველთა სახლის აოხრება.

588 (1139) წელს მიწისძვრამ დაანგრია განძაკი. 7 წლით
ადრე სუქმანის შვილიშვილმა შაჰი არმენმა³⁹² დაიპყრო ხლა-
თის ქვეყანა და სხვა მრავალი ქალაქი. მან მოკლა თავისი
ბებია, რომელმაც დახოცა შვილები და მოიპოვა ძალაუფლე-
ბა. როცა გაიზარდა, მოინდომეს მისი დახრჩობა, მაგრამ
გადარჩა ღვთის დახმარებით, დაეუფლა 12 ქალაქს, იწოდა
სომხეთის მეფედ, რაც მათ ენაზე არის შაჰი არმენი. ის გახ-
და საღდუხის სიძე და ფიქრობდა ამით მოეტანა სიკეთე [თა-
ვისი] ქვეყნისათვის. ამ დროს ცხოვრობდა აგრეთვე ელტკუზ
ათაბაგი³⁹³. ღვთის კეთილი ნებით სამივე იყო ქრისტიანთა
მოყვარული და ქვეყნის აღმმენებელი. შაჰი არმენი წავიდა
სასუნში, ერთ სოფელში. ამ ქვეყნის მფლობელმა ვიგენმა
გაიგო ეს, ერთ ღამეს წავიდა და ალყა შემოარტყა სახლს,

* ღამით ფხიზლობაში > - 3

რომელშიც იყო [შაპი არმენი]. ვიღაცამ ხუმრობით თქვა: „ჰეი ვიგენ სად ხარ?“ [მან] უპასუხა საკვამურიდან: „აქ ვარ ლვთის წყალობით“. [მან] შეიპყრო და წაიყვანა [შაპი არმენი] თავის ციხე-სიმაგრეში, რამდენიმე დღის შემდეგ გაუშვა, დაადებინა რა ფიცი სიყვარულზე. ამ დღეებში მოვიდა [შაპი არმენის] წინააღმდეგ სპარსელი მხედართმთავარი ელტკუზი და გაბრუნდა შერცხვენილი. [შაპი არმენშა] წაართვა ამუკი ჰეტენიკს, სასუნი მთელი მონასტრებით ვიგენს და ეპყრა მშვიდობიანად 60 წელი.

ამ დროს შუამდინარეთში იყო საშინელი შიმშილი. ერთ მღვდელს, ტომით სომებს სახარება ჰქონდა და ხორბალი მიჰქონდა ვირებით წისქვილში დასაფქვავად. იხილა რა გაჭირვებულები, შეწუხდა, დაურიგა ყველაფერი, გაყიდა ვირები და ალარ დაბრუნებულა სახლში. ის დადიოდა ქალაქებსა და სოფლებში ქრისტიანული ქადაგებებით, რადგან ჰქონდა საუბრის ნიჭი. ღმერთმა მისცა მას სასწაულების [მოხდენის] უნარი. მისი საუბრის შედეგად ბევრი ინანიებდა და ხელს იღებდა ბოროტებაზე. [ის] ზრუნავდა ობლებზე და ქვრივებზე და მათ სიღარიბეს ავსებდა შეძლებულებთან შუამდგომლობით. ეს ამბავი გავრცელდა, ხალხი მოდიოდა და იკრიბებოდა მასთან, ასე მიაღწია მანნკერტს. მას შეეგება შაპი არმენი დიდი ზეიმით, სთხოვა ელოცა მისთვის და პატივით შეეყვანა ქალაქში. რადგან ის კიცხვადა უზნეო მღვდლებს, მათ დააბეზღეს შაპთან, თითქოს ის იყო ჰორომთა მეფის ჯაშუმი და ქვებით ჩააქოლინეს. მის თავზე ეჩვენათ ციური შუქი 3 დღისა და 3 ღამის [განმავლობაში]. ეს იხილა შაპმა, დამწუხრდა წმინდანის სიკვდილით და ბრძანა პატივი მიეკოთ მისი ნეშტისათვის.

590 (1141) წელს მოვიდა პერფერუუჟანი, აიღო კილიკია, წაიყვანა თოროსის ძმა ლევონი თავისი ოჯახით და ვაჟე-

ბით*, და ლვოსმშობლის ხატი კონსტანტინოპოლში. აქვე გარდაიცვალა ლეონი, კონსტანტინეს ძე. ორი წლის შემდეგ გარდაიცვალა ფერუზე და გვირგვინი მიიღო მისმა ვაჟმა კირ მანუილმა³⁹⁴. იმავე წელს გარდაიცვალა იერუსალიმის მეფე არივე [დაილუპა] ხაფანგით ნადირობისას: ბერძენთა მეფე ლორების გამო, იერუსალიმის მეფე კურდლების გამო.

594 (1145) წელს ამირა ზანგიმ აიღო ურპა, რომელიც 2 წლის შემდეგ წართვა მისმა მფლობელმა უოსლინმა³⁹⁵. 70 დღის შემდეგ [ის] მოკლეს თურქებმა და კვლავ დაეუფლნენ ქალაქს. დაილუპა მამაცი და სომხებისადმი კეთილგანწყობილი [კაცი]. მისმა მოძღვარმა ვარდაპეტმა გეორგიმ დაწერა ელეგია [მის სიკვდილზე].

სომხური წელთაღრიცხვით 600 (1151) წელს მოვიდნენ ლევონის ვაჟები თოროსი და სტეფანე და დიდი სიბრძნითა და მამაცობით დაეუფლნენ თავის სამფლობელოს კილიკიას, დაამარცხეს ბერძენთა მხედართმთავარი ანდრონიკოსი, რომელიც იდგა იქ 12 000-იანი [ლაშქრით]. ეს გაიგო მანუილმა და სასწრაფოდ ორჯერ დაიქირავა სულთანი მასუდი³⁹⁶ მათზე შურის საძიებლად. მეორედ მოსვლისას სულთანი ლვთის შიშმა მოიცვა და გაიქცა მთელი ლაშქრით, იქვე დატოვა მთელი თავისი ქონება. როცა მათ მხედართმთავარ იაღუბს სურდა წასულიყო 3000-იანი [ლაშქრით] ანავარზიდან ანტიოქიის მხარეში, მათ წინააღმდეგ გამოვიდა თოროსის ძმა სტეფანე და მთლიანად გაანადგურა. ეს სამწუხარო ცნობა რომ გაიგო [სულთანმა], ცახცახებდა და სუნთქვის ძალა აღარ ჰქონდა, ძლივს უშველა თავს [გაქცევით], მიაღწია თავის ბუნაგს, გარდაიცვალა და ხელისუფლება დაუტოვა თავის ვაჟს ხილიჭარსლანს³⁹⁷ 604 (1155) წელს.

* და ვაჟებით > – მ

ამ დროს 604 (1155) წელს ფრანგებმა აიღეს ქალაქი ასკალონი³⁹⁸. ამავე დროს მანუილი მოვიდა კილიკიაში და სიყვარულით დაიმორჩილა თოროსი, რომლის თანხლებით და ფრანგების მთელ ლაშქართან [ერთად] წავიდა ალეპოს ასაღებად, მაგრამ მოუვიდა ცნობა სამეფოდან და დაბრუნდა სახლში. გზაზე თურქებმა მოსრეს მათგან 12 000.

ქართველთა მეფე დემეტრე 32 წლის მეფობის შემდეგ გარდაიცვალა. გვირგვინი მიიღო მისმა ვაჟმა, ჭკვიანმა და კეთილმა დავითმა. მან ციხიდან გამოიყვანა მამის მიერ შეპყრობილი თირქაში, დააყენა მხედართმთავრად და ერთი თვის შემდეგ გარდაიცვალა. ზოგი ამბობს, რომ [ის მოკლულ იქნა] სუმბატ და ივანე ორბელიანების მზაკვრობის შედეგად, რადგან მათ ადგილას დააყენა თირქაში. ისინი შეთანხმებული იყვნენ დავითის ძმა გიორგისთან, რომ [ის] დანიშნავდა [მათ] მხედართმთავრად³⁹⁹. გიორგიმ⁴⁰⁰ მიიღო სამეფო გვირგვინი 605 (1156) წელს. ამ დღეებში შაჰაპივანში მოხდა გნელის მკვლელთა სხეულების გამოცხადება უხრწნელი ტანსაცმლით და სისხლში ამოსვრილების, როგორც დაიღუპნენ წმ. ნერსესის შეჩვენების შედეგად⁴⁰¹.

610 (1161) წელს ქართველთა მეფე გიორგიმ ანისი წაართვა ამირა ფადლონს, რომელმაც შეცვალა თავისი ძმა შადადი. 50 დღის შემდეგ მოვიდა შაპი არმენი ყაჩალთა დიდი გუნდით, დაესხა თავს ქალაქს, რომელსაც უკვე დიდი დარტყმა ჰქონდა მიყენებული სონებისაგან. ეს ესმა გიორგის, დაბრუნდა და ხმლით რამდენი მოსრა ვერავინ გაიგო, მაგრამ ტყვედ ჩაიგდო 41 000* კაცი. ანისში დატოვა მთავარი სადუნი, რომელიც ჩათვალეს მოღალატედ, [იმის გამო], რომ მან დაიწყო ქალაქის გალავნის გამაგრება. ეს გაიგო მეფემ და ჩამოართვა მას პატივი. ის გულაჩუყებული გაიქცა ელტკუზთან. შა-

* 2000 (3)

ქის ერისთავმა მოტყუებით შეისყრო [სადუნი] და მიჰგვარა მეფეს, რომელმაც მოაკვლევინა ის. მის ადგილას კი ანის-ში დააყენა ზაქარიანელი მთავარი სარგისი. გაბრაზებულმა ელტკუზმა ვერაფერი შესძლო, რადგან სადუნთან ერთად დაილუპა 4000 სპარსელი. ხოლო ქართველთა მეფემ თავისთან შეერიბა კავკასიელთა ჯარი, მოვიდა და აიღო დვინი, სირ-ცხვილი აჭამა მათ, ცეცხლსა და მახვილს [მისცა ყველაფერი], გარდა იქ მყოფი ქრისტიანებისა. მინარეთის წვერიდან ჩამოაღებინა თავის ქალები, შემოსა მოოქროვილი ქსოვილებით, ჩადო კუბოებში, შეუდგა მხრებზე მუღრიებს და ფეხ-შიშველებს ჩამოატანინა დედაქალაქ თბილისამდე⁴⁰² 612 (1163) წელს. ეს ესმა ელტკუზს, მოვიდა გადამწვარ და განადგურებულ დვინში დაკოდილი გულით, ღრენდა ვითარცა მძვინვარე მხეცი, მოვიდა მრენში⁴⁰³, გადაწვა ციხე, სადაც ამოიწვა ქრისტესთვის დაახლოებით 4000 კაცი. ის დაბრუნდა გავის მინდორზე და ბრძანა განთქმული ჯვრის დაწვა, რის გამოც ლვთის რისხვით ისჯებოდნენ დღე და ღამე შხამიანი გველებით. შემდეგ ქართველთა მეფისაგან დაშინებული [ელტკუზი] გაიქცა, დატოვა რა ავლა-დიდება და ტყვეები. მან ააგულიანა წოვის სულთანი ასლან მაჰმუდის ძე, მოიყვანა ანისში და 4 წლის განმავლობაში ეპყრა [ქალაქი] ტანჯვასა და მოუსვენრობაში, ვიდრე ქართველთა მეფე გიორგიმ შეინყალა ქალაქი, თავისთან მოიწვია სულთანი ასლან მაჰმუდის ძე და მისცა მას ანისი, რადგან პირადად არ შეეძლო შეენარჩუნებინა ის უსჯულოთა მრავალრიცხოვანი [შემოსევების] გამო.

ამ დროს სომხეთის [საპატრიარქო] ტახტმა მოიარა სხვა-დასხვა ადგილები – კარმირ ვანქი, შულრი და წოვქი, [ბოლოს] დამკვიდრდა ჰრომელად წოდებულ ციხე-სიმაგრეში⁴⁰⁴, რომლის [სახელი მოდის], ამბობენ, იქ მცხოვრები რომაელი ბერისაგან. მას [ციხე-სიმაგრე] წაართვეს ტაჭიკებმა, მათ კი სომეხმა მთავარმა ვასილმა, მისგან კი მიიღეს ფრანკებმა.

ნადირობისას მახე დაუგეს და გადასცეს ტაჭიკებს, რომელთაც წაიყვანეს ის ალეპოში, სადაც გარდაიცვალა. ჰერომკლაში მყოფმა მისმა ცოლმა გაგზავნა [მოციქული] წოვეში პატრიარქთან, გადასცა მას [ციხე-სიმაგრე]⁴⁰⁵ და უთხრა: „ზღვის გალმა ჩემს მშობლებთან არის ჩემი ვაჟი. წავალ და თუ ცოცხალია გამოვგზავნი შენთან და მიეცი მას [ციხე], როგორც ტრადიციების ჭეშმარიტმა დამცველმა, და თუ [ცოცხალი] არ არის, უკეთესია შენ [გქონდეს], ვიდრე უცხოებს“. ის წავიდა და გამოვგზავნა ვაჟი, რომელსაც მისცეს ფული და უკან დააბრუნეს. ამასთან თვითონაც ვერ გაბედა მარტო ეცხოვრა უცხოტომელებს შორის, რადგან თურქები ფლობდნენ მთელ გარშემო მდებარე მხარეებს. [ჰერომკლა] დაისაკუთრა სომხეთის [საპატრიარქო] ტახტმა, მას შემდეგ, რაც მთავარ უოსლინის ღვთისმოსავმა მეუღლემ, სულიერებით აღძრულმა, მისცა ის ორ ღვიძლ ძმას – უფალ გრიგორს და ნერსესს. 617 (1168) წელს გარდაიცვალა უფალი გრიგორი. ტახტი დაიკავა უფალმა ნერსესმა⁴⁰⁶. მას [თხოვნით მიმართა] მანუილმა [წერილობით] მიეწოდებინა სარწმუნოების აღსარება. [წერსესმა] მისწერა მას ძლიერი და ყველასათვის დამაჯერებელი აღსარება, რომელიც [დღემდე] არსებობს. სურდათ ხალხების ერთსულოვნება, მაგრამ ეს საქმე განუხორციელებელი დარჩა, როგორც ჩანს ვრცელი ჟამთააღმნერლობებიდან. ამავე წელს მოხდა ძლიერი მიწისძვრა და დაინგრა ერზინკა ეკელეაცის გავარში*. ამავე დროს უცხოტომელებმა აიღეს კაპანის⁴⁰⁷ დანარჩენი ციხეები: გერპამი, გელი, კაქავაბერდი ჩვენი მომეტებული ცოდვების გამო. ამ დროს ქრისტიანთა ნუგეში, მშვენიერი ნაყოფი, მონიფული და ტკბილი ყრმა იოსები ქრისტეს ღვთიურობის დასამტკიცებლად მოწამეობრივი სიკვდილით აღესრულა აპეკის თვის 20-ში და დასაფლავე-

* ეკელეაცის გავარში > - 3

ვარდან არეველი

ბულია ჰავუთარში⁴⁰⁸. ის იყო სპარსთა ტომიდან, დვინის მხარის სოფელ ნორაშენიდან. ამ დღეებში გეორგ აჩიკამ რომში მოგზაურობისას მკვდრეთით აღადგინა თავისი ეპისკოპოსი გრიგორი, რომელიც მოკლეს ყაჩალებმა უნგარის გავარში. ის ადანაშაულებდა [გეორგს]: „რატომ დამაბრუნე აუწერელი სიკეთიდან, რომელშიც ვიყავი, კვლავ ამ უბედურ ყოფაში?“.

ჰორომაირში სახელგანთქმულმა წმ. ჯვარმა მოახდინა სასახული: მოიყვანეს ერთი დაბადებიდან ბრმა ბავშვი, დაადეს თვალების ადგილას ღვთის წამების [იარაღი], მყის გასცდა თვალების ადგილი, გადმოედინა ბევრი სისხლი და აეხილა თვალები ღვთის სადიდებლად. ამ ამბის დროს [იქ] იყო პეტრე უწნიდან, მონასტრის წინამძღვარი.

621 (1172) წელს გარდაიცვალა პატრიარქი ნერსესი შვიდწლიანი მმართველობის შემდეგ. მის ღირსებას ეთაყვანებოდნენ – 7 ცნობილი და კეთილი ეპისკოპოსი, ვარდაპეტები და ფილოსოფოსები. მისი დახმარებით [პატრიარქი] გახდა მისი ძმისშვილი გრიგორი, მეორე ძმისშვილი გრიგორისი, აპირატად⁴⁰⁹ წინდებული, წავიდა ლამბრონში და განაგებდა ტარსონის ეპარქიას.

623 (1174) წელს გიორგიმ მეორედ აიღო ანისი ამირსპასალარ ივანეს წაქეზებით, რათა თვითონ დამჯდარიყო იქ და ტყვეობიდან გაეთავისუფლებინა ქრისტიანები. მეფემ თავისთან წაიყვანა ამირა შაჰან-შაჰი, რომელიც უკან აღარ დაბრუნებულა. ეს ყველაფერი ესმათ თურქებს, გაერთიანდნენ, მოიწვიეს სულთანი ალფ-არსლანი, მოვიდნენ ანისში და ააოხრეს შირაკის სახლი. ივანეს უნდოდა მიეცა ქალაქი თურქებისათვის, მაგრამ არ გამოუვიდა ეს საქმე, რადგანაც ქალაქმა გაიგო და გაფრთხილდა. სულთანი და მისი ათაბაგი⁴¹⁰ წავიდნენ სირცხვილით და გარდაიცვალა ორივე ერთი და იმავე წელს. იმ დროს კარის ციხიდან გამოვიდა დიდი მთავარი აპირატი და მოვიდა ანისში. ის იყო ქალაქის ეპისკო-

პოსის, მეუფე ბარსელის ძმა, რომლის თხოვნით ქართველთა მეფემ გამოისყიდა [ქალაქი] ამირასაგან 17000 დრაჟკანად. იმ დროს გამოავლინა ივანემ თავისი ბოროტება. მან გადმოიბირა მეფის ძმისშვილი დემნა და ბევრი აზნაური, გადაწყვიტა მოეკლა მეფე, ვიდრე ის უდარდელად იმყოფებოდა სახატეში. [მეფემ] გაიგო რა ეს ერთი კაცისაგან, გაიქცა თბილისში, რადგან მცირერიცხოვანი ხალხით იყო. იქ ღმერთის ჩაგონებით* მასთან შეგროვდა ბევრი, უარყვეს რა [თავიანთი] ბოროტი ზრახვები. როცა გაძლიერდა მეფის მხარე, მოისურვა წასვლა აჯანყებულებზე. ისინი სახატედან გაიქცნენ თავიანთ ციხე-სიმაგრეებში. შემდეგ შევიდნენ ლორეში, ლიპარიტის გარდა, რომელიც თავის ორ ვაჟთან ერთად წავიდა სპარსეთში. მეფემ ხელში ჩაიგდო ორბელიანების მთელი ავლა-დიდება. მეფესთან გამოცხადდნენ და ფეხებში ჩაუგარდნენ მისი ძმისშვილი და მასთან ერთად ყველა სხვანი, თვითონ ივანეც კი, რომელიც დააბრმავებინა. მისი უმცროსი ვაჟი ქავთარი და ლიპარიტის ძე ინე მოაკვლევინა. მოისპო ყველაფერი ბოროტი⁴¹¹.

626 (1177)** წელს სულთანი ალფ-არსლანი შეცვალა ტულ-რილმა, ელტკუზი – ფალჰავანმა, რომელიც დაეუფლა შიდა სომხეთს, ხიზილ-ასლანი კი ზემო სომხეთს. ესენი [ტულრილის] ვაჟები იყვნენ. ამ დღეებში ქურდებმა აიღეს წარაქარი⁴¹² კეჩირორის ამირა ხარაჩას ბრძანებით, რომელმაც მიყიდა ის ხიზილ-ასლანს დიდაღლი ოქროს [ფასად]. მან დაასახლა აქ მავნე ადამიანები, რომლებიც არ წყვეტდნენ სისხლისღვრას დღე და ღამე, ქრისტიანებს ყრიდნენ ბნელ ორმოებში, ხოცავდნენ შიმშილით და ცხედრების მყრალი [ჰაერით]. 7 სახე-

* ღმერთის ჩაგონებით > - 3

** 626 წ. მოსკოვის გამოცემაში ეკუთვნის ალფ-არსლანის გარდაცვალებას, ვენეციის გამოცემაში კი ორბელიანთა აჯანყებას.

ლოვანი ბერი მოკლულ იქნა დაცინვით [მიყენებული] ჯვრისე-ბური მძიმე ჭრილობების [შედეგად]. მათ ხსოვნას ზეიმობენ ჩვენი განმანათლებლის გრიგორის დღესასწაულზე*.

627 (1178) წელს იერუსალიმის მეფემ 300 მხედრით იერუ-სალიმის კარებთან წმ. ჯვრის ძალით სძლია სალაპალინს⁴¹³. ის მოვიდა იერუსალიმის ასაღებად 140 000-იანი [ლაშქრით] და წყლით დატვირთული 60 000 აქლემით, რომელთაც გამუდ-მებით მოჰქონდათ [წყალი] მდინარეებიდან და წყალსაცავე-ბიდან. [ის იყო] წამებული დვინელის ერუბის ვაჟი. პირველად მისი სახელი იყო უსუფი, როცა განდიდა იწოდა სალაპალი-ნად, რაც ნიშნავს რწმენის სიმშვიდეს.

629 (1180) წელს გიორგიმ პირისაგან მიწისა აღგავა ქურდი და ყაჩალი, მთელ ჯარს დაუწესა კანონმდებლობა, [რომლი-თაც] დიდი და მცირე დანაშაულისათვის შეუწყნარებლად [უნდა] ჩამოეხრჩოთ ხეებზე ყველა. ჩამოახრჩვეს მრავალი წარჩინებული. სამსჯავროს [ხის] ბოძზე [დამნაშავეებთან ერ-თად] აკრავდნენ მათთან წაპოვნ საგნებს, თვით პირუტყვებს, ძალლებს და თაგვებს. შიში დაეუფლა ყველას. დაისადგურა დიდმა სიმშვიდემ⁴¹⁴.

ამ დროს გარდაიცვალა მანუილი და მისმა ცოლმა, ან-ტიოქიის უფლისწულის ქალიშვილმა მოინდომა ფრანკი ქმრად გაეხადა და მოეკლა თავისი ვაჟი ალექსი, რომელსაც ეპყრა გვირგვინი. ყმაწვილი გაიქცა ეკლესიაში. ეს გაიგო ან-დრონიკემ, მანუილის წათესავმა, მოვიდა, მოკლა სევასტოსი, რომელსაც სურდა [ცოლად] შეერთო დედოფალი და [დახო-ცა] ქალაქში მყოფი ფრანკები. ხოლო ხომალდებს, რომლი-თაც [ფრანკებმა] განიზრახეს გაქცევა, ესროდნენ ნავთს, დაიწვა 30 000 კაცი. [ანდრონიკემ] მოკლა ყმაწვილი [ალექ-სი] და დაეუფლა გვირგვინს. მან იხმო სამეფო წარმოშობის

* მათ ... დღესასწაულზე > - 3

კაცი ფისიკი, რათა ისიც მოეკლა. ის გაძლიერებული მოწოდებებით და ხმამაღალი შეძახილებით წავიდა წმ. სოფიაზე. ქალაქი ამოძრავდა და დაიღუპა ანდრონიკე ავტედითი სიკვდილით. მისი ორი მცირენლოვანი, უდანაშაულო ვაჟი ზღვაში ჩაყარეს⁴¹⁵.

631 (1182) წელს ხარაჩას, რომელმაც აიღო წარაქარი და უროთი დაამსხვრია გოროზად წოდებული ჯვარი, ვაებითა და შიშით აევსო გული, უეცრად დატოვა თავისი სახლი კეჩირორი, უხტიქი, ერასხის ხეობა და ცოლითა და ვაჟებით წავიდა დვინში. მან ნახა ერთი საზარელი კაცი, რომელმაც უთხრა: „მე ვარ ჯვარი გოროზო, რომელიც დაამსხვრიე. შენ მოგველავ შენი ძვირფასი შაპი არმენის ხელით“. [ხარაჩა] მოჰყვა ხილვას. ის დილით ადრე წავიდა, ძალით დააღწია თავი, თუმცა უშლიდნენ [წასვლას] საშიში ხილვის გამო და ჩაუკეტეს კარები. ის ციხის კედლით ჩამოძურა, ორი მეჯინიბის [თანხლებით] ჩავიდა მანნკერტში და წარსდგა შაპის წინაშე. [შაპი] მაშინვე აღელდა, ჩაარჭო ხანჯალი გულში და მოკლა ის. ამავე წელს ხაჩენელი სარგისი იყო განძაქში და კრეფდა გადასახადებს. ვიღაც სპარსელმა დიდ ხუთშაბათს ციხის კედელზე ააკრა ის და უთხრა: „ჯვარს ეცვი შენ ქრისტესთან ერთად“. ეს გაიგეს მისმა მთავრებმა, წაიყვანეს თავისთან სპარსელი და ულმობლად მოკლეს. ამ დღეებში ვინმე იორდანმა ტაჭიკთა ტომიდან აჩვენა დიდი სასწაული კარნუ ქალაქში. მისი ნეშტი დაასვენეს მის წათესავებთან – იოსებთან და საპაკთან.

633 (1184) წელს გარდაიცვალა ქართველთა მეფე გიორგი უძეოდ. დავითის ძე დემნა დაბრმავებული და განადგურებული იყო. გვირგვინი მიიღო მისმა ასულმა თამარმა⁴¹⁶. მას მოუყვანეს ქმრად რუსების მეფის ვაჟი სოსლანი⁴¹⁷, რომელმაც აიღო ქალაქი დვინი. მეორე წელს გარდაიცვალა შაპი არმენი უშვილოდ. აოხრებით, ხმლითა და წარტყმევნით [მოვიდნენ] მის ქვეყანაში მეზობელი ხალხები. რადგან ვიგენის

შვილიშვილი შაპან-შაპი, კათალიკოს გრიგორის დისშვილი, ესწრებოდა შაპის სიკვდილს, წავიდა სასუნში, სადაც ხელში ჩაუვარდა ბეკთამური, შაპის სახლის უფროსი. მისგან მიიღო ციხე-სიმაგრე ტარძანი⁴¹⁸ და პირობით გაუშვა. მაგრამ გა-დაუხვია პირობას, როცა დაეუფლა შაპის ტახტს. [მან] დაიბ-რუნა მთელი სასუნი და ხარკი დაადო ეკლესიებსა და მო-ნასტრებს.

634 (1185) წელს უფლისწულმა დაიჭირა რუბენი. ის გაა-თავისუფლა მისმა ძმამ ლევონმა, სტეფანეს ვაჟმა – რუბენის ძის კონსტანტინეს ვაჟის ლევონის ძემ, რომელიც დაეუფლა 72 ციხე-სიმაგრეს, გაპატონდა ბერძნებსა და სპარსელებზე და მოხარკედ გაიხადა მესოპოტამიის სულთანი ხილიჭ არს-ლანი.

635 (1186) წელს ანისელებმა აიღეს წარაქარი, უფალ ბარსელის სამფლობელო, უმოწყალოდ გაულიტეს ყველა იქ [მყოფი], გარდა ქალებისა და ბავშვებისა. ეს ესმა დვინის ამირა ალიშერს, იგლეჯდა წვერს, გამოაცხადა გლოვა იქ [მყოფი] ცოლისა და ვაჟების და განადგურებული ლამქრის გამო. ქრისტიანები კი ადიდებდნენ წმ. სამებას. ბერძნებზე გამეფდა ფისიკი, იგივე საპაკი⁴¹⁹, რომელმაც დაიწყო სომხუ-რი აღმსარებლობის ხალხების სასტიკი დევნა თავის სექტა-ში მოსაქცევად. ამის გამო წერილობითი თხოვნით მიმარ-თა მას პატრიარქმა გრიგორმა⁴²⁰, სომეხთა კათალიკოსების უფალ ნერსესისა და გრიგორის ძმისშვილმა, შერიგებიდა ღვთის ხალხს. მაგრამ მან არ შეისმინა, არამედ ზოგი მოაქ-ცია თავის რჯულზე, ზოგს კი სდევნიდა. მათ [შორის] იყო 3 საეპისკოპოსო კათედრა და 1600 მღვდელი, რომლებიც აიძულა შეერთებოდნენ მას. მათგან მცირერიცხოვანმა შეი-ნარჩუნა [თავისი] სარწმუნოება. ამ გასაჭირის გამო წერდა უფალი გრიგორი აღმოსავლეთში დარდიანი გულით, მაგრამ უშედეგოდ. [მაშინ] პატრიარქმა გაგზავნა ერთი ეპისკოპოსი

სახელად გრიგორი რომის პაპთან⁴²¹ იმ საშიშროების გამო, რომელსაც განიცდიდნენ სომხები ბერძენთაგან და შესთხოვდა ლოცვა-კურთხევას, ისევე როგორც [მის] წინამორბედებს. პაპმა პატივით მიიღო ის, ჩაატარებინა წირვა, აზიარა და შემოსა ის სასულიერო ხელისუფლის ტანსაცმლით. [პაპმა] შეკრიბა თავისთან ყველა საპატიო პირი – ალამანთა კეისარი, ინგლისელთა მეფე, ფრანგების მეფე, აგრეთვე ალამანთა პატრიარქი, რომელსაც ჰყავდა 25000 მხედარი, ესპანელი არქიეპისკოპოსი, რომელსაც ჰყავდა 20000 მხედარი, არქიეპისკოპოსი წმ. იაკობი, რომელიც ფლობდა 5000 მხედარს, დიდი ქალაქის მილანის არქიეპისკოპოსი, რომელიც ფლობდა 36000 მხედარს*, ხოლო [მეორე] მხრიდან [მოიწვია] იერუსალიმის პატრიარქი. მათთან მოლაპარაკების შემდეგ [პაპმა] დაწერა სიგელი წმ. მოციქულების სახელით და მათი ბრძანებით, რომ „სომეხთა პატრიარქი, რომელიც ზღვის იქითა მხარესაა, აღიჯურვება ძალაუფლებით სომხებზე, ბერძენებსა და მთელ ქრისტიან ხალხებზე, როგორც ჩვენ [ზღვის] აქეთა მხარეს [ვფლობთ] ზეციურ და მიწიერ გასაღებს. რადგან დიდი გზაა ჩემსა და ჩემს ძმას, სომეხთა პატრიარქს შორის, ვუგზავნი გვირგვინს, ოლარს და ფეხსაცმელს, რომ ჩაიცვას და ჩაატაროს წირვა ამ ბეჭდით“. [პაპმა] უთხრა ეპისკოპოს გრიგორს: „წაიღე, გაუკეთე პატრიარქს და ამის შემდეგ მას აქვს პატივი და ძალაუფლება უკუნითი უკუნისამდე“.

636 (1187) წელს სალაპადინის ვაჭრები მიდიოდნენ, პალესტინის გავლით, 400 აქლემზე დატვირთული ძვირფასი საქონლით. ტრაპოლის გრაფმა⁴²² შეატყობინა იერუსალიმის მეფეს და მიიღო ბრძანება ხელში ჩაეგდო ნადავლი. ეს რომ გაიგო სალაპადინმა, გაუგზავნა [მოციქული] და არაერთხელ სთხოვა მსახურები მაინც [გამოეშვათ], შეახსენა მათ შორის

* დიდი ... მხედარს > - გ

ვარდან არეველი

დადებული პირობა, მაგრამ უშედეგოდ. ამის გამო განრისხებული [სალაპადინი] წავიდა მის წინააღმდეგ. მის წინაშე გამოვიდა იერუსალიმის მეფე⁴²³ 36 000-იანი [ლაშქრით] ჰერმონის ველზე და ტრაპოლის გრაფის მზაკვრული [რჩევით] დაბანაკდა ერთ უწყლო მაღლობზე. მას [გზა] გადაუკეტეს თურქებმა და სასტიკად დაამარცხეს. აღებული იქნა მთელი ზღვისპირა ქალაქები და შემდეგ იერუსალიმი. [სალაპადინმა] ბრძანა [იერუსალიმის] მოსახლეობა არ დაეხოცათ, არამედ გაეყიდათ. დაწესდა ფასი: კაცებზე 10, ქალებზე 5 დრაპენი. ყველას შეეძლო აელო თავისი ქონება და წასულიყო სადაც სურდა, რაც ასევე გააკეთეს. უწესო გრაფი, რომელიც ფარულად შეთანხმებული იყო სალაპადინთან, დაიღუპა ღვთისაგან დაამარცხებული. სალაპადინი თავს დაესხა მის ციხე-სიმაგრეს და მოითხოვა მისი ცოლი და ციხე. ის კი ითხოვდა მძევლებს დიდებულთაგან და მაშინ გამოვიდოდა და გახდებოდა მისი ცოლი. [მძევლები] შევიდნენ შიგ, [გრაფის ცოლმა] ბრძანა თავები მოეკვეთათ მათთვის და გადმოეყარათ [ციხიდან]. შეძრნუნებული [სალაპადინი] უკან გაბრუნდა, რადგან ესმა ალამანთა დიდი მეფის⁴²⁴ მოსვლის ამბავი, რომელსაც გაეგო სამწუხარო ცნობა წმ. საფლავისა და მთელი ქრისტიანების შესახებ. 150 000 [მოლაშქრე] გამოგზავნა ზღვით, რომლებიც მოვიდნენ და ალყა შემოარტყეს აქას. თვითონ წავიდა ხმელეთით ურიცხვი ლაშქრით საბერძნეთის გავლით, წაართვა მათ ქალაქები ვერო, ფილიპოპოლი, ადრიანოპოლი და სხვა ბევრი ციხე და სოფელი. ამაზე ადრე გაგზავნა თავისი ვაჟი კონსტანტინოპოლზე. მას წარუდგნენ იქ ჩვენიანები, რომელთაც დევნიდა კირსაპაკი და შურისძიებით აღძრულებმა გაანადგურეს ის. კონსტანტინოპოლის მცხოვრებნი სთხოვდნენ დანდობას და მისცეს 100 ოქროს და 200 ვერცხლის კენდინარი, უსასყიდლოდ გაატარეს მთელი ლაშქარი და მისცეს უამრავი განძი, წართმეული ვლახებისა და ბულგარებისაგან,

რომლებმაც გაიარეს მათი ქვეყანა. ხილიჭ არსლანის ვაჟებმა არ შეისმინეს თავიანთი მამის და თურქთა ძალით ეპრძოდნენ [ქრისტიანებს] 33 დღე და არ ეშვებოდნენ, ვიდრე არ მოისრნენ მათგან. [ქრისტიანები] მშივრები იყვნენ 17 დღის განმავლობაში, ვიდრე [მიალწიეს] იკონიას, გამოკვებეს 60 000 ცხენი, გაჩეხეს იკონია და დასხდნენ იქ. მათ სამჯერ გაგზავნეს მოციქული ლევონთან და როცა გადაეწურათ მისი [იმედი], გამოვიდნენ იკონიდან. მოვიდა პატრიარქ გრიგორის წერილი, რომ „ჩვენ ვართ ქალაქ სისიში და მოდით აქ“. მეფემ შეერიბა მთელი თავისი წარჩინებულები, წააკითხა და ისინი ატირდნენ სიხარულისაგან. მისწერეს პასუხი [პატრიარქს], რომ „ამიერიდან 27 წელი შენი ბრძანებით მივცემ ასპარეზს სომხებს და შემდეგ დავპრუნდები ჩემს ქვეყანაში. გიგზავნი გვირგვინს და ტანსაცმელს, აკურთხე სომხეთის მეფედ, ვისაც აირჩევ“. მან თქვა ყველას გასაგონად: „ვიდრე არ ვიხილავ ჩემს სასახლეს, წმ. პეტრეს [ტაძარს] და პატრიარქ გრიგორს, არავის ვეტყვი რაც გულში მაქვს“⁴²⁵. მოვიდნენ სელევკიაში, მონახეს ფონი და მთელი ლაშქარი გადავიდა მდინარეზე. მეფე არ გადავიდა ფონზე და თქვა რომ ცოტას დაიძინებდა მდინარის აქეთა მხარეს. როცა დამშვიდდნენ მისი წარჩინებულები, [მეფე] ორი კაცით შევიდა მდინარეში. ერთი მათგანი მოიტაცა და წაიღო მდინარემ. მეფე დაეხმარა მას, ვერ შეიკავა [თავი] და თვითონ მოდრეკილი ქრისტიანი დაიხრჩო მდინარეში⁴²⁶. მისი სხეული წაიღეს სისიში. მისი ლაშქრის უმრავლესობა ხომალდებით [გაემგზავრა] თავის ქვეყანაში. მეფის უმცროსი შვილი ჩავიდა აქაში და გარდაიცვალა.

ამ დროს მოვიდნენ ინგლისელთა მეფე და მასთან ერთად მეორე⁴²⁷ და აიღეს კვიპროსი. მათ გაიგეს, რომ უმეთაუროდ დარჩა ლაშქარი, რომელსაც ალყაში ჰქონდა აქა, ზურგიდან მოუარეს, აიღეს ქალაქი, დახოცეს სალაპადინის ლაშქრიდან 10 000 რჩეული მოლაშქრე, ხოლო თვითონ მეთაური, რომელიც

მოვიდა მათთან სათხოვნელად, წინ გაიგდეს და ამარცხებდნენ ასხალონამდე. ბევრი ამირა ხელში ჩაიგდეს და წაიყვანეს ზღვის იქით. ხელმეორედ წაართვეს თურქებს ყველაფერი გარდა იერუსალიმისა. როგორც ამბობდნენ, ჯერ არ დამდგარიყო მათი მოსვლის დღე. ამ დროს სალაპადინის ერთ-ერთი სარდალი თავს დაესხა მანნკერტს, ალყა შემოარტყა, მაგრამ ვერაფერს გახდა, რადგან არაჩვეულებრივი თოვლი წამოვიდა შუა ზაფხულში. [ისინი] გაბრუნდნენ და დაიხოცნენ გზაში. ბეკამურმა მადლობა გადაუხადა ქრისტიანებს და ამიერიდან ქრისტიანთა პატივისმცემელი და მოსიყვარულე გახდა.

ამ დროს პატივცემულმა მღვდელმა მხითარმა⁴²⁸ თარგმნა ერთი სპარსელის ოჭიეს [თხზულება] „მზისა და მთვარის დაბნელების მიზეზები“. [ოჭიე] ამბობდა, რომ თარგმნა სპარსულად ბერძნულიდან და ბერძნებმა კი [შეადგინეს] ენოქის წინასწარმეტყველებით. მასში ნათქვამია, რომ მზე თავისი ბუნებიდან [გამომდინარე] არასდროს ბნელდება. ამის მიზეზია მთვარე, [იმ დროს] როცა მზე და მთვარე ერთ ზოდიაქოს ნიშანში არიან მთვარის დაბადების დროს და იქ სქელი ღრუბლებია, რომელთაც ეწოდებათ რასტი ან ზანაპი. თუ ისინი ახლოს არ არიან, არ ხდება დაბნელება, თუნდაც იყოს მთვარის დაბადების დრო და [მზე და მთვარე] ერთ ზოდიაქოს ნიშანში ხვდებოდნენ. როცა [ღრუბლები ახლოს] არიან, ხდება მზის დაბნელება. თუ [მზე და მთვარე] მთლიანად ხვდებიან ერთმანეთს, [ხდება] სრული დაბნელება და თუ ნაწილობრივ, ირიბად [ხვდებიან], მაშინ ნაწილი ბნელდება. რასაც ჩვენ ვხედავთ მთვარის ნაჭუჭია და არა მზის ძარღვი, როგორც მოხდა 625 (1176) წელს დიდი დაბნელებისას. ხოლო მთვარის დაბნელება ხდება მაშინ, როცა ის ჩამორჩება მზეს ექვსი ზოდიაქოს ნიშნით და ზანაპი და რასტი ერთი და იმავე ზოდიაქოში უშლიან მას მზიდან სინათლის მიღებას, ამასთან

დედამიწის ჩრდილი [ეცემა] მთვარეზე და ინვეცს მის დაბნელებას. თუ [მზე და მთვარე] არიან ერთმანეთის პირდაპირ, ხდება [მთვარის] სრული დაბნელება. ხოლო თუ ირიბად არიან, მაშინ მთვარის გადარჩენილი ნაწილი ნათდება მზით. [მხითარმა] ამ თხზულებას დაურთო ნახაზები.

ამ დროს ცხოვრობდნენ სახელოვანი მთავრები ზაქარია და ივანე, სარგისის ძე ზაქარიას ვაჟის ვაპრამის ძე სარგისის ვაჟები – ქურთთა ტომიდან⁴²⁹. [ისინი] ჩავიდნენ ძოროვეტის მეფესთან, რომელიც ბაგრატუნთა ტომიდანაა, მიიღეს ქრისტიანობა და პატივი. მათ საცხოვრებლად მისცეს ხოშორნი და რადგან უმამაცესნი იყვნენ, დღითი-დღე აღნევდნენ სიმაღლესა და პატივს. ისინი განსაკუთრებით დაწინაურდნენ თამარის დროს და [მან] უბოძა ლორე. მათ თავიანთი მამაცობით მოკლე დროში წართვეს თურქებს ბევრი ციხე-სიმაგრე და გავარი: 640 (1191) წელს აიღეს შირაკის ქვეყანა*, 645 (1196) წელს ანბერდი, 648 (1199) წელს ანისი, 650 (1201) წელს ბიჯნისი, 652 (1203) წელს დვინი, 655 (1206) წელს ყარსის სამეფო, შემდეგ გეტაბაქსი და ჩარექი⁴³⁰. მათ სახელი გაითქვეს მთელ ქვეყანაზე. მაგრამ ივანემ, შეცდენილმა თამარ დედოფლის მიერ, შეიცვალა სარწმუნოება და ამას მოჰყვა წარუმატებლობა. იგი ტყვედ ჩავარდა ხლათში და გათავისუფლდა თავისი მამაცი ძმის სახელით, რომელმაც თავისი ასული ცოლად მიათხოვა ხლათის მფლობელს მელიქ აშრაფს⁴³¹. ხოლო ზაქარია, უფროსი ძმა** დარჩა ძველ*** და საკუთარ სარწმუნოებაზე, მაგრამ მოისურვა ღვთისმშობლის და ჯვრის დღესასწაულები აღნიშნულიყო

* 640... ქვეყანა > - მ

** ივანეს ძმა (ვ)

*** ძველ > - ვ

ხატის დღეს, სანთლის ანთეპა არ მოეშალათ, მორწმუნეთ არ ეჭამათ ხორცი, წირვა აღსრულებულიყო ცოცხლებისათვის, წირვა შესრულებულიყო ღია კარავში მეფსალმუნეებითა და დიაკვნებით⁴³². ამ მიზნით მან მიმართა ლევონს, რომელიც იმხანად იყო მეფედ კურთხეული ფრანკებისა და ბერძნებისაგან. მან გამოუგზავნა [ზაქარიას] გვირგვინი 646 (1197) წელს. [ზაქარია] იყო დიდებული, ძლევამოსილი და ხარკის მდებელი მთელ მეზობელ ტომებზე. [მეფემ] დააგვიანა პასუხი, რადგანაც მეუფე გრიგორის სიკედილის შემდეგ გვირგვინი მიიღო გრიგორისმა, ტლად წოდებულმა, რომელიც ერთი წლის შემდეგ ლევონმა ციხეში ჩასვა. მან მოისურვა ციხიდან გაქცევა, გაიგუდა თოკით დაშვებისას და მოკვდა თოკის გაწყვეტის გამო. ტახტი დაიკავა აპირატმა 5 წლით. შემდეგ იყო მეუფე იოანე, რომელიც ენინაალმდეგებოდა ლევონს. ამით გაპრაზებულმა მეუფე ლევონმა კათალიკოსად არქაკალნში დააყენა მეუფე დავითით⁴³³. ამ უთანხმოების გამო ძლივს მოხერხდა ყველასთან შეთანხმება ზაქარეს შეკითხვის შესახებ და ბოლოს გაუგზავნეს ერთსულოვანი პასუხი, რომ „ის არ ენინაალმდეგება საღვთო წერილს და ჩვენ გვაქვს საკუთარი დადგენილება, რომლის [შესრულებას] ხელს უშლის ეკლესის დაკრინება“. აღმოსავლეთში – ლორეში და ანისში ერთდროულად მოიწვიეს ორი კრება, მაგრამ არ მიიღეს [ზაქარიას წინადადება]. ამბობდნენ, „ამის შემდეგ ნამდვილად იძულებული ვიქენებით მივყვეთ ბერძნთა და ქართველთა სარწმუნოებას“-ო⁴³⁴.

თამარის მეფობის დროს გაძლიერდნენ ქრისტიანები. მიუხედავად ამისა, [თამარმა] მიატოვა რუსი ქმარი და გაჰყვა ოს სოსლანს*, რომელმაც აავსო საქართველო თურქთაგან [წარ-

* ასლანი (მ)

თმეული] ტყვეებით და ალაფით. მისგან ეყოლა ერთადერთი ვაჟი და დაარქვა მას ლაშა. [თამარს] ეპყრა გვირგვინი 23 წელიწადი და აღესრულა⁴³⁵. ტახტზე ავიდა ლაშა, რომელსაც ჯარმა გიორგი უწოდა⁴³⁶.

659 (1210) წელს კალიამ ააოხრა მრავალი გავარი. ამ დროს დიდმა ზაქარიამ ააოხრა სპარსეთი ქალაქ არტავილამდე⁴³⁷, შური იძია რა ქრისტიანთა სისხლისათვის. ამის გამო ბრძანა დაეწვათ ხალხით სავსე მათი სამლოცველო, მსხვერპლად შესწირა რა მთავრებს, რომლებიც ნახიჭვანის ეკლესიებში [დაიღუპნენ]. კურაიები და მუღრიები იმ წმ. მღვდლებს [შესწირა], რომლებსაც ყელები დაჭრეს ბაგუანში და მათი სისხლით შეიღება ეკლესის კედლები. [ზაქარია] დაბრუნდა ამ ხოცვა-ულეტიდან, ალსრულდა მართლმადიდებლური რწმენით და დასაფლავებულია წმ. სანაინის მონასტერში 661 (1212) წელს⁴³⁸. მას დარჩა ერთი 5 წლის ვაჟი შაპან-შაჰი, რომელიც ფლობდა ანისის მმართველობის პატივს⁴³⁹ და რომელიც მოაქცია ქალკედონის რწმენაზე ივანეს მეუღლე ხოშაქმა.

ერთი წლის შემდეგ გარდაიცვალა წმინდა და საოცარი ღვთის კაცი, ვარდაპეტი მხითარი, მეტსახელად გოში, განძაკელი⁴⁴⁰. ის დაკრძალეს მის ხელთქმნილ გეტიკში, რომელიც აშენდა დიდი მთავრის, ქურთის დისტვილის ივანეს ბრძანებით. მისი ბრძანებით [მხითარი] ჩამოვიდა კაიენში, ე. წ. ძველ გეტიკში. იმ დროს კაიენს მემკვიდრეობით ფლობდა [ივანე ამ] ციხის აღმშენებლის ჰასან კაიენელისაგან.

663 (1214) წელს ჰაითერქი მისმა მფლობელებმა მისცეს ივანეს და მის სიძეს, შიდა ხაჩენის მფლობელს ვახტანგ საკრიანელს, რადგან მისი ნამდვილი მფლობელი ვახტანგი და მისი ვაჟები უდროოდ დაიხოცნენ. [ვახტანგ საკრიანელმა]

დატოვა ორი ვაჟი: პასანი, მოფერებით ჯალალ-დავლე^{*} და ზაქარია, იგივე ნასრა-დავლე^{**}, რომელთაც მათ დედასთან ხორიშაპთან ერთად მფარველობდა ივანე. შემდგომში [ხორიშაპი] წავიდა იერუსალიმში და დიდ განდევილობაში გარდაიცვალა ხოტბაშესხმული ლვთისაგან. დიდმა ივანემ სახელი გაითქვა მამაცობით, აიღო ჩარექი და მთელი მისი შემოგარენი. შემდეგ თავისი ნათესავის ზაქარიას ძის ვაპრამის ხელშეწყობით დაეუფლა შამქორს.

668 (1219) წელს [ივანემ] აიღო ოროტენი და მასთან ახლომდებარე ციხე, თუმცა არა მთელი [ქვეყანა], რადგან როცა მას ფლობდნენ სომხები, იქ იყო 23*** მნიშვნელოვანი ციხე, 1400 სოფელი, 28**** მონასტერი, რომლებიც პირველად განადგურდა 552 (1103) წელს ერთი ახალგაზრდა სუფრა-ჯი სულთნის მელიქ-შაპის მიზეზით. სომები გვირგვინოსანი წავიდა სულთანთან მორჩილების [გამოსახატავად]. [სულთანი] სთავაზობდა [მეფეს] მაგარ ღვინოს, ვიდრე შეიპირა ცოლად მიეთხოვებინა ქალიშვილი. მან გაიკვანდა ქამარი მათი ადათის მიხედვით და აჩვენა სულთანს. რამდენიმე ხნის შემდეგ ითხოვა პირობის შესრულება. [მეფემ] გალანძდა ის. [სულთანი] შურით აღივსო, შეკრიბა მრავალრიცხვანი ჯარი და აოხრებდა ქვეყანას, ვიდრე მთლიანად არ გაანადგურა. [ამ მიწებს] დაეუფლა ახლა ძლევამოსილი ივანე.

ამავე წელს მიიცვალა ქრისტესთან ჩვენი მეფე ლევონი. გვირგვინი მიიღო მისმა ერთადერთმა ასულმა ელისაბედმა, რომელსაც ფრანკებმა ზაბელ ხათუნი უნოდეს⁴⁴¹. ის მიათხოვეს ცოლად ანტიოქიის მფლობელის ვაჟს ფილიპეს [და მისი

* ჯალალ-დოლა (3)

** ნასრა-დოლა (3)

*** 43 (3)

**** 48 (3)

ცოლი იყო] 2 წელი. მას სძულდა სომეხი ხალხი და გან-საკუთრებულ პატივს სცემდა ფრანკებს. მან დაარღვია მიცე-მული პირობა მიეღო სომხური სარწმუნოება და ჰყვარებოდა სომხები. ამის გამო ძვირფასი გვირგვინი და ავლა-დიდება გაგზავნა თავისი მამის სახლში. ეს ველარ აიტანეს მთავ-რებმა, ჩააგდეს საპყრობილები, ვიდრე იქ არ გარდაიცვა-ლა. [ელისაბედი] მიათხოვეს ჰეთუმს, კონსტანტინეს ვაჟს⁴⁴², დიდსულოვან, მეტად ჭკვიან, ახოვან, მხარბეჭიან და ლამაზ ყმაწვილს. მათ ჯვარი დაწერა პატრიარქმა კონსტანტინემ⁴⁴³, რომელმაც მიიღო წმ. გვირგვინი უფალ იოანეს სიკვდილის შემდეგ 669 (1220) წელს. ის გახდა პატრიარქი არც დიდებული წარმოშობის და არც ფულის გამო, არამედ სულიწმიდის წყა-ლობით და ათასი ენის დასტურით. მის ხელდასხმამდე ერთი წლით ადრე მოხდა უდიდესი მინისძვრა და დაინგრა მდიდარი ეკლესია მეშქავანში 11 იანვარს, სადილობის დროს. 4 [მდვდე-ლი დაიღუპა] წირვისას დიდ მსხვერპლთან ერთად. მთელი ღამე ჩანდა ცაზე შუბის მსგავსი ვარსკვლავი. ეს ორივე ნიშ-ნავდა ქვეყანაზე მშვიდობიანობის დარღვევას მტრის შუბის გამო, რაც მოხდა კიდეც.

670* (1221) წლის დამდეგს უცხო სახისა და სხვა ენაზე [მოლაპარაკე] ჯარი დაძრული ჩინისა და მაჩინის ქვეყნი-დან⁴⁴⁴, სახელებით მუღალი და თათარი⁴⁴⁵, შემოვიდნენ გუგარ-ქის ქვეყანაში ვაკეებით, ალბანეთის მხრიდან, დაახლოებით 20 000 კაცი. მათ გაანადგურეს ყოველივე ცოცხალი, რაც კი ნახეს და მსწრაფლ უკუიქცნენ. მათ გამოუდგა მთელი ძალე-ბით ლაშა, დაეწია მდინარე კოტმანთან და მათგან დამარცხე-ბულმა თავს უშველა გაქცევით ივანესთან ერთად. [ივანეს]

* 669 (ვ). ეს თარიღი ვენეციის გამოცემაში ეკუთვნის მეშქავანში ეკლესიის დანგრევას, მოსკოვის გამოცემაში მონღოლთა გამოჩე-ნას.

ცხენს [ფეხის] ძარღვი გადაუჭრა რომელიღაც მისგან ნაწყენმა მთავარმა⁴⁴⁶. ხოლო ვაპრამი⁴⁴⁷, იმ ქვეყნის უფალი, დიდი სიმამაცით მიიჩევდა წინ, [მტრის] სასტიკი ხოცვა-ულეტით გარდმანამდე, არ იცოდა რა სხვების გაქცევა.

671 (1222) წელს მათ სურდათ კვლავ დაბრუნება, მაგრამ როცა შეიტყვეს მათი დესპანებისაგან სომხებისა და ქართველების შეკრება და მზადყოფნა, ველარ გაბედეს ხელახლა მოსვლა, გაბრუნდნენ და წავიდნენ. იმავე წელს გამოვიდა ლაშქარი ჰუნთაგან, რომლებიც ყივჩაღებად⁴⁴⁸ იწოდებოდნენ, მოვიდნენ განძაკში და შეუერთდნენ მათ. როდესაც ჩვენები თვითდაჯერებით და წინდაუხედავად გაემართნენ მათ წინააღმდეგ, დამარცხდნენ, უკუიქცნენ სირბილით, მრავალი მახვილით დაიღუპა, ხოლო ზოგიერთი დიდებულ აზნაურთაგან ცოცხლად შეიპყრეს და საპყრობილები ჩააგდეს. მათ შორის იყო გრიგორ ხალბაკის ძე, იშხანად წოდებული თავისი ვაჟკაცი და მამაცი წამებული ძმისშვილით, რომელსაც პაპაქი ერქვა⁴⁴⁹. ამისათვის ჩვენმა ლაშქარმა შური იძია ერთი წლის შემდეგ, როცა გაულიტეს ყივჩალთა დიდი ნაწილი მათი ვარდანაშატის ქვეყანაზე თავდასხმის დროს.

674 (1225) წლის გასულს ჩვენი წელთაღრიცხვით, ხორეზმ შაჰის ორი ვაჟი, გარემოცულნი და შევიწროვებულნი აღმოსავლეთის თათართა ჩრდილოეთის ლაშქრის* მიერ, მოვიდნენ 200000 კაცით ადარბადაგანის ქვეყნის [გავლით] სომეხთა დედაქალაქში, აიღეს ის და გაავსეს ვრცელი ველი კარვებით. მათ წინააღმდეგ გაემართნენ ჩვენები, დამარცხდნენ და ბევრი დაიღუპა დაბა გარნისთან, უმეტესობა კი ღრმა ხრამში, ღვთის რისხვის გამო ივანეზე მის მიერ ჩადენილი ახალი და გაუგონარი ბოროტების გამო: ერთი გარდაცვლილი მღვდელი, სახელად პარკეშტი ამოათხრევინა საფლავიდან, დააწვე-

* აღმოსავლეთის... ლაშქრის > - 3

ვინა და იმ ადგილზე დააკვლევინა ძალლი, რომ [დაუცინა] მის ნეშტთან ხშირად მომსვლელი აღთქმა-დადებულებისათვის. ღმერთმა პატივი მიაგო მათ. [გარდმოავლინა] მათზე ნათელი შუქი ციხე-ქალაქ ბიჯნისის წინ, სადაც საძირკველი ჩაეყარა ეკლესიას. [ივანე] ვერ იტანდა რომ პატივს სცემდნენ სომხური აღმსარებლობის ამ მღვდელს*, რადგან წაქეზებული იყო ერთი ცბიერი კაცის სიტყვებით. ის გაგმირა უფალმა მეხით იმავე ღამეს, როცა ეს ამბავი მოხდა⁴⁵⁰.

ძლევამოსილმა სულთანმა⁴⁵¹, გაამაყებულმა უზრუნველად გადათელა მრავალი ადგილი და დაბრუნდა თავრიზში⁴⁵². ერთი წლის შემდეგ ის გაგის ველის გავლით წავიდა თბილისზე, მრავალი სიავე ჩაიდინა და დაბრუნდა ხლათში, აიღო ის და გამდიდრებული გაემართა ჰორომის სულთან ალადინის⁴⁵³ და მელიქ აშრაფის წინააღმდეგ. მისმა ჯარმა დიდი მარცხი განიცადა და [სულთანი] მცირე [რაზმით] გაიქცა მუღანის ველზე⁴⁵⁴, რომელიც მდიდარია ყველაფრით, რაც საჭიროა ადამიანისა და პირუტყვისათვის. აქ მას მეყსეულად დაეწივნენ თათრები, რომელთაც ადრე განდევნეს [სულთანი] თავისი ქვეყნიდან. აქედან გამოაბრუნეს ის და გააქციეს ამითისაკენ. ამ გაქცევის დროს ის მოკლულ იქნა ან თათრის მახვილით, ან როგორც ამბობენ, ერთი ვინმე თავისიანისგან, რომლის ნათესავი მოკლეს ცოტა ხნის წინ და ის აღელვებული იყო ამით, ან [შესაძლოა] განუწყვეტელი ლაშქრობებისაგან. [ასე დაისაჯა მის მიერ] დაღვრილი უდანაშაულოთა სისხლისათვის.

თათრებად წოდებულნი მოვიდნენ ცოტა ადრე – 669 (1220) წელს, სურდათ მობრუნება 671 (1222) წელს, მაგრამ ვერ გაბედეს. მათ შეიერთეს ურიცხვი ჯარი, წინამძღვალად ჰყავდათ მხედართმთავარი ჩარმალანი⁴⁵⁵, წავიდნენ განძაკზე

* ვერ... მღვდელს > - 3

684 (1235) წელს, ალექსანდრე მას რამდენიმე დღით, ვიდრე არ აიღეს, დაუზოგავად დახოცეს [მცხოვრებლები], გარდა ჩვილი ბავშვებისა და ქალებისა, რომლებიც მოსწონდათ⁴⁵⁶. ამით ძალა მოიკრიბეს, შევიდნენ ქართველთა სამეფოში, დაანანილეს მხარეთა ცნობილი ადგილები და გამაგრებული ციხეები მათ დიდ მთავრებს [შორის], რომლებსაც ნოინებს⁴⁵⁷ უწოდებენ. ისინი წავიდნენ თავიანთ წილხდომილ მხარეთა ციხეებში, რომლებიც მყის მისცეს მათ ხელთ სასჯელად ჩვენი უზომო ცოდვებისათვის. ჩაღატა ნოინმა მიიღო ქალაქი ლორე და მისი მიმდებარე მხარეები; დუღადა ნოინმა – გამაგრებული ციხე კაიანი, საიდანაც განდევნეს ამ მხარის უფალი ავაგი; დიდმა ჩარმაღანმა – ანისი და ყარსი მათი შემოგარენით, ღატალა ნოინმა – ჩარექის*, გეტაბაქსისა და ვარდანაშატის ოთხივე^{**} მხარე; მოლარ ნოინმა, რომელსაც წილად ხვდა დიდი მთავრის ვაჰრამის სამფლობელო ციხეები, ჯერ მოხერხებულობით აიღო შამქორი. ვაჰრამი კი თავისი ვაჟით აღბუღათი⁴⁵⁸ გარბოდა ერთი ადგილიდან მეორეზე, ვიდრე არ შეიტყო, რომ [თათრები] ინდობდნენ დამორჩილებულთ, ვინც თავიანთი სურვილით დანებდებოდა მათ. შემდეგ [ვაჰრამი] მოვიდა და დაიბრუნა ციხეები და გავარები, რომლებიც მისი მემკვიდრეობითი კუთვნილება იყო და აღებული ჰქონდათ [თათრებს]: ტავუში, კანარეთი, ტერუნაკანი, ერგევანქი, მანაბერდი, რომელიც იყო კვირიკანთა სამეფო გვარის [წარმომადგენლის] აღსართანის [სამფლობელო], ნორბერდი – ვასაკ მეფის საკუთრება, ქავაზინი – უძლეველი სიმაგრე, სახელვანი ციხე გაგი და მისი გავარი, აშენებული გაგიკ მეფის მიერ, სადაც იყო წმინდა და მთელ ქვეყანაში სახელგანთქმული ჯვარი და ეკლესია, დაარსებული და ნაკურთხი

* ჩარექი > - გ

** ოთხივე > - ვ

სომეხი ვარდაპეტისა და მთარგმნელის ნმ. მესრობის მიერ. [ეს ეკლესია] დგას გაგის თავზე და გაჰყურებს ფართო და ვრცელ ველს. [თათრებმა აიღეს] აგრეთვე სხვა ციხეები და კლდეში ნაკვეთი სიმაგრეები გავარების, სოფლების და აგარაკების ტყეებში, ველებზე და ხევებში. ყველაფერი ეს [თათართა] ხელში გადავიდა მოკლე ხანში დაუმსახურებლად და იოლად. [ეს იმიტომ მოხდა], რათა გვცოდნოდა, რომ უფლის ხელია, რომელმაც მისცა ჩვენი ქვეყანა ჩვენს თვალწინ შესაჭმელად უცხოელებს. მაგრამ ადრე ნათქვამზე უფრო სამწუხარო და მაცდუნებელი სუსტებისათვის ის იყო*, რაც [უფალმა] თავის სიწმინდეებს და წმინდანებს დამართა. მათ აიღეს სარჩოს, უმეტესად წყლის ნაკლებობის გამო გასაჭირები ჩავარდნილი ვარდაპეტ ვანაკანის დიდებული, სახელოვანი და ნაყოფიერი გამოქვაბული, სადაც თვითონ იყო გამაგრებული თავისი მოწაფეებით და სხვებით, მასთან თავშეფარებული ხიზნებით. მათ ნაცვლად [ვანაკანმა] თვით მისცა თავისი თავი, ქრისტეს მსგავსად წავიდა ტყვედ და გაათავისუფლა ისინი. რამდენიმე ხანს იმყოფებოდა ბარბაროსი ხალხის ბანაკში, ხოლო შემდეგ მიჰყიდეს ქრისტიანებს, რომლებიც იყვნენ გაგის ციხეში. მათ გამოისყიდეს არა ურიათა მსგავსად – სამარცხვინო სიკვდილისათვის, არამედ უფლის მსგავსად – სახელოვანი თავისუფლებისათვის. გამოისყიდეს ის 50 დრაპეკანით უფრო ძვირად, ვიდრე უფალი. ასეთი ძუნნი იყო უფლის გამცემი და იაფად აფასებდა მას, რისი ღირსიც თვითონ იყო. ამის შემდეგ ვანაკანმა იცოცხლა 15 წელი ღვთის სადიდებლად და მრავალთა სასარგებლოდ და განისვენა ქრისტესთან თავისი მძიმე შრომით, ქვეყნის განმანათლებელთა სარეცელზე 18 მარტს, ძველი სტილით არეგის თვის 10-ში, დიდმარხვის შაბათს, ორენდისა და მისი ძმების ხსოვნის დღეს, ხოლო ჩვე-

* ადრე... იყო > - 3

ნებურად იერუსალიმის მამამთავრის კირილეს ხსოვნის დღეს. [მისი გარდაცვალების გამო] დღესასწაული გაიმართა ზემო იერუსალიმში, რაც იმ დროიდან საზემო და საპატივცემულო დღეა მათი შთამომავლობის – სინათლის შვილებისათვის, მისი სიძის უკვდავი მეფის იქსოს, მისი მამისა და სულინმიდის სადიდებლად. [ვანაკანმა] დატოვა ასმაგად კეთილი სახელი თავის მოწაფეებში და საეკლესიო საგანძუროს წიგნებში, რომლებიც მომდინარეობს ღვთის მადლიდან და შემოქმედის ნათელი გონებიდან. 700* (1251) წელს ის უდროოდ განვიდა სამარადისო სასუფეველში⁴⁵⁹.

685 (1236) წლიდან სომხური წელთაღრიცხვით 714 (1265) წლამდე, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, რაც მოიმოქმედა მოისართა ტომმა⁴⁶⁰, მთავრებისა და სამეფოების მიმართ დიდი ზღვის აქეთა მხარეს: სპარსეთის, ალბანეთის, სომხეთის, საქართველოს და ჰორომად წოდებულ ქვეყანაში, სადაც სახლობდნენ სომხები, ასურელები, ბერძნები, ტაჭიკები და თურქმანები დაწვრილებით აგვინერეს ჩვენმა მამამ, ღვთის წმინდანებთან ერთად განდიდებულმა ვარდაპეტმა ვანაკანმა და ჩვენმა მეგობარმა ვარდაპეტმა კირაკოსმა⁴⁶¹, ჩვენი მამის მსგავსმა. [ამის გამო] ჩვენ ვეღარ გავპედეთ გაგვესამებინა [ამ ამბების თხრობა], ან სიტყვა გაგვეგრძელებინა [იმავე ამბებზე], არამედ მოკლედ მოვიყვანეთ მხოლოდ თარიღები ლირაშესანიშნავი ამბებისა და დასამახსოვრებელი საქმეებისა ჩვენი ნაშრომის დასამთავრებლად, რომელიც დიდი ხნის წინ დავიწყეთ და დაუმთავრებელი დავტოვეთ იმ ისტორიკოსთა წინაშე სირცხვილით, რომლებიც ზემოთ მოვიხსენიეთ. იმიტომ, რომ სიტყვას არ შეუძლია გამოამზეუროს და სამახსოვრო გახადოს ჩვენ ცოდვათა, დანაშაულთა და ბოროტებათა უხვი სიმრავლე, ისევე როგორც საზღაური ღვთის

* 700 > - 3

სამსჯავროს სამართლიანი შურისძიებისა. მით უმეტეს, შესაძლებელია თუ არა სამაგიეროს მიგებისა და ჩვენ სიბოროტეთა რაოდენობის ათვლა? სრულიად არა. მაგრამ გაიმარჯვა და ყოველთვის გაიმარჯვებს ღვთის გულმოწყალების სილრმეთა სილრმენი და განუზომელობათა განუზომელობანი. ამისთვის ღმერთს მის დაბადებულთაგან წყალობა, კურთხევა, დიდება, პატივი, უთვალავი და უსაზღვრო, ყველასაგან ერთად და თითოეულისაგან, ხილულთა და არა ხილულთაგან და თქვან მათ: ამინ უსასრულო, უსაზღვრო და უკვდავ არსს.

691 (1242) წელს სომხური წელთაღრიცხვით ბათუ ნოინმა⁴⁶² შეცვალა ჩარმალანი, აიღო კარნუ ქალაქი და გამოიყვანა იქიდან წარჩინებული, მდიდარი და ღვთისმოშიში კაცი უმეკი და მისი ნათესავები: ბარონ იოანეს შვილები – სტეფანოსი და მისი 5 ძმა. 692 (1243) წელს [ბათუმ აიღო] ჰორომად წოდებული მთელი ქვეყანა: ჯერ სახელგანთქმული ქალაქი კესარია, შემდეგ სევასტი, რომლის [მცხოვრებლები] დაინდეს გაულეტისაგან, რადგან მყის დაემორჩილნენ მათ, შემდეგ ერზინკა, რომლის [მცხოვრებლები] უწყალოდ ამონწყიტეს და ტყვედ წაიყვანეს, რადგან მათ წინააღმდეგობა გაუწიეს და სხვა ქვეყნები და გავარები, სადაც უმეტესად ცხოვრობდა ტანჯული სომეხი ხალხი. ჩვენი წელთაღრიცხვის რიცხვითი [ასოები] იყო ოლბ (692)⁴⁶³ და მართლაც ამ დროს იქმნა საქმე შესატყვისი გლოვისა და ცრემლებისა, რამაც მოიცვა არა მარტო მეტყველები, არამედ უტყვებიც, მთები და ველები მოირწყა სისხლითა და ცრემლით.

ეს გლოვა განმეორდა 698 (1249) წელს, რადგან ბათუმ და სხვა უფროსებმა ეჭვი მიიტანეს ქართველთა მეფისა და მთავრების ამპარტავნებასა და ამბოხებაში, შეიპყრეს მეფე დავითი და სხვა დიდებულები, შეკრეს და სიკვდილის განაჩენი გამოუტანეს. მაგრამ ზეციერის ზრუნვამ იხსნა ისინი სიკვდილისაგან⁴⁶⁴. მაინც უთვალავი [ხალხი] დახოცეს და

წარტყმევნეს სოფლები და აგარაკები, შეურაცხჰჰეს ქალები სომხეთში და უფრო მეტად ქართველთა ქვეყანაში.

699 (1250) წელს გარდაიცვალა ივანეს ძე ავაგი და დამარხეს პლნძავანქში თავისი მამის გვერდით, [რომელიც იყო] კაცი გულუხვი, ომისმოყვარე და მლოცველი.

700 (1251) წელს რომის დიდმა პაპმა⁴⁶⁵ დააყენა საკითხი და მისწერა ყველა ქრისტიან ხალხებს – ელიარებინათ სულინმიდის წარმომავლობა მამისა და ძისაგან. ეს არ აღმოჩნდა სასურველი ასურელების, ბერძნების, ქართველებისა და სომხებისათვის. [სომხებმა] გადასინჯეს პირველი წმინდანების აღმსარებლობა ღმერთთან დაახლოებული ვარდაპეტ ვანაკანის საშუალებით და ნახეს ის თანხმობაში გამოჩენილ, დიდებულ მამათა – ათანასეს, გრიგორ ღვთისმეტყველის, გრიგორ ნოსელის, გრიგორ განმანათლებლისა და სხვა წმინდანების [მოძღვრებასთან].

701 (1252) წელს გაჩნდა კალია ზემო სომხეთის ქვეყანაში და ზიანი მიაყენა მრავალ გავარს.

702* (1253) წელს მანგუ ყაენმა⁴⁶⁶ ბრძანება გასცა აღრიცხულიყო მისი ხელისუფლებისადმი დამორჩილებული ქვეყნები ცნობილი კაცის არღუნის⁴⁶⁷ მიერ და დაედოთ ხარკი თითოეული კაცის თავს, გარდა ქალებისა, ლრმა მოხუცებისა და ჩვილი ბავშვებისა.

703 (1254) წელს ქრისტესმოყვარე სომეხთა მეფე ჰეთუ-მი⁴⁶⁸ გაემართა ბათუსთან – ჩრდილოეთის დიდ მეფესთან, ჩინგიზ ყაენის თანამეტომესთან, ხოლო იქიდან მანგუ ყაენთან. ის ღირსეულად პატივდებული** და განდიდებული იქნა და ერთი წლის შემდეგ მშვიდობით დაუბრუნდა თავის ტახტს.

* 703 (ვ)

** პატივდებული > - ვ

704 (1255) წელს მოვიდა ჰულაგუ⁴⁶⁹, მანგუ ყაენის ძმა, უთვალავი ლაშქრით და დიდი ძალით სპარსეთზე, ასურეთზე, სომხეთზე, საქართველოზე და ალბანეთზე. [ჰულაგუმ] ჯერ უბრძანა მოსულ ჯარს მთელი თავისი ავლა-დიდებით თავს დასხმოდა ჰორომთა ქვეყანას, რომელთაც შიშით დასტოვეს ზემო [სომხეთი] და იძულებული გახდნენ წასულიყვნენ. [თათრები კი] დაეუფლნენ მთელ ხმელთაშუა ქვეყნებს ვიდრე ზღვამდე, რომელიც ჰორომთა სულთნების ხელისუფლების ქვეშ იყო. თვითონ დიდი ჰულაგუ თავისი მოსვლის იმავე, 704 (1255) წელს, გაემართა მელპედთა ქვეყანაში ალამუთში, აიღო ის და გააძევა [მათი] მმართველი. მის მოსვლამდე მისი ჯარი ისავურ ნიონის სარდლობით გარემოცული და მძიმე მდგომარეობაში იყო. იქიდან დაბრუნების შემდეგ [ჰულაგუმ] უხმო თავისთან ქართველთა მეფე დავითს და ქვეყნის დიდებულებს, სიყვარულით და პატივით მიიღო ყველანი, განსაკუთრებით კი ქრისტიანები, რადგან მისი უფროსი ცოლი^{*} ტოლუზ ხათუნი ქრისტიანი იყო, მიმდევარი ასურელთა მოძღვრებისა, რომელთაც წესტორიანელებიც ენოდებოდათ⁴⁷⁰, მაგრამ არ იყო გაცნობილი მათ მწვალებლობას, გულწრფელი სიყვარულით ადიდებდა ყველა ქრისტიან ხალხს და აღავლენდა ლოცვას, ისევე როგორც თვით ელხანად წოდებული ჰულაგუ. მათ თან დაპქონდათ ეკლესიის მოყვანილობის ტილოს კარავი, მეზარის ხმაზე [უხმობდნენ] და წირვა-ლოცვის წესს ატარებდნენ მღვდლები და დიაკვნები. მათ ჰქონდათ სკოლები და ბავშვებს თამამად ასწავლიდნენ [ქრისტიანულ მოძღვრებას]. მათთან ყოველი მხრიდან და სხვადასხვა ქრისტიან ხალხთაგან მოდიოდნენ ეკლესიის მსახურნი და ეძიებდნენ მშვიდობას, პოვებდნენ მას და ბრუნდებოდნენ სიხარულითა და საჩუქრებით.

* ცოლი > – მ

705 (1256) წელს გარდაიცვალა ბათუ – ჩრდილოეთის დიდი მპყრობელი. იმავე წელს მისი შვილი სარდახი მოწამლეს ძმებმა, შურით აღძრულებმა, რადგან მას გადასცა მამამ თავისი და მანგუ ყაენის სამფლობელო. მისი სიკვდილი დიდი გლოვა იყო ქრისტიანებისათვის, რადგან იყო სრულყოფილი ქრისტიანი და მრავალის ხსნის მიზეზი ხდებოდა, მოაქცევდა რა [ქრისტიანულ] სარწმუნოებაზე თავისიანებსაც და უცხოებსაც.

707 (1258) წელს მამაცმა ჰულაგუმ აიღო ბალდადი ჯაფარისა და ისმაიტელთა მიერ მისი აშენებიდან 515 წლის შემდეგ, 194 (745) წელს სომეხთა წელთაღრიცხვით, ტიგროსზე, ძველი ბაბილონიდან 7 დღის სავალზე⁴⁷¹. ჰულაგუმ თავისი ხელით მოკლა ხალიფა მუსთასიმი⁴⁷² და გადარჩნენ იქ მყოფი ქრისტიანები დიდი დედოფლის ტოლუზის ნებითა და შუამდგომლობით. ხალიფა ნიშნავს მოადგილეს მუჰამედის ტომიდან, რომელიც გამოჩნდა 60 (611) წელს სომეხთა წელთაღრიცხვით. უკანასკნელი [ხალიფა] კი ცხოვრობდა 707 (1258) წლამდე. ელხანმა ჰულაგუმ აოხრებული ბალდადიდან დაბრუნების შემდეგ, იმავე წელს ალყა შემოარტყა მუფარლინს, მარტიროსთა ქალაქს ორი წლით⁴⁷³, რადგან [ამ ქალაქის] სულთანმა ედილთა ტომიდან ნინაალმდეგობა გაუწია ჰულაგუს ვაჟს ისმუდს, ჩაკეტა ქალაქი და ეომებოდა მას. ეს გახდა ღვთის განრისხების მიზეზი. ალყაშემორტყმული მცხოვრებლები ჭამდნენ როგორც წმინდა, ისე უწმინდურ ცხოველებს, შემდეგ ღარიბებს, მერე თავიანთ ნაშობებს და ერთმანეთს, ვინც კი შეეძლოთ. აქაურმა მღვდელმთავარმა, შიმშილისაგან გააფთრებულმა და გამზეცებულმა შეჭამა თავისიანები. მან დაწერა ეს აღსარება ქალალდზე, იმ იმედით, რომ ვნახავდით ჩვენ მის დაწერილს და შეწყალებას მიიღებდა მოწყალე ბუნების შემქმნელისაგან. თავისი თავი მან მისცა კვნესას, ტირილს, ვაებას, მწუხარებას და განუწყვეტელ

სინანულს სულის ამოსვლამდე. მისი აღსარების წიგნი ჩვენ ვნახეთ, როგორც მას იმედი ჰქონდა და ვიმედოვნებთ, რომ მას შეიწყალებს ყოვლისმცოდნე ბუნების შემქმნელი. თავისი სიკვდილით შეგვიძრალა ჩვენ კაცომოყვარე ღმერთმა – შეწყალების სიღრმემ და სიყვარულის უსაზღვრობამ. დაე შეიწყალოს და განწმინდოს წმინდა ეკლესის ზიარებით ის და მასთან ერთად ყველა, ვინც მონანიებით დაამყარა და დაამყარებს თავის იმედს ჩვენი ღმერთის ქრისტეს შეწყალებაზე. თქვენ კი მკითხველნო, სიყვარულით აღსავსე გულით უმზირეთ ღმერთს და წარმოთქვით: ამინ!

708 (1259) წელს ჰულაგუ გაემართა შუამდინარეთში, აიღო მისი ქალაქები და გავარები, როგორც დაწვრილებით აღწერეს ისტორიკოსებმა. მასთან მოვიდა სომეხთა კათალიკოსი⁴⁷⁴, აკურთხა [ჰულაგუ] და მოიპოვა მისი სიყვარული. მასთან იყო შამის მთელი ქვეყნის აღების დროს ჩვენი გვირგვინოსანი ჰეთუმიც⁴⁷⁵, რომელიც იყო ყველა [ბრძოლის] ადგილას და იხსნიდა სიკვდილისაგან ქრისტიანებს, როგორც სასულიერო, ისე საერო პირებს. ამისათვის უფალმა შეუწდოს ცოდვები და ხანგრძლივი, ნებიერი ცხოვრება [მისცეს] მის შთამომავლებს. ჰულაგუ დაბრუნდა საზამთრო სადგომ მულანის ველზე და საზაფხულო სადგომ დარინის გავარში, ანუ სხვანაირად დარინის ველზე. აქ ირგვლივ მთებში მდებარეობს გამოქვაბულები და კლდოვანი ციხეები. შეიყვარა [ჰულაგუმ ეს ადგილი] და ააშენა აქ ნაგებობები თავისი გემოვნების მიხედვით. ის ფიქრობდა აეშენებინა აქ ქალაქი, რის გამოც დაზარალდა ეს ქვეყანა, რადგან ხალხსაც და პირუტყვსაც შორიდან უნდა ეზიდათ მძიმე მორები.

709 (1260) წელს აღებულ იქნა მარტიროსთა ქალაქი მრავალი გაჭირვებისა და ზიანის შემდეგ, რომელიც განიცადეს არა მარტო გარემოცულებმა, არამედ გარემომცველმა თათართა ჯარმა და ქრისტიანებმა, რომლებიც მათთან ერთად

ომობდნენ და ეპრძოდნენ ერთმანეთს შიგნით და გარეთ. აქ დაიღუპა მშვენიერი ახალგაზრდა სევადა ხაჩენელი, დიდი მთავრის გრიგორის ვაჟი, რომელიც მამაცურად იბრძოდა, შემოსა შარავანდედით, დაიცვა რწმენა და შიში ლვთისა და ელხანის მიმართ. და ე სისხლით მონაწილე იყოს ის ქრისტეს მონამეებთან ერთად, რომლებმაც დაიცვეს რწმენა და შიში მის მიმართ, ამინ! იმავე წელს ამონწყიტეს ელხან ჰულაგუს მიერ შამის ქვეყნის დასაცავად დატოვებული ჯარი, დიდი მხედართმთავრის, სარწმუნოებით ქრისტიანის ქითბულას სარდლობით, 20 000 კაცი. მას შეებრძოლა მისრის სულთანი უთვალავი რაოდენობის ჯარით თაბორაკანის მთის ძირას და რადგან მცირე იყო ბულას ჯარი, დახოცეს და დაატყვევეს. ისინი ვინც გაიფანტნენ, აქეთ-იქით დაიმალნენ და გადარჩენილები მოვიდნენ სომეხთა მეფესთან, ჰპოვეს მასთან კაცთმოყვარეობა, [მიიღეს] სამოსელი, ცხენები და სურსათი. მრავალი თათარი და ქრისტიანი მოვიდა მადლიერი თავის მფლობელთან. ამ დროიდან განდიდდა მეფე ჰეთუმის სახით ქრისტეს სახელი თავისიანებში და უცხოებში.

710* (1261) წელს მთავართა-მთავარი, მეფურა ბრწყინვალე ჯალალი⁴⁷⁶ მნარე ტანჯვით შეემატა ქრისტესა და მის მონამეთა [რიცხვს] ტაჭიკთა ცილისნამების გამო, რომლებმაც ბრალი დასდეს მას და გადასცეს არლუნს. ის წაიყვანეს ტაჭკასტანში, ყაზვინში და იქ დამით მოკლეს, დაჩეხეს ნაწილებად. ამის მიზეზი იყო მხოლოდ ქრისტეს სიყვარული. მარხვაში, ლოცვაში, ქველის მოქმედებაში, კვირა დღეს ფეხზე დგომაში გაატარა მან თავისი ცხოვრება სიბერემდე. ამის გამო პატივი დასდო მას ომერთმა ნათელის გარდმოვლენით მის გახლეჩილ ნაწილებზე, შარავანდედით შემოსა ისინი და ამით დაამონმა მისი უდანაშაულო მონამეობრივი სიკვ-

* 700 (3)

დილი. ეს რომ დაინახეს მისმა მკვლელებმა, შეშინებულებმა ჩაყარეს მისი ნაწილები ერთ ღრმა ჭაში, ვიდრე მოვიდნენ მისი ახლობლები და დაკრძალეს მის საკუთარ მონასტერში განძასარში⁴⁷⁷, მამა-პაპათა სასაფლაოზე. იგივე ნათელის სხივოსნობა იხილეს მისი ნაწილების გადამტანებმა.

იმავე 710* (1261) წელს სომხური წელთაღრიცხვით ელხან ჰულაგუს კარზე მოკლეს ქართველთა მხედართმთავარი შაპან-შაპის ძე ზაქარე⁴⁷⁸ სიყმანვილის ასაკში, სილამაზის აყვავებისა და წინსვლის, ბედნიერების ხანაში, გამოჩენილი და ცნობილი ყველასათვის. მას წაუყენეს რაღაც ბრალდებები და მათ შორის ისიც, თითქოს ის აბრკოლებდა დაწესებული ხარკის დროზე გაგზავნას ხაზინაში. მის სიკვდილს სინანულით დასტიროდა მთელი საქართველო მეზობელი სომხეთით და რამდენად უფრო მნარე, მტანჯველი ვაებით მოსთქვამდნენ მისი მშობლები. ამის გამო იმავე დღეებში და გლოვის უამს გულგამირული გარდაიცვალა [ზაქარეს] მამა, რომელიც იწოდებოდა შაპან-შაპად, დედაქალაქ ანისის უფალი. აქ ერთ დროს იჯდა მეფე, რომელიც ბაგრატუნთა მეფეებისა და სხვა სამეფოების უფროსი იყო. [ამიტომ] ანისის უფალი შაპან-შაპად იწოდა ანუ მეფეთა მეფედ. იდუმალი რიცხვი 2 (შვიდასი) აღნიშნავს სიმშვიდეს, ხოლო ძ** (ათი) – ნმინდას, რაც აღნიშნავს ღვთის წმინდანთა დამშვიდებას მომავალ ღვთის შაბათს. ნათქვამი ნიშანდობლივია: ამ რიცხვში აღსრულდა ლოცვა ყველა წმინდაზე.

711 (1262) წელს აღესრულა მეუფე ნერსესი – აღბანთა კათალიკოსი⁴⁷⁹ მწვავე წყალმანკის სენით. მან ვერ ნახა მკურნალებს შორის წამალი, გარდა იესო [ქრისტესი], რომელიც არის უკვდავი ცხოვრების წამალი. მისი დიდი იმედით, აღ-

* 700 (3)

** სომხურ ასოებს აღნიშნავს მხოლოდ ვენეციის გამოცემა.

სარებითა და ანდერძით მიიცვალა [უფალი ნერსესი] თავისი ღირსეული ცხოვრებისდაგვარად, სიმდაბლითა და კაცთმოყვარეობით.

712 (1263) წელს მიიცვალა ქრისტესთან სახელოვანი განდეგილი, საპატიო ხარისხისა და წოდების ღირსი, რომელსაც ღვთის მადლმა მოუწოდა გარდმანის სახლისა და სხვა ციხე-ებისა და გავარების მღვდლად, მოძღვრად და არქიეპისკოპოსად, კაცი სახელოვანი და საქვეყნოდ ცნობილი – მეუფე იოანე ტუეცი. ის [მარხულობდა] სამ ორმოცდაათ [დღეს] უპუროდ და უწყლოდ, აგრეთვე ოთხშაბათსა და პარასკევს. ის წავიდა იერუსალიმში ფეხშიშველი, სადაც დიდმარხვის დღეები აღდგომამდე ფეხზე მდგომა და უჭმელმა გაატარა. მან განაცვიფრა იქ მყოფი ფრანკები, რადგან არა მარტო ფეხზე მდგომი და უჭმელი იყო, არამედ დამუნჯებულიც. ის ევედრებოდა ღმერთს, რათა მას ერწმუნა ამბავი, რომელიც ხალხში არსებობდა. კერძოდ ის, რომ [როცა] იკლებს შუქი, სომეხთა კანდელი [პირველი] ინთება. როგორც თვითონ მოგვითხრო: „წმ. საფლავის მცველს უყვარდით და გვეალერსებოდა ჩვენ და მას ვთხოვეთ დაედასტურებინა [ეს ამბავი]. მან მითხრა: იყიდე კანდელები და ჩამოკიდე შენი ხელით, რაც ასეც გავაკეთე. ვიყიდე კანდელები და დავკიდე წმ. საფლავზე – მარჯვნივ ფრანკთა, მარცხნივ ბერძენთა და შუაში სომეხთა სახელზე, როგორც ჩვეულებრივ აკეთებდნენ. კარები დავკეტეთ და დავლუქეთ. მცველმა მომცა ბეჭედი და გასაღები. დიდ შაბათს 9 საათზე, როცა აღვასრულებდით ლოცვას მთელი ქალაქი და მლოცველები, მოვიდა მცველი და მითხრა: მეუფეო, უბრძანეთ გააღონ, რადგან შუქმა დაიკლო. წავედი, გავაღე, ავხსენი ლუქი. მართლაც ეჭვგარეშე შუა კანდელი ენთო მხურვალე, ულევი ალით“. ამ სასწაულით სახელი გაითქვა [იოანემ].

მეუფე იოანემ მოგვითხრო შემდეგი: „გავემგზავრე წმ. ბეთლემში და ვიხილე იქ წმ. მოციქულთა გამოსახულებები ეკლესიის კედლებზე. ტაჭიკებს შეურაცხყოფის მიზნით თვალები დაეთხარათ მათთვის. მე დავღონდი და მივმართე წმ. მოციქულებს ვედრებით: სასურველია კი მათთვის ყველან მათი გამოსახულებები იყოს? იერუსალიმში დაბრუნებულს, იმავე ღამეს მეზმანა ორი საოცარი მამა, რომლებიც მოდიოდნენ ჩემსკენ. თვითონ წავედი მათკენ და ვკითხე: ვინ ხართ თქვენ ღვთის წმინდანებო? და მათ მიპასუხეს: პეტრე და იოანე, რომელთაც შენ შესთხოვე შეეტყობინებინათ [აზრი] ქრისტიანთა მიერ მათი გამოსახვის თაობაზე. ეს ჩვენ არ გვნებავს, თავი მოვაძეზრეთ და ვეცხადებით მათ აქა-იქ, მაგრამ ისინი არ გვისმენენ“. ბერმა, რომელიც თან ახლდა მას იერუსალიმში, მოგვითხრო: „[მეუფე იოანე] ფეხშიშველი მოვიდა [დანიშნულების] ადგილამდე. შემდეგ ერთ დღეს დამიძახა და მითხრა: ნახე ჩემი ფეხი, მტკივა და მაწუხებს. ვნახე ფეხი, მოვსინჯე სიმსივნე ნემსით და ვნახე ბასრი, მსხვილი ეკალი, რომელიც გამოდიოდა დიდი რაოდენობით ჩირქთან ერთად. ამან გამაკვირვა, რადგან არ გვაუწყა ჩვენ და მივიდა [იერუსალიმამდე] ღვთისა და წმ. ადგილების სიყვარულით, არაფრად ჩათვალა რა [ტკივილის] სიმწარე“. ასეთი მძიმე და ვიწრო გზით მივიდა ღრმა სიბერემდე და განისვენა ქრისტესთან ნორბერდის ციხის დიდებულ მონასტერში ანაპატში. ის დაკრძალეს მისი ხელთქმნილი ეკლესიის კარებთან. სამეფო [წარმოშობის] ვასაკ ბაგრატუნის ბრძანებით, ნებითა და შემწეობით მან აღმართა ბევრი ნაგებობა. მისი ხსოვნა დარჩეს კათოლიკე ეკლესიაში ღვთის წინაშე და კურთხეულ იყოს უკუნითი უკუნისამდე.

713 (1264) წელს ჩვენ გვიხმო ელხანმა ჰულაგუმ შნორ-ჰავორად წოდებული კაცის პირით. ის განდიდებული იყო იმ ხანებში ყველას მიერ და უმეტესად ქვეყნისმპყრობელ-

თა, სახელდობრ, ჩრდილოეთის მხარის მპურობელის ბათუს მიერ, რომელსაც ის ეახლა და პატივდებულ იქნა მისგან, როგორც ჰულაგუ ელხანისგან. [ჰულაგუმ] თავისი ხარჯითა და თავისი ცხენებით წაგვიყვანა ჩვენ და ვინც ჩვენთან იყვნენ – ვარდაპეტები, ჩვენი ძმები: სარგისი, გრიგორი და თბილისის მღვდელმთავარი. ჩვენ ვიხილეთ ეს დიდებული [მპრძანებელი] დიად დღეს, ახალი თვისა და წლის დასაწყისში, რომაულად ივლისის თვეს და ჩვენებურად არაცს. მათ ამ დროს ჰქონდათ საზეიმო დღეები – ერთი თვე და ეწოდებოდა ამ დღეებს ყურულთაი⁴⁸⁰ ანუ ბჭობის ზეიმი. ამ დროს სხვა ყაენები ჩინგის ყაენის მოდგმიდან დიდ [ყაენთან] მოდიოდნენ სათათბიროდ, რაზეც საჭიროდ ნახავდნენ, ყველა თავიანთ უხუცესებთან ერთად, ახალ სამოსელში გამოწყობილი. [ისინი] ყოველ დღე ახალი მრავალფეროვანი ჩასაცმელით [იმოსებოდნენ]. აქვე იყვნენ დიდი და საუცხოო საჩუქრებით ყველა მათი დამორჩილებული მეფეები და სულთნები, ისე როგორც ჩვენ ვიხილეთ – სომეთა მეფე ჰუთუმი, ქართველთა მეფე დავითი⁴⁸¹, ანტიოქიის უფლისნული და სპარსეთის მხარის მრავალი სულთანი. როდესაც [ჰულაგუმ] დაგვინახა ჩვენ, არ დაგვაჩიქა მათი ჩვეულების შესაბამისად, რადგან იცოდა, რომ არქაუნები⁴⁸² მხოლოდ ღმერთს სცემენ თაყვანს. მოიტანეს ღვინო, ვაკურთხეთ და ნაიღეს ჩვენი ხელიდან. სიტყვა, რომელიც [ჰულაგუმ] პირველად ბრძანა იყო: „გიხმე შენ იმისათვის, რომ გეხილე და გაგეცნე მე და გულით გელოცა ჩემთვის“. ზედმეტი იქნება, რომ ყველაფერი დავწერო, [რაც ჰულაგუმ მითხრა]. ბევრი ისაუბრა და ჩვენც ვპასუხობდით. [ჰულაგუმ] დაგვსხა ჩვენ და მოგვართვეს ღვინო. ჩვენთან მყოფმა ძმებმა შეასრულეს შარაკანი, ქართველებმა [შეასრულეს] თავიანთი მსახურება, ასევე ასურელებმა და რომაელებმა თავიანთი. მაშინ ელხანმა გადახედა ყოველი მხრიდან მოსულებს და თქვა: „რას ნიშნავს ეს, რომ მე მხოლოდ შენ

გიხმე და არც [შენზე] ადრე და არც [შენზე] გვიან, არამედ ამავე დღეს ყოველი მხრიდან მოვიდნენ ჩემს სანახავად და დასალოცად?“. პირველად თვითონვე ბრძანა ამაზე: „ეს იმის ნიშნად ჩათვალე, რომ ღმერთს გულით ვუყვარვარ“. ჩვენ ვუპასუხეთ: „ჩვენც გაოცებული ვართ იმავე მიზეზით, რაც თქვენ ბრძანეთ“. შემდეგ ბრძანა: „საიდუმლო სიტყვა მაქვს შენთან“.

ერთ დღეს მან თავის ირგვლივ შექმნა უდაბნო: მთელი ბანაკი დააყენა მოშორებით და ორი კაცის თანდასწრებით მესაუბრა [თავის] ცხოვრებაზე დაბადებიდან, აგრეთვე დედაზე, რომელიც ქრისტიანი იყო. მან მითხრა: „თუმცა ძიდა ზრდის ბავშვს, როცა გაიზრდება მაინც დედა უყვარს. არ არის ჩვენთვის უცხო ქრისტიანთა სიყვარული. რაც გაქვს სათქმელი, თქვი!“. [როცა ამას ამბობდა] ჩემი ხელები ეჭირა.

მე კი მას ვუთხარი, რაც ღმერთმა ჩამაგონა სათქმელი: „რამდენადაც მაღლა ხარ შენ სხვა ადამიანებზე, იმდენად ახლოს ხარ ღმერთთან. ღვთის ტახტი დამყარებულია მართალ სამსჯავროზე. ყველა ხალხს ღმერთმა მისცა ძალაუფლება ქვეყანაზე გამოსაცდელად. შენამდე [შენი წინა-მორბედები] ქვეყნის დამრბევები იყვნენ, ღატაკებს უწყალოდ დააკისრეს მძიმე ტვირთი. ისინი ოხრავდნენ და ტიროდნენ ღვთის წინაშე. ღმერთი ართმევდა [მათ] ძალაუფლებას და აძლევდა სხვა ხალხს. თუ შენ ქვეყნის აღმშენებელი იქნები და ღატაკთა მოწყალე, შენ არ წაგარომევს ღმერთი იმას, რაც მოგცა, არამედ დაგიტოვებს და რის მოცემაც სურს, იმასაც მოგცემს. შენ კარზე დაადგინე ისეთი კაცი, რომელსაც ღმერთის ეშინია და შენ უყვარხარ, რომელიც ტირილით მოსულ გაჭირვებულს, რომელსაც არც მეოხი ჰყავს და არც ქრთამი აქვს, გახარებულს გაუშვებს სახლში, რათა შენ [მადლობით] მოგიხსენიოს. ქვეყანა მიეცი ისეთ კაცს, რომელიც წათლად

ჭვრეტს, ქრთამით არ ბრძავდება და შენ სიმართლეს გეუბნება“. ამგვარად ვესაუბრებოდი [ჰულაგუს] დიდხანს.

მან ბრძანა: „გულში დავიმარხე შენი ნათქვამი. როგორ მოხდა, რომ ყველაფერი ის თქვი, რაც გულში მედო და რაც მომწონს? გისაუბრია ღმერთან? გამოგცხადებია [ოდესმე] ის?“

მე ვუპასუხე: „არა, მე ცოდვილი ადამიანი ვარ. მე მხოლოდ წამიკითხავს ღვთივშთაგონებულ ადამიანთა წიგნები. მეფეთა გულები ღვთის ხელთაა და ამიტომ ღმერთი ცხადი გახდა შენთვის წიგნების გარეშეც“. შემდეგ კი ვთქვი: „ღვთის წინაშე უნდა გითხრა ერთი რამ, რომელსაც ჯერ ღმერთი გაიგებს და შემდეგ შენ და რომელშიც არ არის სიცრუე“.

[ჰულაგუს] ბრძანა: „თქვი!“

მე ვუთხარი: „რაც ქრისტიანები და არქაუნები არიან ზღვაზე და ხმელეთზე, ყველას გული შენს მიმართ კეთილად არის განწყობილი და შენთვის ლოცულობენ“.

[ჰულაგუს] ბრძანა: „მჯერა რომ ასეა, მაგრამ არქაუნები არ არიან ღვთის გზაზე და ჩემთვის როგორ უნდა ილოცონ? და თუნდაც ილოცონ, ნუთუ ოდესმე უსმენს მათ ღმერთი, შეუძლიათ არქაუნებს ჩამოიყვანონ ღმერთი ზეციდან მინაზე? [მე ვფიქრობ] ვერ ჩამოიყვანენ. უთხარით, რომ ვინც ღვთის გზით ცხოვრობს – მათ ილოცონ. ჩვენი ძმები იმისათვის მებრძვიან, რომ მე მიყვარს ქრისტიანები და ქრისტიანობა არის ჩემს სახლში. ისინი კი ტაჭიკთა მოყვარულნი არიან და ტაჭიკობა არის მათ სახლში“. შემდეგ მითხრა მე: „რატომ ხარ ჩაცმული ცხვრის ტყავში და არა ოქროში [ჩამჯდარი]?“

მე ვუპასუხე: „მე არა ვარ დიდი კაცი და მაღალი რანგის მეუფე, მე ვარ მხოლოდ უბრალო ბერი“.

[ჰულაგუს] ბრძანა: „მე განგადიდებ შენ ოქროს სამოსელით და მოგცემ ბევრ ოქროს“.

მე ვუპასუხე: „ოქრო და მტვერი ჩემთვის ერთია. მე სხვა დიდ რამეს გთხოვ, რაც შეფერის შენს დიდებულებას – ჩემი ქვეყნის შეწყალებას“.

[ჰულაგუმ] თქვა: „შემიძლია შეგიკერო შენ ძლიერ უხეში და ძლიერ პატარა ჩასაცმელი, იმდენად პატარა, რომ მხოლოდ საეკლესიო საკმეველი ჩადო შიგ. მაგრამ რომ დაბრუნდები სამშობლოში, არ გეტყვიან როგორ მიგიღო შენ ელხანმა? ეგ რაც თქვი შევასრულებ, გავგზავნი ისეთ კაცებს, რომლებიც მიხედავენ ქვეყანას“.

როდესაც ჩვენ ვთხოვეთ წასვლის ნებართვა, ხელმეორედ გვიხმო და გვესაუბრა. ხელში ეჭირა ერთი ბალიში და ორი სამოსელი, რომელიც შეაკერინა ჩემთვის. მე გავახსენე: „ელხანო, ეს ბალიში შენს ზღუბრბლზევე დაიხარჯება და სამოსელი გაცვდება. მე კი გთხოვე დაუხარჯავი და გაუცვეთავი საჩუქარი“.

[ჰულაგუმ] ბრძანა: „პირველსავე დღეს მე შევასრულე შენი ნათქვამი: ვუბრძანე დაწერონ იარლიყი, ნაიკითხე და რაც შენ გულით გსურს კიდევ, ისიც მიაწერე. შენც და შენი ქვეყანაც მივაბარე სახალთს და შაჰაბატინს, რასაც ეტყვი შეგისრულებენ!“.

ჩვენ მადლობა გადავუხადეთ და გამოვედით. შესაძლოა ზედმეტი იყო ამის ალწერა, მაგრამ ეს დავწერე კეთილგან-წყობილი და სათონ ჩვენი დიდი ჰულაგუს ხსოვნისათვის, იმათ სასარგებლოდ და სამაგალითოდ, ვინც ჩვენს შემდეგ იქნებიან. ვინ იცის? სომეხთა წელთაღრიცხვით 714 (1265) წელს მოაწია ამ დიდებულთან უდიდესმა მოციქულმა და გაგმირა მძლავრი კვერთხით ეს მამაცი, ძლევამოსილი ჰულაგუ. უწია მას ჩვენი წინაპრების განაჩენმა, რადგან ისიც ადამის შვილი იყო და შესვა იმ სასმისიდან, საიდანაც იგემეს და კვლავაც იგემებენ ყველანი. რადგან მწარე იყო მისთვის, შესვა სიკვდილის ნალველი არა სიხარულით, როგორც უფალმა და მასზე

დანდობილმა. მას ატყუებდნენ ვარსკვლავთმცოდნეები და შაქმონიად⁴⁸³ წოდებული რაღაც გამოსახულებათა ქურუმები. ეს იყო როგორც ამბობენ, ლერთი 3040 წლისა, რომელსაც კიდევ უნდა [ეცხოვრა] 37* დუმანი, დუმანი კი უდრის 10000 [წელს]. შემდეგ ის განდევნა მეორე [ლერთმა] მანდრინმა. დოინები ეწოდებოდათ იმ ქურუმებს, რომლებისაც სჯეროდა [ჰულაგუს] და რომელთა ბრძანებით მიდიოდა ან არ მიდიოდა ომში. ისინი ეუბნებოდნენ [ჰულაგუს]: „ხანგრძლივად დარჩე-ბი მაგ სხეულში და როცა მიაღწევ ღრმა სიბერეს, სხვა ახალი სხეულით შეიმოსები“. მათ ააშენებინეს [ჰულაგუს] ამ გამო-სახულებათვის ტაძარი, სადაც ის დადიოდა სალოცავად და [ქურუმები] მკითხაობდნენ მას, რაც სურდათ.

ჩვენ ვუცდიდით სხვა დროს, მეორე შეხვედრას [ჰულაგუს-თან] და უფრო ახლოს გაცნობას, რათა გვეთქვა რაც საჭი-რო იყო, აგრეთვე ველოდით, რომ მის კეთილ და ქრისტიანთა მოყვარულ ბუნებას ღმერთი აჩვენებდა რაიმე ნიშანს ქრის-ტიანთა სასარგებლოდ, რათა გვეთქვა მისთვის რაიმე გაბე-დულად. რადგან ის განვრთნილი იყო [ქურუმთა] სწავლებით, ავად გახდა. მათ აალაპარაკეს ქეჩის გამოსახულებები და ცხენები და კიდევ მრავალგვარი იყო მათი მატყუარობისა და ჯადოქრობის ხელოვნება. ისინი იყვნენ მოკრძალებულნი საჭ-მელში, ჩასაცმელში, ქალწულობაში, ზომიერნი ცოლქმრულ კავშირში და არეულობისას. ამბობენ, რომ ცოლს ირთავენ 20 წლის ასაკში. 30 წლამდე [ცოლთან] კავშირი აქვთ კვირაში სამჯერ, 40 წლამდე – თვეში სამჯერ, 50 წლამდე წელიწად-ში სამჯერ, ხოლო 50 წლის შემდეგ ამბობენ რომ არასდროს უახლოვდებიან. ამიტომ შესაძლოა [ამ ასაკში] ისინი ტყუიან.

ამასთან აღსრულდა განგება და სიკვდილმა განიერი ფეხით გათელა მაღალი გორაკი, დაანგრია და გაათანაბრა

* 35 (3)

თავის წინაპრებთან, „რადგან მთა, რომელიც უნდა დაინგრეს, დაინგრევა“ – ამბობს [საღვთო] წერილი. აღსრულდა წინასწარმეტყველთა ნათქვამი, რომ ადამიანის მთელი დიდება არის თივის ყვავილი. მაგრამ სანდო და სამართლიანი უფალი მიუზღდავს სიკეთის ნაწილს, რომელიც ბუნებისაგან აქვს მინიჭებული მათი სამშობლოს შესანარჩუნებლად. რადგან ასახი, როგორც თვითონ უწოდებენ ჩინგიზ ყაენის დადგენილებას გულისხმობს: არ იცრუო, არ იპარო, არ გადაეკიდო სხვის ცოლს, გიყვარდეთ ერთმანეთი, როგორც საკუთარი თავი, არ შეიგინო, შეინახე ნებით დამორჩილებული მიწები, ქალაქები, [რომლებიც] იწოდება ღვთის სახლად, მისი მსახურები, როგორიც არ უნდა იყვნენ ისინი, გაათავისუფლე ხარკისაგან და მიაგე პატივი. ამას ასრულებდა [ჰულაგუ] და სხვებსაც [მოუწოდებდა] შეესრულებინათ.

მახსოვს ერთი მისი ნათქვამიც: „ჩვენ გიბრძანებთ ჩვენ-თვის ლოცვას არა სიკვდილისაგან გადასარჩენად, ეს ჩვენ-თვის უცნობია, არამედ [იმისათვის], რომ შესთხოვოთ ღმერთს გვიხსნას მტრის ხელისაგან“. ეს აღსრულდა [კიდეც], რაც მხოლოდ ღმერთმა იცის. ჯერ გავრცელდა ხმა, თითქოს [ჰულაგუ] მონამლეს ან სხვა საშუალებით მოკლეს, შემდეგ შეწყდა ეს ხმები. მაგრამ ტოლუზ-ხათუნმა, ვიდრე მისი სიკვდილის ამბავი გავრცელდებოდა, ფარულად გამოგზავნა ჩვენთან [შიკრიკი სათქმელად]: „ღმერთმა შეიყვარა ელხანი და წაიყვანა. მან მისცა [ჰულაგუს], რაც უყვარდა და მთელი ქვეყანა, ასევე ახლა ის ქვეყანა მისცა. აღვასრულოთ მასზე წირვა თუ არა?“ ჩვენ ვუპასუხეთ: „არ არის საჭირო წირვის ჩატარება, [გაიღეთ] მოწყალება და შეამსუბუქეთ ხარკი“. ხოლო სირიელებმა [ამ კითხვაზე] უპასუხეს, რომ ჯობია [წირვის ჩატარება].

[ტოლუზ ხათუნი] შეგვეკითხა აბალა ყაენის⁴⁸⁴, ჰულაგუს უფროსი შვილის შესახებ: „დავსვათ ის ტახტზე, რადგანაც

ანდერძი ამას აღნიშნავს?“ ჩვენ ვუპასუხეთ როგორც [საღვთო] წერილშია: „უფროსი ადის ტახტზე და ანდერძი არ უნდა დაირღვეს“, რაც შესრულდა კიდეც. მისი ნათესავი ელხანი ტაკუთარი⁴⁸⁵ ჩამოვიდა და აიყვანა აბალა ყაქნი მამის ტახტზე. ეს მთელმა ჯარმა მოიწონა.

რადგან ურიცხვია ჩვენი ცოდვები, ჩვენი ნაღველიც ულევია, რადგან იმავე წელს, 3 თვის შემდეგ მიიცვალა ქრისტესთან ქრისტესმოყვარული დედოფალი ტოლუზ ხათუნი და გულმოკლული ქრისტიანი ხალხები მიეცნენ გაუქარვებელ სევდასა და მწუხარებას. მის სიცოცხლეში სწრაფად იწყო გამთელება ელხანის [სიკვდილით მიყენებულმა] ჭრილობამ. [გვინდოდა] გვენახა ქრისტიანობა უფრო გაბრწყინებული, რის მიზეზიც, ჩვენი აზრით, იყო [ტოლუზ ხათუნი]. მაგრამ რადგან ღმერთია ყველა სიკეთის მიზეზი, ჩვენ არ უნდა მივეცეთ სასოწარკვეთას. მართლაც მან თავის ადგილას დააყენა თავისი ერთგული ნათესავი, ღვთისმოსავი ქალი, სახელად თუხთანი. აბალა ყაენს მოუყვანეს ცოლი საბერძნეთიდან, სახელად დესპინა, მეფე ვატანის ასული და უბრძანეს აბალა ყაენს მონათლულიყო და შემდეგ შეერთო ცოლი. ხმა დაირჩა, თითქოს მოინათლა და მოიყვანა [ცოლი] ქრისტეს სადიდებლად.

ამ დღებში ჩემი ცოდვების გამო ეს წიგნი ხელში ჩაუვარდათ უწმინდურებს ჩვენს მსახურებთან ერთად. იესოს წყალობით მსახურები სწრაფად გათავისუფლდნენ. წელიწადნახევრის შემდეგ ეს წიგნი იყიდებოდა თბილისში და იყიდა ვინმე მელერმა, ჩემი ძმის სახლიდან. ამ წყალობისათვის დიდება ჩვენს უფალს, ყველა წმინდანსა და [მის] ქმნილებებს. მის მყიდველს კი ქრისტეს წყალობა.

715 (1266) წლის დასაწყისში ჩრდილოეთის მპყრობელ ბერქას⁴⁸⁶, რომელმაც დაიკავა ბათუს და სარდანის ადგილი და იზიარებდა ტაჭიკთა წესს, ესმა რა დიდი ჰულაგუს

სიკვდილი, მოვიდა მრავალრიცხოვანი [ლაშქრით] მდინარე მტკვრის ნაპირზე და აჩვენა იქით ნაპირზე მდგომ აბალა ყაენისა და მისი ძმის ისმუდის ჯარს, რომ ის ცოცხალია მამის სიკვდილის შემდეგ. [ბერქა] შეებრძოლა მათ, უდარდელად მივიდა ჰაჭნამდე და იღლცა აქ მთელი ტაჭიკების სასიხარულოდ. შეძრნუნდა აქეთ ნაპირზე მყოფი [ჯარი], მოინდომეს მდინარის მთელ სიგრძეზე [ნაპირის გამაგრება], რომელსაც შიბარს⁴⁸⁷ უწოდებდნენ და დიდი სიფრთხილით მზადყოფნაში იყვნენ მთელი ზამთარი. ბერქას იმედი გაუცრუვდა, დაბრუნდა თავის სამფლობელოში და იმავე ზაფხულს გარდაიცვალა⁴⁸⁸. როგორც ამბობენ, ის არ იყო მეამბოხე ხასიათის და სძულდა სისხლისღვრა.

ამავე წლის შემოდგომაზე გაიხსნა ჩვენთვის ცხარე ძმრის ჭურჭელი და ღვთის რისხვის ჭვარტლი [გადმოვიდა] ჰაიკების ტომზე, რადგანაც მისრის სულთანმა ბუნდუქ-დარმა⁴⁸⁹ მოითხოვა ციხეები, რომლებიც თათართა ძალით აეღო სომეხთა მეფე ჰეთუმს. როცა ვერ მიიღო, განრისხდა ფრიად, უმეტესად კი თათრებზე, შეკრიბა მრავალრიცხოვანი ლაშქარი და გაგზავნა თავისი მხედართმთავრის მესელმოთის სარდლობით კილიკიაზე. მოულოდნელად შევიდა ქვეყანაში, აიღო დედაქალაქი სისი, მეფის ადგილსამყოფელი, დაწვა ის ეკლესიებიანად. აქ იპოვა მიწისქვეშა განძთსაცავი და წაიღო დიდი რაოდენობით [განძი]. ამბობენ, რომ აქ თითო ჭურჭელში ინახებოდა 60 000* წითელი. [ბუნდუქდარი] ძარცვა-რბევით მივიდა ადანამდე. შემდეგ ესმა თავისი ქვეყნიდან შემაშფოთებელი ამბავი და გაბრუნდა ალაფითა და 40 000 ტყვით, გარდა მოკლულებისა. მთავარი და გულსატკენი იყო უფლისნულ თოროსის მოკვლა. [ის იყო] მშვენიერი ყვავილი ნორჩ ასაკში, სადაცაა გაეზრდებოდა ულვაშები. ყველა ერთხმად აღნიშნავ-

* 600 000 (3)

და მის უნაკლო, კეთილ ბუნებას უმწიკვლოდ დადებულს ღვთის საგანძურში, რის გამოც მან თავისი ნებით მიიღო სისხლიანი გვირგვინი. როდესაც [თოროს] ეკითხებოდნენ თუ ვინ იყო ის, არ გასცა თავისი მამის სახელი, რომ ცოცხლად არ დაეტყვევებინათ და ამით ტვირთი არ ყოფილიყო თავისი მამისა და ქვეყნისათვის, თავის უფროს ძმასთან ლევონთან ერთად, რომელიც მამის სიცოცხლეში აკურთხეს და აიყვანეს სამეფო ტახტზე. [ლევონი] იყო პირველი ჩვენგან ტყვედ ჩავარდნილთა შორის. ამით მან მწვავე ცეცხლი და მწუხარება [გაუჩინა] ჩვენს ქვეყანასა და ხალხს, რომელიც სულგანაბული უცდიდა თუ როდის მოაწევდა ზეციურის ხელი. ვინც მრისხანებით მიაყენა დარტყმა, ის განკურნავს თანაგრძნობით, უნამლებს ფართოდ გახსნილ ჭრილობებს ტყვეთა დაბრუნებით, რომლებიც წაიყვანეს სხვებთან ერთად. ისინი 15 დღე იყვნენ იმ ქვეყანაში და მრავალი გაჭირვება გადაიტანეს. მათი ამბები აწყლულებდა ჩვენს [გულს].

ჩვენი წელთაღრიცხვით 716 (1267) წლის ბოლოს, დიდმარცვის დასასრულს, მეექვსე კვირას, ლაზარეს აღდგომის დღეს, საპმის თვის 26-ში განვიდა შეგრძნებადი სამყაროდან შეცნობად [სამყაროში] უფალი კონსტანტინე – სომეხთა პატრიარქი, მოხუცებული და დღესრული სხეულითა და უფრო კი სულით – ღვთის სურვილის შესაბამისად. ამას მოწმობს ყველა ხალხი და ენა. ქალწულივით უხრწნელი დარჩა აზროვნება და ადამიანი გრძნობებით, შევრძნებებით და მთელი ორგანოებით. ჩვენს ცოდვილ და მრისხანე საუკუნეში, სავალალო და მძიმე დროში ის მონაწილე იყო [ჩვენი] ხალხის ტანჯვის, განადგურებისა და დარდის. ყველაფერს თავის [თავზე] იღებდა და შესაძლებლობისდა მიხედვით უმსუბუქებდა გულით, სიტყვით და განძის გაყიდვით, [იყო] სავსე სიკეთით და არ იშურებდა [არაფერს]. მას მიესადაგება ღვთისათვის ნათქვამი: „ჩვენ გამოვიარეთ ცეცხლი და წყალი, სხვადასხვაგვარი

განსაცდელი მწვავე და მხუთავი მახებით“. მან ღმერთის მსგავსად იგემა შედედებული ნაღველი სიცოცხლის ბოლოს, ჩვენი სამეფოს დაშლა, საკუთარი, მშობლიური ქვეყნის მახვილი და ტყვეობა, რომელიც ჩააგდეს ცეცხლით გაღვივებულ ღუმელში. [მან იხილა] თავისი [აღზრდილი] უფლისნულების მკვლელობა, რამაც განსაკუთრებით დააჩქარა მისი აღსასრული, როგორც აგრეთვე ააფორიაქა, აიძულა და გაუღვიძა [მას] წყურვილი დაემთავრებინა ნაღვლიანი ცხოვრება. იხილა რა ეს მისმა იესომ და ღმერთმა ლაზარესთან ერთად დაიხსნა ასეთი სასტიკი შეურაცხყოფისაგან.

კომიტეტი

- ¹ მედიევალური ბიზანტიური და სომხური ისტორიული თხზულებების მსგავსად ვარდანი „მსოფლიო ისტორიას“ იწყებს შესავლით, სადაც მოცემულია სამყაროს შექმნის ბიბლიური სქემა. ამის შემდეგ კი აგრძელებს ბიბლიური ეთნოგენეტიკური სქემის გადმოცემით.
- ² „მსოფლიო ისტორიის“ ორივე გამოცემაში ნინადადებას „როგორც იტყვიან მკურნალები“ მოსდევს ფრაზა «Երբ միով կլիმას կոչեցեալ», რომელიც ჩანს შერყვნილია გადამწერთა მიერ და ფაქტობრივად არაფერს არ ნიშნავს.
- ³ დაბადების მიხედვით ცნობილია ნოეს სამი შვილი: სემი, ქამი და იაფეტი. (დაბად. 5,32; 10,1). მკვლევართა აზრით, ვარდანთან დასახელებული მანიტონი და ასტლიკი ზეპირი გადმოცემებიდან უნდა იყოს აღებული. „ასტლიკი“ ნიშნავს პატარა ვარსკვლავს, იყო ძველ სომებთა შორის სილამაზისა და სიყვარულის ქალღმერთი. ნოეს შვილებს მანიტონს და ასტლიკს ასახელებს მხითარ აირივანეციც (მხითარ აირივანეცი, ქრონოგრაფიული ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძემ, თბ., 1990, გვ. 45).
- ⁴ საინტერესოა ვარდანისეული ევროპისა და აზიის გაგება. ის ევროპას დასავლეთს უწოდებს, აზიას კი აღმოსავლეთს. მაგრამ სხვა შემთხვევაში ევროპას მოცილებულს, გამოყოფილს, ხოლო აზიას ღვთიურს უწოდებს. სომხურად აზია იწერება ასիა (ასია), ღმერთი კი ასთოւაծ (ასტუან). ამ სიტყვებს პირველი მარცვალი ას (ას) საერთო აქვთ. ამიტომ საფიქრებელია, რომ გააიგოვა ასია და ასთოւაծ.

ვარდან არეველცი

- ⁵ ნებროთი – ბიბლიური მამამთავარი, ნოეს შვილთაშვილი, ხუსის შვილი, ხელმძღვანელობდა ბაბილონის გოდოლის მშენებლობას. მისი სამფლობელო იყო ბაბილონი. ვარდანთან, ისევე როგორც ბიბლიურ მითოლოგიაში, ნებროთი გმირი მონადირეა.
- ⁶ გამირები – კიმერიული ტომები, სახლობდნენ კაპადოკიაში. მათი მთავარი ქალაქი იყო კესარია.
- ⁷ კელტები – ენითა და მატერიალური კულტურით ახლო მდგომი ტომები, უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ თანამედროვე ცენტრალური ევროპის ტერიტორიაზე. ძვ. წ. აღ-ით VI ს-ში გერმანელი ტომების შევიწროების შედეგად დასახლდნენ მდ. რეინის გადაღმა, ჩრდილოეთ იტალიაში, აგრეთვე ესპანეთში, ირლანდიაში, ბრიტანეთის კუნძულებზე. კელტებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ინგლისელების, ფრანგების, ესპანელების ეთნოგრენეზში, აგრეთვე დასავლეთ ევროპის ქვეყნების მატერიალური კულტურის განვითარებაში.
- ⁸ გალატიელები – კელტური ტომები. პერმაგონის მეფე ატალე I-ის მიერ დევნილი გალატიელები ძვ. წ. აღ-ით 232 წ. დასახლდნენ ცენტრალური ანატოლიის ტერიტორიაზე, რომელსაც მათი სახელის მიხედვით გალატია ეწოდა. იგი ძვ. წ. აღ-ით I ს-ში რომის იმპერიის, შემდეგ ბიზანტიის შემადგენლობაში იყო. XI ს-ში დაიპყრეს თურქ-სელჯუკებმა.
- ⁹ თეტალები – იგივე ბაქტრიელები, ძვ. წ. აღ-ით I ათასწლეულის I ნახევრიდან ცხოვრობდნენ მდ. ამუდარიის შუა და ზემო დინებაზე. მთავარი ქალაქი იყო ბაქტრა.
- ¹⁰ ლირიკია – მდებარეობდა ბალკანეთის ნახევარკუნძულის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში.
- ¹¹ საყურადღებოა ვარდანის ეს ცნობა, რომელშიც „ქართლის ცხოვრების“ (ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრება“) მსგავსად გატარებულია კავკასიის ხალხთა საერთო ნარმო-

- მავლობის იდეა. სომხური საისტორიო მწერლობა სომხებს თარგამოსის შთამომავლებად მიიჩნევს, მაგრამ კავკასიის სხვა ხალხთა ეთნარქებიდან მხოლოდ ორს ასახელებს.
- ¹² არაგანი – იგივე ალაგიოზი, სომხეთის და სამხრეთ კავკა-სიის მთიანეთის ყველაზე მაღლალი მთა.
- ¹³ არმავირი – ქალაქი არაქსის ხეობაში, აირარატის სამეფოს დედაქალაქი ძვ. წ. აღ-ით IV-II სს-ში.
- ¹⁴ მასისი – მთა არაქსის სამხრეთით.
- ¹⁵ გელარქუნი – ისტორიული ოლქი სომხეთში, მდებარეობდა სევანის ტბის სამხრეთით და აღმოსავლეთით, შედიოდა სიუნიქის მხარეში.
- ¹⁶ სიუნიქი – ქართული წყაროების სივნიეთი, ისტორიული ოლქი სომხეთში, მდებარეობდა სევანის ტბის სამხრეთ-აღ-მოსავლეთით.
- ¹⁷ მელიტენე – ქალაქი მცირე აზიაში, ევფრატის ზემო დინებაში, შედიოდა პიზანტიის იმპერიაში, ამჟამად თურქეთის ტერიტორიაა.
- ¹⁸ მარტიროპოლი – ქალაქი აღძნიქის ნაპანგში, იგივე მაიაფარიკინი, ფარიკინი, იუსტინიანოპოლი. ვარდანი სხვა ადგილას ამ ქალაქს მუფარლინის სახელით მოიხსენიებს. თავდაპირველად მას ტიგრანაკერტი ერქვა, რადგან დააარსა ტიგრან II-მ (ძვ. წ. აღ-ით 95-55) ძვ. წ. აღ-ით 77 წელს.
- ¹⁹ აღძნიქი – ნაპანგი ვანის ტბის სამხრეთ-დასავლეთით.
- ²⁰ ძვ. წ. აღ-ით 220 წ. სელევკიდებმა დაიპყრეს აირარატის სამეფო და შეუერთეს სომხეთის სატრაპიას, რომელიც მოიცავდა ცენტრალურ და სამხრეთ სომხეთს. ამიერიდან ამ ქვეყნას, რომელიც ურარტუს ტერიტორიის დიდ ნაწილს მოიცავდა, დიდი სომხეთი ეწოდა.
- ²¹ ლეგენდა არა მშვენიერისა და ასურეთის დედოფლის შამირამის (სემირამიდას) (ძვ. წ. აღ-ით IX ს.) შესახებ ჩართულია თითქმის ყველა ძველ სომხურ წყაროში. ისტორიულ

სომხეთში არსებობდა არასა და შამირამის სახელებთან და-კავშირებული ტოპონიმები. წარმართული ხანის სომხეთში მათ ღმერთებად თვლიდნენ და თაყვანს სცემდნენ (მოვსეს ხორენაცი. სომხეთის ისტორია, ძველი სომხურიდან თარ-გმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ა. აბდალაძემ, თბ., 1984, გვ. 252).

- ²² ილიონის ანუ ტროას ომი აღწერილია ჰომეროსის პოემებში „ილიადასა“ და „ოდისეაში“. ის დაახლ. ძვ. წ. აღ-ით 1260 წ. გამართულა. აქაველთა კოალიციური ლაშქარი მიკენის მე-ფის აგამემნონის მეთაურობით 10 წელი იბრძოდა ტროას წინააღმდეგ. ომი ტროას დამარცხებით და დანგრევით დას-რულდა. სომეხი ზარმაირის ეთიოპელთა ჯართან ერთად ტროას ომში მონაწილეობის შესახებ მოვცითხოვობს მოვსეს ხორენაცი. როგორც ჩანს, ეს ცნობა ვარდანს ხორენაცისა-გან აუღია, რადგან სხვა წყაროები ამის შესახებ არაფერს წერენ (მ. ხორენაცი, გვ. 95-96; ს. ყაუხჩიშვილი. ბერძნული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1950).
- ²³ ვარდანის ამ ცნობის მიხედვით, ბაგრატიონთა სახლი ქარ-თლის უძველესი სამეფო დინასტიის ფუძემდებელს ფარ-ნავაზს უკავშირდება. ფარნავაზს ბაგრატიონებთან დაკავ-შირებით ახსენებენ სეპეოსიც და მოვსეს ხორენაციც, მაგ-რამ განსხვავებულია ამ წყაროთა დეტალები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ვარდან არეველცისთან, რო-გორც აგრეთვე ხორენაცისთან, ფარნავაზი არის „ფარნუ-აზ“ ფორმით, მაგრამ მკვლევართა მიერ აღიარებულია, რომ აქ იგივე ფარნავაზი უნდა იგულისხმებოდეს. სეპეოსთან ფარნავაზი ბაბილონის მეფის ნაბუქოდონოსორის თანამედ-როვეა. უ. მარკვარტი სპეციალურად იკვლევდა ამის მიზეზს და ასკვნიდა, რომ აქ ალბათ აირეკლა გავრცელებული წარმოდგენა კავკასიაში ნაბუქოდონოსორის მიერ იბერთა გადმოსახლების შესახებ. რადგან ქართლის სამეფოს ფუ-

ძემდებლად ქართული ტრადიციის მიხედვით ფარნავაზია აღიარებული, ხოლო ქართველები ქართლში ნაბუქოდონოსორმა მოიყვანა, ამიტომ ფარნავაზი ნაბუქოდონოსორის თანამედროვე უნდა ყოფილიყო (J. Marquart. Die genealogie der Bagratiden und das Zeitalter des Mar Abas und Pr. Moses Xorenaci-“Caucasica”, VI, Leiprig, 1930, p. 70). ვარდანთან და ხორენაცისთან ჰრაჩეს მოსდევს ფარნავაზი. ისინი ჰრაჩეს და არა ფარნავაზს ასახელებენ ნაბუქოდონოსორის თანამედროვედ. ამ ავტორებთან ფარნავაზთან კავშირში ჩანს ნაბუქოდონოსორი და სომხეთში ბაგრატიონთა გამოჩენაც ამ ეპოქას უკავშირდება. გ. მელიქიშვილის აზრით, ქართველთა მეფის ფარნავაზის მოხვედრა ხორენაცისეული სომხეთის მეფეთა ნუსხაში იმითაა გაპირობებული, რომ ფარნავაზს არაერთი სომხური ოლქიც ექვემდებარებოდა (გ. მელიქიშვილი. ფარნავაზი და ფარნავაზიანები ძველ სომხურ საისტორიო წყაროებში – „მაცნე“, 1967, №3, გვ. 60). ამრიგად, ვარდანის ეს ცნობა ეთანხმება და ამყარებს სომხურ წყაროთა მონაცემებს ბაგრატიონთა საგვარეულოს ქართლის უძველეს მმართველ ფარნავაზიანთა დინასტიიდან წარმოშობის შესახებ (ე. კვაჭანტირაძე. ვარდან არეველცი ბაგრატიონთა წარმოშობის შესახებ, – ქართული წყაროთმცოდნეობა, VIII, თბ., 1993, გვ. 143-149).

²⁴ ვაჟანგი – სომხური ხალხური ეპოსის ერთ-ერთი მთავარი ხალხური გმირი.

²⁵ ჰაიკის შთამომავალი მეფების რიგი დაწყებული ანუ-შავანიდან ვაჟემდე მოჰყავს მოვსეს ხორენაცის, მაგრამ განსხვავებულია რაოდენობა. ხორენაცი ასახელებს 46, ვარდანი კი 41 (მ. ხორენაცი, გვ. 83-95).

²⁶ ისფაჲანი – მსხვილი საქალაქო ცენტრი ირანში. ანტიკური ავტორები მას ასპადანას სახელნოდებით იხსენიებენ, ხოლო შუა საუკუნეების სომხური ისტორიოგრაფია შოშის სა-

- ხელით. 1598-1722 წწ-ში იყო სეფიანთა სახელმწიფოს დე-დაქალაქი. XVIII ს. ბოლოს ირანის დედაქალაქი თეირანში გადავიდა და ისფაპანმა დაკარგა ადრინდელი მნიშვნელობა (კ. კუცია. სეფიანთა ირანის ქალაქები და საქალაქო ცხოვრება, თბ., 1966, გვ. 35-36).
- ²⁷ ნინევია – ძველი ქალაქი ბაბილონის სამეფოში, მდებარეობდა მდ. ტიგროსის ნაპირზე. ძვ. წ. აღ-ით IX-VIII სს-ში იყო ასურეთის სამეფოს დედაქალაქი. ძვ. წ. აღ-ით 612 წ. მიღისა და ბაბილონის გაერთიანებულმა ლაშქარმა ნინევია წაართვა ასურელებს, რითაც დასრულდა ასურეთის სახელმწიფოს არსებობა.
- ²⁸ „ეპრა“ მართლაც ნიშნავს გადმოსასვლელს. მაგრამ ეპრაელებად ისინი იწოდებიან არა იმის გამო, რომ გადმოიარეს წითელი ზღვა. მათი სახელი მომდინარეობს არფაქსადის შვილიშვილის ებერისაგან.
- ²⁹ იგულისხმება კადმოს მილეთელი (ძვ. წ. აღ-ით VI ს. შუა ხანები), რომელსაც ანტიკური ტრადიცია პროზის ჟანრის დამაარსებლად მიიჩნევს.
- ³⁰ სომხური წყაროების „ბივრი“, როგორც ძველ ქართულში „პევრი“ 10.000-ის აღმნიშვნელიცაა.
- ³¹ არშაკი – პართიის სამეფოს ფუძემდებელი (იხ. შენ. 33).
- ³² ბაჰლი – ბაქტრიის სომხური ფორმა, უძველესი ოლქი მდ. ამუდარიის შუა და ზემო დინებაზე. მთავარი ქალაქი იყო ბაქტრა. ძვ. წ. აღ-ით VI-IV სს-ში ბაქტრია აქემენიდთა სახელმწიფოში შედიოდა, ძვ. წ. აღ-ით IV ს-დან ალექსანდრე მაკედონელის იმპერიაში. ძვ. წ. აღ-ით I ს-ში დაიპყრეს მომთაბარეებმა.
- ³³ პართელები ცხოვრობდნენ თანამედროვე ირანის ტერიტორიაზე. ძვ. წ. აღ-ით 250-246 წწ-ში მათ შექმნეს პართიის სამეფო. პირველი დედაქალაქი იყო ნისა. ახ. წ. აღ-ით 226 წ. ფარსის სატრაპიის მმართველმა არდაშირმა დაამარცხა

- არტაბან V, რითაც დასრულდა პართიის არსებობა და ის სასანიანთა სახელმწიფოს შემადგენლობაში მოექცა.
- ³⁴ იგივე მითრიდატე I – პართიის მეფე (ძვ. წ. აღ-ით 171-138), რომლის მმართველობის დროს პართია გაძლიერდა. მას ემორჩილებოდა დასავლეთი ირანი და მესოპოტამია.
- ³⁵ ვალარშაკი – სომებთა მეფე (ძვ. წ. აღ-ით 150-127), სომებს არშაკუნიანთა დინასტიის ფუძემდებელი. აქვე აღვნიშნავთ, რომ სომები არშაკუნების შესახებ საუბრისას ვარდანი მოვსეს ხორენაცის „სომხეთის ისტორიით“ სარგებლობს (მ. ხორენაცი, გვ. 67-68, 101-119).
- ³⁶ VII ს-ის სომხური „გეოგრაფია“ „შუა ხმელეთად“ თვლის ხმელთაშუა და შავ ზღვებს შორის ტერიტორიას (U. ხრემანი. ჯაյასთასი ესთ «Աշխարհացոյց»-ի, Ե., 1963, Էջ 92).
- ³⁷ იგივე ბაქტრია.
- ³⁸ იგულისხმება ტერიტორია შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე.
- ³⁹ უტიელები და გარდმანელები ცხოვრობდნენ ალბანეთის ერთ-ერთ ცენტრალურ, უტიქის ნაპანგში, რომელიც მდ. მტკვრის ჩრდილოეთით მდებარეობდა.
- ⁴⁰ ვარდანთან დასახელებულ წოფელებს მოვსეს ხორენაცი წავდეელებს უწოდებს, რაც ვფიქრობთ, უფრო სწორი ფორმაა და ვარდანთან დამახილებულია გადამწერთა მიერ. ისინი ცხოვრობდნენ მდ. იორის მარცხენა ნაპირზე, კანარეთის რაიონში (მ. ხორენაცი, გვ. 106).
- ⁴¹ სომხური წყაროების ბდები ქართული პიტიახშის შესატყვისია.
- ⁴² იგულისხმება ესპანეთი.
- ⁴³ ვარდანის ამ ცნობაში აისახა ანტიკურ სამყაროში გავრცელებული აზრი აღმოსავლეთის (კავკასიის) იბერების დასავლეთის იბერიიდან (ესპანეთიდან) გადმოსახლების შესახებ. ვარდანს ეს ცნობა მოვსეს ხორენაცისაგან აუღია, ხორენა-

ვარდან არეველი

- ცის კი, თავის მხრივ, ევსევი კესარიელის „ქრონიკის“ ძველი სომხური თარგმანიდან (მ. ხორენაცი, გვ. 264, შენ. 50).
- ⁴⁴ ვარდანს თხზულების მთელი ეს ნაწილი, კერძოდ ცნობები სომხური ნახარარული გვარების შესახებ, მოტანილი აქვს მოვსეს ხორენაცის ნაშრომიდან (მ. ხორენაცი, წ. 2, თ. VII-VIII).
- ⁴⁵ „ევსმენია და გვინახავს დაწერილი“ – წერს ვარდანი, მაგრამ არ ასახელებს კონკრეტულად რომელ წყაროს გულისხმობს. ვფიქრობთ, ეს უნდა იყოს სებეოსის თხზულება, რომლის მიხედვით არშაკს ჰყავდა ოთხი ვაჟი: პირველი გაამეფა თეტალიაში, მეორე კილიკიაში, მესამე პართიაში, მეოთხე სომხეთში. მისგან განსხვავებით, ხორენაცის ცნობით, არშაკ დიდმა სომხეთში გაამეფა არა თავისი ვაჟი, არამედ ძმა (მ. ხორენაცი, გვ. 31, 101).
- ⁴⁶ ჰაშტენი – იგივე ჰაშტიანქი, მდებარეობდა ტარონის სამხრეთ-დასავლეთით. ის იყო სომეხი არშაკუნების ქალიშვილებისა და ვაჟების საცხოვრისი, რომელთაც არ ჰქონდათ გვირგვინის დადგმის უფლება.
- ⁴⁷ მწბინი – იგივე ნიზიბინი. „მწბინ“-ის ფორმით იხსენიებს ნიზიბინს მოვსეს ხორენაციც (მ. ხორენაცი, გვ. 67).
- ⁴⁸ არტაშეს I – სომხეთის მეფე (ძვ. წ. აღ-ით 189-160), არტაშესიანთა დინასტიის ფუძემდებელი. ძვ. წ. აღ-ით 190 წ. არტაშესი აჯანყდა სელევკიდების წინააღმდეგ და დიდი სომხეთი დამოუკიდებელ სამეფოდ გამოაცხადა. ძვ. წ. აღ-ით 170-160 წწ. მან ააშენა ახალი ქალაქი აირარატის ველზე და თავისი სახელის მიხედვით არტაშატი უწოდა. აქ გადაიტანა დედაქალაქი არმავირიდან.
- ⁴⁹ იგულისხმება კროისოსი, ლიდიის მეფე (ძვ. წ. აღ-ით 560-546). ცნობა არტაშესის მიერ კროისოსის დატყვევების შესახებ ვარდანს მოვსეს ხორენაციისაგან აუღია. კროისოსისა და არტაშეს I-ის თანამედროვეებად გამოცხადება ქრონო-

- ლოგიური შეცდომაა, რადგან არტაშეს I ტახტზე ავიდა ძვ.
- ნ. აღ-ით 189 წელს (მ. ხორენაცი, გვ. 111-113).
- ⁵⁰ ტიგრან II – სომხეთის მეფე (ძვ. ნ. აღ-ით 95-55). მისი მოკავშირე იყო პონტოს ცნობილი მეფე მითრიდატე VI ეპატორელი, რომელთან ერთადაც იბრძოდა პართიის, სელევკიდების, რომის წინააღმდეგ. ტიგრან II-მ ძვ. ნ. აღ-ით 77 ნ. საფუძველი ჩაუყარა ახალ დედაქალაქს ტიგრანაკერტს.
- ⁵¹ მოვსეს ხორენაცის მიხედვით, მირდატი ტიგრან II-ის დის ქმარია (მ. ხორენაცი, გვ. 114).
- ⁵² არტავაზდ II – სომხეთის მეფე (ძვ. ნ. აღ-ით 55-34).
- ⁵³ ალიოვიტის და არბერანის გავარები მდებარეობდა ვასპურაკანის ნაპანგში. ალიოვიტი ვანის ტბის ჩრდილოეთ სანაპიროზე, ხოლო არბერანი ალმოსავლეთ სანაპიროზე. ამ გავარებში არშაუნების დასახლებას ვარდანი მოვსეს ხორენაციისაგან განსხვავებით მიაწერს არა მეფე ტირანს, არა-მედ მეფე არტავაზდს (მ. ხორენაცი, გვ. 150).
- ⁵⁴ აბგარი – ედესის მეფე (ძვ. ნ. აღ-ით 4-7 და ახ. ნ. აღ-ით 14-50).
- ⁵⁵ ურპა – იგივე ედესა, ძველი ქალაქი ჩრდილოეთ მესოპოტამიაში.
- ⁵⁶ მათ წარმოქმნეს სურენთა, კარენთა და ისპაპატთა დიდებულთა საგვარეულოები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ აქემენიდური ორანის ცხოვრებაში.
- ⁵⁷ ელევთრაპოლისი – ქალაქი პალესტინაში.
- ⁵⁸ იგულისხმება ბიზანტიის იმპერატორი ნიკიფორე ფოკა (963-969).
- ⁵⁹ ვარდანს ცნობა აბგარის გაქრისტიანების შესახებ მოაქცა მოვსეს ხორენაციისაგან. ა. აბდალაძის აზრით, ქრისტეს თანამედროვე აბგარი კი არა, ედესის მეფე აბგარ IX (179-214) გაქრისტიანდა (მ. ხორენაცი, გვ. 270, შენ. 114).

ვარდან არეველცი

- ⁶⁰ არტაზი – იგივე შავარშაკანი, ვასპურაკანის ერთ-ერთი გავარი, მდებარეობდა თანამედროვე მდ. ზანგიმარის ნაპირზე.
- ⁶¹ უნდა იყოს მწურქი, ქალაქი ვანის ტბის დასავლეთით.
- ⁶² იგულისხმება რომის იმპერატორი ტიტე (79-81).
- ⁶³ ამ არტაშესს მიაწერს ვარდანი როგორც არშატეს I-ის, ისე სხვა მეფეთა საქმეებს.
- ⁶⁴ ერასხი – მდ. არაქსის სომხური ფორმა.
- ⁶⁵ მოვსეს ხორენაცი სხვაგვარად მოგვითხრობს არტავაზდის გარდაცვალების შესახებ: ის მიღიოდა სანადიროდ, გადაიარა ქ. არტაშატის ხიდი, გაიტაცეს ოცნებებმა, თავგბრუდაესხა, გადმოვარდა ცხენიდან, ჩავარდა ლრმა ორმოში და უკვალოდ გაუჩინარდა (მ. ხორენაცი, გვ. 149).
- ⁶⁶ ეკელეაცის გავარი – მდებარეობდა ანტიტავროსა და ევფრატის ვიწროებს შუა, წარმართობის პერიოდში „ანაპიტის“ გავარად იწოდებოდა, ხოლო ანტიკური ავტორები „აკილისენე“-ს ენოდებენ. სტრაბონის ცნობით ეს მხარე შეუერთდა სომხეთს ძვ. წ. აღ-ით II ს-ში (თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფიის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1957, გვ. 189).
- ⁶⁷ ვალარშ I – სომხეთის მეფე (117-140).
- ⁶⁸ იგულისხმება პართიის მეფე ვოლოგეს II (105-147).
- ⁶⁹ ვალარშაპატი – თანამედროვე ეჩმიანინი, დააარსა სომეხთა მეფე ვალარშ I-მა ძველი ვარდგესის ადგილას და გადაიტანა იქ თავისი რეზიდენცია, თუმცა სომხეთის ძირითად დედაქალაქად არტაშატი რჩებოდა. 163 წ. რომაელთა მიერ არტაშატის აოხრების შემდეგ ვალარშაპატი გახდა დედაქალაქი (მ. ხორენაცი, გვ. 153).
- ⁷⁰ მოვსეს ხორენაცი ამ ამბის აღწერისას ასახელებს ბასილებსა და ხაზარებს (მ. ხორენაცი, გვ. 154).

- ⁷¹ ჩორის კარი, იგივე დარუბანდი – ქალაქი ჩრდილო კავკასიაში, კასპიის ზღვის სანაპიროზე, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გადმოსასვლელი სამხრეთ კავკასიაში, თანამედროვე ქ. დერბენდი (დაღესტნის რესპუბლიკა).
- ⁷² ხოსრო I – სომხეთის მეფე (191-217).
- ⁷³ იგულისხმება არტაბან V – პართიის უკანასკნელი არშაკი-დი მეფე (213-226). 226 წ. დაიღუპა არდაშირ სასანიანთან ბრძოლაში, რის შემდეგაც ირანში იწყება სასანიანთა ბატონობა.
- ⁷⁴ იგულისხმება ფილიპე – რომის იმპერატორი (224-249).
- ⁷⁵ აქ საუბარია სომხეთის პირველი ქრისტიანი მეფის, თრდატ III-ის (298-330) მიერ, მისი წარმართობის დროს სომხეთში მოსული წმინდა რიფსიმესა და მისი თანმხლები ქალწულების წამების შესახებ.
- ⁷⁶ ციხე-სიმაგრე ანისი მდებარეობდა დარანალის გავარში, ევფრატის ზემო დინებაში. XII-XIII სს-ის ისტორიკოსები მას კამახს უწოდებენ. აქ იყო სომეხი არშაკუნების საგვარეულო სამარხი.
- ⁷⁷ იგულისხმება გრიგოლ განმანათლებელი – ქრისტიანობის მქადაგებელი სომხეთში, იყო სომეხთა პირველი ეპისკოპოსი (302-326). მის მოღვაწეობას ეძღვნება აგათანგელოსის „სომხეთის ისტორია“.
- ⁷⁸ კონსტანტინე დიდი – რომის იმპერატორი (306-337). 313 წ. კონსტანტინემ და ლიცინიუსმა გამოსცეს ცნობილი „მილანის ედიქტი“, რომლითაც ქრისტიანობა გამოცხადდა ნებადართულ რელიგიად, აიკრძალა ქრისტიანობის დევნა. 324 წ. ლიცინიუსის დამარცხების შემდეგ გახდა რომის იმპერიის ერთპიროვნული მმართველი. 330 წ. ძველბერძნულ ქალაქ ბიზანტიონში გადაიტანა დედაქალაქი და უწოდა კონსტანტინოპოლი. კონსტანტინე სიკვდილის წინ მოინათლა ქრისტიანად.

- ⁷⁹ იგულისხმებიან კონსტანტინე დიდი და თრდატ III.
- ⁸⁰ ვარდანის მიერ მოტანილი ინფორმაცია თრდატისა და გრი-გოლ განმანათლებლის რომში კონსტანტინე დიდთან და სელვესტროსთან შეხვედრის, მათ შორის აღთქმის წერი-ლის დადების შესახებ, ადრეული სომხური წყაროებისათვის ცნობილი არ არის (მ. ხორენაცი, აგათანგელოსი, სეპეოსი, ი. დრასხანაკერტცი). მხოლოდ ვარდანის თანამედროვე მხი-თარ აირივანეცი ახსენებს ამ კავშირს (მ. აირივანეცი, გვ. 64). ამიტომ ვფიქრობთ ე. ნ. „აღთქმის წერილი“ გვიანდელი ხანისა უნდა იყოს.
- ⁸¹ იგულისხმება ირანის შაჰი შაბურ I (240-272).
- ⁸² სლკუნები – ნახარართა საგვარეულო სომხეთში, ფლობდნენ ტარონის (მდებარეობდა ვანის ტბის დასავლეთით) აღმო-სავლეთ ნაწილს, რომელიც IV ს-ში მამიკონიანთა მფლობე-ლობაში გადავიდა.
- ვარდანის მიერ დასახელებულ ულკანის ციხეს მოვსეს ხო-რენაცი ოლაკანს უწოდებს, რომელიც მდებარეობდა ტარო-ნის პროვინციაში (მ. ხორენაცი, გვ. 168).
- ⁸³ მამიკონიანები – ნახარართა ერთ-ერთი უძლიერესი საგ-ვარეულო სომხეთში. ვარდანი, მოვსეს ხორენაცის მსგავ-სად, მამიკონიანთა წინაპრად თვლის ჭენთა ქვეყნიდან (ჩინეთიდან) მოსულ მამგონს, რომელსაც სომეხთა მეფე თრდატ III-მ მისცა მამული (მ. ხორენაცი, გვ. 165-166). მა-მიკონიანები ფლობდნენ ტაოსა და ტარონის დიდ ნაწილს, IV ს-დან მემკვიდრეობით მიიღეს სპარაპეტის სახელო. არაბთა წინააღმდეგ 774-775 წნ. აჯანყების დამარცხების შემდეგ, რომელსაც ხელმძღვანელობდა მუშელ მამიკონიანი, მამიკონიანები, ისევე როგორც კამსარაკანები, განადგურ-დნენ. მათი მამულები გაძლიერებულ ბაგრატუნებს გადაე-ცათ. IX ს-ში მამიკონიანთა უმრავლესობა ბიზანტიაში გადა-ვიდა, სადაც მათ მაღალი თანამდებობები დაიკავეს (C. To-

umanoff. Studies in Christian Caucasian History – George town University Press, 1963, p. 209-212).

- ⁸⁴ 325 წ. მცირე აზის ქ. ნიკეაში შედგა პირველი მსოფლიო საეკლესიო კრება რომის იმპერატორ კონსტანტინე დიდის ბრძანებით, რომელიც ჯერ კიდევ წარმართი იყო. კრებამ დაგმო ალექსანდრიელი ხუცესის არიოზის მოძღვრება, რომელიც უარყოფდა ქრისტესა და მამა ღმერთის თანასწორობას და ერთარსობას, ქადაგებდა, რომ ქრისტე დასაბამიდან არ არსებობდა მამა ღმერთთან ერთად, იგი შემდეგშია შექმნილი ადამიანის მსგავსად. ნიკეის კრებამ მიიღო საეკლესიო კალენდარი, დაადგინა ქრისტიანული იერარქია, შეიმუშავა სარწმუნოების სიმბოლოს „მრნამსის“ ტექსტი.
- ⁸⁵ მანის გამოქვაბული მდებარეობდა სეპუპის მთაზე, დარანალის გავარში, დასავლეთ ევფრატის ხეობაში.
- ⁸⁶ მაქსიმიანე – რომის იმპერატორ დიოკლეტიანეს (284-305) თანამმართველი, რომის იმპერიის დასავლეთ ნაწილის გამგებელი (286-305).
ლიცინიუსი – რომის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილის გამგებელი (311-324).
- ⁸⁷ რომის იმპერატორმა დიოკლეტიანემ 303 წ. გამოსცა პირველი ედიქტი ქრისტიანების წინააღმდეგ. ამის შემდეგ გამოიცა კიდევ სამი ასეთი ედიქტი, რომელთა მიხედვით იყრძალებოდა ქრისტიანობის ქადაგება და აღიარება. ყოველ ქრისტიანს საჯაროდ უნდა დაეგმო ქრისტიანობა. მათ რიცხვში მოხვდნენ დიოკლეტიანეს ცოლი და ქალიშვილი, რომლებიც აღიარებდნენ ქრისტიანობას. ედიქტის მოწინააღმდეგე ქრისტიანებზე დაწესებული იყო დევნა, ზოგჯერ სიკვდილით დასჯაც. სწორედ ამის შესახებ მოგვითხრობს ვარდანი.
- ⁸⁸ არეგი – სომხური წელიწადის (დამტკიცდა დვინის 554 წ. საეკლესიო კრებაზე) VIII თვე, შეესაბამება აპრილს.

- ⁸⁹ გრიგოლ განმანათლებელს ჰყავდა ორი ვაჟი: უფროსი ვრთანესი და უმცროსი არისტაკესი, რომლებიც წმინდა გრიგოლის შემდეგ სომხეთის მღვდელმთავრები გახდნენ.
- ⁹⁰ სანატრუკისა და გრიგორისის შესახებ უფრო ვრცლად მოგვითხრობენ მოვსეს ხორენაცი და იოანე დრასხანაკერტცი: გრიგოლ განმანათლებლის შვილიშვილი, ვრთანესის უფროსი ვაჟი გრიგორისი თრდატ III-მ დაადგინა ალბანთა ეპისკოპოსად. მასთან ერთად თრდატმა გაგზავნა სანატრუკ არშაკუნი. მან თრდატის სიკვდილის შემდეგ მოინადინა სომხეთის დაუფლება, დამკვიდრდა ფაიტაკარანში (მდებარეობდა მდ. არაქსია და მტკვარს შორის, კასპიის ზღვის ნაპირას). სანატრუკმა მოაკვლევინა გრიგორისი ბარბაროსებს ცხენ ქვეშ გაქელვით კასპიის ზღვის ნაპირზე, ვატნიანის ველზე. იგი დაკრძალეს სოფ. ამარასში (მდებარეობდა მცირე სიუნიქში, იგივე არცახში, სევანის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით) (მ. ხორენაცი გვ. 182; იოანე დრასხანაკერტელი. სომხეთის ისტორია, თარგმანი ი. აბულაძის, თბ., 1937, გვ. 6).
- ⁹¹ ხოსრო II კოტაკი – სომხეთის მეფე (330-338).
- ⁹² იულიანე – კონსტანტინე დიდის ძმისშვილი, რომის იმპერატორი (360-363). კონსტანტინე დიდს ჰყავდა სამი ვაჟი: კონსტანტი, კონსტანტინე და კონსტანციუსი, რომელთაც ანდერძით გაუყო იმპერია. ტახტისათვის მრავალწლიან ბრძოლაში კონსტანტინეს შთამომავლები დაიღუპნენ და იმპერატორი გახდა კონსტანციუსი (351-361).
- ⁹³ დვინი – ქალაქი დიდ სომხეთში, აირარატის ნაპანგის, ვოსტანის გავარში, აშენდა ხოსრო II კოტაკის დროს (330-338). V ს-ში სომხეთის დედაქალაქი გახდა, 640 წ. არაბებმა დაარბიეს, დაზარალდა 862 და 893 წ-ის მიწისძვრების დროს, 1236 წ. მონღოლებმა ააოხრეს. დვინი იყო შუა საუკუნეების სომხეთის მსხვილი სავაჭრო ცენტრი, რომელზეც გადიოდა

აღმოსავლეთისა და დასავლეთის შემაერთებელი საქარავნო გზები.

- ⁹⁴ ჩრდილო-კავკასიელი ტომების სომხეთზე ლაშქრობის შესახებ უფრო ვრცლად მოგვითხრობენ ფავსტოს ბუზანდი და მოვსეს ხორენაცი, მაგრამ მათი მონაცემები განსხვავებულია. ხორენაცი კონკრეტულად არ ასახელებს ამ ტომებს, ფავსტოს ბუზანდის ცნობით კი ეს ხალხები არიან მასქუთები, ჰუნები, გუგარები, ალანები, რომელთაც სათავეში ედგა მასქუთების არშაკიდი მეფე სანესანი. საბერძნეთიდან დაბრუნებულმა სომეხთა მხედართმთავარმა ვაჩემ, არტავაზდ მამიკონიანის ვაჟმა, ციხე-სიმაგრე ოშაკანთან (მდებარეობდა ეჩმიანინის ჩრდილოეთით) ბრძოლა გაუმართა სანესანს. მასქუთთა მეფე ამ ბრძოლაში დაიღუპა. ხორენაცი საერთოდ არ იხსენიებს მხედართმთავარ ვაჩეს, ხოლო ვარდანი წერს მისი ბრძოლაში დაღუპვის შესახებ, რაც უცნობია ფავსტოს ბუზანდისათვის (მ. ხორენაცი, ნ. III, თ. IX). საინტერესოა მოვსეს კალანკატუაცის ცნობა, რომელიც ამ ლაშქრობას თვლის არა ჩრდილო-კავკასიელთა, არამედ სანატრუკის მეთაურობით ალბანთა ჯარის თავდასხმად სომხეთზე (მოვსეს კალანკატუაცი. ალვანთა ქვეყნის ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძე-ტატიშვილმა, თბ., 1985, გვ. 31).

- ⁹⁵ ტირანი – სომხეთის მეფე (339-345).

- ⁹⁶ ვარდანი არ ასახელებს სპარსელი სარდლის სახელს. ფავსტოს ბუზანდისთან ის არის ადარბადაგანის სპარსელი მმართველი ვარაზ-შაპუჰი და სოფელს ეწოდება დალარისი, ხოლო ხორენაციისთან ის არის სპარსეთის მეფე შაპუჰი (ფავსტოს ბუზანდი, ნ. III, თ. XX; მ. ხორენაცი, ნ. III, თ. XVII). ტირანი დააპრმავებინა სპარსეთის შაჰმა შაპურ II-მ (309-379).

- ⁹⁷ ნერსეს დიდი – სომხეთის კათალიკოსი (353-373), გრიგოლ განმანათლებლის შთამომავალი.
- ⁹⁸ არშავ II – სომხეთის მეფე (345-367).
- ⁹⁹ ნიკეის I მსოფლიო საეკლესიო კრებაზე (325) დადგინდა ქრისტიანული იერარქია: რომის, ალექსანდრიის და ანტიოქიის ეპისკოპოსებს მიენიჭათ პატრიარქის პატივი, აქედან რომისა და ალექსანდრიის პატრიარქებს უბოძეს პაპის საპატიო წოდება. პროვინციებში საეკლესიო საქმეებს წარმართავდნენ არქიეპისკოპოსები, ხოლო ქალაქებში ეპისკოპოსები.
- ¹⁰⁰ ვალენტინიანე I – დასავლეთ რომის იმპერატორი (364-375).
- ¹⁰¹ ვალენტი – აღმოსავლეთ რომის იმპერატორი (364-378). ის იყო არიანობის მიმდევარი და დევნიდა ნიკეის კრების მომხრეებს, რასაც აღნიშნავს ვარდანიც.
- ¹⁰² თეოდოს I – რომის იმპერატორი (379-395). მისი სიკვდილის შემდეგ რომის იმპერია საბოლოოდ გაიყო აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილად.
- ¹⁰³ 381 წლის კონსტანტინოპოლში შედგა II მსოფლიო საეკლესიო კრება იმპერატორ თეოდოს I-ის ბრძანებით. კრება მიმართული იყო არიანელობის, კერძოდ მისი ერთ-ერთი მიმდინარეობის წინააღმდეგ, რომელიც იქადაგა კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსმა მაკედონმა (355-368) და აქედან მის მიმდევრებს მაკედონელები ეწოდათ. კრებამ აკრძალა ყველა რელიგიური მიმდინარეობა გარდა კათოლიკიზმისა, მაკედონის მომხრე 36 ეპისკოპოსი განკვეთა და გააძევა კრებიდან.
- ¹⁰⁴ იგულისხმება შაბურ II – სპარსეთის შაჰი (309-379).
- ¹⁰⁵ პაპი – სომხეთის მეფე (369-374).
- ¹⁰⁶ თეოდოსიოპოლი – იგივე კარინი, იგივე კარაბეკოლა. ქალაქი განახლდა თეოდოს II-ის (408-450) ბრძანებით მხედართმთავარ ანატოლის მიერ და იმპერატორის პატივსაცემად მისი

სახელი ეწოდა. ქალაქი მდებარეობდა სამხრეთ კავკასიის ისტორიულ მხარეში, კარინში. ამის გამო ქართული და სომხური წყაროები მას კარნუ-ქალაქს უწოდებენ. XI ს-დან ეწოდება არზრუმი.

- ¹⁰⁷ ფავსტოს ბუზანდის ცნობით, პაპმა ნერსესს სადილობისას მონამლული ღვინო დაალევინა (ფავსტოს ბუზანდი, წ. V, თ. 23).
- ¹⁰⁸ პაპის სიკვდილით დასჯის შესახებ მოგვითხრობენ ფავსტოს ბუზანდი და მოვსეს ხორენაცი, მაგრამ განსხვავებულია ამ წყაროთა დეტალები. ფავსტოს ბუზანდის მიხედვით, სარდალმა ტერენტიანოსმა სადილად მიიწვია სომეხთა მეფე და სუფრასთან მოაკვლევინა მეომრებს. ხორენაცი მოგვითხრობს, რომ იმპერატორის დალატისათვის ტერენტიანოსმა შეიძყრო პაპი და გაგზავნა თეოდოსთან, რომელმაც ბრძანა მისთვის ცულით თავის მოკვეთა (ფავსტოს ბუზანდი, წ. V, თ. 32; მ. ხორენაცი, წ. III, თ. 39). ვარდანთან ეს სარდალია არა ტერენტიანოსი, არამედ ანატოლი. დასჯის ფორმაც სხვაა – პაპი ზღვაში გადააგდეს.
- ¹⁰⁹ ვარაზდატი – სომხეთის მეფე (374-378).
- ¹¹⁰ 387 წელს ირანსა და რომს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლითაც სომხეთი ორად გაიყო. დასავლეთი ნაწილი ერგო რომს, აღმოსავლეთი კი ირანს. ბიზანტიის ნაწილში მეფობა გაუქმდა 391 წ., ირანის ნაწილში კი 428 წ.
- ¹¹¹ ვრამშაპუში – სომხეთის მეფე (387-414).
- ¹¹² მესროპ მაშტოცის ბიოგრაფის კორიუნის მიხედვით, მესროპმა სომხური ანბანი შექმნა სამოსატში (მესროპოტამია). მოვსეს ხორენაცი და ლაზარ ფარპეცი ასახელებენ სამოსა (მ. ხორენაცი, გვ. 223. Ղազაրայ Փարავելոյ Պատմითავს ჩაჟენ ხოთე აռ Վაհაն Մամիկոնեաნ, აշխ. Գ. Տեր-Մկրտչեան ხელში, 1904, ხე 12). ვარდანის ცნობით კი მესრობს ღვთის მარჯვენით თოთხმე-

ტი ასო გამოქასხა ბალუს მთაზე (ბალაპოვიტის მხარე, შემდეგდროინდელი დიარბექირის საფაშო). ბალუს მთა ამ ფაქტთან დაკავშირებით სხვა ძეგლებში დაფიქსირებული არ არის, ახსენებს მხოლოდ ვარდანი, ამიტომ მისი წყაროს დადგენა არ ხერხდება.

¹¹³ აქ ჩამოთვლილია კათალიკოს საპატი 1-ისა (387-436) და მეს-როპ მაშტოცის მოწაფეები, რომლებიც გაიგზავნენ სასწავლებლად სხვადასხვა ქვეყნებში, რათა შემდეგ მთარგმნელობითი საქმიანობა ენარმოებინათ. მათ მესროპთან ერთად თარგმნეს სომხურად „სოლომონის იგავები“, შემდეგ კი „ახალი აღთქმა“ (კორიუნი, გვ. 23; მ. ხორენაცი, გვ. 223). ვარდანის მიერ დასახელებულ მოწაფეთა შორის არიან სომები ისტორიკოსები: კორიუნი, მოვსეს ხორენაცი, ელიშე, ლაზარ ფარპეცი.

¹¹⁴ მესროპ მაშტოცის ეს მოწაფე, რომელსაც ვარდანი „ჯალელს“ უწოდებს, კორიუნთან და მოვსეს ხორენაცისთან ცნობილია „ჯალას“ სახელით. რაც შეეხება მესროპ მაშტოცის მიერ ქართული ანბანის შექმნას, დღეისათვის ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულია აზრი მისი არარეალურობის შესახებ (იხ. ეპისტოლეთა წიგნი. სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და კომენტარებით გამოსცა ზ. ალექსიძემ, თბ., 1968, გვ. 030, 047; უხტანესი. ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან. სომხური ტექსტი ქართული თარგმანითა და გამოკვლევით გამოსცა ზ. ალექსიძემ, თბ. 1975, გვ. 289-341; რ. პატარიძე. ქართული ასომთავრული, თბ., 1980, გვ. 19; ე. მაჭავარიანი. ქართული ანბანის გრაფიკული საფუძვლები, თბ., 1982; ა. აბდალაძე. „ქართლის ცხოვრება“ და საქართველო-სომხეთის ურთიერთობა, თბ., 1982, გვ. 168).

¹¹⁵ იგულისხმება იეზდიგერდ I – ირანის შაპი (399-420).

¹¹⁶ იგულისხმება ბაჟრამ V გური – ირანის შაპი (421-428).

- ¹¹⁷ ვარდანი აქ წყაროდ ასახელებს მოვსეს ხორენაცის, რომელიც მართლაც წერს, რომ ხოსროს შემდეგ იაზერტმა სომხეთში გაამეფა თავისი ვაჟი შაპუჰი (მ. ხორენაცი, გვ. 224).
- ¹¹⁸ იგულისხმება სომხეთის უკანასკნელი არშაკუნი შეფე არტაშესი (423-428). მოვსეს ხორენაცის ცნობით, არტაშესი იყო ვრამშაპუჰის ვაჟი, რომელსაც გამეფებისას სპარსელებმა არტაშირი უწოდეს (მ. ხორენაცი, გვ. 230).
- ¹¹⁹ იოსები სომებთა კათალიკოსი გახდა 441 წელს.
- ვაიოც ძორი მდებარეობდა სიუნიქის ტერიტორიაზე, სევანის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით.
- ¹²⁰ 431 წელს ქ. ეფესოში მოწვეულ იქნა III მსოფლიო საეკლესიო კრება თეოდოს II-ის (408-450) მიერ, რომელმაც ერესად გამოაცხადა ნესტორიანობა. ეს რელიგიურ-პოლიტიკური მოძღვრება V ს-ის I ნახევარში იქადაგა კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსმა ნესტორმა. ნესტორიანობის მიმდევრები უარყოფდნენ ქრისტეს ღვთიურ ბუნებას და ამტკიცებდნენ, რომ ღვთისმშობელი და იესო ქრისტე ჩვეულებრივი მოკვდავები იყვნენ, შემდგომ კი იესო სული წმინდის შთაგონებით მესიად გადაიქცა. ვარდანი არასწორად აღნიშნავს ეფესოს კრების თარიღს.
- ¹²¹ გიუტი კათალიკოსად აირჩიეს 461 წ., 471 წ. განდევნილ იქნა, შემდეგ განმარტოვდა ოთმუშში, სადაც 478 წ. გარდაიცვალა.
- ¹²² ნავასაარდი – სომხური წელიწადის I თვე, შეესაბამება აგვისტოს.
- ¹²³ მეპეკი – სომხური წელიწადის VII თვე, შეესაბამება თებერვალს.
- ¹²⁴ ჰროტიცი – სომხური წელიწადის XII თვე, შეესაბამება ივლისს.
- ¹²⁵ მარგაცი – სომხური წალიწადის XI თვე, შეესაბამება ივნისს.

31 რდან არეველცი

- ¹²⁶ 451 წელს ბიზანტიის იმპერატორმა მარკიანემ (450-457) მოიწვია IV მსოფლიო საეკლესიო კრება ქალკედონში. კრებამ ერესად გამოაცხადა ბიზანტიური არქიმანდრიტის ევტიქეს მოძღვრება მონოფიზიტობა, რომელიც უარყოფდა ქრისტეს ორბუნებიანობას და აღიარებდა მის მხოლოდ ლვთაებრივ ბუნებას.
- ¹²⁷ იოანე I მანდაკუნი – სომეხთა კათალიკოსი (478-490). ახალგაზრდობაში ის მონაწილეობდა სომეხთა ანტირანულ მოძრაობაში ვარდან მამიკონიანის ხელმძღვანელობით და დაიჭრა ხოსროვაკერტის ბრძოლაში.
- ¹²⁸ იოსებ კათალიკოსის გარდაცვალების შემდეგ, საპატრიარქო საქმეებს განაგებდნენ მოვსეს ხორენაცი, მისი უმცროსი ძმა მამბრე და ფილოსოფოსი დავითი.
- ¹²⁹ ეს ნაწყვეტი ეხება საუბარს მოვსეს ხორენაცსა და მიტროპოლიტ მელიტოსს შორის. დიალოგი გაიმართა V ს-ის II ნახევარში ქალკედონის კრების შემდეგ კონსტანტინოპოლიში. მასში მონაწილეობდნენ ერთი მხრივ, მოვსეს ხორენაცი და ფილოსოფოსი დავითი, მეორე მხრივ, იუბენალი, კორინთოს არქიეპისკოპოსი მამბრე, მაკედონიის მიტროპოლიტი მელიტოსი და იმპერატორ მარკიანეს მეუღლის კარის მღვდელი. ვარდანის „მსოფლიო ისტორიის“ რუსულად მთარგმნელის მ. ემინის აზრით, ჩვენს ავტორს ეს საუბარი აულია სომხური საეკლესიო ძეგლიდან, რომლის ხელნაწერი ემინს ხელთ ჰქონდა და მისი სათაურია „იუვენალის შეკითხვა და სომეხი გრამატიკოსის მოვსესისა და ფილოსოფოს დავითის პასუხი“ (Всеобщая история Вардана Великого, с. 88, пр. 218).
- ¹³⁰ თათული – საპაკისა და მესროპ მაშტოცის მოწაფე, V ს-ის II ნახევრის მოღვაწე. მის შესახებ მოვკითხობს ასოლიკი და კირაკოს განძაკეცი.
- ¹³¹ არშუმა – ქართლის პიტიახში V ს-ის 20-50-იან წე-ში. დაახლ. 450 წ. ის ქართველ, სომეხ და ალბანელ დიდებულებთან ერ-

თად დაბარებული იყო ირანში იეზდიგერდ II-ის (439-457) კარზე, სადაც ისინი იძულებულნი შეიქნენ ფორმალურად ელიარებინათ მაზდეანობა. შაჰმა არშუშა მძევლად დაიტოვა თავისთან (ლ. ჯანაშია. ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1962, გვ. 115-123).

- ¹³² ვარსექნი – ქვემო ქართლის პიტიახში V ს-ის 50-80-იან წე-ში, არშუშა პიტიახშის ვაჟი, იყო ირანის შაჰის პეროზის (459-484) პოლიტიკის გამტარებელი ქართლში. ის გაემგზავრა შაჰის კარზე 467 წ., ყოველგვარი ძალდატანების გარეშე შეიცვალა სარწმუნოება და იგივეს ითხოვდა თავისი მეუღლე შუშანიკისაგან, რომელიც მონამეობრივად აღესრულა. ვარსექნი მოაკვლევინა ვახტანგ გორგასალმა 482 წ. (ლ. ჯანაშია, დასახ. ნაშრომი, გვ. 139-142).
- ¹³³ იგულისხმება ვახტანგ გორგასალი, V ს-ის ქართლის მეფე, სამხრეთ კავკასიაში ანტიირანული მოძრაობის ხელმძღვა-ნელი.
- ¹³⁴ ჰეფთალები – იგივე თეთრი ჰუნები, შუა აზიის მომთაბარე ტომები, რომლებიც მომთაბარეობდნენ მდ. ამუდარის ჩრდილოეთი მდებარე სტეპებში. ირანის შაჰი პეროზი (459-484) მათთან ბრძოლაში დაიღუპა.
- ¹³⁵ ვალარში – ირანის შაჰი (484-488).
- ¹³⁶ ვაჰანი – ვარდან მამიკონიანის ძმისწული, სომეხთა 481-484 წწ. ანტიირანული აჯანყების მეთაური. 485 წ. სპარსეთის შაჰმა ვალარშმა ვაჰან მამიკონიანი სომხეთის სპარაპეტად დანიშნა. გარდაიცვალა 505 წელს.
- ¹³⁷ კავადი – ირანის შაჰი (488-531).
- ხოსრო I ანუშირვანი – ირანის შაჰი (531-579).
- ¹³⁸ იზიტბუზიტი – წარმოშობით სპარსელი, დვინის უმაღლე-სი მოგპეტის შვილი, ქრისტიანობის მიღებამდე იწოდებოდა მახოჭად. ის დვინში ეზიარა ქრისტეს რჯულს და ამის გამო 553 წ. მონამეობრივად აღესრულა სპარსელი მარზპა-

ვარდან არეველი

ნის ვეშნასპ-ვაპრამისაგან. მის შესახებ ცნობებს გვაწვდიან იოანე დრასხანაკერტცი, ასოლიკი, სამეულ ანეცი, მხითარ აირივანეცი, კირაკოს განძაკეცი.

- ¹³⁹ მოვსეს II ელივარდელი – სომეხთა კათალიკოსი (574-604).
- ¹⁴⁰ 554 წ. მოწვეულ დვინის საეკლესიო კრებაზე შემოღებული იქნა ახალი წელთაღრიცხვა, რომლითაც სომხური წელთაღრიცხვის პირველ წლად ითვლებოდა 552 წელი.
- ¹⁴¹ ვარდანის თხზულების ეს ნაწილი ეხება მნიშვნელოვან საკითხს საქართველო-სომხეთის ურთიერთობიდან, ქართველ-სომეხთა საეკლესიო განხეთქილებას 606-608 წნ-ში. VI ს-ის ბოლოს მონოფიზიტები ქართლში საბოლოოდ დამარცხდნენ და 451 წ. ქალკედონის კრების დადგენილება აღიარებულ იქნა ერთადერთ აღმსარებლობად. 35 ქართველი ეპისკოპოსიდან, რომლებიც მცხეთის კათალიკოსს ემორჩილებოდნენ, ცურტაველი ეპისკოპოსის მოსეს გარდა არც ერთი არ ემხრობოდა მონოფიზიტურ მოძღვრებას. 599 წ. ბართლომე კათალიკოსის სიკვდილის შემდეგ ქართლის კათალიკოსის ტახტი დაიკავა კირიონ I-მა (599-616), რომლის წარმოშობისა და განათლების შესახებ წერს ვარდანი. ქართველებსა და სომხებს შორის კონფლიქტის მიზეზი გახდა მოსე ცურტავის ეპისკოპოსის (წარმოშობით სომები) გამოსვლა 605 წ., რომელმაც ქალკედონიტური აღმსარებლობის გამო მხილება დაუწყო ერსა და წარჩინებულებს. მოსე და მისი ეპარქიის სომხური სამწყსო არ იზიარებდა ქართული ეკლესიის ქალკედონიტურ მრნამსს, ხედავდა მასში ეროვნული პოლიტიკის გატარების საშუალებას. კირიონი მიზნად ისახავდა მოეხდინა გუგარეთის შერეული მოსახლეობის ასიმილაცია და ღვთისმსახურებიდან ამოედო სომხური ენა. ამან გამოიწვია ცურტავის ეპისკოპოსის გამოსვლა. მისი ქადაგება მარცხით დამთავრდა და იძულებული გახდა სომხეთში გადასულიყო. სომხეთის

ეკლესიის მესვეურებმა მოსე ეპისკოპოსის და მონოფიზიტური სარწმუნოების დასაცავად, კირიონის დასაყოლიებლად ფართო წერილობითი პოლემიკა გამართეს. ამას აღნიშნავს ვარდანიც. მას შემდეგ, რაც მღვდელმთავართა მიმოწერამ არავითარი შედეგი არ გამოილო, აბრაამ სომეხთა კათალიკოსმა 608 წ. გამოსცა ე. წ. „საყოველთაო ეპისტოლე“, რითაც ქართველებთან და ალბანელებთან სომხებს ყოველგვარი კავშირი ეკრძალებოდათ, გარდა ვაჭრობისა. (იხ. უხტანესი, ეპისტოლეთა წიგნი).

¹⁴² ორმიზდ IV – ირანის შაჰი (579-590). ქურუმები და სამხედრო ელიტა ცდილობდა თავისი გავლენისათვის დაემორჩილებინა შაჰი. ორმიზდი თავის მხრივ წვრილ მინათმფლობელებსა და ქრისტიანებს ეყრდნობოდა. დაიწყო კონფლიქტი, რაც გადატრიალებითა და შაჰის სიკვდილით დასრულდა. ამას აღნიშნავს ვარდანი.

¹⁴³ ხოსრო II ფარვიზი – ირანის შაჰი (590-628).

მავრიკე – ბიზანტიის იმპერატორი (582-602).

ვაპრამი – იგულისხმება ვაპრამ ჩუბინი, რომელიც ორმიზდ IV-ის მოკვლის შემდეგ აჯანყდა და თავი შაჰან-შაჰად გამოაცხადა. ირანის ტახტის მემკვიდრე ხოსრო II წავიდა ბიზანტიაში და დახმარება სთხოვა იმპერატორ მავრიკეს, დაბრუნდა ჯარით და დაამარცხა ვაპრამი. ამას აღნიშნავს ვარდანი.

¹⁴⁴ ოტნ მასიაცი, არაგანი – გავარები აირარატის ნაჟანგში.

¹⁴⁵ ენწაკი სარი – მთა ვასპურაკანის ნაჟანგის ნახიჭევანის გავარში.

¹⁴⁶ არესტი, ჰაციუნი – სოფლები ვასპურაკანის ნაჟანგის ნახიჭევანის გავარში.

¹⁴⁷ 591 წ. ბიზანტიის იმპერატორ მავრიკესა და ირანის შაჰ ხოსრო II-ს შორის დაიდო „საუკუნო ზავი“, რომლითაც ირანმა დაუთმო ბიზანტიას ქართლის ნაწილი, ზემო მესოპოტამიის

31 რადან არეველცი

ნაწილი და სომხეთის დიდი ნაწილი ვანის ტპამდე. ირანის ძალაუფლების ქვეშ რჩებოდა მხოლოდ დვინი, სიუნიქი და ვასპურაკანი. ეს იყო სომხეთის მეორე გაყოფა.

- ¹⁴⁸ ვრკანი ძველი სომეხი ავტორების გაგებით მდეპარეობს ხორეზმა და პართიას შორის, კასპიის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით. ვარდანის მსგავსად მხითარ აირივანეციც მას საგასტანს უწოდებს (მ. აირივანეცი, გვ. 68, შენ. 71).
- ¹⁴⁹ აპრაამ I – სომეხთა კათალიკოსი (607-615), წარმოშობით რშტუნის გავარის სოფელ აღბათანიდან. მის დროს მოხდა ქართველ-სომეხთა საეკლესიო განხეთქილება (უხტანესი, გვ. 21).
- ¹⁵⁰ დვინის საეკლესიო კრება მოწვეულ იქნა 606 წელს.
- ¹⁵¹ ფოკა – ბიზანტიის იმპერატორი (602-610).
- ¹⁵² იგულისხმება ჰამადანი, იგივე ექბატანი, ქალაქი დასავლეთი ირანში. წყაროებში იხსენიება ძვ. წ. აღ-ით XI ს-დან. სხვადასხვა პერიოდში იყო მიდის, აქემენიდების, სელევკიდების, არაბების, მონღოლების, სეფიანების მფლობელობაში.
- ¹⁵³ კომიტას I – სომეხთა კათალიკოსი (615-628).
- ¹⁵⁴ იგულისხმება წმინდა რიფსიმე და მისი თანმხლები 50 ქალ-წული.
- ¹⁵⁵ ჰერაკლე – ბიზანტიის იმპერატორი (610-641).
- ¹⁵⁶ ეზრა I – სომეხთა კათალიკოსი (630-641).
- ¹⁵⁷ სომხური „ეზრ“, ნიშნავს ნაპირს, ზღვარს.
- ¹⁵⁸ გარდმანი – აღბანეთის ერთ-ერთი გავარი, მდებარეობდა შამქორის ხეობაში.
- ¹⁵⁹ იგულისხმება საბელიოზი (III ს.).
- ¹⁶⁰ ამ პერიოდის სპარსეთის სამეფო კარის ისტორიას დაწვრილებით მოვციოთხობს სეპეოსი. ვარდანი, როგორც ჩანს, წყაროდ იყენებს სეპეოსის თხზულებას, მხოლოდ ბევრად ამოკლებს. განსხვავებულია ვარდანთან და სეპეოსთან და-მოწმებული საკუთარი სახელები. სეპეოსთან – ხორემის

შემდეგ გამეფდა მისი მეუღლე ბებორი, ვარდანთან – ხოსროს ასული ბორი. მის შემდეგ, სებეოსთან – ხოსროს ასული აზარმიდუხტი, ვარდანთან – ზამრიკი (სებეოსი, გვ. 154-157).

- ¹⁶¹ საუბარია იმ ჯვარზე, რომელიც 614 წ. იერუსალიმის აღების დროს ხელში ჩაიგდეს სპარსელებმა და ქტესიფონში წაიღეს. ვარდანის ცნობით, ჰერაკლეს ეს ჯვარი დაუბრუნა ხორემმა.
- ¹⁶² ტაჭკასტანი – ასე ეწოდება სომხურ წყაროებში არაბეთს. საერთოდ ტაჭკიებს უწოდებენ სომები ისტორიკოსები მაჰმადიან ხალხებს.
- ¹⁶³ მუჰამედი (დაახლ. 570-632) – ისლამის ფუძემდებელი და რელიგიური მქადაგებელი. მუჰამედმა ღვთის შთაგონებით შეადგინა მუსლიმთა საღმრთო წიგნი „ყურანი“, ამ ახალი რელიგიური მოძღვრების გარშემო გააერთიანა არაბი ტომები და შექმნა ისლამური სახელმწიფო.
- ¹⁶⁴ თეოდოროს რშტუნი – სომხეთის სპარაპეტი არაბთა ბატონობის დროს. მისი მეთაურობით სომებთა ჯარმა დაამარცხა არაბები 642-643 წწ. შემოსევის დროს. 646 წ. ის დატყვევებული ჩაიყვანეს კონსტანტინოპოლიში, მაგრამ მალე გათავისუფლდა. 648 წ. დვინის კრებაზე მან აიძულა სომები ნახარარები უარი ეთქვათ ბიზანტიისადმი მორჩილებაზე. 652 წ. თეოდოროს რშტუნიმ კავშირი შეკრა სირიის მმართველ მოავისათან, რომლის თანახმად სომხეთი აღიარებდა არაბთა მფლობელობას გარკვეული შეღავათებით. არაბთა ხალიფა ოსმანმა (644-656) გააუქმა ეს ხელშეკრულება და 654 წ. შემოესია სომხეთს, აიღო დედაქალაქი დვინი და ტყვედ წაიყვანა ავადმყოფი თეოდოროს რშტუნი, რომელიც ტყვეობაში გარდაიცვალა.
- ¹⁶⁵ ნერსეს III – სომებთა კათალიკოსი 641-652 და 658-661 წწ.ში. მრავალი ეკლესიის აგების გამო იწოდა აღმშენებლად.

სეპტემბერის მიხედვით, ნერსე აღზრდილი იყო საპერძეოში, შესანიშნავად იცოდა ბერძნული ენა და ლიტერატურა. თავ-დაპირველად სამხედრო საქმეს გაჰყვა, შემდეგ კი სასულიერო გზა აირჩია, გახდა ეპისკოპოსი, შემდეგ კი კათალიკოსი. მან იმპერატორ ჰერაკლეს მოთხოვნით აღიარა ქალკედონის კრების გადაწყვეტილებანი, რითაც თანამემამულეთა უკამაყოფილება გამოიწვია და დატოვა საკათალიკოსო ტახტი (სეპტემბერი, წ. III, თ. 33-35).

- ¹⁶⁶ საუბარია ზვართნოცზე, წმინდა გრიგორის ტაძარზე, მდებარეობდა ეჩმიანინთან ახლოს, ერევნის მახლობლად. ზვართნოცი უკვე X ს-ში ნანგრევებად იყო ქცული.
- ¹⁶⁷ მოწამე დავითი წარმოშობით იყო სპარსელი, სამეფო ოჯახი-დან, ქრისტიანობის მიღებამდე იწოდებოდა სურპანად. იგი მოწამეობრივად აღესრულა დვინში. იზიტბუზიტის შესახებ იხ. შენ. 138.
- ¹⁶⁸ გრიგორ მამიკონიანი – არაბთა ხალიფა მოავია I-ის (661-680) მიერ დანიშნული სომხეთის მმართველი 664-684 წწ.-ში. ის დაიღუპა ხაზართა 685 წ. ლაშქრობის დროს სომხეთში.
- ¹⁶⁹ ჰერაკლე კეიისრის გარდაცვალების შემდეგ (641) ტახტზე ავიდა მისი ვაჟი პირველი ქორნინებიდან კონსტანტინე. მან სამი თვე იმედა. გაჩნდა ეჭვი, რომ ის მოწამლა დედინაცვალმა მარტინამ, რომელსაც თავისი ვაჟის ჰერაკლეონისათვის სურდა ტახტი. ვარდანს ეშლება, როცა წერს, რომ მარტინა კონსტანტინეს დედა იყო. 642 წ. სენატმა საშინელი სასჯელი გამოუტანა მათ: მარტინას ენა მოაჭრეს, მის ვაჟს კი ცხვირი. ტახტზე ავიდა ჰერაკლეს შვილიშვილი, კონსტანტინეს ვაჟი კონსტანტი (642-668).
- ¹⁷⁰ ვარაზ-ტიროცი – სომხეთის მმართველი (685-689).
- ¹⁷¹ ივულისხმება ირანში სასანიანთა დინასტიის დამხობა. დინასტიამ იბატონა 226-651 წწ.-ში. პირველი სასანიანი იყო არ-

- დაშირი (226-241), ხოლო უკანასკნელი იეზდიგერდ III (632-651). 633-651 წწ.-ში სასანიანთა ირანი არაბებმა დაიპყრეს.
- ¹⁷² მოავია I – სირიის მმართველი პირველი ხალიფების (632-661) დროს. 661 წ. სირიისა და ეგვიპტის ელიტამ ის ხალიფად გამოაცხადა (661-680). მან საფუძველი ჩაუყარა ხალიფების პირველ დინასტიას – ომაიანთა (661-750) დინასტიას. მოავია I-მა დედაქალაქი დამასკოში გადაიტანა.
- ¹⁷³ დრაკვანი – ოქროს ფულის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინი XI-XVI სს. ქართულ და სომხურ წყაროებში.
- ¹⁷⁴ ამის შესახებ ვრცლად მოგვითხრობს მოვსეს კალანკატუაცი. ვარდანთან დასახელებული ალბანეთის მმართველი ვარაზ-გორდატი კალანკატუაცისთან არის ვარაზ-თრდატი, ვარაზ ფეროზის ძე (მ. კალანკატუაცი, გვ. 109-110).
- ¹⁷⁵ ამის შესახებ იხ. შენ. 165.
- ¹⁷⁶ აქ საუბარია 645 წ. ნერსე III-ის მიერ დვინში მოწვეულ საეკლესიო კრებაზე, რომელზეც განიხილეს და დაგმეს ქალკედონის კრების გადაწყვეტილებანი.
- ¹⁷⁷ დპრავანქი – ცნობილი მონასტერი შირაკის გავარში. აქ VII ს-ში წინამძღვარი იყო ბარსელი, მეტსახელად ჭონი, რომელსაც კათალიკოსმა ნერსეს III-მ დაავალა სომხურ ეკლესიაში შესრულებული ჰიმნებიდან შეედგინა შარაკანების კრებული.
- ¹⁷⁸ აღთამარი – კუნძული ვანის ტბის სამხრეთ ნაწილში, ვას-პურაკანის ნაპანგში.
- ¹⁷⁹ ანასტას აკორელი – სომეხთა კათალიკოსი (661-667).
- ¹⁸⁰ ტაძარი ერევნის მახლობლად, სოფ. არუჭში, ახლანდელი თალიში, თალინის რაიონში. ის დღემდეა შემორჩენილი.
- ¹⁸¹ სურპანის შესახებ იხ. შენ. 167.
- ¹⁸² ანანია შირაკუნი, მეტსახელად ჰამაროლი ანუ მათემატიკოსი – VII ს-ის II ნახევრის ცნობილი სომეხი ფილოსოფოსი, მათემატიკოსი, კოსმოგრაფი, გეოგრაფი. განათლება მიიღო

ჯერ ქ. ანისში, შემდეგ კი სწავლობდა ტრაპიზონში ბერძენ მეცნიერ ტუსიკთან. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ გახსნა სკოლა, სადაც თვითონაც ასწავლიდა. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო უძრავი კალენდრის შედგენაში. ჩვენამდე მოღწეული მისი ნაშრომებიდან აღსანიშნავია: „არითმეტიკის სახელმძღვანელო“, „კოსმოგრაფია“, „მთვარის ციკლის ცხრილები“.

- ¹⁸³ ისრაელ ოთმუსეცი – სომებთა კათალიკოსი (667-677).
- ¹⁸⁴ საპატ ძოროფორეცი – სომებთა კათალიკოსი (677-703).
- ¹⁸⁵ ხაზარები – მომთაბარე თურქულენოვანი ხალხი. VII ს-ის შუა ხანებში ქვემო ვოლგისპირეთსა და ჩრდ. კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში დაარსეს ხაზართა სახაკანო, დედაქალაქი იყო ჯერ ქ. სემენდერი, შემდეგ კი ქ. ითილი. X ს-ის ბოლოს ხაზართა სახაკანომ არსებობა შეწყვიტა.
- ¹⁸⁶ ვარდანის ეს ცნობა ეხება 626 წ. გაზაფხულზე სპარსელთა ბრძოლას ქ. ქალკედონის ასაღებად, შაპრვარაზის მეთაურობით, სპარსელთა მეფე ხოსრო II-სა და ბიზანტიის იმპერატორ ჰერაკლეს მმართველობისას. სპარსელთა მოკავშირე იყო ავართა ხაკანი. საზღვაო ბრძოლაში ბერძნებმა გაიმარჯვეს. სებეოსი მთელ თავს უძღვნის ამ ბრძოლას (სებეოსი, წ. III, თ. 36).
- ¹⁸⁷ ვოსტიკანად იწოდებოდა არაბთა ხალიფას მიერ სომხეთში დანიშნული მოხელე.
- ¹⁸⁸ სომხეთის არაბი მმართველის მაჭმად II იბნ-მრუანის მიერ სევანის აღებას ახსენებენ მოვსეს კალანკატუაცი და მხითარ აირივანეცი. კალანკატუაცი ვრცლად მოგვითხრობს და ათარილებს ამ ბრძოლას 697 წლით (მ. კალანკატუაცი, წ. III, თ. 16; მ. აირივანეცი, გვ. 70).
- ¹⁸⁹ ვარდანთან დასახელებულ აბდალაპს მოვსეს კალანკატუაცი და მხითარ აირივანეცი უნოდებენ აბდალ აზიზს, რომელიც სომხეთის მმართველად დაინიშნა ხალიფა ვალიდის

(705-715) მიერ და არა მრუანის მიერ, როგორც ამას ვარდანი გადმოგვცემს (მ. კალანკატუაცი, ნ. III, თ. 17; მ. აირივანეცი, გვ. 70).

- ¹⁹⁰ ვარდანის ეს ცნობა ეხება 703 წ. სომეხთა აჯანყებას არაბთა წინააღმდეგ სმბატ ბაგრატუნის მეთაურობით. ამის შესახებ დაწვრილებით მოგვითხრობს ლევონდი. გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა სოფ. ვარდანაკერტთან, მდ. არაქსის ნაპირას. აჯანყებულებმა გაიმარჯვეს. გაქცეული არაბები გაყინულ მდ. არაქსზე გადავიდნენ, მაგრამ ყინული ჩატყდა და ბევრი მათგანი მდინარეში დაიხრჩო. არაბთა ამირა დამასკოში გაიქცა. ვარდანთან მოხსენებული ვარდი იყო თეოდოროს რშტუნის ვაჟი, აშოტი კი სმბატ ბაგრატუნის ძმა.
- ¹⁹¹ ეს წინადადება ვთარგმნეთ ვენეციის გამოცემის მიხედვით, მოსკოვის გამოცემაში ეს ადგილი იმდენად შერყვნილია, რომ ფაქტობრივად აზრი არა აქვს.
- ¹⁹² თუხარისი – ციხე-სიმაგრე ისტ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ტაოსა და კლარჯეთის საზღვარზე. საყურადღებოა, რომ ვარდანი თუხარისს ტაოში ათავსებს, ისევე როგორც ლევონდი. VII ს-ის სომხური „გეოგრაფიის“ მიხედვით კი თუხარისი კლარჯეთში მდებარეობს (U. Երեմյան. Կայստանը ըստ «Աշխարհացոյց»-ի, Էջ 111).
- ¹⁹³ იგულისხმება აბდ ალ-მალიქი – არაბთა ხალიფა (685-705) ომაიანთა დინასტიიდან.
- ¹⁹⁴ ვალიდი – არაბთა ხალიფა (705-715).
- ¹⁹⁵ ვარდანის თხზულებაში დათარიღება სომხური წელთაღრიცხვითაა. თარგმანში პარალელურად მოგვაქვს დათარიღება ქრისტეს დაბადებიდან.
- ¹⁹⁶ ამ ფაქტის შესახებ ცნობებს გვაწვდიან სხვა სომხური წყაროებიც (ლევონდი, მოვსეს კალანკატუაცი, მხითარ აირივანეცი. კირაკოს განძაკეცი). განსხვავებულია ამ წყაროთა დეტალები. კალანკატუაცი ასახელებს 697 წ., ვარდანი 701 წ.,

31 რდან არეველცი

და მიაკუთხნებს ამ ფაქტს ხალიფა ვალიდის დროს, გან-
ძაკეცის ცნობით კი, ეს მოხდა ხალიფა აბდალ-მალიქის
დროს (685-705), ღევონდის მიხედვით ხალიფა ვალიდის
პირველ წელს, ე. ი. 705/706 წ. (მ. კალანკატუაცი, გვ. 153;
ღევონდი, თ. VI. გვ. 21-24; კ. განძაკეცი, გვ. 71; მ. აირივა-
ნეცი, გვ. 70).

¹⁹⁷ ვაჰანი – გოლთნის მფლობელის ხოსროს ვაჟი 707 წ. და-
მასკოში წაიყვანეს ტყვედ, სადაც ძალით მიაღებინეს მაჰ-
მადიანობა. 719 წ. ის დაბრუნდა სომხეთში, თავის მამულში
და ხელმეორედ მოინათლა. აღესრულა მოწამეობრივად.

¹⁹⁸ ასეთივე ცნობა აქვთ ღევონდის და სტეფანოს ტარონეცის
(ღევონდი, გვ. 35, სტეფანოს ტარონეცი, გვ. 125; მ. ბერ-
ძნიშვილი. ღევონდის ცნობა ფოთის შესახებ, – თსუ შრომე-
ბი, 1944, XXVI, გვ. 201-221).

¹⁹⁹ ნერსეს ბაკურის შესახებ ვრცლად მოგვითხრობს მოვსეს
კალანკატუაცი. ნერსეს ბაკური იყო ქალკედონიტი, გარდ-
მანის ეპისკოპოსი. ის შეუთანხმდა ალბანეთის დედოფალს,
ვარაზ-თრდატის მეუღლეს, ქალკედონიტ სპარამს, რომ
დააყენებდა ალბანეთის კათალიკოსად. ეპისკოპოსმა იო-
ველმა ნერსესს ხელი მოაწერინა ქალკედონიტების შეჩვე-
ნებაზე და მხოლოდ ამის შემდეგ უხმო კათალიკოსად. იო-
ველის გარდაცვალების შემდეგ ნერსესმა თავისი ხელწე-
რილი სთხოვა მეწირანცის მონასტრის მამა ზაქარიას და
ეპისკოპოსობას დაპირდა. მან მისცა ნერსესს ხელწერილი,
რომელმაც იქვე ცეცხლში დაწვა, ზაქარია გახდა ეპისკოპო-
სი, ნერსესი კი დაუბრუნდა ქალკედონიზმს. ალბანელებმა
დახმარება სთხოვეს სომეხთა კათალიკოსას ელიას, რომელ-
მაც შეიპყრო ნერსესი, გადააბა ფეხით ფეხზე ქალკედონიტ
დედოფალთან და შორეულ ქვეყანაში აგზავნიდნენ, მაგრამ
ნერსესი 8 დღის შემდეგ გარდაიცვალა. ალბანეთის კათა-
ლიკოსი გახდა სიმეონი (მ. კალანკატუაცი, წ. III, თ. III-VII).

- ²⁰⁰ ითანე ოძუნეცი – სომეხთა კათალიკოსი (718-729), თავისი დროის ერთ-ერთი განსწავლული პიროვნება.
- ²⁰¹ მანაზკერტის კრება მოწვეულ იქნა 726 წ. კათალიკოს ითანე ოძუნეცის დროს. კრების მიზანი იყო მონოფიზიტური მრნამასის შესატყვისი ზიარების საიდუმლოს შემოლება, კერძოდ წყალგაურეველი ღვინისა და უცომო პურის მიღების დამტკიცება (არსენი საფარელი. განყოფისათვის ქართველთა და სომეხთა. ტექსტი კრიტიკულად დაადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ზ. ალექსიძემ, თბ., 1980, გვ. 15-17).
- ²⁰² იგულისხმება მერვან II იბნ მუჰამედი, არაბთა სარდალი, შემდგომში ომაიანთა დინასტიის უკანასკნელი ხალიფა (744-750), ქართული წყაროების მურვან ყრუ. ის სპეციალურად იყო გამოგზავნილი სახალიფოდან ხაზართა სახაკანოს დასამორჩილებლად, რომელიც არაბებს სამხრეთ კავკასიას ეცილებოდა. მან ილაშქრა სამხრეთ კავკასიაში 732-738 წწ.-ში. 750 წ. აბასიანებთან ბრძოლაში დამარცხდა, გაიქცა ეგვიპტეში, სადაც მალე მოკლეს (ს. ჯანაშია. არაბობა საქართველოში, – შრომები, II, გვ. 372-376).
- ²⁰³ კურაპალატი – მაღალი საკარისკაცო ტიტული ბიზანტიაში. მას ანიჭებდნენ ბიზანტიელები მათ მიერ დანიშნულ მმართველებს.
- ²⁰⁴ ვარაჩანი – ჰონთა დედაქალაქი, მდებარეობდა თანამედროვე ბუინაკანის ტერიტორიაზე.
- ²⁰⁵ კურა – მუსლიმი კანონთმცოდნე, ყურანის წამკითხველი და განმმარტებელი.
- ²⁰⁶ ვარდანის ეს ცნობა ეხება სომეხთა 748-750 წწ. აჯანყებას არაბთა წინააღმდეგ. აშოთ ბაგრატუნი და ზოგიერთი ნახარარი ცდილობდნენ შეეჩერებინათ აჯანყებულები იმ მოტივით, რომ სომხეთი ვერ სძლევდა ძლიერ არაბებს. აჯანყე-

ვარდან არეველცი

- ბულებმა აშოტი მოღალატედ გამოაცხადეს და დაპრმავეს. სომხეთის სპარაპეტი გრიგოლ მამიკონიანი გახდა.
- ²⁰⁷ ვარდანის ეს ცნობა ეხება სომეხთა 774-775 წწ. აჯანყებას არაბთა წინააღმდეგ, რომელსაც ხელმძღვანელობდა მუშეღ მამიკონიანი. გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა 775 წ. ბაგრევანის მხარის სოფ. არანანთან, რომელშიც დაიღუპნენ მუშეღ და სმბატ მამიკონიანები.
- ²⁰⁸ იგულისხმებიან სომეხთა კათალიკოსები: თრდატ ოთმუსეცი (741-764); თრდატ II (764-767); სიონ I ბავონეცი (767-775).
- ²⁰⁹ ესაია – სომეხთა კათალიკოსი (775-788).
- ²¹⁰ სტეფანოს I დვინელი – სომეხთა კათალიკოსი (788-790).
- ²¹¹ სოლომონ გარნეცი – სომეხთა კათალიკოსი (791-792).
- ²¹² ამ უცნაური ელჩობის შესახებ დაწვრილებით მოგვითხობს ლევონდი: 779 წ. ხალიფა მაჰმად-მაჰადმა (ხალიფა გახდა 778 წ.) იმპერატორ ლეონ IV-ს გაუგზავნა ელჩობა დიდი მუქარით. წერილთან ერთად ხალიფამ იმპერატორთან გაატანა ორი ფუთი მდოგვის მარცვალი, თან შეუთვალა, რომ მისი ქვეყნის დასაპყრობად გაგზავნის ამდენივე რაოდენობის ჯარს, თუ შეუძლია მოემზადოს ბრძოლისათვის. იმპერატორმა მიიღო ხალიფას გამოწვევა. ხალიფას ჯარი მისი ძმის, აბასის სარდლობით ქალაქის სამთვიანი უშედეგო ალყის შემდეგ საშობლოში გაბრუნდა (ლევონდი, გვ. 151-152).
- ²¹³ იგულისხმება სომეხთა 774-775 წწ. აჯანყება არაბთა წინააღმდეგ. იხ. შენ. 207.
- ²¹⁴ არშარუნიქი ანუ ერასხაძორი (სომხური ერასხის ე. ი. არაქ-სის ხეობა), აირარატის ნაჲანგის გავარი. არშარუნიქი ეკუთ-ვნოდა კამსარაკანებს, VIII ს-ში კი ბაგრატუნებს გადაეცათ.
- ²¹⁵ შირაკი – მდებარეობდა აირარატის ნაჲანგის ჩრდილო ნაწილში, მდ. ახურიანის ველზე. IX ს-დან შირაკი სომხეთის პოლიტიკურ-ეკონომიკური ცენტრი გახდა. აქ მდებარეობ-

და ქალაქები ანისი, შირაკავანი ანუ ერაზგავორი, მავრი-კაპოლისი და სხვა.

აშოცი – ქართული წყაროების აბოცი, ისტორიული მხარე სამხრეთ საქართველოში, გუგარქსა და აირარაფს შორის.

ტაო – ისტორიული მხარე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. ქართლის სამეფოს შექმნისას (ძვ. წ. აღ-ით VI-IV სს.)

ტაო მის შემადგენლობაში შევიდა. ძვ. წ. აღ-ით II ს-ში სომებმა სარდლებმა არტაქსიამ და ზარიადრმა ეს მხარე ჩამოაჭრეს საქართველოს, 591 წ. ბიზანტიამ შეიერთა. VIII ს-დან ტაო საქართველოს ფარგლებში მოექცა. XVII ს-ში თურქეთმა დაიპყრო და ამჟამადაც მის შემადგენლობაშია (დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, 1977).

- ²¹⁶ ვარდანის ეს ცნობა მეტად მნიშვნელოვანია ბაგრატიონთა გვარის პირველსაცხოვრისის დასადგენად. ვარდანი ბაგრატიონთა პირველსაცხოვრისად სპერს მიიჩნევს და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, აშოტ მსაკერ ბაგრატუნს (806-826) სმბატ ბივრიტიანის შთამომავლად თვლის. მას ეთანხმებიან მოვსეს ხორენაცი და ფავსტოს ბუზანდი. ხორენაცის ცნობით, არტაშეს I-ის (189-161) მმართველობის ხანის ცნობილი მხედართმთავრის სმბატ ბივრიტიანის (ბაგრატიონი) მამული სპერში იყო. ფავსტოს ბუზანდიც საგანგებოდ აღნიშნავს სპერს, როგორც ბაგრატიონთა სამშობლოს. აქ იყო მისი გადმოცემით მათი გამაგრებული ქალაქი სმბატოვანი, აშენებული სმბატ ბივრიტის ძის მერ. ამრიგად, ვარდანისა და სხვა სომხური წყაროების მონაცემებით, სმბატ ბივრიტიანის მამული სპერი იყო, ე. ი. წარმოშობით სმბატ ბივრიტიანი ანუ ბაგრატიონები ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ უძველესი მხარიდან არიან (მ. ხორენაცი, გვ. 71; ე. კვაჭანტირაძე. ვარდან არეველცი ბაგრა-

ტოიონთა წარმოშობის შესახებ, „ქართული წყაროთმცოდნეობა, VIII, თბ., 1993, გვ. 147).

- ²¹⁷ მოვსეს ხორენაცის ცნობით, გნუნების გვარი ასურეთის მეფე სენექერიმისაგან მომდინარეობს, რომლის შთამომავლებს სომეხმა მეფეებმა პიტიახშობა უბოძეს (მ. ხორენაცი, გვ. 87-88).
- ²¹⁸ ვარდანის ეს ცნობა ეხება 820 წ. შეთქმულებას ბიზანტიის იმპერატორ ლეონ V-ის (813-820) წინააღმდეგ, რომელიც დამთავრდა მისი მკვლელობით სასახლის ერთ-ერთ ტაძარში, მაგრამ ეს მოხდა არა აღდგომის დილას, როგორც ვარდანი წერს, არამედ ქრისტეშობის დღეს. იმპერატორი გახდა მიხეილ II (820-829).
- ²¹⁹ ალ-მამუნი – არაბთა აბასინი ხალიფა (813-833).
- ²²⁰ აშოტ I ბაგრატუნი – IX ს-ის 80-იან წწ-ში აღდგენილი შირაკის სამეფოს პირველი მეფე (886-890).
- ²²¹ კლარჯეთი – მხარე ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, მოიცავდა მდ. ჭოროხის ქვემო დინების აუზს. კლარჯეთის უძველესი ცენტრი იყო ციხე თუხარისი, ხოლო V ს-ის II ნახევრიდან არტანუჯის ციხე. IX ს-ში აშოტ I ბაგრატუნმა აღადგინა არტანუჯი და ტაო-კლარჯეთის ცენტრი გახდა. XVI ს-ში კლარჯეთი თურქეთმა მიიტაცა და ამჟამადაც მის შემადგენლობაშია.
- ²²² ნანა – სირიელი მქადაგებელი. კირაკოს განძაკეცის ცნობით, ის ცნობილი გახდა ქრისტიანული ქადაგებებით, რისთვისაც შეპყრობილი ხალიფა ჯაფარს (847-861) გაუგზავნეს. მხითარ აირივანეცის ცნობით, ნანამ დაწერა იოანეს სახარების განმარტებანი (კ. განძაკეცი, გვ. 77; მ. აირივანეცი, გვ. 72).
- ²²³ მუფარლინის შესახებ იხ. შენ. 18.
- ²²⁴ ოძ-ბერდი ნიშნავს „გველის ციხეს“, მდებარეობდა ტარონის გავარში.

- ²²⁵ ბაბანა – იგულისხმება ბაბექი, ნამდვილი სახელი ჰასანი, ანტიარაბული სახალხო აჯანყების ბელადი აზერბაიჯანსა და დასავლეთ ირანში 816-837 წწ.-ში. ვარდანი არასწორად აღნიშნავს ხალიფას სახელს, რომელმაც დაამარცხა ბაბექი. ეს იყო ხალიფა მუთასიმი (833-842), რომელმაც გაგზავნა ლაშქარი აფშინის მეთაურობით და 837 წ. აიღო ბაბექის ბოლო დასაყრდენი ციხე-სიმაგრე ბაზი. ბაბექი გაიქცა ალბანეთში. მოვსეს კალანკატუაცის ცნობით, ალბანელმა იშხანმა საპლ სმბატიანმა გასცა ბაბექი და გაუგზავნა ხალიფას (მ. კალანკატუაცი, გვ. 161). ბაბექი სიკვდილით დასაჯეს.
- ²²⁶ ვარდანის ცნობით, ტავროსის მოსახლეობამ, ხოლო მხითარ აირივანეცის ცნობით, სასუნელებმა მოკლეს სომხეთის ვოსტიკანი აბუსეთი. სასუნი ეწოდება ტავროსის მთიანეთის სამხრეთ ნაწილს (მ. აირივანეცი, გვ. 72).
- ²²⁷ ბულა-თურქი – არაბთა სარდალი, რომელიც 852 წ. სამხრეთ კავკასიაში არაბთა ბატონობის განსამტკიცებლად და ხალიფას ძალაუფლების აღსადგენად გამოგზავნა ხალიფა მუთავაქილმა (847-861).
- ²²⁸ ბაგრევანდის გავარი – მდებარეობდა აირარატის ნაპანგში, ვანის ტბის ჩრდილოეთით.
- ²²⁹ გაბელიანქი – ბასიანის გავარის (მდებარეობდა აირარატის ნაპანგში) ერთ-ერთი სანახარარო.
- ²³⁰ სომხური წყაროების ჯაფარი ხალიფა მუთავაქილია (847-861).
- ²³¹ იგულისხმება სენექერიმ არნრუნი, ვასპურაკანის სამეფოს უკანასკნელი გამგებელი (990-1021). თურქ-სელჩუკთა შემოსევებისაგან შევიწროებულმა სენექერიმმა 1021 წ. თავისი სამეფო ბიზანტიას (იმპერატორ ბასილ II-ს) გადასცა, თვითონ კი ოჯახით კაპადოკიაში გადასახლდა, სადაც პატრიკიოსის ტიტული და ქალაქები: სეპასტია, ლარისი და ავა-

რა მიიღო. სენექერიმის ასული იყო მარიამი, საქართველოს მეფის გიორგი I-ის მეუღლე და ბაგრატ IV-ის დედა.

- ²³² ვარდანს სრულად მოაქვს პირველ ბაგრატიონთა გენეალოგია და ამ ცნობათა საშუალებითაც ხდება შესაძლებელი კონსტანტინე პორფიროგენეტის მონაცემების შევსება-შესწორება, რომელსაც გამორჩენილი აქვს ბაგრატიონთა ორი თაობა (დაწვრ. იხ. ე. კვაჭანტირაძე. ვარდან არეველცი ბაგრატიონთა წარმოშობის შესახებ, გვ. 144-145).
- ²³³ აშოტ ხორციჭამია – სმბატ სპარაპეტის ვაჟი და დაბრმავებული აშოტ ბაგრატუნის შვილიშვილი, 802 წ. გახდა სომხეთის იშხანი, მისი სამფლობელო იყო ტარონი, გარდაიცვალა 824 წ.
- ²³⁴ სმბატ ბაგრატუნი აშოტის ძე, 826 წ. დაპრუნდა ბალდადიდან, სადაც მძევლად იმყოფებოდა, მისი ძმის ბაგრატის სამარაში წაყვანის (851) შემდეგ ხელში აიღო ძალაუფლება სომხეთში. იყო ბუღა თურქის თანამდგომი და მრჩეველი საქართველოში და სომხეთში ლაშქრობისას (852-855), ჩავარდა ტყვედ და ბუღამ სხვა მთავრებთან ერთად ის ბალდადში გაგზავნა. მიუხედავად სასტიკი წამებისა სმბატმა არ შეიცვალა სარწმუნოება და მონამეობრივად აღესრულა 855 წ. ამის გამო ეწოდა აღმსარებელი.
- ²³⁵ ეს საეკლესიო კრება მოწვეულ იქნა 862 წ. კათალიკოს ზაქარიას მიერ აშოტ I ბაგრატუნის ბრძანებით.
- ²³⁶ ნიკეის კრების შესახებ იხ. შენ. 84.
- ²³⁷ კონსტანტინოპოლის კრების შესახებ იხ. შენ. 103.
- ²³⁸ ეფესოს კრების შესახებ იხ. შენ. 120.
- ²³⁹ ვარდანიანები – სომეხთა ანტიორანული აჯანყების მონაწილეები, რომელთა მეთაური იყო სპარაპეტი ვარდან მამიკონიანი. 451 წ. ავარაირის ბრძოლაში ისინი დამარცხდნენ. ვარდანი და ბევრი მისი თანამებრძოლი დაიღუპა. შაჰმა იეზიდიგერდ II-მ (439-457) სასტიკად დასაჯა დანარჩენები.

სომებმა ისტორიკოსმა ელიშემ (V ს.) მიუძღვნა მათ ოხ-ზულება „ვარდანისა და სომებთა ომის შესახებ“. (Եղիշեի Վարդանանց պაտմიւթյուն, աշխ. Ե. Տեր-Մինասյանի, Ե., 1946).

- ²⁴⁰ ქალკედონის კრების შესახებ օხ. შენ. 126.
- ²⁴¹ დვინის საეკლესიო კრების შესახებ օხ. შენ. 176.
- ²⁴² ბიზანტიის იმპერატორმა იუსტინიანებ (527-565) კონსტანტინოპოლიში 553 წ. მოიწვია V მსოფლიო საეკლესიო კრება, მონოფიზიტებთან შერიგების მიზნით. პაპის ხანგრძლივი წინააღმდეგობის შემდეგ კრება მონოფიზიტების მიერ წა-მოყენებულ მოთხოვნებს დათანხმდა.
- ²⁴³ ბიზანტიის იმპერატორმა მავრიკემ (582-602) ქალკედონური მრნამსის განსასჯელად მოიწვია საეკლესიო კრება, რომელ-საც სომხური ეკლესიის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. კირაკოს განძაკეცის ცნობით, ამ კრებაზე დასასწრებად გაემგზავრნენ ვრთანეს და გრიგოლ ვარდაპეტები, რომელ-თაც ვერ მიაღწიეს კომპრომისს ბერძნებთან და შეაჩვენეს ისინი (კ. განձაკეცი, გვ. 63).
- ²⁴⁴ იოანე დრასხანაკერტცის (გვ. 12) და ასოლიკის (გვ. 88) ცნობით, იოანე მაიროვანელმა ამხილა სომხეთის კათალი-კოს ეზრას (630-641) ბერძნებისადმი გადახრა, რის გამოც ეზრამ განდევნა ის გარდმანის გავარში. ვარდანი კი წერს, რომ იოანე განდევნეს კავკასიაში ნერსეს III-მ და თეოდო-როს რშტუნიმ.
- ²⁴⁵ მხითარ აირივანეცის ცნობით, (მ. აირივანეცი, გვ. 68) ეს იყო ვარდან მამոკონიანი.
- ²⁴⁶ იესე შეიხის ძე – სომხეთის ვოსტიკანად დაინიშნა 870 წ. მისი სრული სახელი იყო ისა ծენ აშ-შეიხ აშ-შაიბანი (ი. ՀՅ-ვახიშვილი ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 100).
- ²⁴⁷ IX-X სს-ში ქართველი და სომეხი ხელისუფლები ამიერკავკა-სიის გაერთიანების პრეტენზიებით გამოდიან. სომხური წყა-

როები ხშირად აზვიადებენ სომეხ ბაგრატუნთა ძლიერებას, აღნიშნავენ ამ პერიოდში მათ მიერ მთელი სამხრეთ კავკა-სიის დაქვემდებარებას. ამის დადასტურებაა ვარდანის ეს ცნობაც. სომეხმა ბაგრატუნებმა სომხეთის გაერთიანებაც ვერ შესძლეს და მით უმეტეს ძნელი იყო მათთვის მთელი სამხრეთ კავკასიის დაუფლება. ამასთან ცხადია, რომ ბა-გრატუნებმა ნაწილობრივ მაინც განახორციელეს თავიანთი გეგმები. მათ ფეხი მოიკიდეს ქვემო ქართლში. ყოველივე ეს მეტისმეტად გადაჭარბებულად აისახა სომხურ წყაროებში. (ი. დრასხანაკერტცი, თომა არწუნი, ასოლიკი) (ა. აბდალაძე, „ქართლის ცხოვრება და საქართველო-სომხეთის ურთიერ-თობა“, გვ. 201-202).

- ²⁴⁸ ვარდანი ამ თარიღში უზუსტობას უშვებს. აშოტ I ბაგრა-ტუნი მეფედ გამოაცხადეს 886 წელს. სახალიფომ ცნო მისი უფლებები. ვოსტიკანმა აპმად იბნ-ისამ ხალიფა მუთავაქი-ლის სახელით მას გვირგვინი უბოძა. ბიზანტიის იმპერა-ტორმა ბასილ I-მაც (867-886) აღიარა აშოტი მეფედ. ამრი-გად, აღსდგა 428 წ. სომხეთში გაუქმებული მეფობა.
- ²⁴⁹ მოსკოვის გამოცემა აშოტ I-ის (886-890) მემკვიდრედ ასა-ხელებს პაპას, ხოლო ვენეციის გამოცემა სმბატს, რაც სწორია. აშოტ I-ის შემდეგ შირაკის ტახტზე ავიდა მისი ვა-ჟი სმბატ I (890-914). ვარდანი არასწორად აღნიშნავს სმბა-ტის გამეფების თარიღად 895 წ.
- ²⁵⁰ ერაზგავორი ანუ შირაკავანი – ქალაქი აირარატის ნაპანგის შირაკის გავარში, იყო სმბატ I ბაგრატუნის სამეფო რეზი-დენცია.
- ²⁵¹ ოუსუფი – ადარბადაგანის არაბი ამირა, რომელმაც 914 წ. წამებით მოკლული შირაკის მეფე სმბატ I დვინში ჯვარზე გააკრა.
- ²⁵² აშოტ II ბაგრატუნი ერკათი (რკინა) – შირაკის მეფე (914-928). იგი სმბატ I-ის მოკვლის შემდეგ სათავეში ჩაუდგა ან-

ტიარაბულ მოძრაობას სომხეთში, რომელიც რვა წელი მიმდინარეობდა (914-922) და წარმატებით დასრულდა. 922 წ. ბალდადის ხალიფა იძულებული გახდა აშოტისათვის გვირგვინი გამოეგზავნა.

- ²⁵³ იგულისხმება სომხეთა კათალიკოსი იოანე დრასხანაკერტცი (845/850-925/930). მან განათლება მიიღო სევანის მონასტერში მაშტოც ელივარდელთან. 897 წ. იოანე გახდა სომხეთის კათალიკოსი, გარდაიცვალა ვასპურაკანის მხარეში, ძორო-ვანქში. მას ეკუთვნის „სომხეთის ისტორია“, რომელიც მოიცავს პერიოდს უძველესი დროიდან 925 წლამდე და „სომხეთა მამამთავრების რიგი“. დრასხანაკერტცს მნიშვნელოვანი ცნობები მოეპოვება საქართველოს შესახებ. თხზულების ქართული თარგმანის პირველი ცდა ეკუთვნის ი. აბულაძეს (1937). ე. ცაგარეიშვილმა ქართულად თარგმნა თხზულების ის ნაწილი, რომელიც მოიცავს 786-925 წწ. ისტორიას (1965).
- ²⁵⁴ გაგიკ არწრუნი – ვასპურაკანის მთავარი, რომელმაც კავშირი შეკრა ადარბადაგანის ამირა იუსუფთან და იპრძოდა შირაკის ბაგრატუნთა სამეფოს, კერძოდ მეფე სმბატ I-ის წინააღმდეგ. 908 წ. მას ამირა იუსუფმა უბოძა ხალიფასაგან გამოგზავნილი გვირგვინი.
- ²⁵⁵ აბას II ბაგრატუნი – ჯერ ვანანადის მმართველი, შემდეგ 928-953 წწ.-ში შირაკის მეფე. მან დედაქალაქად გამოაცხადა ყარსი.
- ²⁵⁶ კამრჯააძორის მონასტერი და ჰორომოც-ვანქი ანუ ბერძენთა მონასტერი დაარსდა X ს-ში აირარატის ნაპანგში: კამრჯააძორი არშარუნიქის გავარში, ჰორომოც-ვანქი კი შირაკის გავარში.
- ²⁵⁷ სანაინი – სომხეთის ერთ-ერთი უძველესი, ცნობილი მონასტერი, მდებარეობდა ტაშირისა და უტიქის ნაპანგის საზღვარზე. მონასტერთან არსებობდა შუა საუკუნეების სომ-

31 რდან არეველცი

ხეთის ერთ-ერთი უმაღლესი სკოლა, სადაც მოღვაწეობდა ვარდან არეველცი.

- ²⁵⁸ ყარსი, კარი – ვანანდის დედაქალაქი, 928-961 წწ.-ში სომხეთის დედაქალაქი. 1065 წ. მას ბიზანტიის იმპერია დაეუფლა, 1074 წ. თურქ-სელჩუკებმა აიღეს და ყარსის საამიროს ცენტრი იყო, 1205-1206 წწ. ქართულმა ლაშქარმა დაიკავა. 1238-1239 წწ. მონღოლებმა აიღეს, XVI ს-დან ოსმალთა მფლობელობაშია, ამჟამად თურქეთის შემადგენლობაშია.
- ²⁵⁹ სტეფანოს II რშტუნი – სომეხთა კათალიკოსი (931-932). მის დროს საკათალიკოსო ტახტი აღთამარში იქნა გადატანილი.
- ²⁶⁰ სომეხთა კათალიკოსები თეოდოროს I რშტუნი (932-938); ელიშე I რშტუნი (938-943); ანანია I მოკაცი (943-967).
- ²⁶¹ სომეხთა კათალიკოსი ვაპანა I სიუნეცი (967-969).
- ²⁶² სომეხთა კათალიკოსი სტეფანოს III სევანეცი (969-971).
- ²⁶³ აშოტ III ბაგრატუნი, მწყალობელი, სომეხთა მეფე (953-977). მან გადაიტანა დედაქალაქი ანისში, შემოარტყა ქალაქს ზღუდე კოშკებით, ააშენა ეკლესია-მონასტრები.
- ²⁶⁴ სომეხთა მეფე სმბატ II ბაგრატუნი (977-990), აშოტ III-ის უფროსი ვაჟი.
- ²⁶⁵ X ს-ის II ნახევარში ჩრდილოეთ სომხეთში შეიქმნა ტაშირ-ძორაგეტის სამეფო ცენტრით ლორეში. მისი პირველი მეფე მართლაც იყო გურგენ I ბაგრატუნი (966-989), აშოტ III-ის უმცროსი ვაჟი, კვირიკიანთა სამეფოს დამაარსებელი. ვარდანი ჩამოთვლის გურგენის დაქვემდებარებაში მყოფ ტერიტორიებს და ციხეებს.
- ²⁶⁶ სომხითი – ქვემო ქართლის ეთნიკურ-გეოგრაფიული სახელთაგანი. წყაროებში X ს-დან გეხვდება. მისი შინაარსი იცვლებოდა დროთა განმავლობაში: XI-XIV სს.-ში სომხითი ერქვა მთელ ქვემო ქართლს რანიდან თბილისამდე; XV-XVIII სს.-ში სომხითი ენოდებოდა ქვემო ქართლის ერთ ნაწილს; XVIII ს-ის II ნახევარში კი სომხითი მოიცავს ბოლნისის,

- ტალავრის, მანხუტის, შულავრის და დებედის ხეობას, სა-ინტერესოა, რომ ვარდანი სომხითს ტაშირთან აიგივებს (დ. ბერძენიშვილი. ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, I, თბ., 1979, გვ. 35-41).
- ²⁶⁷ გაგი । ანისის მეფე (990-1020), აშოგ III-ის შუათანა ვაჟი.
- ²⁶⁸ სომეხთა კათალიკოსები: ხაჩიკ । არშარუნი (972-992) და სარგის । სევანეცი (992-1019).
- ²⁶⁹ შავი მთა – მთა ანტიოქიის მახლობლად, ისტორიულ სირია-ში. აქ ქართველებმა XI ს-ში მონასტერი დააარსეს.
- ²⁷⁰ ბიზანტიის იმპერატორები ნიკიფორე ფოკა (963-969) და იოანე । (969-976). ამ უკანასკნელს სომხური წყაროები კი-ურუანს უწოდებენ.
- ²⁷¹ იგულისხმება ბაგრატ III-ის (975-1014) ეგრის-აფხაზეთში გამეფება 977-978 წწ.-ში (კ. სამუშია, ბაგრატ მესამე, თბ., 2018).
- ²⁷² იგულისხმება მხითარ ანეცი, XII ს-ის ბოლოსა და XIII ს-ის დასაწყისის სომეხი ისტორიკოსი. მის თხზულებას „სელ-ჯუკების, ივერიელებისა და სომხების ისტორია“ ჩვენამდე არ მოუღწევია. ვარდანი იმოწმებს მხითარ ანეცის, როგორც წყაროს თავისი თხზულებისათვის. აქედან გამომდინარე ვარდანი პირველწყარო ხდება, რომლის საშუალებით შესაძლებელია მხითარ ანეცის თხზულების აღდგენა. ვარდანის ცნობით, მხითარ ანეცის უთარგმნია სპარსულიდან ასტრონომიული თხზულება, რომელიც ასევე დაკარგულია (D. Kouymjian. დასახ. ნაშრომი, გვ. 332-333).
- ²⁷³ სებასტია, ლარისა – ქალაქები კაბადოკიაში. სებასტია – თანამედროვე ქალაქი სივასი (თურქეთში). სენექერიმის შესახებ იხ. შენ. 231.
- ²⁷⁴ ვარდანი აქ უზუსტობას უშვებს, თითქოს გაგივ I-ს 3 შვილი ჰყავდა: იოანე, აშოგი და აბასი. სინამდვილეში კი გაგიკ ჰყავდა 2 შვილი: იოანე-სმბატი, შირაკის მეფე (1020-1042) და

ვარდან არეველცი

აშოთ IV ბაგრატუნი (1020-1041). ამას ადასტურებენ არის-ტაკეს ლასტივერტეცი და კირაკოს განძაკეცი. როგორც ეტყობა ვარდანი ვერ გარკვეულა ამ ორმაგ სახელში და ერთი სახელი ორად მიუჩნევია. ამასთან ვარდანი გაგიკის გარდაცვალების არასწორ თარიღს გვთავაზობს (995) სინამდვილეში კი გაგიკი მეფობდა 1020 წლამდე (არისტაკეს ლარტივერტეცი. ისტორია, ქართული თარგმანი გამოკვლევით, კომენტარებითა და საძიებლებით გამოსცა ე. ცაგარეიშვილმა, თბ. 1974, გვ. 65, 67; კ. განძაკეცი, გვ. 82-83).

²⁷⁵ გიორგი I – საქართველოს მეფე (1014-1027), ბაგრატ III-ის ძე.

²⁷⁶ ბასილი II ბულგართმმუსვრელი, ბიზანტიის იმპერატორი (976-1025).

²⁷⁷ დავით კურაპალატი – ტაოს მეფე. მის სამემკვიდრეო სამფლობელოს შეადგენდა იმიერტაო ჩრდილო ბასიანითურთ. 979 წ. აჯანყებული ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ გაწეული დახმარებისათვის ბიზანტიის ხელისუფლებამ დავით III-ს ვრცელი ტერიტორიები უბოდა (სამხრეთ ბასიანი, ჰარქის, აპაჭუნიქის, ჩორმაირის ოლქები, ციხეები სევუკი და არიჭი, ქ. კარინი). შემდეგში დავით კურაპალატი იმპერატორის წინააღმდეგ აჯანყებულ ბარდა ფოკას მიემხრო, მაგრამ მისი დამარცხების შემდეგ (989) იძულებული გახდა ბასილი კეიისრისათვის პატიება ეთხოვა და დათანხმებულიყო, რომ სიკვდილის შემდეგ მისი სამფლობელოები იმპერიას შეერთებოდა. მან დიდი როლი ითამაშა ბაგრატ III-ის ტახტზე აყვანასა და საქართველოს გაერთიანებაში. დავით III კურაპალატი გარდაიცვალა 1001 წ. (ჯ. სამუშია, ბაგრატ მესამე).

²⁷⁸ უხტიერი (ქართ. ოლთისი) – ციხე-ქალაქი ტაოში, მდებარეობდა მდ. ოლთისის შუა დინების რაიონში.

მამრუანი – ქალაქი ტაოში.

აპაჰუნიქი – ტურუშერანის ნაპანგის ერთ-ერთი გავარი. მანაზერტი – მდებარეობდა ტურუშერანის ნაპანგის ჰარქის გავარში, დაარსდა ძვ. წ. აღ-ით IX-VIII სს-ში. 968-969 წნ. ბარდა ფოკამ წაართვა ეს ქალაქი არაბებს, შემდეგ მერვანიდების თურქული დინასტიის მფლობელობის ქვეშ მოექცა. X ს-ის 80-იან წლებში დაიკავა დავით III კურაპალატმა. დავითის სიკვდილის შემდეგ მანაზერტი ბიზანტიის ხელში გადავიდა. 1071 წ. მანაზერტთან მოხდა ცნობილი ბრძოლა სელჯუკებსა და ბიზანტიელებს შორის, რომელშიც სელჯუკებმა გაიმარჯვეს და აიღეს ეს ქალაქი.

²⁷⁹ პეტრე I გეტადარი (მდინარის მომაქცეველი), სომეხთა კათალიკოსი (1019-1058). ის აქტიურ მონანილეობას იღებდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, იყო ანისის სამეფოს ბიზანტიისათვის გადაცემის ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი. (Կ. Կոստასიան. Պեტրոս I Գետაძე, Վაղարշապատ, 1897).

²⁸⁰ გიორგი I-მა ისარგებლა ბასილი II-ის ბულგარებთან ომით, გადალახა ბიზანტიის საზღვარი და ტაო დაიბრუნა. 1021 წ. ბიზანტიელთა ჯარი საქართველოში შემოიჭრა. 1022-1023 წწ. გიორგი I დათანხმდა ზავის მძიმე პირობებს. სადავო ტერიტორია ბიზანტიამ მიერთა.

²⁸¹ ვარდანის ცნობას ბასილ II-ის ხალდიაში (ქართლ. ჭანეთი, მდებარეობდა ტაოს დასავლეთით) გამოზამთრების შესახებ ადასტურებს სუმბატ დავითის ძე. ის წერს: ბასილი „ნავავიდა და დაიზამთრა ქუეყანასა ხალდიასა ქალაქსა ტრაპიზონტას“ (სუმბატ დავითის ძე. ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. არახამიამ, თბ., 1990, გვ. 55).

²⁸² ვაჰამი – XIII ს-ის სომეხი ისტორიკოსი, რომლის თხზულებებს ჩვენამდე არ მოუღწევია.

- ²⁸³ რეი – ქალაქი ჩრდილოეთ ირანში, ხორასანთან ახლოს, ძველი რაგა.
- ²⁸⁴ ნამაზი არაბული სიტყვაა და ნიშნავს ლოცვას.
- ²⁸⁵ ხორასანი – ოლქი ჩრდილო-აღმოსავლეთ ირანში. ტაპარასტანი – ოლქი ჩრდილოეთ ირანში.
- ყაზინი – ქალაქი ჩრდილო-დასავლეთ ირანში, დაარსდა შაბურ I (242-272) დროს, იყო შუა საუკუნეების ირანის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი, XVI ს-ის II ნახევარში სეფიანთა დედაქალაქი.
- ²⁸⁶ ნიშაბური – ქალაქი ხორასნის ოლქში, სახელი მომდინარეობს შაბურ I-დან (242-272), რომელმაც გააშენა ეს ქალაქი. ისფაპანი – იხ. შენ. 26.
- ²⁸⁷ შაპნაი – ქალაქის გამგებელი აღმოსავლურ წყაროებში.
- ²⁸⁸ ამ გეოგრაფიული სახელების მდებარეობის დასადგენად საინტერესოა კ. განძაკეცის ცნობა, რომელიც აღწერს მეფე ჰეთუმ I-ის მანგუ ყაენთან სტუმრობიდან დაბრუნებას: „მეფე ჰეთუმ და მისმა ამალამ გადმოლახა მდ. ჯეხუნი (თანამ. მდ. ამუდარია – ე. კ.) და შემოვიდა მარმინში“. აქედან გამომდინარე დადაღანი და მერმინი მდ. ამუდარის ახლოს, მის გადაღმა მდებარეობდა (კ. განძაკეცი, გვ. 224).
- ²⁸⁹ სწორი ფორმაა თოლრულ-ბეგი, დიდ სელჯუკთა პირველი სულთანი (1038-1063), სელჯუკთა სახელმწიფოს დამაარსებელი. XI ს. 40-50-იან წწ-ში მან დაიპყრო ხორასანი, ხვარაზმი, ირანის დიდი ნაწილი, აზერბაიჯანი, ერაყი. 1048 წ. შეიჭრა სომხეთში, 1055 წ. დაიკავა ბაღდადი და აიძულა არაბთა ხალიფა დაეთმო მისთვის სულთნის და „აღმოსავლეთისა და დასავლეთის“ მეფის ტიტული. ამას აღნიშნავს ვარდანი.
- ²⁹⁰ იგულისხმება ადუდ ად-დაულა ალფ-არსლანი – დიდ სელჯუკთა დინასტიის სულთანი (1063-1072). 1064 წ. შეიჭრა სომხეთში, აიღო და დაანგრია ანისი. ალფ-არსლანმა ორ-

ჯერ (1064, 1068) ილაშქრა საქართველოში და დაიკავა მისი სამხრეთი პროვინციები (ნ. შენგელია. სელჩუკები და საქართველო XI ს-ში, თბ., 1968, გვ. 219-248).

- ²⁹¹ მალიქ-შაჰ I-ის დროს (1072-1092) სელჯუკთა სახელმწიფომ თავისი ძლიერების მწვერვალს მიაღწია. სომები ისტორიკოსები სიმპათიით არიან განწყობილნი მალიქ-შაჰისადმი და აღნიშნავენ მის კეთილგანწყობას სომები ხალხის მიმართ (მათეოს ურჰაეცი, კირაკოს განძაკეცი, ვარდანი).
- ²⁹² იგულისხმება რუქ ად-დინ ბერკიარუკი – სელჯუკთა დინასტიის სულთანი (1094-1105).
- ²⁹³ იგულისხმება მუჰამედი ანუ კირაკოს განძაკეცისთან მოხსენებული მულეპიდები (მულაპიდები, მულიდები), იგივე ასასინები-ისმაილიტები. სექტა დაარსებულია ჰასან საბახის მიერ. მათი რეზიდენცია იყო ალამუთი. სულ 50-მდე ციხე-სიმაგრეს ფლობდნენ. მათ შესახებ შედარებით ვრცლად საუბრობს განძაკეცი (კ. განძაკეცი, გვ. 150).
- ²⁹⁴ კეჩარი – მონასტერი აირარატის ნაპანგში, სევანის ტბის დასავლეთით.
- მარმაშენი – სომხეთის სახელგანთქმული მონასტერი შირაკის გავარში, მდ. ახურიანის მარცხენა ნაპირზე, აგებულია 986-1029 წწ-ში ვაპრამ ფაჰლავუნის მიერ.
- ²⁹⁵ ვარდანი ერთმანეთში ურევს თოლრულ-ბეგსა და მის ძმას ჩაღრი-ბეგს. ამ პერიოდში თოლრულ-ბეგს სამხრეთ კავკასიაში არ ულაშქრია (ნ. შენგელია, დასახ. ნაშრომი, გვ. 168-169).
- ²⁹⁶ ბაგრატ IV – საქართველოს მეფე (1027-1072).
ლიპარიტ ბაღვაში – კლდეებარის ერისთავი XI ს-ის 30-იან წწ-ში, ბიზანტიის აგენტი და მისი პოლიტიკის გამტარებელი საქართველოში, იბრძოდა ბაგრატ IV-ის წინააღმდეგ. მეფემ რამდენჯერმე შემოირიგა ლიპარიტი და მას ქართლის ერისთავობა უბოძა. 1054 წ. ის სამხრეთ საქართველოს

მთავარი გახდა. 1058 წ. ბაგრატ IV-მ ლიპარიტი შეიძყრო და ბერად აღკვეცა ანტონის სახელით. ამის შემდეგ ის კონსტანტინოპოლში გადასახლდა და იქვე გარდაიცვალა (ჯ. სამუშაო, ბაგრატ IV, თბ., 2018; უ. Երեմյան. Լիպარիտ գործակար և Նրա საխորհները, – Ն. Մադի անվան կაբիნეთի აշխაտის 103-149).

²⁹⁷ ბიზანტიის იმპერატორები მიხეილ IV პაფლაგონი (1034-1041), მიხეილ V კალაფატი (1041-1042).

²⁹⁸ ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე IX მონომახი (1042-1055).

²⁹⁹ ვარდანი არასწორად აღნიშნავს იოანე-სმბატისა და მისი ძმის აშოტის გარდაცვალების თარიღს. ისინი აღესრულნენ 1041 წ. პრობიზანტიურმა დაჯგუფებამ სარგის ვესტის ხელ-მძღვანელობით დაიწყო ბრძოლა შირაკის ბიზანტიისათვის გადასაცემად. მათ წინააღმდეგ გამოვიდა ვაჰრამ ფაჰლა-ვუნის ჯგუფი, რომელთაც ტახტის პრეტენდენტად აშოტის შვილი გაგიკი წამოაყენეს. გაგიკ II გახდა ანისის მეფე (1041-1044). 1044 წ. კონსტანტინე მონომახმა (1042-1055) დაიბარა შირაკის უკანასკნელი მეფე გაგიკ II, დააპატიმრა, კაპადოკიაში გაგზავნა და აიძულა შირაკის სამეფო ბიზანტიისათვის გადაეცა. გაგიკმა ბიზანტიაში კონსტანტინე მონომახის ნებით იქორწინა დავით არწრუნის (ვასპურაკანის უკანასკნელი მმართველის სენექერიმ არწრუნის ვაჟის) ქალიშვილზე. 1079 წ. გაგიკი ჩამოახრჩვეს.

³⁰⁰ იგულისხმება გრიგოლ ფაჰლავუნი მაგისტროსი (990-1059), პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, მეცნიერ-ენციკლო-პედისტი, ციხე-სიმაგრე ბიჯნისის (მდებარეობდა ერევნის ჩრდილოეთით) და ტარონის გამგებელი. 1045 წ. მან თავისი სამფლობელო ბიზანტიას დაუთმო, გადასახლდა ბიზანტიაში და მჭიდროდ დაუკავშირა თავისი ბედი ბიზანტიის პოლიტიკას აღმოსავლეთში. გრიგოლ ფაჰლავუნის შესახებ

ცნობებს გვაწვდის არისტაკეს ლასტივერტცი. მისი მონათხობით, გრიგოლმა ჩააბარა იმპერატორს ბიჯნისი იმის გამო, რომ გაგიკ II-ს სამშობლოში აღარ აბრუნებდნენ. ამისათვის მიიღო მაგისტროსის ხარისხი და მიწები მესოპოტამიაში მექევიდრეობითი უფლებით (ა. ლასტივერტცი, გვ. 70).

- ³⁰¹ იგულისხმება იბრაჰიმ იანალი – თოლრულ-ბეგის ბიძა, მონაცილეობას იღებდა 1047-1048 წწ. სომხეთზე თურქ-სელჯუკთა ლაშქრობაში.
- ³⁰² აქ საუბარია 1048 წ. ამბებზე, როცა ლიპარიტ IV ბაღვაში მონაწილეობდა თურქ-სელჯუკთა წინააღმდეგ ბრძოლაში ბიზანტიის მხარეზე. ბიზანტიელები დამარცხდნენ. ლიპარიტი ტყვედ ჩავარდა. 1051 წ. ის გამოისყიდა ტყვეობიდან კონსტანტინე მონომახმა. ამ ბრძოლის შესახებ ცნობები მოეპოვება არისტაკეს ლასტივერტცის (ა. ლასტივერტცი, გვ. 84-85).
- ³⁰³ ფარისოსი ანუ მიაფორი – ისტორიული გავარი სომხეთში, IX ს-დან შევიდა შირაკის სამეფოში. მოგვიანებით ამ გავარს ფლობდნენ მხარგრძელები, იყო ალვანთა კათალიკოსების რეზიდენცია.
- ³⁰⁴ შოთასი – შესაძლოა იყოს სოტკი, სიუნიქის ერთ-ერთი ოლქი, მდებარეობდა სევანის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით (პ. თოფურია. აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები XI-XII საუკუნეებში, თბ., 1975, გვ. 60).
შამირამი – ციხე-სიმაგრე ვასპურაკანის ნაპანგში.
- ³⁰⁵ პარზუანი – იგულისხმება მარზუბან იბნ-მუჰამედი, შადა-დიანთა სახელმწიფოს მმართველი (978-985).
ლელქარი – იგულისხმება ალ-ლაშქარი იბნ-მუჰამედი, შადა-დიანთა სახელმწიფოს მმართველი (955-978) (პ. თოფურია, დასახ. ნაშრომი, გვ. 59-66).

- ³⁰⁶ ბარდავი – ისტ. ქალაქი თანამ. აზერბაიჯანის სამხრეთში. მოვსეს კალანკატუაცის ცნობით, სპარსეთის მეფის პეროზის ბრძანებით ვაჩემ, ალბანეთის მეფემ ააშენა დიდი ქალაქი პეროზაბატი, რომელსაც ახლა პარტავს უწოდებენ (მ. კალანკატუაცი, გვ. 39). V ს-ში ალბანეთის სამეფოს სატახტო ქალაქი იყო, VIII ს-ში არაბებმა დაიპყრეს. ქართულმა ლაშქარმა რამდენიმეჯერ დალაშქრა ბარდავი (1067-1068; 1192-1193). XIII ს-ში მონღოლთა შემოსევების შედეგად ბარდავი სოფლად გადაიქცა.
- შამქორი – ქალაქი განძის ახლოს, მის ჩრდილო-დასავლეთით. VII ს-ში დაიპყრეს არაბებმა. თამარ მეფემ ის მხარგრძელებს უბოძა. ამის შემდეგ შამქორი ქართული ისტორიული პროვინციის სასაზღვრო ქალაქია და ეკუთვნის მხარგრძელ-გაგელებს. მონღოლთა 1235 წ. შემოსევის დროს ის აიღო და დაწვა მოლარ ნოინმა.
- ³⁰⁷ იგულისხმება ფადლ I იბნ მუჰამედი – შადადიანთა სახელმწიფოს ერთ-ერთი ძლიერი მმართველი (985-1031). მის სახელთანაა დაკავშირებული ამ სახელმწიფოს გაფართოება-გაძლიერება, შადადიანთა აღზევება. ის თავისი ქრისტიანი მეზობლების და კერძოდ, საქართველოს მიმართ აგრესიულ პოლიტიკას ატარებდა. ფადლონის წინააღმდეგ დაახლ. 1010-1014 წწ.-ში გაერთიანებული ლაშქრობა მოაწყვეს ბაგრატ III-მ (975-1014) და გაგიკ სომეხთა მეფემ (990-1020) და სძლიეს მას. „მატიანე ქართლისა“-ს ცნობით, ფადლონმა „ითხოვა შენდობა, აღუთქუა დღეთა შინა სიცოცხლისა მისისათა მსახურება, გაუკუუთა ხარაჯა და დაუნესა თავის-თავითა ლაშქრობა მტერთა მისთა ზედა“ (მატიანე ქართლისა, – ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბ., 1955, გვ. 280; პ. თოფურია, დასახ. ნაშრომი, გვ. 65-77). შესაძლოა, ვარდანი სწორედ ამ ლაშქრობაზე მიუთითებს.

- ³⁰⁸ ფილიპე – გრიგოლ მაგისტროსის მეოთხე, უმცროსი შვილი.
- ³⁰⁹ ხაჩენი – ქალაქი და ციხე არცახში.
- გოროზი – შესაძლოა იყოს გოროზის ციხე, რომელიც მდებარობდა მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ახლანდელი გორისი.
- სევორდიქი – უტიქის ნაჟანგი.
- ვარდანის თხზულების ეს ნაწილი მნიშვნელოვანია შადა-დიანთა სახელმწიფოს ისტორიის შესასწავლად.
- ³¹⁰ წანარები – მთიელი ტომები, უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ დარიალის ხეობაში. მათი სახელის მიხედვით ამ მხარეს წანარეთი ეწოდებოდა. წანარებმა VIII ს-ის II ნახევარში საფუძველი ჩაუყარეს კახეთის სამთავროს (საქორეპისკოპოსოს) და აქტიურად მონაწილეობდნენ VIII-XI სს-ის კახეთის სახელმწიფოს ცხოვრებაში. არაბული წყაროები წანარეთს სანარიას უწოდებენ (მ. ლორთქიფანიძე). ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება (IX-X სს.), თბ., 1963, გვ. 137-150. თ. პაპუაშვილი. რანთა და კახთა სამეფო (VIII-IX სს.), თბ., 1982, გვ. 26-54).
- ³¹¹ ქორეპისკოპოსი – საეკლესიო-იერარქიული თანამდებობა, ბიზანტიაში სოფლის სამრევლო ეკლესიის ხელმძღვანელი. თავდაპირველად საქართველოშიც ასეთივე დატვირთვა ჰქონდა. შემდგომში საქართველოში ქორეპისკოპოსის ინსტიტუტმა ცვლილება განიცადა. ამ ტიტულს კახეთის სამთავროს პოლიტიკური მეთაურები ატარებდნენ. ვარდანის მსგავსად ქორეპისკოპოსად იწოდებიან კახეთის (წანარეთის) მფლობელი მთავრები სხვა სომხურ (იოანე დრასხანაკერტცი, უხტანესი, „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანი) და არაბულ წყაროებშიც (თ. პაპუაშვილი დასახ. ნაშრომი, გვ. 255-285).
- ³¹² ახალქალაქი – ქალაქი სამხრეთ საქართველოში. IX-X სს-ში გადაიქცა ქალაქად. X ს-დან საუფლისწულო მამული იყო.

ქალაქის გამაგრება-შემოზღუდვა დაიწყო ბაგრატ III-ის დროს და დასრულდა ბაგრატ IV-ის დროს. XI ს-ში ახალქალაქი ჯავახეთის პოლიტიკურ-ეკონომიკური ცენტრი გახდა. XI ს-ის 60-იან წლები ის ალფა-არსლანის ურდოებმა ააოხრეს. სწორედ ამ ფაქტს აღნიშვნავს ვარდანი. XIII ს-ში ქალაქი მონღოლებმა გადაწვეს (ე. ჯანდიერი. ჯავახეთის ახალქალაქის ისტორიისათვის, ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, I, თბ., 1969, გვ. 48-56).

სამშვილდე – ერთ-ერთი უძველესი ციხე-ქალაქი ისტორიულ ქვემო ქართლში, ლეონტი მროველის მიხედვით მეფე ფარნავაზის მიერ დაარსებული სამშვილდის საერისთავოს ცენტრი, ააშენა ქართველთა ეთნარქმა ქართლოსმა, ადრე ენოდებოდა ორბის ციხე. VIII-IX სა-ში სამშვილდე თბილისის საამიროს ექვემდებარებოდა, IX ს-ის ბოლოს კი ანისის სამეფოს. X ს-ის ბოლოს იყო ტაშირ-ძორაგეტის სამეფოს დედაქალაქი. სწორედ ამ პერიოდს ეხება ვარდანის ეს ცნობა. აქ საუბარია ალფა-არსლანის 1064 წ. საქართველოზე ლაშქრობაზე, რომლის შემდეგ ბაგრატ IV-მ დაიბრუნა სამშვილდე, წაართვა ის ტაშირ-ძორაგეტის მეფე კვირიკე II-ს (დ. ბერძენიშვილი, ნაკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, I, თბ., 1979, გვ. 58-80).

³¹³ ბაგრატ IV-ის და კატანი იყო ტაშირ-ძორაგეტის მეფის კვირიკე II-ის მეუღლე. მათი ასული, ანუ ბაგრატ IV-ის დისწული შეირთო ცოლად ალფა-არსლანმა.

³¹⁴ თეოდორა – ბიზანტიის დედოფალი (1055-1056).

³¹⁵ რომან IV დიოგენი – ბიზანტიის იმპერატორი (1067-1071). ვარდანის მსგავსად არისტაკეს ლასტივერტციც დიოგენს მოიხსენიებს ფორმით: დიოჟენი, ტივაჟენი, ტიავჟენი. ვარდანი ამ ამბების და საერთოდ ამ პერიოდის ბიზანტიის ისტორიისათვის, ჩანს, წყაროდ იყენებს ლასტივერტცის თხზულებას, თუმცა საგრძნობლად ამოკლებს. დიოგენის

ბრძოლას სპარსელების წინააღმდეგ ლასტივერტცი მთელ თავს უძლვნის (თავი XXV).

- ³¹⁶ ყარსის მეფე გაგიკ ბაგრატუნი (1029-1064). 1064 წ. მან ბიზანტიას გადასცა თავისი მამული. 1081 წ. მოკლეს ბერძნებმა.
- ³¹⁷ ვაჰრამი – გრიგოლ მაგისტროსის უფროსი ვაჟი, კათალიკოსი იყო გრიგოლ II-ის სახელით (1065-1105).
- ³¹⁸ მისრი – ეგვიპტე.
- ³¹⁹ კარმირ ვანქი (წითელი მონასტერი), იგივე ჰენძუცის მონასტერი, მდებარეობდა კარინის გავარში.
- ³²⁰ ანტიოქია – ძველი სირიის მნიშვნელოვანი კულტურულ-რელიგიური ცენტრი. ძვ. წ. აღ-ით 300 წ. დააარსა სელევკ I-მა და სელევკიდების სამეფოს დედაქალაქად გამოაცხადა.
- ³²¹ ბახეი და კაპანი – ციხე-სიმაგრეები სიუნიქში.
- ³²² იგულისხმება მანუჩიჟრ იბნ შავურ I (1072-1118), ანისის შადადიანი ამირა (პ. თოფურია, დასახ. ნაშრომი, გვ. 93-94).
- ³²³ ბარსეღ I – სომეხთა კათალიკოსი (1105-1113). კირაკოს განძაკეცის მიხედვით ის კათალიკოსი იყო 1081 წლიდან. იხ. შენ. 336.
- ³²⁴ ალამუთი – ციხე-სიმაგრე ელბრუსის მთებში (ჩრდ. ირანი). იყო ასასინების რეზიდენცია 171 წლის განმავლობაში.
- ³²⁵ იგულისხმება პრომ-კლა ანუ ბერძნული ციხე, მდებარეობდა კილიკიაში, იყო სომეხი მთავრის გოლვასილის საკუთრება. 1147 წ. კათალიკოსმა გრიგოლ III-მ (1113-1166) აქ საკათალიკოსო ტახტი გადაიტანა.
- ³²⁶ ანდრიონი – ციხე-სიმაგრე ანტიოქიის მახლობლად.
- ³²⁷ თეოდორა და ზორა – ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე VIII-ის (1025-1028) ქალიშვილები.
- ³²⁸ სისი, ადანა – კილიკიის ქალაქები.
- პაპარონი, ლამბრონი – ციხეები კილიკიაში.
- ³²⁹ შირაკის სამეფოს გაუქმებაზე იხ. შენ. 299.

- ³³⁰ გიორგი II – საქართველოს მეფე (1072-1089). XI ს-ის 80-იან წნ-ში დაიწყო ე. წ. „დიდი თურქობა“. გიორგი II მალიქ შაჰს ეახლა და მორჩილება გამოუცხადა. საქართველო თურქ-სელჯუკთა მოხარკე გახდა (რ. მეტრეველი, ჯ. სამუშაა. მეფეთ მეფე გიორგი II, თბ., 2003). ამ ფაქტს სწორად აღნიშნავს ვარდანი.
- ³³¹ ვარდანი ტაშირ-ძორაგეტის მეფის კვირიკე I-ის (1048-1089) ზუსტ გენეალოგიას გვთავაზობს: ის იყო დავით ანპოლინის (989-1048) შვილი, ტაშირ-ძორაგეტის პირველი მეფის გურგენის (966-989) შვილიშვილი და ანისის მეფე აშოტ III-ის (953-977) შვილთაშვილი.
- ³³² ლორე – ციხე-ქალაქი ტაშირში, X ს-ის II ნახევარში ჩამოყალიბებული ტაშირ-ძორაგეტის სამეფოს დედაქალაქი. 1118 წ. დავით აღმაშენებელმა ლორე საქართველოს შემოუერთა, 1186 წლიდან მხარგძელთა სამფლობელოა. 1236 წ. ლორე მონლოლებმა დაარბიეს, XVI-XVIII სს-ში ირანელთა და ოსმალთა ლაშქრობების შედეგად განადგურდა. ვარდანის ცნობას დავით ანპოლინის (989-1048) მიერ ლორეს აშენების შესახებ ადასტურებს მხითარ აირივანეციც (მ. აირივანეცი, გვ. 77).
- ³³³ აპასი და დავითი – ტაშირ-ძორაგეტის უკანასკნელი მეფეები, კვირიკე I-ის (1048-1089) ვაჟები.
- ³³⁴ შუა საუკუნეების სომეხი ავტორები ხმელთაშუა ზღვას უწოდებდნენ ოკეანეს.
- ³³⁵ ვარდანთან დასახელებულ პენენიკთა მეფეს მხითარ აირივანეცი პინენკის მეფეს უწოდებს. ის უნდა იყოს პაჭანიკების ხანი ჩელგუ, რომელიც 1087 წ. 80 ათასი მეომრით თავს დაესხა ბიზანტიის იმპერატორს ალექსი I კომნენოსს (1081-1118) (მ. აირივანეცი, გვ. 78).
- ³³⁶ კირაკოს განძაკეცის ცნობით, მას შემდეგ რაც კათალიკოსი გრიგორისი რომში გაემგზავრა და დატოვა ტახტი, მეფე

კვირიკე II-მ 1081 წ. საკათალიკოსო ტახტზე დასვა ბარსელ I (კ. განძაკეცი, გვ. 86).

- ³³⁷ ვარდანი არასწორად ასახელებს მალიქ-შაჰის საფლავის ადგილს მარანდში. ეს შესაძლებელია გადამწერთა შეცდომაც იყოს, რომლებმაც ხორასანის ქალაქი მერვი, სადაც სინამდვილეში დასაფლავებულია მალიქ-შაჰი მამამისის ალფარს-ლანის გვერდით, შეცვალეს ვასპურაკანის ქალაქ მარანდით (Всебощая история Вардана Великого, გვ. 150, შენ. 523).
- ³³⁸ მალიქ-შაჰს ჰყავდა არა ორი ვაჟი, როგორც ვარდანი წერს, არამედ ოთხი, შემდეგში სულთნები: მაჰმუდი (1092-1094), ბაქიარუხი (1094-1105), მუჰამედი (1105-1118) და სანჯარი (1118-1157).
- ³³⁹ ვარდანთან დასახელებულ ჰალაპს არისტაკეს ლასტივერტცი მოიხსენიებს ფორმით ჰალპ (თანამედროვე ალეპო).
- ³⁴⁰ სარგისი – სომეხთა კათალიკოსი (1073-1077); თოროსი კათალიკოსი გახდა 1077 წ.
- ³⁴¹ იგულისხმებიან ნაჯმ ად-დინ ილ-ღაზი და სუქმანი – ართუკიანთა საგვარეულოს ფუძემდებლის, 1091-1092 წწ. იერუსალიმისა და ჰალესტინის გამგებლის, ართუკის ვაჟები. ისინი მამის სიკვდილის შემდეგ მართავდნენ იერუსალიმს, 1098 წ. კი იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ ჰალესტინა. სუქმანი წავიდა დიარბექირში, შემდეგ მონაწილეობდა ჯვაროსანთა წინააღმდეგ ბრძოლებში, გარდაიცვალა 1105 წ. ილღაზი 1108 წლიდან გახდა ართუკიანთა საგვარეულოს მეთაური, განაგებდა ჰალაპის (ალეპოს) ოლქს ჩრდილოეთ სირიაში და დიარბექირის დიდ ნაწილს. მან 1121 წ. აგვისტოში ილაშქრა საქართველოზე, დიდგორის ბრძოლაში დამარცხდა, თავში დაიჭრა და ამის შედეგად 1122 წ. ნოემბერში გარდაიცვალა (გ. ჯაფარიძე. ნაჯმ ად-დინ ილ-ღაზი, – კრ. დავით აღმაშენებელი, თბ., 1990, გვ. 207-226).

³⁴² ეს ცნობა ეხება ჯვაროსანთა პირველ ლაშქრობას (1097-1099). ვარდანი ჩამოთვლის ამ ლაშქრობის მონაწილეებს: კონდოფრი-ლოტარინგიელი რაინდების მეთაური გოტფრიდ ბულონელი, 1099 წ. შექმნილი იერუსალიმის სამეფოს პირველი მეფე; ბალდუინი – გოტფრიდ ბულონელის ძმა, შემდეგში ედესის საგრაფოს მმართველი; პამუნდი – სამხრეთი ტალიის ჯვაროსნების ხელმძღვანელი ბოჰემუნდ ტარენტელი, შემდეგში ანტიოქიის საგრაფოს მმართველი; ტანკრი – მარკიზ ვილჰელმის შვილი; ზნჯილი – სამხრეთი საფრანგეთის ჯვაროსნების ხელმძღვანელი რაიმონდ ტულუზელი, შემდეგში ტრაპოლის საგრაფოს მმართველი; რობერტი-ნორმანდიელი ჯვაროსნების ხელმძღვანელი ჰერცოგი რობერტი.

ალექსი – ბიზანტიის იმპერატორი ალექსი I კომნენოსი (1081-1118).

³⁴³ ნუნე – ქართველთა განმანათლებელი წმინდა ნინო ამ ფორმით იხსენიება სომხურ წყაროებში.

³⁴⁴ კონსტანტინე – კილიკიის სომხური სამთავროს მმართველი (1092-1110), კილიკიის მმართველი რუბენიდების დინასტიის (1080-1226) დამაარსებლის რუბენის ვაჟი.

³⁴⁵ კილიკიის სომხური სამთავროს მმართველები: თოროსი (1110-1129) და ლევონი (1129-1137), კონსტანტინეს ვაჟები.

³⁴⁶ XI ს-ის უკანასკნელი მეოთხედიდან XII ს-ის 80-იან წლებამდე კაპადოკიაში დანიშმენდიანთა დინასტია იყო გაბატონებული. ამ დინასტიის დამაარსებელი იყო ემირი აპმედ დანიშმენდი, რომელსაც ახსენებს ვარდანი. ის თავდაპირველად სელჯუკი სულთნების სამსახურში იყო, შემდეგ ხილიჭარსლან I-თან ბრძოლაში გამარჯვებით დამოუკიდებლობა მოიპოვა, განსაკუთრებით სახელი გაითქვა ჯვაროსნებთან ომებში. (გ. ალასანია. ქართველების და დანიშმენდიანე-

ბის ურთიერთობის წარსულიდან, – პროფ. ნ. შოშიაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კრებული).

- ³⁴⁷ პეტევანი – იგულისხმება გრაფი ვილჰელმ პუატიე, პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის ერთ-ერთი სარდალი.
- ³⁴⁸ გოლვასილი – სომები მთავარი, რომელმაც XI ს-ის 80-იან წწ-ში ჩრდილო-დასავლეთ მესოპოტამიაში ჩამოაყალიბა ფეოდალური სამთავრო ცენტრით კესუნი. მის შემადგენლობაში შედიოდა აგრეთვე რაბანი, პრომ-კლა, მარაში. გოლვასილს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ჯვაროსნებთან. ამას ადასტურებს ვარდანის ცნობაც დანიშმენდისაგან ანტიოქიის მთავრის ბოჭემუნდის გამოსყიდვის შესახებ. ასეთივე ცნობა აქვს დაცული მათეოს ურჰაეცის (Մათეთის ისტორია, მამას აკადემიური გამოცემის, აზუ. ქ. მართის სახელი, თ., 1973, ხ 294).
- ³⁴⁹ მარდინი – ქალაქი დიარბექირის პროვინციაში.
- ³⁵⁰ სომხური წყაროების მიხედვით, ემირ დანიშმენდს 12 შვილი დარჩა. მათი სახელებია: ისმაილი, გუმუშ თეგინი, იალიბასანი, იბრაჰიმი და სხვა. ვარდანის, ისევე როგორც სხვა სომები ავტორების მიხედვით, ემირ დანიშმენდის მემკვიდრე იყო მელიქ ლაზი (გ. ალასანია, დასახ. ნაშრომი).
- ³⁵¹ იხ. შენ. 338; 370.
- ³⁵² ბარსელ I-ის შესახებ იხ. შენ. 323; ვაჰამის შესახებ იხ. შენ. 317.
- ³⁵³ იგულისხმება სომებთა კათალიკოსები გრიგოლ III მელრიკი (1113-1166) და მისი ძმა ნერსეს IV შნორჰალი (1166-1173).
- ³⁵⁴ სომხური წელიწადის თერის თვე შეესაბამება ნოემბერს.
- ³⁵⁵ ასეთივე ცნობა აქვს დაცული მხითარ აირივანეცის (ზ. აირივანეცი, გვ. 79).
- ³⁵⁶ კასტალონი – მონასტერი კილიკიაში.
- ³⁵⁷ ტრიპოლის აღებას იერუსალიმის მეფის ბალდუინისა (1100-1118) და გრაფ რაიმონდ ტულუზელის შვილის ბერდრანის

(ტრაპოლის საგრაფოს მმართველი) მიერ მათეოს ურჟაეცი ათარიღებს 1109 წლით (მ. ურჟაეცი, გვ. 122).

- 358 օցլուսեմբեծա տորոսո, զոլոցուս սամտաշրու թմարտզելո (1110-1129).

359 ցցցի ॥ – անուսու յշանասյնելո մեռյ, օ. Շեն. 299.

360 Ռուլրո – մոնասքրո մազ մտածյ.

361 աղտամարու մոնասքրու մոռձարո, արյուղուսկոքուս դազուտո ցանցագա կատալոյու ցրոցոլն, մոնինցու կրյեծ գա 1113 ն. արհեցա ոյնա աղտամարու կատալոյուսագ ոմուս սագուժելն, րածյց մոցազութերոնք զարգանո. 1114 ն. կատալոյուսա ցրոցոլմա մոնինցու սակատալոյուսու կրյեծ, րոմելուց դաց- մոճուլ ոյնա դազուտու սայցուցու, մացրամ օ, Ցուրցցամացրյ- ծուլո սամլացալոյեծու նանուլուս մերունո, կըլազ րիեծունա կատալոյուսագ. այցան հայպարա սագուժելո դամուկուցածու սակատալոյուսու բաթիւ աղտամարնո.

362 1112 ն. ցոլցասուլուս ցարդացալոյեծու Շեմգեց, մուսու սամ- ցոլոյելո ցագացու զասուլ յամսարայանու ելունո, րոմելուց ոմչուլա դա ցածարդա ցոլցասուլմա.

363 ցցորց զարդացեւու մելրուկո – Ցնոծուլո սոմյեն մնոցնոնարո, սալցուուսմեցուցու Ցրոմեծու դա լուցուցու ազգորո. ման գուգու Ցուլուլարոնք մոուշուզ 50 նլունո ցանցացուլուտա դա կոլուկու դրանարցու մոնասքրու դաարսեծու. սամյուլ անցու, Տիյոյանու ործելունո դա կորայու ցանծակցու մուսու ցարդացալոյեծու տարունագ 1113 ն. ասաելուցեն, զարդանո դա մատյու յուրէացու յո 1114 ն. (յ. ցանծակցու, ց. 91; մ. յուրէաց- ու, ց. 198; Պատմութիւն և ահանգիւն Սիսական, արարեալ Ստեփանոսի Օրբելեան արքեպիսկոպոսի Սիւնեաց. Թիֆլիս, 1910, էջ 43. Սամուելի քահանայի Անեցւու հաւաքմունք ի գորոց պատմագրաց, աշխ. Ա. Տեր-Միքելեանի, Վաղարշապատ, 1893, էջ 123).

- ³⁶⁴ ამიდი – ქვ. ქალაქი მდ. ტიგროსზე, ახლანდელი დიარბექი-რი (თურქეთში).
- ³⁶⁵ იგულისხმება ურკას გრაფი ბალდუინ ბურჟელი, რომელმაც დაატყვევა ვასილ კამისარაკანი და უარი ათქმევინა თავის სამფლობელოზე. ასე გაანადგურეს ჯვაროსნებმა ერთ-ერთი ძლიერი სამთავრო კილიკიაში, რასაც აღნიშნავს ვარდა-ნიც.
- ³⁶⁶ აბელხარიბი და ლიკოსი – ანტიოქიის მმართველის ვასაკ ფაპლავუნის ვაჟები, რომელიც 1078 წ. მოკლეს ბერძნებ-მა. აბელხარიბის რეზიდენცია იყო ციხე-სიმაგრე ბირი 1117/1118 წლამდე.
- ³⁶⁷ ბაგრატი – გოლვასილის ძმა, ახლო ურთიერთობაში იყო ჯვაროსნებთან. ის დაეხმარა ბოლდუინ ბურჟელს ურკა-საკენ მიმავალი ბევრი სტრატეგიული პუნქტის დაკავებაში. ბაგრატი იყო ქ. რავენდანის მფლობელი, რომელიც მას დამ-სახურებისათვის ბოლდუინმა უბოძა. ის ფლობდა აგრეთვე ქ. გურისს, გამაგრებულ ქალაქს ალეპოს ჩრდილოეთით. ბოლდუინ ბურჟელმა ბოლოს მას მთელი სამფლობელოები წაართვა.
- ³⁶⁸ კონსტანტინე – სომეხი მთავარი, ქ. კარკარის (კილიკია) მფლობელი. ბოლდუინის მიერ მის დატყვევებას და სა-მუსატის ციხეში ჩაკეტვას ადასტურებს მათეოს ურკაეცი (მ. ურკაეცი, გვ. 338).
- ³⁶⁹ იერუსალიმის მეფის ბოლდუინ I-ის შემდეგ გვირგვინი მიიღო მისმა ძმისშვილმა ბოლდუინ II-მ (1118-1131).
- ³⁷⁰ ტაფარი – იგულისხმება სელჯუკიანი სულთანი მოჰამედი (1105-1118), რომელიც წყაროებში ზოგჯერ ტაფარად იხსე-ნიება.
- მელიქი – იგულისხმება მელიქ თოლრული, ყაზვინის, ზენ-ქარის, გილანის მმართველი, 1121-1122 წწ.-ში არანისა და განძის გამგებელი. დავით ალმაშენებლის ისტორიკოსის

ცნობით, ეს მელიქი იყო სულთან მაჰმუდის ძე. შ. მესხიას ვარაუდით, ის იყო სულთნის არა ძე, არამედ ძმა. ამ საკითხის გასარკვევად მნიშვნელოვანია ვარდანის ეს ცნობა, რომლის მიხედვით, მაჰმუდი და მელიქი ძმები არიან, სულთან ტაფარის (მოჰამედის) ვაჟები (ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, – ქართლის ცხოვრება, I, გვ. 340; შ. მესხია. ძლევაი საკვირველი, თბ., 1972, გვ. 97-98).

³⁷¹ ალექსი I კომნენოსის შემდეგ ბიზანტიის იმპერატორი გახდა იოანე II (1118-1143).

³⁷² დავით IV აღმაშენებელი – საქართველოს მეფე (1089-1125). დავითმა სელჯუკთაგან გაათავისუფლა თბილისი 1122 წელს.

³⁷³ დინარი – არაბული ოქროს მონეტა.

³⁷⁴ ხლათი – ქალაქი ვანის ტბის ჩრდილო-დასავლეთით, XII ს-ის დამდეგს წარმოქმნილი ხლათის სასულთნოს, იგივე შაჰარმენთა სახელმწიფოს დედაქალაქი (Ա. Տեր-Ղևոնյան. Արաբական ամիրայությունները Բագրատուսյաց Դայաստանում, Ե., 1965, էջ 36).

³⁷⁵ გაგი – ციხე-სიმაგრე ქვემო ქართლში, მდ. დებედას ქვემო წელში. წყაროებში პირველად XI ს-ში იხსენიება. ციხე მდებარეობდა სავაჭრო მაგისტრალზე. ის საქართველოს სახელმწიფოს ფორპოსტს წარმოადგენდა სამხრეთ-აღმოსავლეთში.

ტერუნაკანი – ციხე-სიმაგრე ქ. შამქორის მიდამოებში.

კაიანი, კაინონი, მაჰკანაბერდი – ციხეები გუგარქის მხარეში.

ტაშირი – მხარე ისტორიულ ქვემო ქართლში.

ლორეს შესახებ იხ. შენ. 332.

უხტიქის შესახებ იხ. შენ. 278.

³⁷⁶ შესაძლებელია ვარდანს ემლება სახელი და უნდა იგულისხმებოდნენ ტაშირ-ძორაგეტის მეფის კვირიკე I-ის

- შვილები დავითი და აბასი. იხ. შენ. 333. წინ ვარდანი წერს, რომ ისინი შეავიწროვეს ქართველებმა. აქ კი აკონკრეტებს თუ ვინ დაიმორჩილა ისინი.
- ³⁷⁷ არსებობდა ორი გავარი ჰაბანდის სახელწოდებით სიუნიქში და არცახში.
- ³⁷⁸ ვარდანის ეს ცნობა დავით აღმაშენებლის კულტურულ-სა-განმანათლებლო მოღვაწეობაზე ერთგვარად უნიკალურია, რადგან ცნობა დავითის მიერ ახალგაზრდების საბერძნეთში სასწავლებლად გაგზავნის შესახებ არ არის დაცული ქარ-თულ, სხვა სომხურ თუ უცხოენოვან წყაროებში.
- ³⁷⁹ ვარდანი უზუსტობას უშვებს. დავითმა იმეფა არა 33, არა-მედ 36 წელი. დავითი რომ გარდაიცვალა, დავითის ისტო-რიკოსის სიტყვით, „იყო მაშინ თუე იანვარი ოცდაოთხი და დღე შაბათი, ოდეს ქრონიკონი იყო სამას ორმოცდახუთი, ხოლო წელიწადნი მისნი შობითგანნი ორმოცდა ცამეტ-ნი. ხოლო მეფობდა ოცდათექუსმეტ წელ“. (ცხოვრება მე-ფეთ-მეფისა დავითისი, გვ. 362-363; რ. მეტრეველი. დავით IV აღმაშენებელი, თბ., 1990, გვ. 28).
- ³⁸⁰ დემეტრე I – საქართველოს მეფე (1125-1156).
- ³⁸¹ დმანისი – ქალაქი ქვემო ქართლში, წყაროებში იხსენიება IX ს-დან. მას სხვადასხვა დროს ფლობდნენ არაბები, სელ-ჯუკები. 1123 წ. დავით აღმაშენებელმა გაათავისუფლა სელ-ჯუკთაგან. მისი სიკედილის შემდეგ, როგორც ჩანს, ქართ-ველებს დაუკარგავთ დმანისი და 1125 წ. დემეტრე I-ს კვლავ აუღია. სწორედ ამას აღნიშნავს ვარდანი. XII-XIII სს-ში დმა-ნისი მნიშვნელოვანი სავაჭრო-ეკონომიკური ცენტრი იყო. დმანისი 1386/87 წ. თემურ-ლენგმა, ხოლო 1486 წ. იალუბ-ყაენმა დაარბია. XVIII ს-ში ლეკების, ირანელებისა და ოს-მალების შემოსევების შედეგად დმანისი განადგურდა. ხუნანი – ისტორიული ციხე-სიმაგრე ქვემო ქართლში. ლე-ონტი მროველის მიხედვით, მეფე ფარნავაზის მიერ დაარ-

31 რდან არეველცი

სებული ხუნანის საერისთავოს ცენტრი, აუშენებია ქარ-
თლოსს, ადრე ენოდებოდა მტვერის ციხე. ხუნანი განად-
გურდა მონღოლთა შემოსევების შედეგად.

³⁸² ხორასანი – ისტორიული ოლქი ჩრდილო-აღმოსავლეთ
ირანში.

³⁸³ იგულისხმება ხორ-ვირაპი – ცნობილი მონასტერი სომხეთ-
ში, ქ. არტაშატში, დაარსა სომეხთა კათალიკოსმა ნერსეს III
აღმშენებელმა (641-661) იმ ორმოს ადგილას, რომელშიც
გადმოცემის მიხედვით, გრიგოლ განმანათლებელი ჩააგდო
მეფე თრდატ III-მ (298-330).

³⁸⁴ იოანე ვანაკანი, ვარდაპეტი – XIII ს-ის ცნობილი სომეხი პე-
დაგოგი, ისტორიკოსი, ხორანაშატის სკოლის დამაარსებე-
ლი, მან აღზარდა სომხური კულტურის მოღვაწეთა მთელი
თაობა, მათ შორის კირაკოს განძაკეცი, გრიგოლ აკნეცი,
ვარდანი. იოანე ვანაკანის თხზულებას მონღოლთა შემო-
სევების შესახებ ჩვენამდე არ მოუღწევია, როგორც ჩანს,
ამ თხზულებას წყაროდ იყენებენ ვარდანი და განძაკეცი
(პ. Ոսկյան, დასახ. ნაშრომი).

³⁸⁵ სამუელ ანეცი – XII ს-ის სომეხი ქრონიკათი, ანისელი
მღვდელი, მისი ნაშრომი „ამონაკრეფი ისტორიკოსთა ნაწე-
რებიდან“ იწყება ადამიდან და გრძელდება 1180 წ-მდე.
აქვს გაგრძელებები, რომლებიც რამდენიმე ავტორს ეკუთ-
ვნის, გრძელდება XVII ს-მდე. რაკი ქრონიკის I ნაწილი 1180
წ-მდე გრძელდებოდა, ითვლებოდა, რომ ავტორმა 1180 წ.
ამბებით დაასრულა, მაგრამ შემორჩენილ ხელნაწერთაგან
უძველესის (მატენადარანის № 5619) ანდერძ-მინაწერის
მიხედვით, ის გადაუწერიათ 1176 წ. ამიტომ გაჩნდა ახალი
მოსაზრება, რომ სამუელ ანეციმ თხზულება 1165-1166 წწ.
ამბებით დაასრულა, მომდევნო ნაწილი კი სხვა ავტორს
უნდა ეკუთვნოდეს (პ. Մարգարյան. Կյուսիսային Կայաստանի
և Վրաստանի ժբ դაրի պատմության մի քանի հարցեր, Ե.,

1980, ხ 11; 4. ცემალევას. სათხმაურის სირთულესთვის. - «სტეკაფერი» ჯუსტიცია, 1964, I, ხ 84).

- ³⁸⁶ ქობაირი – მონასტერი ტაშირის მხარეში.
- ³⁸⁷ ხურთი – ბითლისისა და არზანის მმართველის ტულან-არს-ლან ალ-აჰმადის ძე. ის 1121 წ. ფლობდა დვინს, სანამ ქალაქი შადადიანთა ხელში გადავიდოდა (პ. ოთფურია, დასახ. ნაშრომი გვ. 97, 100).
- ³⁸⁸ აქ ვარდანი ხმარობს ქართულ სიტყვას „მამა“.
- ³⁸⁹ საყურადღებოა ვარდანის ეს ცნობა ივანე აბულეთის ძის შეთქმულების შესახებ. ქართულ წყაროებში არ მოიპოვება ცნობები ივანეს გამოსვლის შესახებ დემეტრე I-ის წინააღმდეგ 30-იან წწ.-ში. მხოლოდ ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე გვაწვდის მოკლე ცნობას დემეტრეს მიერ ივანეს მოკვლის შესახებ (ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე – ქართლის ცხოვრება, I გვ. 367). რაში ედებოდა ბრალი ივანეს, აღარ გვიხსნის ქართული წყარო. ივანეს დანაშაულის დადგენა შესაძლებელი ხდება ვარდანის მონაცემების საშუალებით. ჩანს ივანე იბრძვის დემეტრეს წინააღმდეგ არა პირადი განზრახვით, არამედ დემეტრეს ძმისათვის, რომელიც ეძიებდა მეფობას. ქვემოთ ვარდანი აღნიშნავს, რომ დემეტრემ მოაკვლევინა ივანე, როგორც მოღალატე, მებრძოლი მეფის წინააღმდეგ.

ქართულ ისტორიოგრაფიაში სხვადასხვა აზრია გამოთქმული იმის შესახებ, თუ ვინ უნდა იყოს ვარდანთან დასახელებული დემეტრეს ძმა. (ი. ჯავახიშვილი, რ. მეტრეველი, ჯ. სტეფნაძე). ჩვენი აზრით, მისაღები ჩანს შეხედულება, რომ ვარდანთან დასახელებული უფლისწული არის დავით აღმაშენებლის ვაჟი, დემეტრეს ძმა, რომელსაც დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი და ვახუშტი ბაგრატიონი უნიდებენ ვახტანგს, ხოლო დავითის 1125 წ. ანდერძში და დავითის სვინაქსარულ ცხოვრებაში ცვატა ეწოდება. აზრ-

- თა სხვადასხვაობაა იგანე აპულეთის ძის შეთქმულების თა-
რიღის საკითხშიც (ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართვე-
ლოსი – ქართლის ცხოვრება, ტ. IV, 1973, გვ. 159; ანდერძი
წმინდისა მეფისა დავით აღმაშენებლისა, – თ. უორდანია.
ქრონიკები, II, თბ., 1897, გვ. 51; ი. ჯავახიშვილი. ქართველი
ერის ისტორია, II, გვ. 224; რ. მეტრეველი. შინაკლასობრი-
ვი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში, თბ., 1973, გვ. 116;
ჯ. სტეფანაძე. საქართველო XII ს და XIII ს-ის I მეოთხედში,
თბ. 1985, გვ. 69; ე. კვაჭანტირაძე. ქრონილოგიის საკითხე-
ბი ვარდან არეველცის „მსოფლიო ისტორიაში“, – „მაცნე“.
ისტორიის სერია, 1989, № 2 გვ. 104-106).
- ³⁹⁰ იგულისხმება სურბ-ხაჩის ანუ წმ. ჯვრის მონასტერი გაგის
მიდამოებში, რომელიც მოიცავდა ტერიტორიას მდ. დებე-
დიდან ქ. შამქორამდე.
- ³⁹¹ გარნისის ციხე მდებარეობდა ერევნის სამხრეთ-აღმოსავ-
ლეთით, აიგო ძვ. წ. აღ-ით II ს-ში, იყო სომებს მეფეთა სა-
ზაფხულო რეზიდენცია. IV ს-ში აქ საეპისკოპოსო კათედრა
დაარსდა. XII ს-ში ჩრდილო-აღმოსავლეთ სომხეთის საქარ-
თველოს ფარგლებში მოქცევის შემდეგ გარნისის ციხემ და-
კარგა მნიშვნელობა.
- ³⁹² შაპ-არმენი – ნასირ ად-ადინ სუქმან II (1128-1183), ხლათის
მფლობელი.
- ³⁹³ ელტკუზი – ათაბაგი შამს ად-დინ ელდიგუზი (1137-1175),
აზერბაიჯანის ელდიგუზინთა სახელმწიფოს ფუძემდებე-
ლი, ირანისა და აზერბაიჯანის დიდი ნაწილის მფლობელი,
ერაყის სელჩუკთა სახელმწიფოს ფაქტობრივი მმართველი.
- ³⁹⁴ ჰერფერუჟანი – იგულისხმება ბიზანტიის იმპერატორი
იოანე II კომნენოსი (1118-1143).
კირ-მანუილი – იგულისხმება ბიზანტიის იმპერატორი მა-
ნუელ I (1143-1180).

- ³⁹⁵ უოსლინი – უოსელინ დე კურტენე, I ჯვაროსნული ლაშქრობის აქტიური მონაწილე.
- ³⁹⁶ მასუდი – იკონის სულთანი (1116-1156).
- ³⁹⁷ ხილიჭ არსლანი, მასუდის ძე – იკონის სულთანი (1156-1192).
- ³⁹⁸ ასკალონი – ქალაქი სირიაში, XI-XII სს-ში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო ნავსადგური.
- ³⁹⁹ ვარდანისაგან განსხვავებით, ქართული წყაროს მიხედვით დავით V-ის გამეფებისას (1155) მამამისი დემეტრე I ცოცხალი ყოფილა. ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანის ცნობით დემეტრე ბერად შედგა, საქართველოს სამეფო ტახტს კი დავითი დაეუფლა. მის შესახებ საუბრისას ქართველი მემატიანე მხოლოდ ერთი წინადადებით კმაყოფილდება „დასუა ძე მისი დავით მეფედ, იმეფა ექუს თუე და მოკუდა“. ვარდანის ცნობით კი დავითმა ორი თვე იმეფა. ქართული წყარო არ ასახელებს დავითის სიკვდილის მიზეზს. ეს საკითხი ნათელი ხდება მხოლოდ ვარდანის ამ ცნობის წყალობით. ის ასახელებს მკვლელობის მიზეზს და მკვლელებსაც სუმბატ და ივანე ორბელიანებს, რომელთაც ეს აქტი გიორგი უფლისწულთან შეთანმებით განახორციელეს. ვარდანის ამ მონაცემებს კიდევ უფრო მეტ სანდოობას ანიჭებს მხითარ გოშის ცნობა იმის შესახებ, რომ დავითი ორბელებმა მონამლეს. ამრიგად, ვარდანის ეს ცნობები ავსებენ ქართული წყაროს მონაცემებს და გვთავაზობენ საინტერესო ვერსიას (ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე, გვ. 366; ლ. დავლიანიძე, მხითარ გოშის „ალბანეთის ქრონიკა“, – ქართული წყაროთმცოდნეობა, II, თბ., 1968, გვ. 47; ე. კვაჭანტირაძე. ქრონოლოგიის საკითხები ვარდან არეველცის „მსოფლიო ისტორიაში“, გვ. 106-107).
- ⁴⁰⁰ გიორგი III – საქართველოს მეფე (1156-1184).

- ⁴⁰¹ შაპაპივანი – მონასტერი და დასახლებული ადგილი ვანის ტბის ჩრდილოეთით. მოესეს ხორენაცის ცნობით, აქ მეფე არშაკ II-ის (350-368) ბრძანებით ვარდანმა და ტირითმა მოკლეს გნელ არშაკუნი, შაპაპივანის მფლობელი, რის გამოც დაწყევლილ იქნენ კათალიკოს ნერსეს დიდისაგან (მ. ხორენაცი, გვ. 196). სწორედ მათ გამოჩენაზე საუბრობს აქ ვარდანი.
- ⁴⁰² ვარდანი დემეტრე I-ის მეფობის პერიოდზე საუბრისას მოგვითხრობს, რომ დვინზე ლაშქრობისას ქართველთა ჯარმა დამარცხება განიცადა. სულთანმა ბრძანა ქართველი ტყვეებისათვის თავები მოეკვეთათ და თავის ქალები მინარეთზე დაეწყოთ. ალბათ მათი ჩამოღება ბრძანა ამჯერად გამარჯვებულმა გიორგი III-მ.
- ⁴⁰³ მრენი – ციხე-სიმაგრე და მონასტერი შირაკის გავარში, მდ. ახურიანის მარჯვენა ნაპირზე.
- ⁴⁰⁴ პოლიტიკური სიტუაციის ცვალებადობასთან ერთად სომხეთის საკათალიკოსო ტახტი რამდენჯერმე გადაიტანეს. პირველად გრიგოლ განმანათლებლის მიერ დაარსდა სომხეთის დედაქალაქ ვალარშაპიში. 924 წ. ოთანე V-ის პატრიარქობის დროს გადაიტანეს ვასპურაკანში, 993 წ. სარგის I-ის დროს ანისში, 1066 წ. გრიგოლ II-ის დროს წამნდავში, 1083 წ. ბარსელ I-ის დროს ანისში, 1125 წ. გრიგოლ III-ის დროს წოვში, 1147 წ. მის დროსვე პრომკლაში, 1294 წ. გრიგოლ VII-ის დროს სისიში, 1441 წ. გრიგოლ IX-ის დროს ეჩმიანინში, სადაც დღემდე იმყოფება (უ. Կողյան. Հայ Եկեղեցին, Պեյրութ, 1961).
- ⁴⁰⁵ იგულისხმება უოსლინის ცოლი, რომელმაც პრომ-კლა მიჰყიდა სომხეთა კათალიკოს გრიგოლ III-ს.
- ⁴⁰⁶ გრიგოლისა და ნერსესის შესახებ იხ. შენ. 353.
- ⁴⁰⁷ ერიზა, ერზინკა, ქალაქი მდ. ევფრატზე, ეკელეაცის გავარში.

კაპანი – 970 წ. სომხეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში შექმნილი სიუნიქის სამთავროს ცენტრი. თავდაპირველად ამ სამთავროს ცენტრი იყო სისიანი.

- ⁴⁰⁸ ჰავუთარი – მონასტერი სიუნიქში.
- ⁴⁰⁹ სომეხთა კათალიკოსები: გრიგოლ IV (ტლა) (1173-1193) და გრიგოლ VI აპირატი (1194-1203). მათ შორის კათალიკოსი ერთი წლით იყო გრიგოლ V (1193-1194).
- ⁴¹⁰ იგულისხმება ელტკუზ ათაბაგი.
- ⁴¹¹ ვარდანის ეს ცნობა ეხება საქართველოს მეფე დავით V-ის ძის დემნა უფლისნულისა და მისი სიმამრის ამირსპასალარ ივანე ორბელიანის 1177 წ. აჯანყებას გიორგი III-ის წინა-აღმდეგ. აჯანყებულები მოითხოვდნენ დემნას კანონიერი უფლებების აღდგენას საქართველოს ტახტზე. ვარდანი სწორად ასახელებს აჯანყების სხვა მონაწილეებსაც: ქართლის ერისთავს ლიპარიტ სუმბატის ძეს, მეჯინიბეთუხუცეს ქავთარ ივანეს ძეს, ინე ლიპარიტის ძეს. ვარდანის თხზულება სტეფანოს ორბელიანის ნაშრომთან ერთად მნიშვნელოვნად ავსებს ქართულ წყაროებს ამ საკითხის შესწავლისას.
- ⁴¹² წარაქარი – მონასტერი და ქალაქი ანისთან ახლოს. მონასტერი აშენდა სომეხთა კათალიკოს პეტროს I-ის დროს (1019-1058), სომეხთა დიდი მთავრის სარგის სივნიელის მიერ.
- ⁴¹³ სალაპადინი, იგივე სალადინი – წარმოშობით სირიელი ქურთი, ფატიმიდების მხედართმთავარი, რომელმაც 1171 წ. მოაწყო სამხედრო გადატრიალება ფატიმიდების დინასტიის უკანასკნელი ხალიფა ადიდის წინააღმდეგ და თავი ეგვიპტის სულთნად გამოაცხადა (1171-1193). ამით დაიწყო აიუბიანთა დინასტიის მმართველობა (1171-1250).
- ⁴¹⁴ საყურადღებოა ვარდანის ეს ცნობა გიორგი III-ის მიერ პარვა-ავაზაკობის წინააღმდეგ მოწვეული კრებისა და მისი შედეგების შესახებ. ვარდანის ამ ცნობის სისწორეს ეჭვეჭვეშ

ვარდან არეველცი

აყენებს ი. ჯავახიშვილი, მისი გამო, რომ X-XII სს-ში ქართული იურიდიული აზროვნება დაწინაურებული იყო და პირუტყვთა დასჯა იურიდიული შეგნების იმ დონესთან ძნელად შესათანხმებელია. მისი აზრით, ეს ნაწყვეტი ვარდანისეული ჩანართი უნდა იყოს (ი. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, II, გვ. 226-227).

⁴¹⁵ იგულისხმება ბიზანტიის იმპერატორი მანუილ I კომენოსი (1143-1180). ვარდანი სწორად აღნიშნავს მისი გარდაცვალების თარიღს.

ანდრონიკე I კომენოსი – ბიზანტიის იმპერატორი (1182-1185), კომენოსების გვერდითი შტოს წარმომადგენელი. ხელისუფლებაში მოვიდა ხალხთა ფართო მასებზე დაყრდნობით. ამან ფეოდალთა უკმაყოფილება გამოიწვია და 1185 წ. ის ფეოდალთა შეთქმულების მსხვერპლი გახდა. ბიზანტიის ტახტი დაიკავა ისააკ II-მ (1185-1195), რომელსაც ვარდანი ფისიკს უწოდებს.

⁴¹⁶ თამარი – საქართველოს მეფე (1184-1207).

⁴¹⁷ იგულისხმება დავით სოსლანი, თამარის მეორე ქმარი. ვარდანი არასწორად აღნიშნავს მის რუსულ წარმომავლობას, ჩანს, ეშლება თამარის პირველ ქმარში, რომელიც იყო სუზალის დიდი მთავრის ანდრია ბოგოლიუბსკის ვაჟი იური. დავითი კი ოსეთის სამეფო სახლის წარმომადგენელი და ქართველ ბაგრატიონთა ჩამომავალი იყო, იზრდებოდა თამარის მამიდა რუსულანთან. ვარდანი შემდეგში კიდევ ერთხელ ახსენებს დავით სოსლანს, სადაც აღნიშნავს მის ოსურ წარმომავლობას.

⁴¹⁸ ტარძიანი – ციხე-სიმაგრე ტარონში.

⁴¹⁹ ისააკ II-ის შესახებ იხ. შენ. 415.

⁴²⁰ სომეხთა კათალიკოსი გრიგორ IV (1173-1193).

⁴²¹ იგულისხმება რომის პაპი კლიმენტ III (1187-1191).

- ⁴²² ტრიპოლის გრაფი – იგულისხმება რაინოლდ შატილიონე-ლი.
- ⁴²³ იერუსალიმის მეფე – იგულისხმება გვიდო ლუზინიანი. 1190 წელს მან ალყა შემოარტყა აკრას და აიღო.
- ⁴²⁴ იგულისხმება ფრიდრიხ I ბარბაროსა – გერმანიის იმპერა-ტორი (1155-1190).
- ⁴²⁵ კილიკიის სომხური სამთავროს მმართველი ლევონ II (1187-1219). საომარი ოპერაციების წარმოებისას ხშირად უკავ-შირდებოდა ჯვაროსნებს და ახლო ურთიერთობა ჰქონდა მათთან. III ჯვაროსნული ლაშქრობის (1189-1192) დროს ლევონ II ცდილობდა შეენარჩუნებინა ნეიტრალიტეტი, ხელი შეეშალა ფრიდრიხ I ბარბაროსას გეგმებისათვის. ლეონმა ისარგებლა ხილიქ არსლანის ვაჟებს შორის უთანხმოებით და დაიკავა ისაგრია და კაპადოკია. საინტერესოა ვარდანის თხზულების ეს ნაწყვეტი, რადგან მიმოწერა მიდის გერმა-ნიის იმპერატორსა და კილიკიის სომეხთა კათალიკოსს შო-რის.
- ⁴²⁶ ფრიდრიხ I ბარბაროსა დაიხრჩო III ჯვაროსნული ლაშქრო-ბის დროს გერმანელი ჯვაროსნების მცირე აზიის მდ. სა-ლეფზე (კილიკია) გადასვლისას 1190 წელს.
- ⁴²⁷ იგულისხმებიან რიჩარდ I ომგული – ინგლისის მეფე (1189-1199) და ფილიპე II ოგიუსტი – საფრანგეთის მეფე (1180-1223). 1191 წ. ჯვაროსნებმა აიღეს კვიპროსი, რასაც აღნიშნავს ვარდანი. 1192 წ. შეიქმნა კვიპროსის სამეფო, რომელსაც სათავეში ლუზინიანების ფეოდალური გვარი ჩაუდგა. ვარდანის თხზულების მთელი ეს ნაწილი ეხება III ჯვაროსნულ ლაშქრობას (1189-1192).
- ⁴²⁸ იგულისხმება მხითარ ანეცი. იხ. შენ. 272.
- ⁴²⁹ ზაქარია და ივანე მხარგრძელები – XIII ს-ის დასაწყისის გამოჩენილი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწეები. მათ მაღალი თანამდებობები ეკავათ საქართველოს სამეფო

31 კულტურული მემკვიდრეობის მინიჭებულებები

კარზე (ზაქარია-ამირსპასალარი, ივანე-ათაბაგი). ზაქარია და ივანე მხარგრძელების ქურთულ წარმომავლობაზე საუბრობს კირაკოს განძაკეციც (გვ. 162). ვარდანისა და განძაკეცის ცნობებზე დაყრდნობით მხარგრძელთა ქურთულ წარმომავლობას ემხრობა საქართველოსა და სომხეთის ისტორიის ზოგიერთი მკვლევარი (ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, მ. ჩამჩიანი, ა. ერიცოვი, ე. ლალაიანი, ჰ. აჭარიანი, ი. მანანდიანი, ი. ორბელი, მ. ბროსე, ვ. ალენი). ამის შესახებ არსებობს განსხვავებული მოსაზრებანიც (ს. კაკაბაძე, ა. ბაქრაძე, მ. ორმანიანი, კ. თუმანოვი, ა. შაჰნაზარიანი). ვრცელი გამოკვლევა მიუძღვნა ამ საკითხს შ. მესხიამ (შ. მესხია. საშინაო-პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XIII ს. საქართველოში, თბ., 1979, გვ. 209-228).

⁴³⁰ ანბერდისა და ბიჯნისის აღებას ახსენებენ ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე და კირაკოს განძაკეცი, მაგრამ თარიღს არცერთი არ ასახელებს. ამდენად, ვარდანისეულ თარიღებს უნიკალური მნიშვნელობა ენიჭება და გაზიარებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში (ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე, გვ. 368; კ. განძაკეცი, გვ. 163; ე. კვაჭანტირაძე. საქართველოსა და სომხეთის ურთიერთობა ვარდან არეველცის „მსოფლიო ისტორიის“ ცნობათა შუქზე – ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევები, თბ., 1991, გვ. 70-94).

გეტაბაქსი – ქალაქი უტიქის ნაპანგის გარდმანის გავარში. ჩარექი – ქალაქი გარდმანის გავარში, ხაჩენის მახლობლად.

⁴³¹ მელიქ ამრაფი (ალ-მალიქ ალ-აშრაფ I მუზაფარ ად-დინი) – ხლათის სულთანი (1210-1220), რომელსაც მიათხოვეს ცოლად ივანე მხარგრძელის ასული თამთა (ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბ., 1966, გვ. 83).

⁴³² ვარდანის ამ ცნობას ადასტურებენ თამარის პირველი ისტორიკოსი და კირაკოს განძაკეცი. თამარის ისტორიკოსის

ცნობით, კონფლიქტი აღსარების საკითხზე დაიწყო ზაქარია მხარგრძელსა და ქართლის კათალიკოს იოანეს შორის. ზაქარიას ინიციატივით მოიწვიეს საეკლესიო კრება, რომელსაც სომეხთა კათალიკოსსა და ვარდაპეტებთან ერთად ესწრებოდნენ თამარი და დავით სოსლანი. იოანე კათალიკოსმა დაასაბუთა სომეხთა მწვალებლობა. ამ კრების შემდეგ ივანე მხარგრძელმა მართლმადიდებლობა აღიარა, ზაქარია კი დარჩა ძველ აღმსარებლობაზე, მაგრამ მოისურვა სომხურ ღვთისმსახურებაში ზოგი რამ შეცვლილიყო ქართულის მსგავსებით. ამის შესახებ მოგვითხრობს ვარდანი (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, – ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 33; კ. განძაკეცი, გვ. 166).

⁴³³ კირაკოს განძაკეცის ცნობით ასე გარდაიცვალა არა კათალიკოსი გრიგოლ IV ტღა (1173-1193), არამედ გრიგოლ V (1193-1194), შემდეგ კათალიკოსი იყო გრიგოლ VI აპირატი (1194-1203). ამის შემდეგ საკათალიკოსო ტახტი სამად გაიყო: პრომ-კლაში ტახტი მიიღო იოვანესმა (1203-1221), სებასტიაში ანანიამ, აღთამარში დავითმა (კ. განძაკეცი, გვ. 112).

⁴³⁴ ზაქარია მხარგრძელის თხოვნის გამო კილიკიის სომხური ეკლესიისადმი 1204 წ. სისიში მოიწვიეს საეკლესიო კრება, რომელმაც თანხმობა მისცა ზაქარიას შეცვლილიყო წირვალოცვის წესები სომხურ ღვთისმსახურებაში. XII ს-ის ბოლოს ქართულმა ეკლესიამ ჩანს ენერგიულად შეუტია სომხურ ეკლესიას დაახლოვება-გაერთიანებისათვის. ამის გამო სომეხ მოღვაწეთა ინიციატივით მოიწვიეს საგანგებო საეკლესიო კრებები 1205 წ. ლორეში და 1207 წ. ანისში. ეს კრებები ქართული და სომხური ეკლესიების ერთობისა და ღვთისმსახურებაში საერთო წესების შემუშავებისათვის იყო გამიზნული. ამ კრებებმა უარყვეს ზაქარია მხარგრძელის თხოვნა, რაზეც წერს ვარდანი (მ. ლორთქიფანიძე).

საქართველოსა და სომხეთის ურთიერთობის წარსულიდან,
– თსუ შრომები, 1968, ტ. 125, გვ. 134).

- ⁴³⁵ ვარდანი ეხება ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ სა-
დავო საკითხს – თამარ მეფის გარდაცვალების თარიღს. ძი-
რითადი მოსაზრებანი ასეთია: 1207 წ. – ს. კაკაბაძე, ბ. სი-
ლაგაძე, რ. კიკნაძე, ჯ. ოდიშელი, გ. ოთხმეზური, გ. ალასა-
ნია; 1210 წ. – თ. ნატროშვილი, გ. ჯაფარიძე, შ. დარჩიაშვი-
ლი, მ. ბახტაძე; 1212 წ. – მ. ბროსე, პ. ინგოროვა; 1213 წ.
– თ. ჟორდანია, ი. ჯავახიშვილი, ი. ლოლაშვილი; 1216 წ.
– კ. კეკელიძე. ვარდანის ცნობით, თამარი გამეფდა 1184 წ.
ეპყრა ტახტი 23 წელიწადი, ე. ი. გარდაიცვალა 1207 წ. ამ
თარიღს ადასტურებს ორი თანადროული ქართული წყარო
(ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე, თამარის მეორე ის-
ტორიკოსი), არაბი ისტორიკოსი იბნ ალ-ასირი, სამეულ ანე-
ცის თხზულების გაგრძელების ავტორი. ვარდანის ეს ცნობა
კარგადაა ცნობილი ქართულ ისტორიოგრაფიაში, მაგრამ
ზოგიერთი ქართველი ისტორიკოსი იყენებს „მსოფლიო ის-
ტორიის“ რუსულ თარგმანს და ასკვნის, რომ აქ საუბარია
არა თამარის, არამედ დავით სოსლანის გარდაცვალებაზე.
მ. ემინის მიერ 1861 წ. შესრულებულ თარგმანში შეცდო-
მაა. ის, რომ ამ ნაწყვეტში თამარის შესახებ არის საუბა-
რი თუნდაც იქიდან ჩანს, რომ ცნობას მეფის (თამარის თუ
დავითის) გარდაცვალების შესახებ მოსდევს წინადადება:
ტახტზე ავიდა ლაშა, ე. ი. გარდაიცვალა სახელმწიფოს
მმართველი, ტახტი დაიკავა მისმა მემკვიდრემ. აქ რომ და-
ვითის სიკვდილი იგულისხმებოდეს, ლაშას ტახტზე ასვლაზე
არ იქნებოდა საუბარი, რადგან დავით სოსლანის სიკვდი-
ლის შემთხვევაში საქართველოს ეყოლებოდა მეფე თამარი
და ტახტის მემკვიდრის გამეფებაც საჭირო არ იქნებოდა.
ზოგიერთი ისტორიკოსი (თ. ნატროშვილი, გ. ჯაფარიძე)
ვარდანისეულ თარიღს ხსნის იმით, რომ ვარდანი ერთმა-

ნეთში ურევს თამარისა და დავითის გარდაცვალებას. მათი მსჯელობით, დავითის სიკვდილის შემდეგ უცხოეთში ხმა გავრცელდა საქართველოს მეფის გარდაცვალებაზე და შესაძლოა ნაკლებად ცნობილი დავითის გარდაცვალება მიეჩნიათ თამარის გარდაცვალებად (თ. ნატროშვილი, გ. ჯაფარიძე. ცდა ერთი თარიღის დადგენისა, – „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1974, № 1, გვ. 154). ვარდანი ამ პერიოდის მოღვაწეა, აღნერს ამშებს, რომელთა თვითმხილველი და თანადამხდური იყო, ცხოვრობს და მოღვაწეობს ჩრდილო-აღმოსავლეთ სომხეთში, რომელიც საქართველოს საზღვრებშია მოქცეული. ამიტომ ვფიქრობთ, სარწმუნო არ უნდა იყოს, რომ ვარდანს ამგვარი მცდარი ინფორმაცია ჰქონდა, ერთმანეთში არეოდა დავითისა და თამარის სიკვდილი. ამგვარად, შესაძლებელია თამარის გარდაცვალების თარიღად მიღებულ იქნას ვარდანისეული თარიღი (1207) (ე. კვაჭანტირაძე. ქრონილოგიის საკითხები ვარდან არეველცის „მსოფლიო ისტორიაში“, გვ. 110-112).

⁴³⁶ ლაშა-გიორგი – საქართველოს მეფე (1207-1222).

⁴³⁷ არტავილი (ქართ. არდაველი) – ქალაქი ჩრდილო-დასავლეთ ირანში. XIII ს-ის დასასრულიდან იყო დერვიშულ-სეფიური ორდენის – სეფევიეს შეიხების, შემდეგ სეფიანთა დინასტიის შაჰების რეზიდენცია.

⁴³⁸ ზაქარია მხარგრძელის გარდაცვალების ვარდანისეულ თარიღს (1212) ადასტურებენ სტეფანოზ ორბელიანი და სომხური ეპიგრაფიკის მონაცემები: 1210 წ. ჰალბატის, ანისის, 1210-11 წ. ბაგავანის და 1213 წ. მორო ძოროს სომხური ნარწერები (სტ. ორბელიანი, გვ. 398; Վիմაկას თარեგანი. კაզმეგ Կ. Կისთანსას, უ. Պეտერբურგ, 1913, ხ 50-51. ზემოა ხავ ქამადიურებას, I, 1966, ხ 58; შ. დარჩიაშვილი. XIII ს. დასაწყისის საქართველოს ქრონილოგიის საკითხისათვის, – „მნათობი“, 1975, № 2, გვ. 153-154).

- ⁴³⁹ მხარგრძელები განსაკუთრებით დაწინაურდნენ თამარის მეფობაში. თამარმა მათ სამმართველოდ უბოძა ანისი და დვინი, იმის გამო, რომ მათი შემოერთება მხარგრძელთა უშუალო მონაწილეობითა და ინიციატივით მოხდა. XIII ს-ის დამდეგს თამარმა ანისის მფლობელთა „შაპან-შაპის“ ტიტული ზაქარია მხარგრძელს უბოძა. ამიტომ იხსენიებს ვარდანი ზაქარიას ვაჟს „შაპან-შაპად“. ანისი ზაქარიასა და მისი სახლის სამეკვიდრეო ქონება იყო და არა მხარგრძელთა მთელი საგვარეულოს სამფლობელო (შ. მესხია, დასახ. ნაშრომი, გვ. 298-300).
- ⁴⁴⁰ მხითარ გოში – XII-XIII სს. ცნობილი სომეხი ღვთისმეტყველი და საზოგადო მოღვაწე. მას ეკუთვნის ნაშრომები: ტრაქტატი „ქართველთათვის“, „სამართლის წიგნი“, „ალბანეთის ქრონიკა“, „იგავები“, „ეპისტოლე“ (ნ. ჩანტლაძე. მხითარ გოშის ტრაქტატი „ქართველთათვის“, – სდა, თბ., 1994; ლ. დავლიანიძე. მხითარ გოშის „ალბანეთის ქრონიკა“, – ქართული წყაროთმცოდნეობა, II, 1968, გვ. 27-49).
- ⁴⁴¹ კილიკიის სომხური სამთავროს მმართველ ლევონ II-ის (1187-1219) მემკვიდრე იყო მისი მცირენლოვანი ქალიშვილი იზაბელა. მისი დედა სივილა ლუზინიანების და პლანტაგენეტების დინასტიის შთამომავალი იყო, რომლებიც ფლობდნენ კვიპროსს.
- ⁴⁴² ფილიპე – ანტიოქიის მფლობელის ბოჰემუნდის ვაჟი, იზაბელას პირველი ქმარი. ვარდანი სწორად აღნიშნავს მისი ჩამოგდების მიზეზს. 1226 წ. კონსტანტინემ ლამბრონთა ფეოდალური გვარიდან, რომელიც რეგენტად იყო დანიშნული, გადატრიალება მოაწყო. მან მმართველად გამოაცხადა თავისი ვაჟი ჰეთუმი (1226-1270), რომელიც იზაბელას სურვილის საწინააღმდეგოდ მასზე დააქორნინეს.
- ⁴⁴³ კონსტანტინე I ბარძრბერდეცი – კილიკიის სომეხთა კათალიკოსი (1221-1267).

- ⁴⁴⁴ ჩინი ცენტრალურ ჩინეთს აღნიშნავდა, მაჩინი კი სამხრეთ ჩინეთს. ჩინმაჩინში უშუალოდ მონღოლეთის ტერიტორია უნდა იგულისხმებოდეს (ჟამთააღმწერელი. ასწლოვანი მატიანე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო რ. კიკნაძემ, თბ., 1987, გვ. 221).
- ⁴⁴⁵ მუღალი და თათარი – მონღოლთა სახელები ქართულ და სომხურ წყაროებში, ჟამთააღმწერელთან: მოღოლ, მანგოლ, თურქული ფორმაა მოღულ, სპარსული მუღალ, რუსული მუნგალ. ჟამთააღმწერლის ცნობით, მონღოლებს ქართველები უწოდებენ თათარს, ხოლო თვითონ ისინი თავიანთ თავს მონღოლს (ჟამთააღმწერელი, გვ. 46).
- ⁴⁴⁶ მონღოლთა პირველ გამოჩენას სამხრეთ კავკასიაში ეხებიან აგრეთვე ჟამთააღმწერელი, კირაკოს განძაკეცი, გრიგოლ აკნეცი, რაშიდ ად-დინი, იბნ ალ-ასირი, მაგრამ განსხვავებულია ამ წყაროთა დეტალები. ისინი ბრძოლის სხვადასხვა ადგილს ასახელებენ: ვარდანი – მდ. კოტმანს, გრიგოლ აკნეცი – კოტმანის ველს, კირაკოს განძაკეცი – ხუნანის ველს, ჟამთააღმწერელი – მდ. ბურდუჯის ველს. შეტაკების თარიღად იბნ ალ-ასირი, რაშიდ ად-დინი და განძაკეცი ასახელებენ 1220 წ., ვარდანი 1221 წ. (ჟამთააღმწერელი, გვ. 50; კ. განძაკეცი გვ. 138, გ. აკნეცი, გვ. 9).
- ⁴⁴⁷ ვაპრამი – ქართული წყაროების ვარამი, ზაქარიას ძე, მხარგრძელ-გაგელი, XIII ს-ის I ნახევრის ქართველი დიდებული. ვაპრამის მამას თამარ მეფემ მემკვიდრეობით უბოძა გაგი ქურდ-ვაჭრით განძამდე, რის შემდეგაც მხარგრძელთა ეს შტო გაგელებად იწოდა. ვაპრამი იყო მსახუროთუხუცესი (1212 წლიდან), მონღოლთა ბატონობის პერიოდში განაგებდა საქართველოს ერთ-ერთ დუმანს სომხითს, მონაწილეობდა კოხტასთავის შეთქმულებაში.

- ⁴⁴⁸ ყივჩალთა სამხრეთ კავკასიაში ლაშქრობის შესახებ ცნობებს გვაწვდიან იბნ ალ-ასირი და კირაკოს განძაკეცი. განსაკუთრებით ვრცელია იბნ ალ-ასირის მონაცემები განძის ლაშქრობაზე, რასაც ახსენებს ვარდანიც. იბნ ალ-ასირთან ყივჩალთა მოსვლა სამხრეთ კავკასიაში ჰიჯრით 619 წ. ამბეჭთანაა მოთხრობილი და შეესატყვისება ქრისტიანული კალენდრის 1222 წელს. ვარდანიც ამ თარიღს ასახელებს. რაც შეეხება ცნობას ყივჩალთა ჰუნებიდან მოსვლის შესახებ, ჩანს, ვარდანს განძაკეცის თხზულებიდან ამოულია. განძაკეცისა და ვარდანის ეს ცნობა სხვა წყაროებით არ დასტურდება. ამიტომ ზოგიერთი ისტორიკოსი აკრიტიკებს მას და მემატიანის შეცდომად მიიჩნევს (პ. სილაგაძე, არაბი მწერალი ყივჩალთა შემოსევის შესახებ ამიერკავკასიაში XIII ს-ის 20-იანი წლების დასაწყისში, – ქართული წყაროთ-მცოდნეობა, VII, თბ., 1987).
- ⁴⁴⁹ გრიგორ ხალბაკის ძისა და პაპაქის შესახებ ცნობებს გვაწვდის კირაკოს განძაკეცი. გრიგორი იყო მხარგრძელთა პერიოდის ქართულ-სომხური ლაშქრის ერთ-ერთი სარდლის ვასაკ ჰალბაკიანის ძმა. ვასაკს ჰყავდა სამი ვაჟი: პაპაქი, რომელსაც ახსენებს ვარდანი, მეკდემი და ჰასანი (კ. განძაკეცი, გვ. 139).
- ⁴⁵⁰ გარნისთან ბრძოლის ვარდანისეულ თარიღს (1125) ადასტურებენ იბნ ალ-ასირი და კირაკოს განძაკეცი. ვარდანი, ჩანს, უარყოფითადაა განწყობილი ივანე მხარგრძელის მიმართ მისი დიოფიზიტად გახდომის გამო და მას აბრალებს გარნისთან დამარცხებას (იბნ ალ-ასირი, გვ. 156; კ. განძაკეცი, გვ. 114).
- ⁴⁵¹ იგულისხმება ჯალალ ად-დინი – უკანასკნელი ხორეზმ შაჰი (1221-1231). მამის, მუჰამედის სიკვდილის შემდეგ აქტიურად იბრძვის მონღოლთა წინააღმდეგ. 1221 წ. ჩინგის ყაე-

ნისგან დამარცხებული გაიქცა ინდოეთში. 1224 წ. დაფუძნდა აზერბაიჯანში, 1228 წ. დაამარცხა მონღოლები ისფაჰანთან. 1231 წ. მონღოლებმა გაიმარჯვეს მასთან ბრძოლაში, ჯალალ ად-დინი გაიქცა მესოპოტამიაში, სადაც მოკლეს ქურთებმა.

- ⁴⁵² თავრიზი – ირანის აზერბაიჯანის დედაქალაქი. XIII ს-ში ის ილხანთა სახელმწიფოს სატახტო ქალაქი იყო. 1386 წ. აიღო თემურ-ლენგმა.
- ⁴⁵³ იგულისხმება მცირე აზიაში თურქ-სელჯუკთა სახელმწიფო რუმის სასულთნო, სადაც სელჯუკთა დინასტიის უმცროსი შტო ბატონობდა. რუმის სასულთნომ თავისი ძლიერების მწვერვალს მიაღწია სულთან ალ-ადინ ქეიყუბადის (1219-1236) დროს, რომელსაც ახსენებს ვარდანი.
- ⁴⁵⁴ უამთააღმწერლის მიხედვით, მუღანის ველი იყო მონღოლთა საზამთრო სადგომი ყარაბაღში, არაქსისა და მტკვრის შესართავთან (უამთააღმწერელი, გვ. 122).
- ⁴⁵⁵ ჩარმალანი – მონღოლთა მხედართმთავარი, ნოინებს შორის უფროსი მონღოლთა მიერ ირანისა და სამხრეთ კავკასიის დაპყრობის დროს.
- ⁴⁵⁶ მონღოლთა მიერ განძის აღებას და დანგრევას ეხებიან სხვა წყაროებიც: გრიგოლ აკნეცი, კირაკოს განძაკეცი, უამთააღმწერელი და რაშიდ ად-დინი. მაგრამ, როგორც ირკვევა, ეს მომხდარა არა მონღოლთა პირველი შემოქრის დროს სამხრეთ კავკასიაში, როგორც ამას გრიგოლ აკნეცი და რაშიდ ად-დინი გვამცნობენ, არამედ მონღოლთა მიერ სამხრეთ კავკასიის დაპყრობის პირველ პერიოდში – 1235 წ. (ვარდანი, კ. განძაკეცი, უამთააღმწერელი). (გ. აკნეცი, გვ. 10; კ. განძაკეცი, გვ. 235; რაშიდ ად-დინი, გვ. 192; უამთააღმწერელი, გვ. 68).
- ⁴⁵⁷ ნოინი – მონღოლთა დიდებული, დუმანის (10.000 მხედარი) მეთაური.

- ⁴⁵⁸ იგულისხმება ვაპრამ მხარგრძელ-გაგელი და მისი ძე ალბუ-ლა. იხ. შენ. 447.
- ⁴⁵⁹ იოანე ვანაკანის მონღოლებთან ტყვედ წაყვანას მთელ თავს უძღვნის კირაკოს განძაკეცი (კ. განძაკეცი, თ. 24. გვ. 158-162).
- ⁴⁶⁰ სომხური წყაროები მონღოლებს უწოდებენ მოისართა ტომს (გ. აკნეცი, კ. განძაკეცი, ვარდანი).
- ⁴⁶¹ იგულისხმებიან იოანე ვანაკანი (იხ. შენ. 384) და კირაკოს განძაკეცი – XIII ს-ის ცნობილი სომეხი ისტორიკოსი, ვარდანის თანამოწაფე იოანე ვანაკანთან. ამ უკანასკნელთან ერთად 1236 წ. ტყვედ ჩაუვარდა მონღოლებს.
- ⁴⁶² ბათუ – ჩინგიზ ყაენის უფროსი ვაჟის ჯუჩის ძე, ოქროს ურდოს გამგებელი (1227-1255).
- ⁴⁶³ 692 წლის გამომხატველი სომხური ასოები „ოლბ“ ამავე დროს აღნიშნავს გლოვას.
- ⁴⁶⁴ XIII ს-ის 40-იან წნ-ში ქართველმა ფეოდალებმა მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყება გადაწყვიტეს. ვარდანის გარდა ამ აჯანყების შესახებ ცნობებს გვანვდიან კირაკოს განძაკეცი, გრიგოლ აკნეცი, ანონიმი სებასტიელი და უამთააღმწერელი. კ. განძაკეცი, ვარდანი და ანონიმი სებასტიელი შეთქმულების თარიღად ასახელებენ 1249 წელს, გ. აკნეცი თარიღს არ ასახელებს. სომხური წყაროების მიერ აღწერილი ეს შეთქმულება რამდენადმე ჰგავს უამთააღმწერლის ცნობას კოხტასთავის შეთქმულების შესახებ. უამთააღმწერლის, ისევე როგორც სომხური წყაროების მიხედვით, მონღოლებმა შეთქმულები ერთად შეყრილები შეიძყრეს გამცემლობის შედეგად. ორივე შემთხვევაში მონღოლები ერწმუნენ ერთ-ერთი შეთქმული დიდებულის სიტყვას, რომელიც თავის ნებით გამოცხადდა მონღოლებთან (სომხურ წყაროებში ეს დიდებული ავაგ მხარგრძელია, უამთააღმწერელთან კი ცოტნე დადიანი). დროითაც ეს ორი ცნობა შეთქმულების

შესახებ ახლოს დგას ერთმანეთთან. ამიტომ ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს, რომ აქ ერთი და იგივე შეთქმულება იგულისხმება, რამდენადმე სხვადასხვანაირად გადმოცემული ქართულ და სომხურ წყაროებში (კ. განძაკეცი, გვ. 237-241; გ. აკნეცი გვ. 30; Մաსր ժამანაկადისადაც გვ. 140; უამთააღმწერელი, გვ. 97-99).

⁴⁶⁵ იგულისხმება რომის პაპი ინოკენტი IV (1243-1254).

⁴⁶⁶ მანგუ – მონღოლთა დიდი ყაენი (1251-1259), ჩინგიზ ყაენის უმცროსი ვაჟის თულის ძე.

⁴⁶⁷ არღუნ ოირადი – მონღოლთა მოხელე, რომელმაც მანგუ ყაენის განკარგულებით ჩაატარა ხალხის აღწერა მონღოლთა სახელმწიფოში. აღწერა ჩატარდა არა 1253 წელს, როგორც ვარდანი წერს, არამედ 1254 წელს (ჯუვეინის ცნობები საქართველოს შესახებ, რ. კიკნაძის გამოცემა, თბ., 1974, გვ. 46-51; რაშიდ ად-დინი, გვ. 140-141).

⁴⁶⁸ ჰეთუმ I – კილიკიის სომხური სამთავროს მმართველი (1226-1270).

⁴⁶⁹ ჰეთუმუ – სომხურ წყაროებში ჰეთუმავუ, უამთააღმწერელთან ულო, ირანის პირველი ილხანი (1256-1265), ჰეთუმუ-იდების სახელმწიფოს დამაარსებელი, რომელიც მოიცავდა ირანს, არაბეთის ერაყს, სამხრეთ კავკასიის დიდ ნაწილს (სომხეთი, აზერბაიჯანი), მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილს (რუმი). საქართველო, ისევე როგორც ტრაპიზონის იმპერია, იკონიის სასულთნო, კილიკიის სომხური სამთავრო და კვიპროსის სამეფო მისი მოხარკე და ვასალი იყო.

⁴⁷⁰ ტოლუზ ხათუნს ვარდანის მსგავსად სხვა წყაროებიც მოიხსენიებენ, როგორც ქრისტიანს და ქრისტიანების მფარველს (გ. აკნეცი, კ. განძაკეცი, რაშიდ ად-დინი).

⁴⁷¹ მონღოლთა მიერ ბალდადის აღების შესახებ ცნობებს გვანვდიან კირაკოს განძაკეცი, სტეფანოზ ორბელიანი, გრიგოლ აკნეცი, რაშიდ ად-დინი, მარკო პოლო, უამთააღმწერელი.

ვარდანის მსგავსად, 1258 წ. ასახელებს სტეფანოზ ორბე-
ლიანიც (სტ. ორბელიანი, გვ. 71).

- ⁴⁷² მუსთასიმი – ბალდადის უკანასკნელი ხალიფა (1242-1258).
- ⁴⁷³ ქ. მუფარლინის აღებას 1259 წლით ათარილებენ სტეფა-
ნოზ ორბელიანი და რაშიდ ად-დინი, კირაკოს განძაკეცი
ვარდანის მსგავსად 1260 წლით. ჰულაგუს ვაჟს განძაკეცი
ჯიასმუდს უწოდებს (სტ. ორბელიანი, გვ. 71; კ. განძაკეცი,
გვ. 231-232; რაშიდ ად-დინი, გვ. 229).
- ⁴⁷⁴ იგულისხმება კათალიკოსი კონსტანტინე | ბარძრბერდეცი,
იხ. შენ. 443).
- ⁴⁷⁵ შამის ქვეყანა – სირია. ილხანი ჰულაგუ და მისი მემკვიდრეე-
ბი აქტიურად იბრძოდნენ სირიისა და პალესტინის დასა-
მორჩილებლად, სადაც ეგვიპტის მამლუქი სულთნები ბა-
ტონობდნენ. 1253 წ. ჰეთუმ I-მა მანგუ ყაენთან ყარაყო-
რუმში ვიზიტის დროს აღუთქვა მას სამხედრო დახმარება.
ამ მოლაპარაკების შედეგად იღებს მონაწილეობას ჰეთუმ I
თავისი ლაშქრით სირიაზე მონღოლთა 1259 წ. ლაშქრობაში.
- ⁴⁷⁶ იგულისხმება ჰასან-ჯალალი – ხაჩენის მთავარი, ივანე და
ზაქარია მხარგრძელების დის, ხორიშაპის ვაჟი. ის ენეოდა
ფართო საეკლესიო-აღმშენებლობით მოღვაწეობას. მისი
სახელი შემორჩენილია ბევრ სომხურ ლაპიდარულ წარწე-
რაში. კირაკოს განძაკეცი მთელ თავს უძღვნის ჰასან-ჯა-
ლალის მოღვაწეობას (კ. განძაკეცი, თ. 30, გვ. 170-171).
- ⁴⁷⁷ განძასარი – მონასტერი ხაჩენში. ის ააგო ჰასან ჯალალმა
1216-1238 წე-ში.
- ⁴⁷⁸ ზაქარე – ამირსპასალარ ზაქარია მხარგრძელის შვილიშვი-
ლი, შანშეს ქე, გამორჩენილი მხედართმთავარი, მონაწილეობ-
და მონღოლთა მიერ ბალდადის აღებაში. ზაქარეს დაბრალ-
და ულუ დავითის 1260-61 წწ. ანტიმონღოლურ აჯანყება-
ში მონაწილეობა. თუმცა ის აჯანყებულთა მხარეზე არ
იბრძოდა, შეუტყვეს საიდუმლო ურთიერთობა სიმამრთან,

აჯანყებულ სარგის ჯაყელთან. 1261 წ. ზაქარე მოკლეს არ-ლუნის ბრძანებით. ვარდანის ამ ცნობას ადასტურებს უამთააღმწერელიც (ჟამთააღმწერელი, გვ. 135).

- ⁴⁷⁹ ნერსესი – ალვანთა კათალიკოსი (1235-1262).
- ⁴⁸⁰ ყურულთაი – მონღოლთა მომთაბარე არისტოკრატიის წარმომადგენელთა კრება, რომელიც ტარდებოდა პერიოდულად (ვარდანის ცნობით გრძელდებოდა ერთი თვე) სახელმწიფო საქმეების გადასაწყვეტად. ყურულთაიზე ირჩევდნენ მონღოლთა დიდ ყაენებს.
- ⁴⁸¹ იგულისხმება დავით VII ულუ (1247-1270), რომელიც 1264 წ. სარგის ჯაყელთან ერთად ჰულაგუ ყაენის მიერ გამოძახებული, მის კარზე იმყოფებოდა, 1260-61 წწ. ანტიმონღოლური აჯანყების გამო დასაკითხად (ჟამთააღმწერელი, გვ. 131-133).
- ⁴⁸² არქაუნი – ქრისტიანების მონღოლური სახელმწიფება. სტეფანოზ ორბელიანის ცნობითაც მონღოლები ქრისტიანებს არქაუნებს უწოდებენ (სტ. ორბელიანი, გვ. 221).
- ⁴⁸³ შაკმონია – იგულისხმება ბუდა და ბუდისტები. ბუდიზმის შექმნელად ითვლება ძვ. წ. აღ-ით VI ს-ში ჩრდილოეთ ინდოეთში მცხოვრები შაკიების ტომის ბელადის ძე სიდჰართასა გაუტამა, რომელმაც შემდეგში მიიღო ბუდას სახელი.
- ⁴⁸⁴ აბალა ყაენი ჰულაგუს ძე (1265-1282).
- ⁴⁸⁵ იგულისხმება თევზუდარი, რომელიც ჟამთააღმწერლის ცნობით, იყო „ყაენისა ბარახას ძმა უმრნამესი... ჩინგიზ ყაენის შვილისა ჩაღატა ყაენის ნათესავი, რომელსა ეპყრა ქუეყანა თურანისა და დიდი თურქეთი“ (ჟამთააღმწერელი, გვ. 144). შემდგომში თუგადარმა შეთქმულება მოაწყო აბალა ყაენის წინააღმდეგ, რასაც დიდი ბრძოლები მოჰყვა. ამ ბრძოლებმა თითქმის მთელი სამხრეთ საქართველო მოიცვა და გაგრძელდა 1270 წლამდე (ბ. ლომინაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 579).

- ⁴⁸⁶ ბერქა – ოქროს ურდოს ყაენი (1255-1266), ბათუ ყაენის უმ-ცროსი ძმა.
- ⁴⁸⁷ შიბარი – იგულისხმება სიბა, მონღოლთა მიერ საქართველო-შარვანის საზღვართან, მდ. თეთრი წყლის ნაპირებზე აშენებული სანგრები, სადაც შემოდგომიდან გაზაფხულამდე იდგა ქართველ-მონღოლთა ჯარი ჩრდილოეთიდან მოსული მონღოლების შესაკავებლად.
- ⁴⁸⁸ ვარდანის ეს ცნობა ეხება ჩრდილოეთის ოქროს ურდოსა და სამხრეთ საილხანოს შორის გამართულ ერთ-ერთ ბრძოლას მდ. მტკვრის მიდამოებში. ამ ბრძოლის შესახებ დაწვრილებით მოგვითხრობს ჟამთააღმწერელი (ჟამთააღმწერელი, გვ. 140-141).
- ⁴⁸⁹ იგულისხმება ეგვიპტის სულთანი აზ-ზაპირ რუქნ ად-დინ-ბაი ბარს | ალ-ბუნდუქდარი (1260-1277). ვარდანი სწორად აღნიშნავს მისი კილიკიის სომხურ სამთავროზე თავდასხმის თარიღს (1266).

WORLD HISTORY

by Vardan Areveltsi

In historical science, great importance is attached to elaboration of principles for the publication of written historical sources and matters of their exploration from the point of source study. At the current stage of development of source studies, not only identification of new sources, but also a more multifaceted, profound analysis and publication of already known historical sources is of utmost importance. At the same time, special attention is paid to the comprehensive study of specific sources, some data from which was previously used by researchers. One of such sources is “World History” by an Armenian author of the 13th century, Vardan Areveltsi.

Ancient and Medieval Armenian historiography of different periods is characterized by uneven development. It achieved significant success in the 5th, 9th-13th centuries and partly in the 18th century. However, it experienced decline in the 7th, 8th and especially in the 14th and 17th centuries. In the 13th century, Armenian historical literature reached a high level of development. The historiography of this period, along with the peculiarity of individual authors, reflected features common to the entire era. In the works of historians, there is an attempt to comprehend the past and present of Armenia in the context of universal history: on one hand, there are works of the universal type, and on the other, Armenian histories considering events in close connection with world processes. The Armenian historiography of the 13th century achieved special success due to the schools of the Khoranashat, Hayravank and Tatev monasteries. The historians Kirakos Gandzaketsi, Grigor Aknetsi

and Vardan Araveltsi were the pupils of Vardapet Vanakan who is considered the founder of the Khoranashat school.

In the 9th -10th centuries, Armenia included several regions that were very different from each other in historical and cultural terms. Although the Ani kingdom of the Bagratids partially united these regions, this formation turned out to be short-lived, and it was not possible to create a single Armenian state. Armenia tended to be fragmented forming small kingdoms, of which most noteworthy were the kingdoms of Ani, Vaspurakan, Tashir-Dzoraget, Syuni and Kars.

At the beginning of the 11th century, the Byzantine Empire began to carry out the expansionist policies in Armenia. In 1022, Byzantium destroyed the Vaspurakan kingdom, and in 1045, the Ani kingdom. In 1048, the Seljuks invaded Armenia. The small Armenian kingdoms were defeated and there were formed Seljuk emirates in the country. Among them, more or less significant were the emirates of Ani, Dvin and Shah-Armens.

The struggle between the Seljuk Emirates and the Georgian state began in the 20s of the 12th century, and lasted almost throughout the entire century. It was crowned with the success of Georgia which, at that time, was the strongest state in the Middle East. The armed forces of Georgia started to fight for the liberation of neighboring Armenia from Seljuks. By the end of the 12th and beginning of the 13th centuries, the entire North-Eastern Armenia became part of the Georgian state. It was granted as a patrimonial possession (“mamuli”) to the dignitaries of the Georgian king from the feudal family of Mkhargrdzeli.

In the 13th century, Armenia was subject to Mongol invasions. In 1236, Northern Armenia was completely annexed by the Mongols. In 1242-1245, the enemy captured the western and southern provinces of the country. Despite the complexity of the situation, the Armenian people tried to restore the economy, rebuild destroyed cities and villages, develop trade, and create cultural values. This was partially successful

in the North-Eastern part and in Cilician Armenia. Vardan Areveltsi lived and worked mainly in these two regions of Armenia.

There are different opinions among scholars regarding the date and place of birth of Vardan Areveltsi (1200-1210; 1197-1200). We tend to think that he was born between 1197-1200, in the city of Gandzak or its outskirts. He was educated by then quite famous Vardaped Vanakan at the Khoranashat Monastery in the Tavush region. His fellow students were Kirakos Gandzeketsi and Grigor Aknetsi, who preserved some facts of Vardan's life in their works. In the spring of 1236, the Mongol hordes led by the Mongol Governor Molar captured Vanakan and his students. At that time, Vardan was in Kayenaberd where he had founded a school of a higher type and started teaching.

In 1248-1251 Vardan Areveltsi lived and worked in Cilicia. There his activity developed in two directions: cultural-literary and social-eclesiastical. In 1264, Vardan Areveltsi was summoned to Tabriz by Hulagu Khan and was received with great honours. Vardan received a special label from Hulagu Khan, according to which the Mongols were ordered to treat the Armenian population more gently, especially regarding tax policy. Vardan Areveltsi died in 1271.

Vardan Araveltsi's diverse scientific and literary heritage includes works of various genres: panegyrics, speeches, hymns, commentaries, sharakans (Armenian chants), tales, grammatical and canonical works, translations, and "Geography". The most significant among them is "World History" which describes events that took place starting from the creation of the world up to 1267.

The introduction of "World History" provides the biblical scheme for the creation of the world.

The Armenian historiography of this period is characterized by the division of works into parts and chapters. Although Vardan Areveltsi does not divide his work into chapters, he composes it according to a pre-planned scheme. The author begins narration by outlining the bib-

lical origins of the peoples of the world. This method is not original, since it is characteristic of Christian literature in general. Vardan Areveltsi constructs his opus by presenting the history of different countries of the world, including the historical past of each nation, into a single narrative in chronological order, and skillfully harmonizes the history of Armenia with the general chronicle. He provides not only its particular instances but offers the history of his country along with events taking place in other states. The only exception is the author's contemporary period when he allocates a main place to the events of Mongol rule, in particular, to the detailed description of his visit to Hulagu Khan.

Vardan Areveltsi's understanding of the concept of "world" is also noteworthy. For medieval authors, this concept embraced the countries known at that time. In his opus Vardan Areveltsi tells the history of Rome, Egypt, Byzantium, Palestine, India, Persia, Arabia, Georgia, and Albania. The author interprets the concept of Europe and Asia in his own way as well - he refers to Europe as the West, and to Asia as the East.

The author uses three methods of dating: 1) comparative chronology, 2) From the birth of Christ, i.e. Anno Domini, and 3) Armenian chronology. He pays great attention to the definition of phenomena in time, which is given in a more or less precise chronological framework. "World History" is characterized by strict adherence to chronological sequence. Under the same date, the chronicler conveys facts and phenomena taking place in several countries.

According to the medieval principles of historiography, the historians rarely refer to the sources they utilize. Vardan Areveltsi names his sources in two cases: when quoting or abbreviating the material used. In the latter case, two reasons for citing sources can be distinguished: a) the author explains the reason for the brief presentation of the source; b) he names sources containing additional information on any specific issue.

In his opus, Vardan Arevetsi names the following authors whose works he refers to: Asohik (XI century), Mkhitar Anetsi (XII century), Vardapet Vanakan (XIII century), Vakhram (XIII century) and Kirakos Gandzaketsi (XIII century). But based on a comparative and contrastive hermeneutical analysis of his work and the ancient Armenian recordings, it becomes obvious that in addition to the sources indicated, the author of “World History” used other Armenian written evidence, namely the works by Movses Khorenatsi, Favstos Buzand, Ghazar Parpetsi, Sebeos, Ghevont, Hovhannes Drashkhanakertsi and Ukhtanes.

Vardan Arevetsi used Georgian sources too, namely the chronicles “Kartlis Tskhovreba”. Talking about the origin of the Georgians, he mentions the book of the Georgians - the book of the Georgian kings, which he based upon while narrating. According to the author, “Their books say that the reign of the Georgian kings began with the arrival of Tarmagos and his eight sons in the Ararat region after the great flood”. Then he conveys the history of their settlement, and at the end states: “This is according to what Mkhitar Anetsi says.”

When studying the principles of citing sources, it turned out that in the above quotation two independent sources are named – “Kartlis Tskhovreba” and the work by Mkhitar Anetsi. Reference to two sources when presenting the same issue is not uncommon to Vardan Arevetsi. Naming Vakhram and Mkhitar Anetsi as sources when speaking about the Seljuk emir Togrul-Bek is a good example.

The 12th century and the beginning of the 13th century are the periods of high political and economic potency in Georgia. The country was freed from the rule of Seljuk Turks. Moreover, the Georgian armed forces began to fight for the liberation of neighbouring Armenia. As was mentioned above, significant steps in this direction were taken during the time of Queen Tamar (1184-1207), when the Georgian state reached the pinnacle of its power. As a result of the fight against

the Seljuks, North-Eastern Armenia, where Vardan Areveltsi lived and worked, became part of Georgia. It should also be noted that by the second half of the 12th century, “Kartlis Tskhovreba” had already been translated into Armenian. Consequently, it is quite possible that Vardan Areveltsi, an enlightened and widely educated man of his time, whose activities at a certain period took place in the Georgian kingdom, was familiar with Georgian sources, in particular, with “Kartlis Tskhovreba”, and used them in compiling his work.

Vardan Areveltsi treats materials drawn from the works of other sources with great care and attention, guided by completely diverse principles: sometimes he presents a summary of an event or phenomenon that interests him, some other times he interprets the material in his way, and only occasionally borrows it without changes. Therefore, establishing the sources used by the author creates certain difficulties.

“World History” by Vardan Areveltsi is published in Georgian for the first time. Although it has not yet become the object of special research by Georgian scientists, we must admit that the rich factual material presented in his work was more than once used to consider many issues in the history of Georgia.

The Armenian text of “World History” was published twice: in Moscow, in 1861, by M. Emin, and in Venice, in 1862, by G. Alishan.

In addition to the complete edition of this work, there were published some of its excerpts with parallel French translations, edited by E. Dulaurains and J. Mildermans.

The complete Russian translation of “World History” belongs to M. Emin and was published in Moscow, in 1861. The second attempt at Russian translation belongs to K. Patkanov. The translated excerpts published in St. Petersburg, in 1873, concern the history, as well as the invasions and life of the Mongols in Armenia.

“World History” was translated into French in excerpts. E. Dulaurains first translated information about the Mongols and published it

in Paris in 1860, and only later he translated passages with important documentary material about the Crusades and published them in Paris in 1869. One part of Vardan Areveltsi's work was translated into French by J. Mildermans who published it in Paris in 1927.

J. Marquart translated the information from "World History" about the Bagratids into German and published it in Leipzig, in 1903. The same information was translated into French and published in Paris, in 1921, by A. Maries.

პირთა, გეოგრაფიულ და ეთნიკურ სახელთა საძირებელი*

- აბას II ბაგრატუნი 141, 142, 259
აბასი (სხვადასხვა) 141, 143, 145,
261
აბასი, ტაშირ-ძორაგეტის მეფე
158, 171, 272, 279
აბალა ყაენი 213-215, 299
აბგარი (გვაგ აირი) 80-83, 229
აბდალ აზიზი 248
აბდალა 113, 122, 147
აბდალაქი 126
აბდალაძე ა. 224, 229, 258
აბდალაჭი (სხვადასხვა) 122, 128,
129, 248
აბდიშო 107
აბდონი 68
აბდულმელიქი (აბდ ალ-მალიქი)
122, 123, 130, 250, 308
აბელი 50, 51, 109, 157
აბელუპი 50
აბელხარიბ ვასაკის ძე 169, 277
აბელხარიბ ხაჩიკის ძე 158
აბელიანი მ. 27
აბია 70
აბიათარი 69
- აბიმელექი 62, 67
აბლჰერთი 131
აბოცი 253
აბრაამ I, სომეხთა კათალიკოსი
244
აბრაამი (სხვადასხვა) 59, 62, 63,
65, 76, 81, 99, 102, 109, 110,
113-116, 243
აბუბექრი 119
აბუდალიქი 148
აბუთურაბი 124
აბულაძე ი. 234, 259
აბულეთი 34-36, 170, 171, 173
აბულსუარი 34, 170, 171
აბუსააკი 131
აბუსალისი 148
აბუსაპლი (სხვადასხვა) 145, 147
აბუსეთი 132, 255
აგათანგელოსი 78, 231, 232
აგათონი 136
აგამემნონი 224
აგარა 115
აგარიანები 119
ადამი 50-55, 67, 72, 80, 211, 280

* საძირებლის დახრილი გვერდები ეკუთვნის წყაროს ტექსტს.

- ადანა 158, 215, 271
 ადარბადაგანი 96, 194, 237, 258,
 259
 ადარნასე ბრმა 33
 ადარნასე კურაპალატი 31-33
 ადიდი 285
 ადრიანე 86
 ადრიანოპოლი 93, 186
 ავაგ მხარგრძელი 296
 ავაგი 196, 200
 ავანი 110
 ავარაირი 256
 ავგუსტუსი 80, 81, 85
 ავრელიანე 86
 ავრელიუსი 86
 აზარია 70, 71
 აზარმიდუხტი 245
 აზერბაიჯანი 255, 264, 268, 282,
 295, 297
 აზია 54, 55, 76, 86, 221, 223, 295
 ათანაგენი 87
 ათანაგინესი 94
 ათანასე 200
 ათენელები 67
 ათენი 67, 92
 აირ გალადელი 68
 აირარატი 19, 93, 144, 252, 253
 აირარატის ველი 145, 228
 აირარატის ნაპანგი 234, 243,
 252, 255, 258, 259, 265
 აირარატის სამეფო 223
 აირივანქი 8
 აიუბიანები 285
 აკეელები 78
 აკილასი 86
 აკილისენე 230
 აკორი 120, 121
 აკრა 287
 ალადინი (ალ-ადინ ქეიყუბადი)
 195
 ალავიკი 172
 ალაზიზი 152
 ალამუთი 156, 201, 265, 271
 ალანები 235
 ალბანეთი 16, 37, 99, 111, 123,
 138, 140, 142, 193, 198, 201,
 227, 244, 247, 250, 268, 283,
 292
 ალბანელები 118, 119, 124, 142,
 240, 243, 250, 255
 ალეპო 144, 160, 177, 179, 273,
 277
 ალექსანდრე (სხვადასხვა) 68,
 74-76, 86, 90, 134, 141
 ალექსანდრე მაკედონელი 61,
 226
 ალექსანდრია 95, 134-136, 236
 ალექსი (სხვადასხვა) 144, 157,
 159, 162-164, 170, 182
 ალექსი I კომნენტი 272, 274,
 278
 ალი ვაჰეის ძე 134
 ალინე 92
 ალიოვიტი 79, 229
 ალიონი 59
 ალისი 89, 141
 ალიშანი ღ. 26, 39
 ალიშერი 184

310 310 310 310 310

- ალოროსი 52
ალფ-არსლანი (ადუდ ად-დაულა ალფ-არსლანი) 149, 153, 155, 156, 160, 180, 181, 264, 270, 273
ალფიარაკი 160
ამალიკი 66
ამარასი 90, 234
ამასია 60, 71, 154
ამიდი 168, 277
ამიერკავკასია 9, 257, 267, 294
ამითი 195
ამოქსი 72
ამონი 89
ამოსი 72
ამრამი 64
ამრი 70-72
ამუდარია 222, 226, 241, 264
ამუკი 175
ამურა 131
ანავარზი 176
ანაკი 83, 84, 139
ანალიური 168
ანანე 81
ანანია (სხვადასხვა) 70, 73, 289
ანანია I მოკაცი 142, 143, 260
ანანია სანაინელი 172
ანანია შირაკუნი 121, 247
ანაპატი 207
ანასტას აკორელი 120, 121, 247
ანასტასი 136
ანატოლი (სხვადასხვა) 96, 97, 135, 236, 237
ანატოლია 89, 222
ანაპიტი 230
ანბერდი 37, 145, 189, 288
ანდრეასი 162
ანდრია ბოგოლიუბსკი 286
ანდრიონი 157, 271
ანდრონიკე 182, 183, 286
ანდრონიკოსი 176
ანებისი 61
ანთაბიანი პ. 22, 23, 27
ანისი 9, 34, 35, 37, 120, 139, 142, 143, 145, 151, 153, 155-158, 160, 161, 164, 168, 170, 171, 173, 177-180, 189, 191, 196, 205, 253, 264, 271, 291, 292
